

კოცეტანტინე ჭიშინაძე

# კლიფერაცია

ქართულ შაირში ღა

„ვეფხის ფეარსანის“ პროგლემა

გამომცემელი თომა ჩიქვანაია

ტფილისი.

1925. წ.



ଶ୍ରୀରାଧାକୃତି

თუ ეს რა დღი ?  
დღისა დღისა  
ორნეთანთიც პირის გა დღი სასახლე  
22/III-256.

# ამიტენაცია

ქართულ შარქში და  
„ვეფხის ფერსანის“ პროგლემა

34957



ტფ ილიხი  
ს. მ. უ. ს. პოლიგრაფგანყოფილების მე-3. სტამბა  
1925

# პლიტერაზის კართულ შაირში და „ვეფხის შეარ- სნის“ პროგლოგა<sup>1)</sup>

მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა.  
რ თ ს თ ა ვ ე ლ ა

## ჭირასიტყვაობა.

„ვეფხის ტყაოსანის“ შესახებ ბევრი გამოკვლევა დაწერილა, მაგრამ ქართული მწერლობის ამ უდიდესი ძეგლის გარშემო წარმოებული კვლევა-ძეგების სფერო იმდენად ვიწროდ არის შემოფარგლული ავტორის ვინაობისა და ყალბი ადგილების საკითხით, რომ თვითონ პოემის, როგორც მხატვრული ღირებულების, შესწავლა თითქმის არ წაწეულა წინ. რუსთაველის მკვლევარებმა არა თუ ვერ გადასწყვეტეს, პირიქით უფრო დააბნელეს მათ მიერვე წამოყენებული კითხვები. ის რასა სწერს „ვეფხის ტყაოსანის“ ავტორის ვინაობის შესახებ პატივცემული პროფ. ქ. კეკელიძე თავის უკანასკნელ წიგნში <sup>2)</sup>: „არავითარი საბუთი არ არსებობს, რომ ეს მწერალი მივიჩნიოთ შოთა რუსთაველად, მით უმეტეს ჩახრუხაძედ და თმოგველად; ასე რომ საკითხი პოემის ავტორის სახელის, გვარის და სადაურობის შესახებ ჯერ-ჯერობით ლიად უნდა დარჩეს“. პატივცემული მკვლევარი ი. აბულაძე ამავე საკითხის გამო სწერს შემდეგს: „მიუზედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს განსაკუთრებული გულმოდგინებითა და ენერგიით მიჰყევს ხელი ჩვენი პოეტის პიროვნების გამორკვევას, მაინც კიდევ, უამართლე უნდა ითქვას, დღემდის სრულებით არა სჩანს, თუ ვინ იყო რუსთაველი, ანუ უკეთ, იყო თუ არა პოეტი შოთა რუსთაველი; რომელსაც ზეპირგარდმოცემა მიაწერს „ვეფხის ტყაოსანის“ შექმნას“ <sup>3)</sup>.“

მკვლევართა შორის თითქმის გამარჯვებულია დღეს ის აზრი, რომ პოემა, მისი პროლოგი და ეპილოგი დაწერილია სხვადასხვა პოეტების მიერ. პროფ.

<sup>1)</sup> წაკითხულია მოხსენების სახით „რუსთაველის თეატრში“ მიმდინარე წლის 26 მაისს

<sup>2)</sup> ქართული ლიტერატურის ისტორია II ტომი 1924 წ.

<sup>3)</sup> ი. აბულაძე—„მე-XII საუკუნის ქართული საერთო მწერლობა და „ვეფხის ტყაოსანი“ 1922 წ.

კეკელიძე ამის შესახებ სწერს შემდეგს: „ამნაირად, პროლოგი და ეპილოგი არამც თუ არ ეკუთვნის პოემის ავტორს, საში საუკუნით მაინცაა დაშორებული მისგან“. ზოგიერთი მკვლევარის აზრით მთელ პოემაში იმდენი ყალბი ადგილია, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ უნდა წარმოვიდგინოთ სხვადასხვა დროის მოშაირეთა და გადამწერთა მიერ შეთხული ტაეპების<sup>1)</sup> რაღაც კონგლომერატად.

წინამდებარე გამოკვლევა შეეცდება ახალი მიფგომით გადასცრას ყველაზე უფრო მტკიცნეული საკითხები ამ დიდი პოემის გარშემო. თავდაპირებელი მიზანი ამ გამოკვლევისა იყო იმის დამტკიცება, რომ პოემა, მისი პროლოგი და ეპილოგი დაწერილია ერთი ავტორის მიერ, რომლის ლიტერატურული სახელი არის რუსთაველი. ეს ხაზი ემჩნევა ამ შრომის მეორე თავს. შემდეგ, მუშაობის პროცესის დროს, წამოიჭრა საკითხი საერთოდ ეგრედ წოდებული ყალბი ტაეპების შესახებ, და ეს პრობლემა მთელი ჰისი მასშტაბის სიფართოვით დასმულია. მესამე თავში. მეოთხე თავი შეეხება „ვეფხის ტყაოსანის“ მკვლევარების დებულებათა კრიტიკას, ხოლო მეხუთე, ესე იგი უკანასკნელი, წარმოადგენს რუსთაველთან ინტიმური მისვლისა და თვითონ შემოქმედების პროცესის დროს მისულში ჩახელვის ცდას. რა თქმა უნდა, ამ თავში მოცემული იქნება მეტად სუბიექტურ ნიადაგზე დამყარებული მოსაზრებანი, მაგრამ სამაგიეროდ, არცერთი ჩენი მთავარი დებულება არ ეყრდნობა ამ მოსაზრებებს, რომელნიც არაფერს სავალდებულოს არ შეიცავენ.

## I. შესავალი.

ალიტერაცია ეწოდება ერთი და იმავე ან მზგავსი თანხმოვანი ბგერების განმეორებას ლექსში. ამა თუ იმ მზატვრული მიზნის მისაღწევად.

ხმოვანი ბგერების გამეორებას (ასონანსი) მთავარი მნიშვნელობა სიტყვების მახვილიან მარცვლებში ეძლევა.

ლექსის სტრიქონში ხშირად აღგილი აქვს ალიტერაციისა და ასონანსის კომბინაციას.

ალიტერაცია და ასონანსი არ არის ჩენის დროში მოგონილი ამზავი. არა თუ წარსული საუკუნეების პოეზიაში, თვით უძველეს ხალხურ ლექსებშიაც ხშირად შეხვდებით ამ ტეხნიკურ საშუალებათა გამოყენებას.

იმ ხანებში, როდესაც ლექსის ფორმის კულტურა მაღლა იდგა ხოლმე, პოეტები არა მარტო პრაქტიკულად სარგებლობდნენ ალიტერაციით და ასონანსით, მათ თეორეტიულად ჰქონდათ გათვალისწინებული თუ რა მნიშვნელობა აქვს ბგერებს ლექსში. გასულ საუკუნეში ზოგიერთი ფრანგი სიმბოლისტები ისეთ უკიდურესობამდე მივიდენ, რომ პარალელები გაჰყავდათ ბგერებსა და ფერთა შორის, რამც არა ერთი და ორი გესლიანი დაცინვის საბაბი მისცა ცნობილ მაქს. ნორდაუს.

1). სიტყვა ტაეპი ამ გამოკვლევაში იხმარება ყველგან კუპლეტის მნიშვნელობით.

მეთექვსმეტე საუკუნის ერთი ფრანგი პოეტი „პლეიადას“ ჯგუფიდან ამბობდა, რომ ბგერა რ ისე გაისმის ლექსში, როგორც საყვირის ხმა. <sup>1)</sup>

გადავავლოთ გაყვრით თვალი ქართულ პოეზიას ამ მხრით. დავიწყოთ თანამედროვე ლიტერატურიდან და წავიდეთ ჩეარის ნაბიჯით უკან. დღევანდელ ჩვენს პოეზიაში ბგერებს საქმაოდ დიდი ყურადღება იქვს მიქცეული, მაგრამ აქ არც დრო და არც ადგილი არა გვაქვს იმისათვის, რომ ამ მიზნით თანამედროვე პოეტების შემოქმედებას შევეხოთ. მხოლოდ იმისთვის, რომ გავიგოთ მაგალითების საშუალებით თუ რა მნიშვნელობა აქვს ლექსში ალიტერაციას, მოვიყვან აქ რამდენიმე ნიმუშს დღევანდელი ქართული პოეზიიდან. არსებობს ქართულად არტურ რემბოს ცნობილი ლექსის „მთვრალი ხომალის“ თარგმანი (თარგმანი ეკუთვნის პ. იაშვილს. უნდა შევნიშნოთ აქვე, რომ საერთოდ ალიტერაციის ერთად ერთი აეტორი თარგმანში არის მთარგმნელი). ეს თარგმანი ურითმოა, მაგრამ რითმის მოვალეობას აქ ბრწყინვალეთ ასრულებს ალიტერაცია. ჯერ შარტივი ნიმუშები.

აი როგორ მეორდება ბგერა ზ სტრიქონებში:

1. ცოფიან წყალში ავ ზრიალში მე—იმ ზამთარში.
2. ქარმა დალოცა ჩემი ზღვაზე გამოფხიზლება.

ბგერა ტ:

1. და ტიფელ ტანებს მიაკრავდენ ფერად სვეტტბზე.
2. ნაფოტზე მჩატე ათი ღამე ტალღებზე ეხტოდი.
3. გიყი ფიცარი შემორტყუმლი ბეგემოტებით.
4. ბეგრი ვიტირე ჭეშმარიტად! სულს მწუხრი ჰპოტნის.

ბგერა ც:

1. საცა უეცრად ცის ფერობა შეიღებუბა.
2. ვიცი ცის ელვა და ქარცეცხლი, ვიცი გრაგანი. <sup>2)</sup>

ბგერები ხ, მ და ს:

საღამოები... მე მინახავს ხანდისხან ისიც...

ბგერები წ და შ:

როგორც ტებილია მწიფე ვაშლის წვენი ბავშთათვის.

ამავე სტრიქონში ყურადღების ლირსია კიდევ გ-ს გამეორება: „მწიფე ვაშლის წვენი ბავშთათვის“.

ჰ და რ ერთ სტრიქონში,—პირველი პირველ ნახევარში, მეორე—მეორეში! ენახე ჭაობის ამიჭრება, უსაზღვრო ტბორი.

<sup>1)</sup> ამ ბგერას, არა მარტო ფრანგულში, ყველა ენებზე დაწერილ ლექსებში თავისი მნიშვნელობით პირველი ადგილი უჭირავს სხვა თანმიმდევრ ბგერებ შორის.

<sup>2)</sup> ამ სტრიქონში ც მეორდება ხუთჯერ, შემდეგ სტრიქონში კი ის აღარ ისმის სრულებით, სამაფეროდ იქ არის გ-ს ალიტერაცია:

აფეთქებული დოლა თითქოს გუნდი მტრედების.

საინტერესოა, რომ პირველ სტრიქონსაც („საცა. უეცრად...“) ისეთი სტრიქონი მოსდევს თან, საღაც ც სრულებით აღარ არის და ალიტერაციას იგივე ძ წარმოადგენს:

ეგრა დღის შუაში გაგიუბა და ნელი რიტმი.

### ბგერა ს:

ვნახე გასცრილი მზე მისტიურ საშინელებით.

ფ-ს ალიტერაცია და ა და ი-ს ასონანსი:

თავისუფალი, აყვანილი იისფერ ნისლით. <sup>1)</sup>

ეხლა ავიღოთ უფრო რთული მაგალითი ამავე ლექსიდან, როდესაც ალიტერაცია ერთი სტრიქონიდან მეორეში გადადის:

ვაკვირდებოდი, როცა ტალღა მოხეთქილ კლდეებს

მიაბლავლებდა ვით საძროხე ისტერიული.

ბევრი იფიქრებს ალბად, რომ არაფერი საერთო ამ ორ ღ-ს ერთმანეთთან არა აქვს და ეს ბევრა აქ სრულიად შემთხვევით გაისმის მეორე სტრიქონში. რომ ეს ასე არ არის, ამის დასამტკიცებლად მოვახდინოთ აქ მცირე ექსპერი-მენტი. სიტყვა „ტალღა“-ს აქვს სინონიმი „ზეირთი“, რომელშიაც ბგერა. ღ არ არის. ამოვიღოთ სტრიქონიდან „ტალღა“ და ჩაგვათ შიგ „ზეირთი“; არც მეტრი, არც აზრი სტრიქონის ამით არ შეიცვლება:

ვაკვირდებოდი როცა ზეირთი მოხეთქილ კლდეებს

მიაბლავლებდა ვით საძროხე ისტერიული.

რა მოხდა? მოხდა ის, რომ ამ ორ სტრიქონში გაშლილ სახეს გამოეცალა მთავარი ბოძი—თანხმოვანი ბევრა ღ. <sup>2)</sup> მაგრამ უფრო საინტერესო კიდევ აქ აი რა არის: თუ პირველ სტრიქონს დამოუკიდებლად ავიღებთ, მაშინ ძნელი სათქმელია „ტალღა“ სჯობს თუ „ზეირთი..“ რატომ? იმიტომ რომ ამ სტრი-ქონში, ცალკე თუ ავიღებთ მას, ალიტერაცია წინად სუსტი იყო ღ-ს სახით, ხოლო ეხლა კი, როდესაც შიგ სიტყვა გამოვსცვალეთ, მივიღეთ თ-ს ალიტე-რაცია, და მთელი ეს სტრიქონი ასე გამართია:

ვაკვირდებოდი როცა ზეირთი მოხეთქილ კლდეებს...

უნდა ითქვას, რომ ალიტერაციას არა მარტო სტრიქონის გამართვაში აქვს მნიშვნელობა, ის, ისე როგორც რითმა, უდიდეს როლსა თამაშობს თვით პოეტის შემოქმედების პროცესის დროს. ალიტერაციის საშუალებით ფართოვ-დება და მკაფიოდ ინაკვთება პოეტის წარმოდგენაში შესული ბუნდოვანი სახე. ალიტერაციას „მოჰყავს“ საუკეთესო ეპიტეტები ლექსში. <sup>3)</sup> მაგალითად, ზემოთ მოყვანილი ორი სტრიქონი შემდეგი სიტყვებით თავდება: „ვით საძროხე ის-ტერიული.“ ამ შემთხვევაში ეპიტეტი „ისტერიული“ მეტად შესანიშნავია. მაგრამ მასში რომ არ იყოს ბევრა ს, მაშინ ის, ჯერ ერთი, ასე კარგი არ იქნებოდა ამ ადგილას და, მეორეც, პოეტს არ მოუვიდოდა ის თავში.

აქვე ხაზგასმით უნდა ითქვას შემდეგი: არამც და არამც პოეტი

1) გარდა ალნიშნულისა, ამ სტრიქონში ყურადღების მისაქცევია კიდევ ბევრებიც და ღ.

2) მას ამაგრებს კიდევ ბევრა ს. გარდა ამისა ღ-სთან ერთად მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ას.

3) უფრო იშვიათად წდება წინააღმდეგიც: ჯერ არსებობს ხოლმე ეპიტეტი და შემდეგ ალიტერაციით „გამოინახება“ ისეთი არსებითი სახელი, რომლის ერთერთი ატრიბუტის შემცველად ის გადაიქცევა.

შემოქმედების პროცესის დროს ალიტერაციაზე არა ფიქრობს. არაფერი არ არის ლექსში ისე უშუალო და ბუნებრივი, როგორც ალიტერაცია. პოეტი ლექსის წერის დროს ფექტობს რითმაზე, მეტრზე სახე-ებზე, მაგრამ ალიტერაცია კი მისი ფიქრის პირდაპირ საგანს არ წარმოადგენს!). ალიტერაცია შედეგია პოეტის შინაგანი მუსიკალური ბუნების. პოეტს აქვს სიტყვა, შემდეგ ის, ან ერთბაშად ან საკმაო ძიების შემდეგ, მიაგნებს მის შესაფერ მეორე სიტყვას, რომელიც თურმე იმიტომ ჭარის შესაფერი, რომ აზრის გარდა კიდევ თავისი რომელიმე მნიშვნელოვანი ბგერით ეთანხმება მას.

ვაჟა-ფშევლას ხშირად აქვს თუმცა სადა და მარტივი, მაგრამ მაინც საკმაოდ ხმიერი ალიტერაციები. აკაკი წერ ეთელისა და ილია ჭავჭავაძის ნაწერებში ალიტერაციით გამართული ლექსები და ცალკე სტრიქონები მხოლოდ ბედნიერ გამონაკლისს წარმოადგენენ. მათ დაუკარგეს ლექსის ცალკე აღებულ სტრიქონს დამოუკიდებელი ლირებულება, რომელსაც უმთავრესად ალიტერაცია ჰქმნის. ეს აიხსნება არა იმით, რომ მათ პოეტური ნიჭი აკლდათ—პირიქით ეს ნიჭი დიდი იყო მათში—არამედ იმდროინდელი შეხედულობით პოეზიაზე და მის მიზნებზე. მაშინ რუსეთში გაბატონებული იყო, ასე ვსოდეთ, „დედა აზრის“ პოეზია, და ამ პოეზიამ, ისე როგორც რუსეთში, საქართველოშიაც ჩაახრჩო დროებით ლექსის სტრიქონის კულტურა, რომელიც რომანტიკოსების შემოქმედებას ახასიათებდა. აურებელი ლექსები აქვს მაგალითად აკაკის ისეთი, სადაც ის ივიწყებს იმას, თუ რას უნდა წარმოადგენდეს ლექსი და სერიოზულად გვიმტკიცებს, რომ პატიოსანი კაცი სჯობს გაიძერა ადამიანს, ან ფლიდი და ფარისეცელი კაცი უფრო ცუდია, ვიდრე გულწრფელი და პირში მთქმელი. „დედა აზრის“ პოეზიამ განსაკუთრებით კარიკატურული სახე მიიღო ილიასა და აკაკის მომდევნო თაობის პოეტებში (ვაჟა-ფშაველას გამოკლებით). მათ უკანასკნელ გალატაკებამდე მიიყვანეს ქართული ლექსის მდიდარი რესურსები. პატარა პოეტებს რომ დიდი პოეტების მოსპობა შეეძლოთ, ისინი ერთიან დალუბავდენ და გაანადგურებდენ ქართული პოეზიის დიდ წარსულს.

აკაკისა და ილიას, როგორც ზევითა ვსოდეთ, მაინც აქვთ ალიტერაციით გაშლილი სტრიქონები.

საყვარლის საფლავს ვეძებდი, ვარ გნახე, დაკარგულიყო.  
გულამოსკვნილი ვსტიროდი...

1) არის ხოლმე მოფიქრებული ალიტერაცია, რომლის გამოცნობა ძალიან ადვილია. მოვიყენ აქ ამის მაგალითს რუსული ლიტერატურიდან. ალიტერაციის შესანიშნავ ხელოვანს გ. ბრიუსოვს, ერთ ლექსში აქვს ასეთი აკრობატული ალიტერაციებით გამართული სტრიქონები:

С Гангас, Гоанго, под гонг, под тимпаны...

С таежных талостей Татлинным стать ли?

Въяга до Юга докинет ли иней?

ამ სტრიქონებს არა აქვს არავითარი მხატვრული ღირებულება. ალიტერაცია თვითმიზანი კი არ უნდა იყოს ლექსში, ის ხელს უნდა უწყობდეს მის გარეშე მყოფ მხატვრული მიზნის მიღწევას.

ექალში ვარდი შევნიშნე...

იღლია ჭავჭავაძის „განდეგილი“ მშვენიერი ალიტერაციით იწყება:  
სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა,  
ორბნი არწივნი ვერ შეხებიან<sup>1)</sup>.

მაგრამ „განდეგილში“ საერთოდ ძალიან იშვიათია ასეთი სტრიქონები.

ჩვენმა რომანტიკოსებმა იცოდენ სტრიქონის ფასი ლექსში. რითმაში მათ ერთი უდიდესი მარცხი შექმნებათ, რომელსაც აქ უადგილობის გამო სრულებით ვერ შევეხებით, და მთელი თავისი ყურადღება მათ სტრიქონის შენებაზე გადაიტანეს. გრ. ორბელიანს და ნ. ბარათაშვილს აქვთ ბევრი, ალიტერაციით მღიდარი, საუცხოვო კომპოზიციის სტრიქონები.

გრ ი გ თ ლ ა რ ბ ე ლ ი ა ნ მ ა პირველმა შემოიღო ქართულ ინდივიდუალურ შემოქმედებაში ურითმო ლექსი. აი მისი „ფსალმუნის“ პირველი სტრიქონი ბევრებით ვ, ლ, მ და სა:

ვინა ალვიდეს მაღალსა მას მთასა წმიდასა.

აი ერთი მისი შესანიშნავი სტრიქონი:

წყალნი მთით დაქანებულნი ალმასებრ უფსკრულს სცვივიან.

ამის შემდეგ კიდევ უკეთესი,—პირველ ნახევარში რ, შუაში ლ, ხოლო მთელ სტრიქონში და განსაკუთრებით ბოლოში—ბ:

თერგი ჯბის, თერგი ლრიალებს კლდენი ბანს ეუბნებიან.

ნ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს განსაკუთრებით „მძრანი“ და „შემოღამება მთაწმიდაზე“ აქვს მღიდარი ალიტერაციით დაწერილი.

აი სტრიქონში ჯერ ფ და მერმე ც:

ნუ შეეფარვი ჩემო მფრინავო ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა.

ც და მისი მზგავისი ბევრა წ:

სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციური ცვარნი.

ც და ხ:

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო.

აი ორი სტრიქონი ერთად, პირველში მ წარმოაღვენს მთავარ ალიტერაციას, მეორეში ხ:

შემომერტყმოდა მაისის მწუხრი აღვშები ნაბრალთ ჟდუშარებითა.

ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავნი, ლელეთა შორის აღმოკვენესოდენ.

პირველ სტრიქონში არის შვიდი მ და ერთი ნ, ხოლო მეორეში რვა ნ და ორი მ.

არ შეიძლება აქვე უურადღება არ მივაქციოთ იმას თუ როგორ ასწორებდა ბარათაშვილი თავის ლექსებს, ვინაიდან ეს საკითხი მეტად საინტერესოა და ალიტერაციის პრობლემასთან უშუალოდ დაკავშირებული. ბარათაშვილის აკადე-

1) ამ სტრიქონებში აღსანიშნავია კიდევ ბევრები მ და :

ორბნი არწივნი ვერ შეხებიან.

კიდევ: პირველი სტრიქონის რ ერმაურება მეორე სტრიქონის ამგვარსავე ბევრებს;

მყინვარსა—ორბნი, არწივნი...

მიურ გამოცემაში<sup>1)</sup> მოყვანილია პოეტის ზოგიერთი სტრიქონების პირველი ვა-რიანტები და მათი თანდათანი შესწორება. აი შაგალითად:

ჯერ ბარათაშვილს დაუწერია — „და მდუმარენი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ“. ამ სტრიქონში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სიტყვა არის „შემოგარენი“, თვით სიტყვაში კი ცენტრალური ბეჭრა არის გ, რომელიც უთუ-ოდ მოითხოვს გამოხმაურებას, ასეთ გამოხმაურებას აღვილი აქვს ერთ სიტ-ყვაში („გულსა“), მაგრამ ეს არა კმარა, ყოველ შემთხვევაში ძალიან დაშვენ-დება თუ ეს ბეჭრა კიდევ გამეორდება. გარდა ამისა, არ ვარგა ასეთი მდიდარი როთმა შიგ სტრიქონში, მეზობელ სიტყვებში, — „და მდუმარენი შემოგარენი“, — რომელიც აქ სრულიად მოულოდნელად ჩახრუხაძისა და შავთელისებურ წყობას გვაგონებს. ბარათაშვილსაც ინსტიქტიურად უზრდნია ყოველივე ეს და სტრი-ქონი ასე გადაუკეთებია:

და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ.

ამ სახით სტრიქონი გამართულია უკვე ყოვლად უნაკლულოდ.

ი კიდევ ასეთი ნიმუში. თავდაპირველად ბარათაშვილს ჰქონია სტრიქო-ნები:

ვითა უბიშო და მშვენიერი სული ლოცვითა მიიქანცება.

და სახე მისი ამ ქვეყნიური, მით უფრო მშვენი გაციურდება.

მას ჰგავდა მთვარე შუქმიბინდული.

დისკოგავსილი, მინაზებული!

რა თქმა უნდა, ბარათაშვილს ეს სტრიქონები არ აქმაყოფილებს. პირველ ორ სტრიქონში ბეჭრები, განსაკუთრებით ხმოვანები, სრულიად არ არიან ერთ-მანეთთან შეთანხმებული. მაგალითად, სიტყვაში „გაციურდება“ უ და უფრო კი პირველი ა სრულ დეზორგანიზაციას ახდენენ მთელი სტრიქონის წყობაში; ხოლო უკანასკნელ სტრიქონში ყოვლად აუტანელია სიტყვა „მინაზებული“ არა იმიტომ, რომ ეს სიტყვა თავისთვავად არ ვარგოდეს, არამედ მისი ამ აღვილი-სათვის შეუფერხებელი ბეჭრების გამო. ბარათაშვილსაც წაუშლია ეს სტრიქო-ნები და მიუწერია გვერდზე:

გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო წრფელითა ლოკვით მიქანცებული?

მას ჰგავდა მთვარე სახე მიხრილი, დისკო გადახრით. შუქმიბინდული!

არ ვარგა არც ამ სახით. ბარათაშვილი ჰგრძნობს ამას. რა არ ვარგა, მაგალითად, პირველ სტრიქონში? არ ვარგა უეჭველად სიტყვა „წრფელითა“ რომლის პირველი ბეჭრა წ ისე წიგის სტრიქონში, რომ იმის ატანა შეუძლებელი იქნება, თუ ის არ გამეორდა იქვე სადმე ახლოს, მაგრამ ყველას აჯობებს ამ სიტყვის ამოგდება მთლად სტრიქონიდან და მის მაგიერ თავისი ბეჭრებით უფრო შესაფერი სიტყვის ჩასმა. მართლაც პოეტს წაუშლია ეს სიტყვა და დაუწერია ზემოდან „მხურვალეს“, შემდევ წაუშლია ამ სიტყვაში ს, როგორც სრულიად ზედმეტი, და აი რა გამოსულა ბოლოს:

გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?

ამ ახალი სიტყვის ყველა ბგერები მეორდებიან სტრიქონის სხვა სიტყვებში. ერთმა სიტყვის გამოცელაში რაღიკალურად შესცვალა სტრიქონის ლირებულება, მიუხედავად იმისა, რომ გამოცელილი სიტყვა აზრის მხრით სავსებით თავის ადგილზე იყო.

ეხლა მეორე სტრიქონი.

მას ჰგავდა მთვარე სახე მიხრილი დისკო გადახრით შუქმიბინდული.

ჯერ ერთი, აქ „მიხრილი“ თავისი სამი ნაზი ხმოვანი ბგერით სრულიად არ უდგება წინა სიტყვებს, ვინაიდან იქ ყველგან მახვილი დიამეტრალურად საწინააღმდეგო ბგერას ხედება (ა), მეორეც, „მიხრილი“ იმასავე ნიშნავს, რა-საც „გადახრით,“ და, მაშასადამე, აქ ადგილი აქვს სიტყვის გამეორების სრულიად დაუშვებელ ფორმას. ბარათაშვილი ასე ასწორებს ბოლოს ამ სტრიქონს:

მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო გადახრით, შუქმიბინდული:

ეს უკვე საბოლოო რედაქციას წარმოადგენს, თუმცა პატარა ნაკლი აქაც მოიძებნება კიდევ: შეუფრებელია სიტყვა „ნაზად“, და ამის შესახებ ბარათა-შვილმა აღმად ბევრი იფიქრა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა, ვინაიდან სხვა ორმარცვლებუნი სიტყვა არაფერია ისეთი, რომ აქ გამოდგეს ამაზე უფრო, ხოლო რაღიკალურად სტრიქონის გადაკეთება კი აღარ მოისურვა.

კიდევ ერთი ნიმუში გასწორების. ბარათაშვილს ჰქონია პირველად:

ლურჯად მოღელაეს და დუღუნებს მტკვარი ანკარა.

შემდეგ გადაუსწორებია:

ნელად მოღელაეს მოღუდუნე მტკვარი ანკარა. 1).

ბარათაშვილის ყველა ზემოთმოყვანილ გასწორებებს სარჩულად უდევს ღერების მუსიკალური შეხამების საჭიროება სტრიქონში. პოეტი სტრიქონის ნაკლს პგრძნობდა სმენით, ბგერებზე სრულებით არა ფიქრობდა და არც იკოდა, რა თქმა უნდა, არავითარი თეორია მათ შესახებ.

ბესიკს აქვს ხშირად ძალიან მდიდარი ალიტერაციები მუხამბაზებში. მაგრამ აქ დრო არ არის მათი გარჩევის; ამ პოეტს საქართველოს პოეტებ შორის ყველაზე უფრო უყვარდა ხელოვნური ფორმები. მას აქვს დაწერილი „ან-ბანთ ქება“, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს მოფიქრებული ალიტერაციის ნიმუშად, ეს ლექსი იწყება ასე:

1. ათინად სიბრძნის შემქრები აზიად ვმგზავრობ არესა,

ამირბარს ვეყმე ავთანდილ ამოდ რა ლმობიარესა

ალევისა მშვილდი შემშვენდა ისრად არყისა მხარესა

არწიეს აფსასა შევაგენ ჰერს მოფრინეა—მხმარესა.

2. ბაბილონით მრებელმან ბასრას ვიხილე, მსუროდა;

ბარამის ქება მომესმა, ბეჟან ვემონე ყმუროდა.

ბიისა მშევილდო ფიცხელო ბორდის ისრაისა მძმურო და,

ბრანგვსა შეგტყორცე ბაყვს ეცი ვის ჩვევით სისხლი გწყუროდა.

და ასე ბოლომდე, ესე იგი ჰაე-ჰოე“-მდე. ამგვარი ალიტერაციით გა-

1) აქ დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მკვეთრი ბგერის ჯ-ს ამოგდებას სტრიქონიდა.

მართულ ლექსებს, რა თქმა, უნდა, არავითარი მხატვრული ღირებულება არა აქვს. აქ დიდის ვაი-ვაგლახით პოეტს ჯგუფებად დაულაგებია და ერთმანეთთან შეუკოწიწებია. ერთი და იმავე ბერებით დაწყებული სიტყვები. ეს უფრო მოცლილი ადამიანის გართობა არის, ვიდრე პოეზია: მაგრამ, როგორც ზევითა ესთეტით, ბესიქს აქვს ლექსები ძალიან კარგად შერჩეული ბერებით. მაგა- ჩენა და ლითად:

ცნობა მიმიღო და გული, სევდით შემზღვდა ანაშან,  
კვლავ მომქლა მისმან ციალმან და წელთა მიმოტანამან...  
კოქობსა ვარდა ნარგიზმან აპურა ცრემლი, ანაშა,  
სჯობს რომ არ ჰყანებს მიჯური, ან მოქელას ამისთანა მან!.. <sup>1)</sup>

და ვით გურამიშვილის „შაირში“ („გურამიანში“ მაგალითთად), გვხედება ალიტერაცია აქა-იქ, მაგრამ მეტად მარტივი სახით; თუ, მიუხედავად ამისა გურამიშვილის შაირი მაინც კარგ შთაბეჭდილებას სტროებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მან იცის სტრიქონში ბერებისათვის თავთავიანთი ადგილის მი- თანხმოვანებისა და ხმოვანების თანაბარი განაწილება.

არჩილ მეფე ფის პოეტური შემოქმედება მეტისმეტად სუსტია ყოველი მხრით. არა თუ ალიტერაცია, მისთვის არ არსებობს ლექსში არაფერი გარდა მარცვლებისა და ყოვლად უფარგისი რითმების. არა თუ როგორც პოეტი, საფიქ- რებელია, რომ ის სუსტი იყო როგორც მკითხველი. ამის საბუთს იძლევა მისი „თეიმურაზ მეფისა და რუსთაველის გაბაასება“, სადაც ის თეიმურაზს თითქმის უპირატესობას ანიჭებს რუსთაველის წინაშე. <sup>2)</sup>

არც თეითურაზი ალიტერაციებზე შეიძლება ლაპარაკი, მიუხედა- ვად იმისა, რომ მისი ლექსი ტეხნიკურად შეუდარებლად მაღლა სდგას არჩილ მეფის ლექსზე. თეიმურაზის შაირის შედარებითი კეთილხმოვანება უფრო იმით

1) თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ტაქპის კომპოზიციას ემწევა რუსთაველის შემდეგი ტაქპის გავლენა:

ამარტის ფერად შესცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან.  
დიდან იტირეს ყმამან და მან ქალმან შაოსანა მან;  
შესნა, შეიღო აბჯარი, ცენიცა შეიყვანა მან.  
დადუმდეს, ცრემლი მოკევთა შავმან გიშრისა დანამან.

2) ამ გაბაასებაში რუსთაველი უზნება თეიმურაზ მეფეს:

„მე რას ღირს ვარ თქვენს დარებას? ამანაგი შემადარონ..“

თეიმურაზიც შეიფერებს რუსთაველის ასეთ სიტყვებს და თავის მხრით უპასუხებს:

„ვით ჩამოგვევე ვითამდაბლო? ჩემ კერძ მყიფე ვერ ვამებ, და“... (საშინელი სტრიქონი) თეიმურაზი ნამდგოლი პოეტი იყო და ის რუსთაველს არასოდეს ასეთი კილოთი არ დაუწყებდა ლაპარაკი. ამგვარი უჩამსი დაილოგის დაწერა შეეძლო მხოლოდ არჩილ მეფეს, რომლის პოე- ტობა წარმოუდგენელია გარეშე მისი გვირგვინოსნობისა.

არჩილ ტეფეზე უფრო თავაზიან აღმინდა საფრაგეთის მეფე კარლოს IX, რომელმაც შემდეგი ლექსით იმართა იმ დროინდელ სახელმან ფრანგ პოეტს რომსარს:

Tous deux également nous portons des couronns:

Mais, roi, fe la recus: poete, tu la donnes...

(ჩეენ ორივენი გვირგვინებს ვატარებთ:

მაგრამ მე, მეფემ, გვირგვინი მივიღე, შენ კი, პოეტი, აძლევი მას).

აიხსნება, რომ იმის სტრიქონში, ისე როგორც გურამიშვილის ლექსში, არა ხდება თანხმოვანი ბგერების ან მოკლე სიტყვების ერთად დაგროვება, როგორც ეს არჩილ მეფეს სჩვევია.

ამრიგად ჩვენ მივუახლოვდით ალიტერაციის უდიდეს ხელოვანს შაირში— რუსთაველს. არა თუ ქართულ ლიტერატურაში, მსოფლიო პოეზიაში ვერ წარმოგვიდგენია ჩვენ ბგერების მეორე ისეთი ჯაღლისანი, როგორიც რუსთაველია. როდესაც ზემოა ვიხილავდით პოეტებს ალიტერაციის მხრით, ჩვენ გვიხდებოდა ყველგან ნიმუშების ძებნა. რუსთაველის ამ თვალსაზრისით გარჩევის დროს საჭირო არ არის არავითარი ძებნა მაგალითების. ალიტერაციის ძარღვი შეუწყვეტელად მიუყვება ამ უზარმაზარ პოემას პარველი სტრიქონიდან უკანასკნელამდე. მთელ პოემაში არ არის ისეთი სტრიქონი, რომ მარტივი ალიტერაცია მაინც არ იყოს შიგ, არ არის შიგ ისეთი გვერდი, სადაც ჩამდენიმე სტრიქონი მაინც არ მოიპოვობოდეს ურთულესი ალიტერაციით გამართული. „ვეფხის ტყაოსნის“ ყოველ თავში ნახავთ ერთ რომელიმე ბგერაზე აგებულ ცალკე ტაეპებს, რომლის მაგალითი თუ მოიძებნება მთელს დანარჩენ ქართულ ლიტერატურაში. გარდა ამისა, მთელ პოემაში არა ერთგან და ორგან შეხვდებით ორ მეზობელ ტაეპს, სადაც გამეფებულია ერთი მთავარი ბგერა—ამის მაგალითს არც ერთი სხვა ქართული ლექსი არ იძლევა.

ალიტერაცია და საერთოდ ბგერების მუსიკალური შეხამება—აი ის მთავარი ნიშანდობლივი თვისება რუსთაველის ლექსის, რომლის საშუალებით საბოლოოდ უნდა გადიჭრას კარდინალური საკითხები „ვეფხის ტყაოსნის“ გარშემო.

## II. ალიტერაცია „ვეფხის ტყაოსნიში“

დავიწყოთ განხილვა პროლოგის პირველი სტრიქონიდან:

რომელმან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა

მთელ სტრიქონში ბატონობს ორი თანხმოვანი ბგერა, „რ“ და „ლ“ სხვა— დასხვა ხმოვან ბგერებთან კომბინაციით. პირველ ნახევარში (რომელმან შეჰქმნა სამყარო) პირველობა რ-ს ეკუთხნის, მეორეში—ლ-ს (ძალითა მით ძლიერითა); პირველ ნახევარში რ ორივეჯერ შეერთებულია ერთსა და იმავე ხმოვან ბგერასთან —რო—ლო, მეორეში კი სხვასთან—რი; ლ-ც მეორე ნახევარში ორჯერვე ერთსა და იმავე თანხმოვან ბგერას იერთებს—ლი—ლი, ხოლო პირველში კი მას ე უერთდება წინიდან. მაგრამ პირველი სტრიქონის ალიტერაცია ამით არ იწყურება, ეს არის მხოლოდ მთავარი ბგერები სტრიქონში, ისე კი ყოველ ნახევარს თავისი, ასე გსთვევათ, ავტონომიური ბგერათა შეხამება აქვს: პირველში მ და, უფრო ნაკლებად, ნ (რომელმან შეჰქმნა სამყარო), მეორეში კი თ და ძ (ძალითა მით ძლიერითა). ბგერა ძ იშვიათია ქართულ ენაში. და რომ ის აქ შემთხვევით არ მეორდება ეს იქედანაცა სჩანს, რომ შემდეგ ოთხ სტრიქონში იგი ერთხელაც აღარ ისმის. ამ პირველ სტრიქონს აქვს ორი სამ-

წუხარო დეფექტი—ერთი რითმის, მეორე ალიტერაციის მხრით, რაზედაც ლაპარაკი გვექნება ბოლოს.

მეორე სტრიქონში მთავარ ყურადღებას იქცევს ჯერ არ-არ და შემდეგ ისევ თ—ი—ს და ა-სთან შეთანხმებით:

ზეგარდმო არსინ სულითა ჰყვნა, ზეცით მონაბერითა.

ამავე სტრიქონში საკმაოდ მნიშვნელოვანია აგრეთვე ალიტერაცია ს-ს (არსი სულითა) მესამე სტრიქონში მთავარი თანხმოვანი ბგერა ვ:

ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა

ამ სტრიქონში ვ მეორდება შეიდჯერ, ხოლო ზემო ორ სტრიქონში ეს ბგერა გვხვდება მხოლოდ ერთხელ. არა ნაკლებ საინტერესოა ამავე სტრიქონში ორი იშვიათი ბგერის ჭ-სა და ც-ს დაწყვილება.

ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა გვაქვს უთვალავი ფერითა.

არა თუ ცალკე სტრიქონები, აუარებელი ტაეპებია ისეთი „ვეფხის ტყაოსანში“, სადაც ეს ბგერები სრულებით არ შეგხვდებათ. მეოთხე სტრიქონში საყურადღებოა კიდევ იშვიათი თანხმოვანი ბგერის დაწყვილება ს-ს (ზემოთ მოყვნილ სამ სტრიქონში ეს ბგერა არსად არა გვხვდება) და მი;

მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

გარდა ამისა ამავე სტრიქონის ორივე ნახევარში დაწყვილებულია ბგერა ს:

მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა.

მეორე ტაეპში ყველაზე უფრო საინტერესო სტრიქონია პირველი:

ჰე ღმერთო ერთო შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა!

მთელ მესამე ტაეპში პეგემონია უდავოდ შ-ს ეკუთვნის, განსაკუთობებით პირველ სამ სტრიქონში:

ვის შევნის ლომსა ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა

მეფისა მზის თამარისა ლაწვ ბადაბშ-თმა გიშერისა,—

მას არა ვიცი შევკადრო შესხმა ხოტბისა ხშირისა!

მისთა მშერეტელთა ყანცისა მირთმა ჰეამს მართ მშეგრისა

მთელ ამ ტაეპში შ გვხვდება ათჯერ, მის მომდევნო ტაეპში კი არც ერთხელ!

მაგრამ მარტო ამით არ თავდება ამ ტაეპის საკვირველება, აქ შ-ს თან სდევს ყველგან ს და იშვიათის ერთგულობით უწყობს მას ხელს თავისებური მუსიკის შექმნაში:

პირველი სტრიქონი— „პშვენის... ხმარება შუბისა“, მეორე— „ლაწვ—ბადაბშ-თმა გიშერისა“, მესამე— „შესხმა ხოტბისა ხშირისა“, მეოთხე— მირთმა ჰეამს მართ მშეგრისა“. ეს ს. ისე მოექცა ბოლოს შ-ს, როგორც არა ერთი და ორი ვერაგი ხანი მოჰკუებია თავის მბრძანებელ შაის: ის გადაუდგა მას, სქლია და შემდეგ (მეოთხე) ტაეპში თვითონ გამეფდა; ის წყვილ-წყვილად გაისმის მეოთხე ტაეპის პირველს, მესამესა და მეოთხე სტრიქონებში, ხოლო მეორეში კი და-მოუკიდებელი ალიტერაციებია ჭ-ჭ, ნი-ნი-ნი (არის სხვა ალიტერაციებიც ამ ტაეპის სტრიქონებში, მაგრამ მათ არ გავუსცემთ ხაზს):

თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული

ვთქვენით ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული,  
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული,  
ვინცა ისმინოს დაესვას ლახვარი გულსა ხეული. <sup>1)</sup>

ამ ტაეპის ხ-ებს უეპველად აქვს კავშირი წინა ტაეპის ამგვარსავე ბგე-  
რებთან, რასაც ჩვენ შემდეგში გამოვარკვევთ.

გადავიდეთ მეხუთე ტაეპშე, რომელიც ალიტერაციის მხრით უაღრეს  
ინტერესს წარმოადგენს. მთელ ტაეპში შეურყეველად ბატონობს თანხმოვანი  
ბგერა ბ, მაგრამ ყოველ სტრიქონს აქვს კიდევ თავსი საკუთარი ალიტერა-  
ციები. ამ ტაეპს ერთი ამოწერით ვერ მოვრჩებით და პირველად ხაზს გავუსამთ  
მხოლოდ ბ-ეს და მეორე სტრიქონში, სამჯერ გამეორებულ ბგერას წ-ს (ეს  
ბგერა წინა ტაეპში სრულებით არ არის):

მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,  
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე—კბილისა,  
ბროლ-ბადახშისა თლილისა მით მიჯრით მიწყობილისა.—  
გასტეს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

ამ ერთ ტაეპში ბ გამეორებულია თორმეტჯერ. პირველ ტაეპში ბ ისმის  
მხოლოდ ერთხელ, მეორეში ორჯერ, მესამეშიც, თუ გამოვაკლებთ ამ ტაეპის  
პირველ სტრიქონში დაწყვილებულ ბ-ეს („ხმარება შუბისა“), სადაც ის ალიტე-  
რაციას წარმოადგენს, მხოლოდ ორჯერ, მეოთხეში სამჯერ, სულ წინა ოთხ  
ტაეპში ეს ბგერა, იმ პატარა ალიტერაციის მითვლით, გვხვდება მხოლოდ ცხრა-  
ჯერ. ოთხ ტაეპში ცხრაჯერ, ერთში თორმეტჯერ. ეს ტაეპი რომ იმდენჯერ  
ამოვსწეროთ, რამდენიც შიგ ბგერათა შეხამბის სხვადასხვა კომბინაცია არის,  
ერთი პატარა წიგნაკი გამოვა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ განსაკუთრებით საინტერესო  
ალიტერაციებს აღნიშნავთ. აი ბგერა ქ:

მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა  
ქება...

ეს იშვიათი ბგერა პირველ ტაეპში გვხვდება ერთხელ, მეორეში ორჯერ,  
მესამეში ის სრულებით არ არის, მეოთხეში ისმის ალიტერაციის სახით  
(„ვთქვენით ქებანი“) და აქ კი თითქმის მხოლოდ ერთ სტრიქონში ოთხჯერ.  
შემდეგ:

მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა  
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე—კბილისა.  
ბროლ-ბადახშისა თლილისა მით მიჯრით მიწყობილისა...

თ ამ საბ სტრიქონში, გამეორებულია ცხრაჯერ, არც წინა ტაეპის უკანას-  
კნელ ორ სტრიქონში და არც ამავე ტაეპის მეოთხე სტრიქონში ეს ბგერა არ  
ისმის სრულებით.

1) აი ამგვარივე კონსტრუქციის ტაეპი პოემის ტექსტიდან:

ქვე წვა ვით კლდისა ნაპირსა ვეფხი პირ გამესებულ,  
არცა მზე გვანდა, არც მთვარე ხე ალვა, ედემს ხებული;  
ასმათმან დამსვა შორს გვერად გულსა მე ლახვარ ხებული,  
მერმე წამოჯდა წარბ შერჭმით გამწყრალი გარისებული  
აღნიშულის გარდაც ბეგრი სხვა საინტერესო ალიტერაციებია ამ ტაეპში.

შემდეგ ს და მ—ა-სა და ი-სთან კომბინაციით მესამე სტრიქონში:

**ბროლ-ბადახშისა თლილისა მით მიჯრით მიწყობილისა.**

შემდეგ ამავე ტაეპის მეორე ნახევარში განსაკუთრებით საინტერესოა ორი ბგერის ლ-სა და ი-ს კომბინაცია (ლი). ი ყველაზე უფრო ლბილია ხმოვან ბგერებში, რაც შეეხება თანხმოვან ბგერას ლ-ს, მისი ტონი საკვირველად იცვლება იმისდა მიხედვით თუ რა ხმოვანი ბგერა ერთვის მას: ა-სთან ერთად (ლა) ის მაგარია და მტეიცე, ხოლო ი-სთან შეერთების დროს (ლ) უნაზეს და ულბილეს ბგერად იქცევა; საშუალო მოღულიაციას იწვევს მისი შეერთება ე-სთან (ლე); იი, მაგალითად, სამი სიტყვა, სადაც ეს თანხმოვანი ბგერა სრულიად სხვადასხვა ყველქმნა იძლევა: ლ ა ხ ვა რ ი, ლ ე დ ა, ლ ი ა ხ ვ ი. რუსთაველი ყველა ამ კომბინაციას განსაკუთრებული ისტატონით ხმარობს იმისდა მიხედვით, თუ რა დროს რის თქმა უნდა, მაგრამ ყველაზე უფრო რუსთაველს უყვარს ლი; ამ სიტყვის პატარა ნაწილაკით აქვს მას გაშლილი თავისი უნაზესი სტრიქონები და ხშირად ისეთ განსაკვიფრებელ ეფექტებს აღწევს; რომ აღარ იცის კაცმა რა არის ეს: უმაგალითო პოეტური ინტუიცია, ჯადო თუ უბრალო უონგლიორობა? ყოველ შემთხვევაში უკანასკნელი არ არის; ეონგლიორობას სანახაობაში (ლექსიც ერთგვარ სანახაობას წარმოადგენს) ყოველთვის და ყველგან ერთი მიზანი აქვს: ხაზი გაუსვას თავის თავს, ეჩვენოს მაყურებლებს და გამოიწვიოს მათში განცვიფრება. რუსთაველში კი ბგერების ასეთი გასაოცარი დალაგება მხოლოდ საშუალებას წარმოადგენს და მკითხველი უმეტეს შემთხვევაში მას ვერ ამჩნევს. ეს სავსებით თვალსაჩინო ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსთაველის სტრიქონს კვლევა-ძიების თვალსაზრისით მივუდებით.

აი მესამე და მეოთხეჭყსტრიქონი იმავე მე-5 ტაეპის:

**ბროლ—ბადახშისა თლილისა მით მიჯრით მიწყობილისა**

**გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა. 1)**

იმავე ორ სტრიქონში ს, რომელიც ზოგან ა-ს იქრთებს:

**ბროლ-ბადახშისა თლილისა მით მიჯრით მიწყობილისა**

**გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა**

აი ბგერა თ, რომელიც მესამე სტრიქონში მეორდება ზედიზედ სამჯერ ხოლო მეოთხეში კი სრულებით არ ისმის:

**ბროლ-ბადახშისა თლილისა მით მიჯრით მოწყობილისა.**

ამავე მესამე სტრიქონში მი:

**ბროლ-ბადახშისა თლილისა მით მიჯრით მიწყობილისა.**

მეოთხე სტრიქონში გ და მისი მზგავსი ბგერა კ წარმოადგენს ერთ ალიტერაციას:

**გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.**

ამავე სტრიქონში მარტივი, მაგრამ უეჭველად მნიშვნელოვანი ალიტერაცია რ:

1) აი ამგვარი ორი სტრიქონი პოემის ტექსტიდან:

საწოლს შემოველ ხელ ქმნილი, ღონე არ მქონდა ძილისა,

ბროლი და ლალი შევიქნ მე ულურჯესი ლილისა.

გასტებს ქცასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

მოვიყვან აქვე თვითონ პოემის ტექსტიდან ერთ ტაებს, სადაც ნაწილაკი  
ლი და ლე გასაოცარი ოსტატობით არის გამოყენებული:

მოჰკრიფეს ჯორა აქლები, რაც ვით ჰპოვეს მალები,  
საში ათასსა აჰკიდეს შარგალიტი და თვალები,

ოვალი ყველა ა ი დათლილი რაგუნდი და ლალები,...

უკანასკნელ სტრიქონში ისტყვა ყველა ა ი ისეთ შთაბეჭდილებას იძლევა,  
თითქოს პოეტი ამ თვალმარგალიტში ნელა ურევდეს ხელს. გარდა ამისა, რა  
მიზეზით არის აქ ნათქამი „საში ათასს“ და არა „ორი ათასსა“, „ხუთი  
ათასსა“, „ათი ათასსა“? ამის მიზეზია ბეგრა მ:

საში ათასსა აჰკიდეს შარგალიტი და თვალები.

აი კიდევ ერთი უმშვენიერების და ალიტერაციის მხრით ურთულესად გა-  
მართული ტაები შესავალიდან. ხაზი გაფუსვათ ჯერ ქ-ს, ლ-ს ხმოვანი ბეგრე-  
ბითურთ (ი, ე, ა) და გ-ს:

ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები,

ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები ۱)

ვპოვე და ლექსად გარდავთქვე საქმე ვქმენ საჭოშიანები,

ჩემმან ხელმქნელმან დამმართოს ლამან და ლამაზმანები.

მესამე სტრიქონში ბეგრა ქ მეორდება ოთხერ (მეორე ასეთი მაგალითი:  
„მისი სახელი შეფრევევით ქვემორე მითქვამს, მიქია“). დაუბრუნდეთ ისევ  
ზემოდ მოყვანილ ტაებს. პირველ სტრიქონში არ:

ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები.

იმავე სტრიქონის პირველ ნახევარში ს (ესე ამბავი სპარსული...) მეორე  
ნახევარში ეს ბეგრა სრულებით აღარ ისმის.

მესამე სტრიქონში ბეგრა ვ:

ვპოვე და ლექსად გარდავთქვე საქმე ვქმენ საჭოშმანები.

ამ სტრიქონში ეს ბეგრა მეორდება ოთხერ, პირველში ერთხელ ისმის  
ხოლო მეორეში და მეოთხეში კი არც ერთხელ. სამაგიეროდ მეოთხე სტრი-  
ქონს სტრიქონს ბეგრა მ, რომელიც მესამე სტრიქონის მეორე ნახევრადან იწ-  
ყება:

... საქმე ვქმენ საჭოშმანები,

ჩემმან ხელმქნელმან დამმართოს ლამან და ლამაზმანები.

ამ ერთ ნახევარ სტრიქონში ეს ბეგრა ისმის თორმეტჯერ, ხოლო ზემო  
ორ ნახევარში კი მხოლოდ ოთხერ. ۲)

۱) არ შეიძლება აქვე არ გავიხსენოთ ორი უმშვენიერების სტრიქონი პოემის ტექსტიდან  
დაწერილი ამავე ალიტერაციით:

„დასტურა წივნი მსმენელთა გულისა გასამირალი,  
ვარდი გამას ვამონდის მუნ ბრილი გ. მიმშვერელი“.

ამავე სტრიქონებში საუცხოოდ მეორდებიან ბეგრები: წ, ს და რ.

2) აი პოემის ტექსტიდან ამ ბეგრაზე აგებული ერთი ტაები:

ბესით ბავიდა ღარიბი მ. ნა მოყვრითა სამითა.

ვნდნ ვნეურად მოსილი სხვანი შეგზავრულად ხაბითა;

სასეულ-საჭმალი მოიღეს, ქალაქს ნაყიდი დრამითა

სმიდეს სჭამდეს და უნდობდეს სხდეს მხიარული ამითა.

გადაჭარბებულია და მოფიქრებული ალიტერაციის შთაბეჭდილებას კტოვებს.

გავარჩიოთ ეხლა თვითონ პოვის დასაწყისი. პირველი ტაების პირველ  
სტრიქონში აღნიშნოთ ერთად რ, ს და ან:

იყო არაბეთს როსტევან შეფე ღვთისაგან სვიანი

მეორე სტრიქონში ლი და საერთოდ ყველა სიტყვების ბოლოში ა:  
მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი, ყმიანი.

ამავე სტრიქონში აღსანიშნავია ასონანსი ა:

მაღალი, უხვი, მდაბალი ლაშქარ—მრავალი ყმიანი.

მესამე სტრიქონში—მ, მა, ლ, ლე:

მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი.

მეოთხე სტრიქონში ხაზი გავუსვათ სამ სიტყვას, რომლის ბგერები რთული  
კომბინაციით ეხმაურებიან ერთმანეთს:

თვით მ ე ო მ ა რ ი უ ე ბ რ ი კვლავ მ ო უ ბ ა რ ი წყლიანი.

მ ე ო რ ე ტაების პირველ სტრიქონში აღნიშნოთ ჯერ ს, არ და გა:

სხვა ძე არ ესვა შეფესა, მართ ოდენ მარტო ასული.

მაგრამ ამ სტრიქონში ყველაზე უფრო საინტერესოა შემდეგი: „მართ ოდენ  
მარტო“ იკითხება როგორც „მართოდენ მარტო“, თ და ტ მზგანესი თანხმოვანი  
ბგერებია და ამგვარად მეორე სიტყვის ბგერები მთლად მეორდება პირველ სიტყვაში: „მართოდენ მარტო“.

ამავე ტაების მეორე სტრიქონში მთავარი—მნათ დას:

სოფლისა მნათი მნათობი მზისაცა დასთა დასული.

მესამე სტრიქონში რამდენიმე მარტივი ალიტერაცია:

მან მისთა მჭვრტო წაულის გული, გონება და სული.

მეოთხე სტრიქონში რ, -ად, რად:

ბრძენი ჰხამს მისად მაქებრად და ენა ბევრად ასული

ამ სტრიქონში ხაზი არ გავუსვით ერთგან დ-ს (და), ვინაიდან აქ ეს ბგე-  
რა შემთხვევით არის მოხვედრილი და დანარჩენ სამ დ-სთან ალიტერაციით  
არ არის შეკრული. იგივე ითქმის ს-ს შესახებ სიტყვა „ჰხამს“-ში, რომელიც  
არ შედის ალიტერაციაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ სტრიქონში არის ს, თუმცა მარტივი და შორეული, მაგრამ მაინც უკეთესად მნიშვნელოვანი ალიტე-  
რაცია: „ჰხამს მისად.... ასული“

მ ე ს ა მ ე ტაებიც მეტად მდიდარია ალიტერაციით, მაგრამ აქ აღნიშნოთ  
მხოლოდ ერთი იშვიათი ბგერის ზ-ს გამეორება მეორესა და მესამე სტრიქო-  
ნებში ერთი მეორესაგან დამოუკიდებლად.

რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია.

მეფემან იხმნა ვეზირნი, თვით ჰზის ლალი და წყნარია <sup>1)</sup>

მეტის ამოწერა საჭირო არ არის, ავლნიშნოთ მხოლოდ ამავე თავში ზო  
გიერთი განსაკუთრებით საინტერესო აღგილი. აი იშვიათი ბგერა ჰ:

<sup>1)</sup> როდესაც იქმნებოდა ეს ტაები, მაშინ ყველა იმ სიტყვებს, სადაც აქ ეს ბგერა გვხვდება  
უთუოდ ჰქონდათ ერთმანეთთან კაშშირი, მაგრამ ტაების საბოლოო კონსტრუქციის დროს ისინ <sup>ი</sup>  
დაშორდნენ ერთი მეორეს. ამ საკითხს ვრცლად შევეხებით იქ, სადაც შემოქმედების პროცესზე  
გვექნება ლაპარაკი.

უბრძანა ჩემი საჭურჭლე, შენგან დანაბეჭდულევი“...

იმავე ტაქტის მეოთხე სტრიქონში უ (სიტყვა „მოართვეს“ ისმის ორგორც „მუართვეს“):

მოართვეს; გასცა უზომო, უანგარიშო, ულევი.

(არ შეიძლება არ გავისენოთ აქეე ამ ბეგრით გამართული ერთი სტრიქონი: „უცნაურო და უთქმლო უფალო, უფლებათაო“;) აი კიდევ საინტერესო სტრიქონი პირველ თავში:

მიპხლუდეს და მიისროდეს, მინდონს სისხლსა მიასხმიდეს.

ამ სტრიქონში გარდა აღნიშნულისა, ყურადღებას იქცევს აგრეთვე, ხ, დ და რ:

მიპხლუდეს და მიისროდეს, მინდონს სისხლსა მიასხმიდეს.

აი ამავე თავის ერთ ტაქტში როგორ დაგროვილა ერთი იშვიათი ბეგრა ც:

ორთავე ერთგან მოქლული ყველაი ასჯერ ოცია,

მაგრა ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია,

არ დასცდომია ერთიცა რაც ოდენ შეუტყორცია,

თქვენი მრავალი მიწითა დასერილი დაგვიხოცია

ეს ბეგრა ამ ერთ ტაქტში მეორდება რვაჯერ, შემდეგ რვა სტრიქონში მხოლოდ ორჯერ და ისიც ალიტერაციის სახით („სიცილით ლალობს, მიეცა“...), სამაგიეროდ იქ სხვა ბეგრების ალიტერაცია არის მოცემული (მაგალითად; „...უმხნესი სხვათა მხნეთასაც.“)

ავილოთ ეხლა რამდენიმე მაგალითი პოემის ეპილოგიდან.

პირველი ტაქტის პირველ სტრიქონში აღნიშნოთ ს, შ, თ და ვ:

გასრულდა მათი ამბავი ვთა სიზმარი ღამისა.

ამავე სტრიქონში უეჭველად მნიშვნელობა აქვს ორჯერ გამეორებულ რ-ს მიუხედავად დიდი მანძილისა მათ შორის: გასრულდა --- სიზმარი.

მეორე სტრიქონში —გა, ხ, ს და თ:

გარდახდეს გავლეს სოფელი, ნახეთ სიმუხთლე უამისა.

ამავე სტრიქონში —ე, ლ, მ:

გარდახდეს, გავლეს, სოფელი, ნახეთ სიმუხთლე უამისა

მესამე სტრიქონში — გ, ს, რ, თ:

ვის გრძლად ჰერნია მისთვისცა არის ერთისა წამისა<sup>1)</sup>.

ამავე სტრიქონში —თ და განსაკუთრებით ორი მზგავსი ბეგრა-ც-წ:

ვის გრძლად ჰერნია მისთვისცა არის ერთისა წამისა.

მეოთხე, ესე იგი პროლოგის პირველი ტაქტის უკანასკნელი სტრიქონი, ცნობილია რამდენიმე რელაქციით, ამის შესახებ აქვე უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა.

„ვეფხის ტყაოსანის“ ხელნაწერებში ეს სტრიქონი გვხვდება შემდეგი ხუთი სხვა და სხვა სახით: 1. „ვსწერ ვინმე მესხი მელექს მე რუსთავისა დაბისა“. 2. „...მე რუსთავისა თემისა“, 3. „...რუსთველისა თემისა“, 4. „...მე რუსთველი საღამისა“, 5. „...მე რუსთველისად ამისა.“ გარდა ამისა, პატივცემულმა აკადე-მიკოსმა 6. მარმა პირველი ვერსია ამგვარად შესცვალა: „...მე რუსთავისა და-

<sup>1)</sup> აი მზგავსი სტრიქონი პოემის ტექსტიდან:

გით გახარნეს ვერ იტყვდის ენა ერთისა წამისა.

« მისა ” იმ მოსაზრებით, რომ „დამა“ არის მესხეთში შენახული არქაული ფორმა რმავე „დაბა“-სი და თანაც, როგორც რითმა, უფრო შესაფერისი ამ ტაეპისა-თვის<sup>1)</sup> ამ მეტად მნიშვნელოვან სტრიქონს კიდევ შევეხებით შემდევ, ჯერ კი მივიღოთ მისი ასეთი რედაქტია: „ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველი-სად ამისა“. ალიტერაციისა და რითმის თვალსაზრისით ამ რედაქტიას უპირა-ტესობა უნდა მიენიჭოს სხვების წინაშე. რაც შეეხება მის აზრს, ის არც ისე უზროა, როგორც აკადემიკოსი ნ. მარი ფიქრობს და არც იმ აზრს ატარებს, რომელსაც მას იუსტინე აბულაძე აწერს<sup>2)</sup> ეს სიტყვები ნიშნავს, არც მეტი არც ნაკლები, შემდევს: — „ვსწერ ვინმე მესხი ამას რუსთველის სახელით“, — ანუ ფსევდონიმით, თუ დღევანდელ თერმინს ვიხმართ.

მაშ ამოვსწეროთ ეს სტრიქონი და უწინარეს ყოვლისა აღვნიშნოთ შიგ სიტ-კვის ნაწილაკი მე:

ვსწერ ვინმე მესხი, მელექსე მე რუსთველისად ამისა.

შემდევ ამავე სტრიქონში ს და ლ:

ვსწერ ვინმე მესხი, მელექსე მე რუსთველისად ამისა.

მეორე ტაეპში აღვნიშნოთ მხოლოდ თ და, როგორც იშვიათი ბგერა, გა რომელიც უკანასკნელ სტრიქონში სამჯერ მეორდება:

ქართველთა ღვთისა დავითის, ვის მხე მსახურებს სარებლად,

ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად,

ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად,

ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა დამამაგრებლად.

ამ ტაეპში თ მეორდება ხუთმეტჯერ, ბოლო სიტყვაობის პირველ ტაეპში ჟუთჯერ, უკანასკნელში თანხჯერ; თანაც მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ ეს ბგერა ამ თუ ტაეპშიც ზოგან მარტივ ალიტერაციას წარ-მოადგენს („მათი ---ვითა“, „მისოვისცა --- ერთისა“, „დილარგეთ სარგის ამოგველსა“). გარდა აღნიშნულისა ამ ტაეპში მრავლად მოიპოვება კიდევ სხვა

1) „Риемъ четверостишия amisa безоворотно устанавливает, что, раз оно не плод совсем позднего сочинительства какого-либо бездаришаго виршеплета, а тем более, если автор его—сам Шота, последнее слово надо читать დამისა dama, а не დაბისა dabisa. Основа დამა (вм. დაბა daba) сама по себе является доказательством подлинности четверостишия, так как с одной стороны такой ее вид, с т вм. ხ. не только закономерен, он требуется историей этого термина, раскрытои в нашей работе о ново-эламском языке, с другой стороны в сохранности архапческого т вм. вульгарного в следует видеть месхизм. Естественно, провинциальный вид დამისა был в общепринятом тексте заменен обычным დაბისა, в отдельных же списках, непонятый некоторыми мудрившими переписчиками, он дал повод к искаложению чтения რუს-თავისა დამისა то в бессмысленное რუსთველისად ამისა (Аб. 01 на стр. 193) или რუს-თველი სადამისა (ჩ. 6, стр. 62), то в прозодическом невозможное რუსთველისა თემისა (Аб. 175). Н. Я. Марр. „Витязь в Барсовѣ. Шекуре“. 1917 г.

2) ი. აბულაძის აზრით ეს სტრიქონი „შემდევი ღროის პოეტი—ბიბლიოგრაფის მინაწერია და ნიშნავს: ვსწერ ვინმე მესხი ამისი მელექსე რუსთველისად, ესე იგი რუსთველისთვის. ი. ა. ბულაძე „ვეფხის ტყაოსანი“, გვ. V.

ალიტერაციები და ასონანსები, რომელნიც განსაკუთრებულ ინტერესს არ წარმოადგენს.

მესამე ტაეპი მეტად მდიდარი ალიტერაციებით არის გამართული, ესთ ამოწერა არ იქმარებს და ამიტომ ალვნიშნოთ ჯერ 6-6ი და ს:

დავითის ქნანი ვითა ვთქვნე სიჩალხე-სიხაფეთანი!

ესე ამბავნი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი,

პირველ ზნენი და საქმენი ქებანი მათ მეფეთანი

ვპოვე და ლექსად გარდავთქვენ ამითა ვილაყფეთანი.

გარდა ამისა, ამავე ტაეპში ალსანიშნავია ისევ თ, შემდეგ ც და განსაკუთრებით კი რუსთაველისათვის მეტად დამახასიათებელი ქ-ს, ამ საკმაოდ იშვიათი ბგერის, ალიტერაცია<sup>1)</sup>:

დავითის ქნანი ვითა ვთქვნე სიჩალხე - სიხაფეთანი!

ესე ამბავნი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი,

პირველ ზნენი და საქმენი, ქებანი მათ მეფეთანი,

ვპოვე და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი.

ბგერა ქ ამ ტაეპის სამ სტრიქონში წარმოადგენს ერთი-ერთმანეთისაგან დაშოუკიდებელ ალიტერაციას, ის მეორედა მეზობელ სიტყვებში (მხოლოდ ერთგან არის შუაში მოკლე სიტყვა „ვითა“), ხოლო მოშორებით კი სრულებით არ ისმის. განსაკუთრებით ყურადღების მისაქცევია სტრიქონი „ვპოვე და ლექსად გარდავთქვენ ამითა ვილაყფეთანი“, რომელსაც შესვლაში აქვს თავისი ორეული: „ვპოვე და ლექსად გარდავთქვი საქმე ვექმენ საჭომანები.“

მეოთხე ტაეპის პირველ სტრიქონში ალვნიშნოთ ს და ფ(ბ)ელი:

ესე ასეთი სოფელი არეისგან მისახდომელი.

მაგრამ ალიტერაციის მხრით უდიდეს ინტერესს წარმოადგენს ამ ტაეპის მეორე სტრიქონი, რომლის შესაძარებელი მთელ „ვეფხის ტყაოსანში“ რამდენიმე თუ მოიძებნება.<sup>2)</sup>

<sup>1)</sup> შესავალში ქ-ს ალიტერაცია გვხვდება თორმეტჯერ, აი ისინი: „წვეყანა,-გვაძეს“ „ვთქვენი ქებანი“, „მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა“, „აძამდის ამბადნათდვამი“, „ვიძმ საქმესა“, „ვპოვე და ლექსად გარდავთქვი საქმე ვექმენ საჭომანები“, „საქებელთა ლამის ლექსთა..“, „მარტ აგრეთვე მელევსეთა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“, „მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე სთქვასა...“, „მას ვაქებ ვინცა მიწია“, „მისი სახელი ქვემორე შეფრდვევით მითქვამს, მიწია“, „მოქენენ ხელობანი ქვენანი“, ეს ბგერა იძღვნად იშვაოთა ქართულში, რომ ის რუსთაველის ტაეპში ხშირად მხოლოდ ერთი რომელიმე სტრიქონში გეხვდება. ერთად ორჯერ, სამჯერ და, ასე გასინჯვთ, ოთხჯერაც, ხოლო დანარჩენ სამ სტრიქონში კი სრულებით აღარ ისმის, რაც რუსთაველის ლექსში დამატეკიცებელია იმისი, თუ კი ამას ესაჭიროება საერთოდ დამტკიცება, რომ ამ ბგერის გამერეობა არამც და არამც შემთხვევითი არ არის.

<sup>2)</sup> მაგალითად:

1) „კარვის კალთა დახლართული ჩაგეპერ ჩაგაკარბაკე

2. ლერწმისა სარსა დასდრეკდ, გიშერსა დაკარვებდა.

3. გულნი მოშლით მოკეცნეს, ბალი შეღმა შერაშენდა.

4. მუნ მეჯოგეთა ფანზი შეეკრა, ეკრა კვესებსა.

5. მაგრა თუ გესმის გუშაგი რა აზლო აზლო ყიფია.

და ორი სამი კიდევ ასეთი.

ამ სტრიქონში ისეთი იშვიათი ბგერა, როგორიც არის წ, მეორდება ოთხჯერ, მას უნდა მიემატოს აგრეთვე მისი მზგავსი ბგერა ც:

წამია კაცთა თვალისა და წამწამისა მსწრობელი.

არც ამ ტაეპის დანარჩენ სამ სტრიქონში, არც მის მიმყოლ ტაეპში ეს ბგერა არ ისმის სრულებით. მთელ ქართულ პოეზიაში, გარდა „ვეფხის ტყაოსანისა“, ძნელად თუ იქნება ისეთი სტრიქონი, სადაც წ გამეორებული იყოს ოთხჯერ. \*

ეპილოგის მესამე უთე ეს იგი „ვეფხის ტყაოსანის“ უკანასკნელი ტაეპიც შეტად მდიდარია ალიტერაციით და ასონანსებით, მაგრამ ჩვენ აღნიშნოთ მხოლოდ ზოგიერთი. მეორე სტრიქონში რუსთაველის მიერ ამოჩემებული ჭ-ს და ჟყვილება:

...ლექსი მას უქეს რომელსა.

მესამე სტრიქონში გ და თ:

დილარეგთ სარგის თმოგველსა“...

ამ სტრიქონში მეტად საინტერესოა გ-ს და თ-ს ჩამატება პირველ სიტყვაში (რუსთაველმა იცის საჭიროების მიხედვით სიტყვაში ბგერების ჩამატება ან გამოკლება). არსებობს სარგის თმოგველის „დილარიანი“, ეს იგი დილარის ქება და რად დასჭირდა რუსთაველს ამ სიტყვის ფონეტიკაში ცვლილების შეტანა? განა მას არ შეეძლო ეთქა: „დილარი სარგის თმოგველსა მას ენა დაუშრომელსა?“ ეს ჩაიდინა რუსთაველმა ალიტერაციისათვის. ამ ტაეპით ის ათავებს თავს გრანდიოზულ შრომას, თავის უძეირფასეს ნაწარმოებს და ეს ალიტერაციის ჯადოსანი, რაღა თქმა უნდა, ყოველ ღონისძიებას იხმარდა, რომ უკანასკნელი ტაეპი უმდიდრესი ალიტერაციით ყოფილიყოს ახმაურებული. მან ოდნავ შესცვალა სიტყვის დაბოლოება და გამოვიდა იშვიათი ალიტერაციით გამართული სტრიქონი:

დილარეგთ სარგის თმოგველსა მას ენა დაუშრომელსა

ამას მოიგონებდა და გაპედედავდა მხოლოდ რუსთაველი, სხვა ვერავინ.

აი ამ ტაეპისა და საერთოდ პოემის უკანასკნელი სტრიქონი, ჯერ აღნიშნოთ რ, ლ და ელ:

ტარიელ მისა რუსთველსა მისთვის ცრემლ შეუშრობელსა.

შემდეგ ს, სა და მ:

ტარიელ მისა რუსთველსა მისთვის ცრემლ შეუშრობელსა. <sup>1)</sup>

ბგერების მიხედვით რუსთაველი ისე ალაგებს სიტყვებს სტრიქონში, რომ

\* ) აი „ვეფხის ტყაოსანში“ კიდევ აშ ბგერაზე აგებული სტრიქონები:

1. ერთსა წავწედი უტევანსა წავგრძელდი და წავე გრძელად.
2. ავთანდილსაც ცრემლი წასდის წამწამთაგან ერთ სახე, წა.
3. ნაკად აქვს ჭირი სამისოდ ამ წელიწადსა წლეურსა.
4. აშ ამბავი სხვა დავიწყო, ყმასა წავყვე წამვალსა.
5. აწყა დავიწყებ ამბავსა მის ყმისა წამავლობასა.

1) პოემის ტექსტიდან:

მე უფრო მდინდეს თვალთაგან კვლავ ცრემლ ნი შეუშრობელ ნი.

იშვიათად თუ იქნება შესაძლებელი მათი ადგილების გამოცვლა. წარმოუდგენელია, რომ სხვა რომელიმე პოეტმა შესძლოს საგნებისა და მოვლენების ისეთი ჩამოთვლა ღერძში, როგორიც ეს რუსთაველმა იცის. ავილოთ ორი მსგალითო, ერთი პროლოგიდან, მეორე თვითონ პოემიდან. აი როგორ ჩამოსთვლის რუსთაველი პროლოგში იდეალური მიჯნურის თვისებებში:

მიჯნურსა თვალად სიტურფე მართებს მართ ვითა მზეობა,  
სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა,  
ენა, გონება, დათმობა, მძლეოთა მეტრძოლთა მძლეობა.

ვისცა ეს სრულაც არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

ავილოთ ამ ტაების მეორე სტრიქონი; ამ სტრიქონის მთავარი ძარღვი არის სი, მიჯნურის ყველა თვისებები, რომლებიც იწყებიან სიტყვის ამ ნაწილაკით, ერთი მეორეს მისდევენ, სამაგიეროდ შემდეგ ჩამოთვლილია ისეთი თვისებები, რომელთა გამომხატველ სიტყვებში (შვიდი სიტყვა) სრულებით აღარ არის ბერა ს. ამისწეროთ ჯერ მეორე სტრიქონი და გაუსვათ ხაზი ამ სის სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა, <sup>1)</sup>

თუ სიტყვებს ამ სტრიქონში აღნიშნული სი-ს მეტი არაფერი აკავშირებს ერთმანეთთან, მაშინ შესაძლებელი უნდა იქნეს სტრიქონში სიტყვების გადასმენადმოსმა ისე, რომ მისი მუსიკალობა არ დაირღვეს. ეს მით უმეტეს შესაძლებელი უნდა იქნეს, რომ, თუ ჩამოთვლილ თვისებებს განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ ისინი თავიანთი მნიშვნელობის მიხედვით თითქმის სულ უკულა. არიან დალაგებული. მართლაც: სიყვარულში სიბრძნე ს ძალიან მცირე მნიშვნელობა აქვს, ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელი და, მაშასადამე, ადგილიც. მას უკანასკნელი უნდა ეჭიროს, სი მ დ ი დ რ ე ს მეტი მნიშვნელობა აქვს სიბრძნეზე, მაგრამ მეორე ადგილი არც მას ეკუთვნის, სი უ ხ ვ ე უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე ორივე ზემოდ აღნიშნული თვისება, სი ყ მ ე — აი სიტყვა, რომელსაც მიჯნური რაინდის თვისებათა ჩამოთვლის დროს უეჭველად პირველი ადგილი უნდა დაეთმოს. ამისდა მიხედვით მოვახდინოთ აღნიშნულ სტრიქონში. პატარა ექსპერიმენტი — შევუცვალოთ ადგილები სიბრძნე და სიყმე, ეს. სიტყვები ორივე ორ მარცვლოვანია და მათი ადგილების შეცვლა ღერძის რითმს არ დაარღვევს:

სიყმე, სიმდიდრე, სიუხვე, სიბრძნე და მოცალეობა.

მართალია ეს სტრიქონი ამ სახითაც ისეა გამართული, რომ მისი მზგავსი არც თეომურაზს და არც, მით უმეტეს, არჩილ მეფეს არა აქვს, მაგრამ გამოცდილი სმენა შეამჩნევს, რომ ამ ექსპერიმენტმა სტრიქონის კონსტრუქციაში რაღაც დეზორგანიზაცია შეიტანა და დაარღვია რუსთაველის სიტყვის „სრულყოფა“. რა მოხდა მაინც? აი რა მოხდა: თურმე ჩვენს მიერ შენიშნული სის გარდა სტრიქონს აქვს კიდევ სხვა ძაფები, — მარტივი, მეორე ხარისხოვანი ალიტერაციები, რომლებიც დაირღვა, როდესაც ჩვენ სიტყვას ადგილები შევუ-

<sup>1)</sup> აი ამგვარივე კონსტრუქციის სტრიქონი:

სად წაიყვან სადაურსა სად ალუფხვრი სადით ძირსა.

ნაცვლებთ. პირველ ორ სიტყვას სტრიქონში ერთმანეთთან აკავშირებს რ, ხოლო უკანასკნელ ორს („და“ მხედველობაში არ არის მისაღები) ბგერა მ:

სიბრძნე, სიმღიდრე, სიუხვე სიყმე და მოცალეობა.

შემდეგ, მესამე სტრიქონში, პირველი ორი სიტყვა დაკავშირებულია ერთ-მანეთთან ნ-ს საშუალებით, ხოლო დანარჩენ ოთხ სიტყვას გვირისტივით მიუყვება ისევ მ და ნაწილობრივად ბ და ლ:

ენა, ვონება, <sup>1)</sup> დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.

არ შეგვიძლია კიდევ განცვითრებით არ აღვნიუნოთ, რომ ს, რომელმაც თავისი მისია მეორე სტრიქონში შესარულა, აქ სრულებით იღარ ისმის, მაშინ როდესაც, არა თუ ასეთი გრძელი სტრიქონი, სულ მოკლე ფრაზაც კი იშვიათად შეგხვდებათ ქართულში, რომ შიგ ეს ბგერა არ ერიოს. ლმერთი რომ შეეცადოს, ისიც კი ვერ შესძლებს ამ ტაქტში სიტყვების გადაღებას.

ავიღოთ მეორე მაგალითი. ავთანდილი შესტირის ცის შვიდ მნათობს, ყოველ მათგანს ცალკე ტაქს უძლენის, — ჯერ მზეს მიმართავს, შემდეგ ზუალს, მუშთარს, მარიხს, ასპირინს, ოტარიღს, ბოლოს მთვარეს. დასასრულ ყველას ერთ ტაქტში მოაქცევს და ასეთნაირად ჩამოსთვლის მათ სახელებს:

აპა მოწმობენ ვარსკვლავნი, შეიძნივე მემოწმებიახ:

მზე, ოტარიღი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,

მთვარე, ასპირინი, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან;

მას გააგონე რანიცა ცეცხლნი უშენოდ მდებიან.

ამ ტაქტში არ შეიძლება არც ერთი მნათობის დაძრა აღგილიდან. მუშთარი და ზუალი ერთად არიან და შეუძლებელიც არის მათი ერთმანეთისაგან დაცილება, ვინაიდან მათ აქვთ საერთო ბგერა უ, <sup>2)</sup> მაგრამ თვით ეს ორი სახელი რომ გადაესუ-გაღმოვსათ, ისინი ხომ მაინც ისევ ერთად დარჩებიან და სტრიქონის მუსიკალობაც არ უნდა დაირღვეს, თუ აქ მარტო უ-სა აქვს მნიშვნელობა. ეს ცადოთ:

მზე, ოტარიღი, ზუალი და მუშთარ ჩემთვის ბნდებიან.

სტრიქონი აღარ ვარგა. თურმე მუშთარი თავის მხრით არ შეიძლება რომ შოსცილდეს ოტარიღი, ვინაიდან მათ აკავშირებს ბგერა რ:

მზე, ოტარიღი მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან.

ავიღოთ ეხლა მესამე სტრიქონი; აქ მთვარე და ასპირინი შეკრულია ერთად ისევ რ-ს საშუალებით, მაგრამ იქვე არის მარიხი, რომელშიაც, არის ეს ბგერა და თუ მხოლოდ რ-ზეა აქ ყველაფერი დამოკიდებული, მაშინ ჩვენ შეგვიძლია მთვარის შემდეგ ჯერ მარიხი დავსვათ და მერე ასპირინი. აი ასე:

მთვარე, მარიხი, ასპირინი მოვლენ და მოწმად მყვებიან.

სტრიქონის მუსიკალობა დაირღვა. თურმე მარიხის დაძრაც არ შეიძლე-

1) ეს ორი სიტყვა სხვაგანაც ერთადა აქვს რუსთაველს ნახმარი:

ერა გომებ, მანძარე გამოსარჩევლად ამისად.

2) ეს ორი სახელი რომ შემთხვევით არ არის აქ ერთად ნახმარი, იქედანცაც სჩანს, რომ მეორე ადგილას რუსთაველი ისევ ერთად ახსნებს ჟაფ:

“ამას ჰგვანდეს დღეს ერთად მუშთარ ზუალ შეიყარნეს”.

ბა ადგილიდან, ვინაიდან იგი სტრიქონის ყველა დანარჩენ სიტყვებთან გადაბ-  
მულია მ-ს საშუალებით:

მთვარე, ასპირინზ, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან.

ერთი სიტყვით, აქ ყოველი სიტყვის ადგილი გამორჩეულია სრული შე-  
უძლია რომ ყველა ეს პლანეტები კოპერნიკის სისტემაში  
ისევე კარგად იყვნენ დალაგებულნი, როგორც ამ ტაეპში. არ შეგვიძლია არ  
აღნიშნოთ აქვე ამავე ტაეპის მეტად საინტერესო ალიტერაციები ნ და გან-  
საკუთრებით კი ც:

მას გააგონე რანიცა ცეცხლნი უშენოდ მდებიან. <sup>1)</sup>

ამ ერთ სტრიქონში ც მეორდება სამჯერ ზედიზედ, წინა სამ სტრიქონში  
კი არც ერთხელ. ნ მეორდება აქ ხუთჯერ, ხოლო შემდეგ ორ სტრიქონში კი ეს  
ბერია სრულებით ალარ ისმის; სამაგიეროდ იქ სხვა ბერების ალიტერაციებია,  
მაგალითად გ:

აწ გულსა ეტყვის: „ვითამცა გდის ცრემლი; არ გაგხმობია,

რას გარებს მოკელა თავისა, ეშმა ძმად თურმე გძმობია.

ეს შედარებით იშვიათი ბერია ამ ორ სტრიქონში მეორდება შვიდჯერ,  
შემდეგ შვიდ სტრიქონში კი მხოლოდ სამჯერ. ის სტრიქონებიც, რალა თქმა  
უნდა, ალიტერაციებით და ასონანსებით არის ჯამართული, ხოლოდ სხვა ცე-  
რების საშუალებით, აი მაგლა თად ერთ მათგანში—ჟ, ნ, ხ, ვ:

ნუთუ მომხვდეს ნახვა მზისა, ნუ ვიძახი მიწყივ უსა.

ან კიდევ იქვე—ხ. და განსაკუთრებით ბ:

მისსა ხმასა თანა ხმაცა ბულბულისა ჰვანდის ბუსა.

ამ სტრიქონის შემზევ მოდის ცნობილი ტაეპი: „რა ესმოდას მღერა  
ყმისა... რომლის მთავარი ბერია არის ს. ა იოვსწეროთ ამ ტაეპის მხოლოდ  
უკანასკნელი სტრიქონი და ს—ს გარდა აღნიშნოთ ჯერ ს, ლ, და თა:

იმღერს ლექსთა საბრალოთა ლვარისაებრ ცრემლნი სდიან.

ეხლა იმავე სტრიქონში ხაზი გაუსვათ რ—ს და, რაც ყველაზე უფრო სა  
ინტერესოა, ლ—ს:

იმღერს ლექსთა საბრალოთა ლვარისაებრ ცრემლნი სდიან.

ეს ულამაზესი ბერია დ იმდენად იშვიათია ქართულ ენაში, რომ ამ  
სტრიქონის ზემოთ ოცდაშვიდი სტრიქონის მანძილზე, ის არ ისძის სრუ-  
ლებათ თუ მხედველობაში არ მივიღებთ იქვე ორჯერ გამეორებულ ერთსა  
და იმავე სიტყვას „მიმღერის... მღერა“ <sup>2)</sup> არ არის არავითარი ეჭვი იმაში,  
რომ რესთაველის შაინი თავისი არაჩევულებრივად მდიდარი ალიტერაციით  
განირჩევა ყველა დანარჩენი პოეტების შაირისაგან, მაგრამ ამის საბოლოოდ

1) ამავე სტრიქონში ასონანსი:

„მას გააგონე რანიცა“...

2) აი კიდევ:

1. „ყა წავრდა ლალი, ნაზი ნაღვობები მიღ ნაკრთობი

(ამავე სტრიქონში, გარდა აღნიშნულისა, ყურადღებას იქცევს თავსართი რა).

2. ილოცავს იტყვის: მაღალო ღმერ თ ხმელთა და ზღვათაო.

3. მტერთა ლექვა, ზღვათა ლელვა დამით მავნე განმარიდე.

დამტკიცებისთვის ჩეუნ საქმაოდ არ მიგვაჩნია რუსთაველის ტაეპების ამოწე-  
რა და შიგ ერთნაირი ასოებისათვის ხაზის გასმა. ყოველგვარი მტკიცება იმ-  
დენად უფრო ობიექტიურია და, მაშასადამე, დამაჯერებელი, რამდენადაც ის  
ციფრების საშუალებით ხდება. ყველაზე უფრო სანდო ჭეშმარიტება არის ის  
ჭეშმარიტება, რომელიც ემყარება ციფრებს.

როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? ჭეშმლება თუ არა ალიტერაციის სა-  
კითხში ციფრების გამოყენება? ვიმსჯელოთ ასე: თუ ერთი პოეტი ლექსის სტრი-  
ქონში ერთსა და იმავე ბგერებს იმეორებს უფრო ხშირად, სხვა პოეტებთან  
შედარებით, მაშინ, ცხადია, მის სტრიქონში სხვა და სხვა ბგერების რიცხვი  
ზაკლები უნდა იქნეს უფრო, ვიღრე სხვა პოეტების იმავე მეტრის სტრიქონებში.

შევადაროთ რუსთაველი ამ მხრით სხვა ძველ ქართველ პოეტებს, რომლებ-  
საც უწერიათ შაირით, ესე იგი რუსთაველის მეტრით. შედარება მხოლოდ  
თანხმოვანი ბგერების მოვახდინოთ, ვინაიდან ხმოვანი ბგერები, მათი სიმცირის  
გამო, თითქმის ყველანი გვხვდებიან შაირის ყოველ სტრიქონში, და ამიტომ  
მათი დათველა სხვა და სხვა პოეტების ლექსში არავითარ განსხვავებას არ მოგვ-  
ცემს. ავიღოთ რაც შეიძლება ერთმანეთისაგან დაშორებული მაგალითები, მაგ-  
რაშ ისე რომ დაცული იყოს ერთგვარი წესრიგი, რომ არავითარ შემთხვევაში  
ჩიმუშებს შერჩევის ხასიათი არ მიეცეს. ავიღოთ პირველი სტრიქონები „ვეფ-  
ხის ტყაოსანის“ ოთხი პირველი თავისი (შესავალითურთ) და დავითვალოთ თუ  
რამდენი სხვა და სხვა თანხმოვანი ბგერა არის ყოველ ამ სტრიქონში.

აი ეს სტრიქონები:

1. რომელმან შეკვეთი სამყარო ძალითა შით. ძლიერითა.

რმლნშესყდთ=10

2. იყო არაბეთს როსტევან, მეფე ლვთისაგან სვიანი.

ყრბასტემფულგ=11

3. ნახეს უცხო მოყმე ვინმე სჯდა მტირალი წყლისა პირსა.

ნეცმყვსჯდტწლპ=13

4. დასწერა თუ: ჩემნო ყმანო, გამზრდელნო და ზოგნო ზრდილნო.

დსწროთჩმნგზლ=11

ოთხი სტრიქონის (ტაეპის) საერთო ჯამი—45

მიღებულ რიცხვს 45 ვუწოდოთ ალიტერაციის კოეფიციენტი ტაეპისა-  
თვის. უნდა შევიწოდოთ აქვე, რომ, რაც უფრო მდიდარი იქნება ეს რიცხვი,  
მით უფრო მდიდარი უნდა იქნეს ალიტერაციით ტაეპი და, მაშასადამე, თუ  
ჩეუნ ვამტკიცებთ, რომ რუსთაველის შაირი უფრო მდიდარია ალიტერაციით,  
ვიღრე სხვა პოეტების, მაშინ მიღებულ კოეფიციენტებში რუსთაველის ტაეპის  
კოეფიციენტი, როგორც რიცხვი, თავისი აბსოლუტური მნიშვნელობით საშუა-  
ლოდ სხვებზე ნაკლები უნდა იქნეს.

ავიღოთ ეხლა წიგნი „ჩენი ძელი მწერლობა“ (შედგენილი ს. გორგაძის  
შეკვეთი), სადაც მოთავსებულია თეიმურაზის, არჩილ მეფის, გურამიშვილის და  
ბესიკის ლექსები შაირით. ამოცსწეროთ ყოველი მათგანის ოთხი სტრიქონი ზე-

მოაღნიშნული წესით, ესე თვითი პირველი თავის პირველი სტრიქონები, და დავითგალოთ შეფა სხვა და სხვა თანხმოვანი ბეჭედი. <sup>1)</sup>

თეომურაზი („ვარდ-ბულბულიანი“):

1. ჰე არსისა შემოქმედო! შენგან არის ყოვლიფერი.

ჩსშმქდნგყვლფ=12

2. ზლვა დაწყნარდა ლელვისაგან შეიცვალა ქარკეთილად.

ზლვდწყნრლსგნშცქო=17

3. ბულბულისა რალა გითხრა მრავალგვარად ყეფა მღერა?

ბლსჩგთხმდყფ=13

4. აწ ბულბულსა სიტყვა უთხრა მქისე რამე არ თუ ტკბილი. <sup>2)</sup>

წბსტყვთხრმქკლ=13

საერთო ჯამი

55

ა რ ჩ ი ლ მ ე ფ ე („არჩილიანი“):

1. პირველ უნდა ლვთის შიშხელა კაცმა ვული დაამყაროს.

პრელნდლთშზკცმგყ=16

2. თვით შეექმნათ მათ ცილობა, სხვათ მელექსეთ არ ირევენ.

თვშქმნცლბსხრ=12

3. ისმინე ჩემი ამბავი ყმაწვილობიდან კაცებად <sup>3)</sup>

სშჩბცყწლდგკც=13

4. ამ საქმების <sup>4)</sup> წინას ხნითვე დედამ ყეენს შემახვეწა.

მსქმწნეთვდყშ=12

საერთო ჯამი 53

დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი („გურამიანი“):

1. ღმერთო, რომელსა გაქონან <sup>5)</sup> არსის საყდართა ჯდომანი.

ღმრთლსგქნცდჯ=12

2. ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი ენამჭევრი.

ქრთლსჭენბძმ=11

<sup>1)</sup> ვისაც ლექსისათვის სმენა შეჩეული აქვს, მისთვის არავითარი სტატისტიკა საჭირო. არ არის, ის მიხდება, რომ ყველა ქვემოდ მოყვანილი პოეტების სტრიქონები ერთმანეთისაგან. თითქმის სრულებით არ განირჩევან, სამაგიეროდ რუსთაველის სტრიქონის მუსიკალური კომპოზიცია გამოყოფილია და სდგას ცალკე.

<sup>2)</sup> პირველ სტრიქონში „ყოვლიფერი“, მეორეში—„ქარკეთილად“, მეოთხეში—„ტკბილი“, თავიამზი ფონეტიკური შემადგეხლობით სრულებით არ ეთანხმებან იმავე სტრიქონების დანარჩენ სიტყვებს. თანხმოვანი ბეჭედი პირველ სიტყვაში—ყვლფ მეორეში—ქრკო. მესამეში—ტკბლ უეპველად საჭიროებენ უახლოეს გამოხმაურებას სხვა სიტყვებში. რუსთაველის სმენა ამას ვერ აიტანდა.

<sup>3)</sup> აქ სიტყვა „კაცებად“ თავისი მქვეთრი ბეჭედით კუ სრულებით არ უდგება სტრიქონის განარჩენ სიტყვებს და დიდი დეზორგანიზაცია შეაქვს შიგ.

<sup>4)</sup> ყოვლად აუტანელი ფორმა სიტყვის.

<sup>5)</sup> აუტანელია ეს სიტყვა.

3. იჯდა ყევნად შახ-თამაზ ქე ძისა შა—აბაზისა. <sup>1)</sup>  
ჯდყნშითმზდ=10.

4. შეკრბენ ქართლის ბატონ-ყმანი ერთად თავი მოიყარეს.  
შერბნქთლსტუმდვ=14.

საერთო ჯამი

47.

ბ ე ს ი კ ი („ასპინძის ომზედ“) <sup>2)</sup>:

1. ასპინძის მიწა გიშამებს, ურგებ არს ჩემგან თქმულები.  
სპნდმწგბრჩქლ=13.
2. ვაი, მის ღლისა მომხსენენ ვითა ვინ რით განვაქიქო?  
ვმსღლხნორგქ=11.
3. გამოვლეს წყალი ასმალთა და აგრევ ლეკთა ყიუინით:  
გმელსწყთდგრექნ=14.
4. პირველ მიმართე წინ-მბრძოლთა დელებთა შუბოსანათა.  
პვლმრთწნბძდშ=13.

საერთო ჯამი

51

როგორც ვხედავთ რუსთაველის ტაეპის კოეფიციენტი თავისი აბსოლუტური მნიშვნელობით გამოვიდა ყველაზე დაბალი—45, შემდეგ მოდის გურამიშვილი—47, მერმე ბესიკი—51, არჩილ მეფე—53, თეიმურაზი—55. დალაგება საინტერესო გამოვიდა: გარდა თეიმურაზისა, რომელიც სრულად უსამართლოდ მოექცა არჩილ მეფის შემდეგ, თითქოს ყველანი თავის აღიღიზე არიან. მაგრამ ცხადია, რომ ვერავითარ შემთხვევაში ოთხი სტრიქონი ასეთ დიდმნიშვნელოვან საკითხს ვერ გადასწყვეტს. ასეთი მცირე მასშტაბით მოხდენილ ცდაში რაიმე შემთხვევითი მოვლენას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს, მაგალითად თეიმურაზის სტრიქონებში შემთხვევით ერთი ჩვიდმეტიანი სტრიქონი მოხვდა, რამაც მთელი ტაეპის კოეფიციენტი მეტად მაღლა ასწია, ასეთი შემთხვევითი ტაეპი შესაძლებელია რუსთაველსაც ბევრი ექნეს. განვაგრძოთ ცდა. ავილოთ „ვეფხის ტყაოსანის“ <sup>3)</sup> შესავალში. იცი პირველი ტაეპის პირველი სტრიქონები, გამოვიანგარიშოთ ზემოაღნიშული წესით ყოველი სტრიქონის (სულ ოცი სტრიქონი) სხვადასხვა თანხმოვანი ბერების რაოდენობა და შემდეგ ოთხ-ოთხი სტრიქონი შევაჯამოთ ერთად, სულ გამოვა ხუთი კოეფიციენტი ტაეპის, ასევე მოვაჭიცეთ თეიმურაზის, არჩილ მეფის, გურამიშვილის და ბესიკის ზემოაღნიშნული პოემების მიმართ. ვინაიდან ბესიკის პოემა „ასპინძის ომზედ“ სულ თვრამეტ ტაეპს შეიცავს და მათი პირველი სტრიქონების გარდა საჭირო იქ-

1) ეს სტრიქონი ძალიან ჩამოჰვავს რუსთაველის ტიპიურ სტრიქონს, საერთოდ გურამიშვილს ემჩნევა რუსთაველის გავლენა.

2) ვინაიდან ეს პოემა, რომელიც შესდგება ექვსი თავისაგან, წიგნში „ჩვენი ძველი მწერლობა“ მოყვანილია შემოკლებით (სამი თავი), ამიტომ ეს ოთხი სტრიქონი ამოღებულია თვითონ ბესიკის წიგნიდან.

3) უკანასკნელი გამოცემა მთავრიშვილის, სადაც ტაეპები და თავები დალაგებულია ჩვეულებრივად მიღებული წესით.


ნება კიდევ ორი სტრიქონი, ამიტომ ამ ორ სტრიქონად ავილოთ უკანასკნელი ტაქტის შეორე და მესამე სტრიქონი. გარდა ამისა, „ვეფხის ტყაოსანის“ შესა-ვალთან შედარებისათვის ავილოთ კიდევ პოემის დასაწყისიდან („იყო არაბერის ძლისტევან“...) იმგვარივე წესით ოცი სტრიქონი. მე მოვიყვან აქ მხოლოდ ოთხ-ოთხი სტრიქონის ჯამს და ბოლოს. თვითეული პოეტის საშუალო კოეფიციენტი:

ვუსთავები		თეიმურაზი	გურამი-შვილი	ბესიკი	არჩილ მეფე
პროლოგი	პოემის დასაწყისი				
45	43	50	51	51	49
48	51	47	48	56	49
45	44	48	48	47	54
46	43	48	51	50	57
47	47	46	51	56	53
46,05	45,8	47,8	49,8	52	52,4

აქ მიღებულმა ციფრებმა ყველა ეს პოეტები წინანდელ ადგილზე დასრულდა თეიმურაზისა, რომელიც ეხლა რუსთაველის შემდეგ მიდის, არჩილ მეფე კი სამართლიანად მოექცა ბოლოში. თუ რა ნაკლი აქვს ასეთ ანგარიშს საერთოდ და რამდენად შეიძლება დაცერყდნოთ მას, ამის შესახებ ლაპარაკი იქნება ქვევით, ჯერ კი უსათუოდ ყურადღების მისაქცევია ის გარემოება, რომ რუსთაველი ყველგან წინ მიდის. გარდა ამისა, შესავლისა და პოემის დასაწყისის საშუალო ციფრები რაღაც ორი მეათედით განსხვავდება ერთი მეორესა-გან, მაშინ როდესაც სხვა პოეტებთან შედარებით განსხვავდება ორზე ნაკლები ალარ არის. საინტერესოა აგრეთვე ის გარემოება, რომ რუსთაველის რვა ტა-ეპში („ტაეპს“ აქ ვხმარობთ პირობით, ვინაიდან სტრიქონები სხვა და სხვა ტაეპებს ეკუთვნიან) მხოლოდ ერთი ასცილდა 48-ს, ხოლო დანარჩენი პოეტების თექვსმეტ ტაეპში მხოლოდ ორი დასცილდა ძირს იმავე რიცხვს. მიღებული ციფრების ურთიერთი დამოკიდებულება რომ უფრო თვალსაჩინო იქნეს, ჩევნ შეგვიძლია მათი საშუალებით შევაღვინოთ დიაგრამები. დიაგრამაში № 1 შედარებულია ვეფხის ტყაოსანის „პროლოგი“ სხვა პოეტების ლექსებთან.

დღიურამაში № 2, სადაც შედარებულია „ვეფხის ტყაოსნის“ დასაწყისი, „იყო არაბეთს როსტენგან“... აღნიშნულია მხოლოდ ოეიმურაზის ხაზი, დანარჩენები იგულისხმებიან ძირს.


ეხლა ავილოთ ის ოთხი სტრიქონი მთელი „ვიტეზის ტყაოსანიდან“, საღაც ჟაზენებია რუსთაველი და მესხი, თანაც აღვნიშნოთ ზოგიერთი ალიტერაციე- პი შიგ:



დიაგრამა № 1 1)

1. ღავსჯე რუსთველმან გავლექსე მისთვის გულ-ლახვარ-სობილი.  
ღესჯრთლმნგქნ=13
2. მე, რუსთველი, ხელობითა ვიქმ საქმესა ამაღარი.
3. ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა  
ვსწროვნმხლქთდ=12

<sup>1)</sup> გორიზონტალური ჩაზები ჭარბოადგენერ საშუალო კოეფიციენტების ჩაზებს.



დიაგრამა № 2.

4. ტარიელ მისასა რუსთველსა მისოვის ცრემლ შეუშრობელსა  
ტარიელ მისასა რუსთველსა მისოვის ცრემლ შეუშრობელსა

საერთო ჯამი . . . . . 45

ზემოთ ჩვენ გამოვიანგარიშეთ ოცი ტაეპის კოეფიციენტი ოთხი ცნობილი  
პოეტისათვის და არცერთი მათგანი 45-დე არ დასულა.

გამოვიანგარიშოთ ეხლა იმ ტაეპების კოეფიციენტები, რომლებშიაც ეს  
ოთხი სტრიქონი შედის:


- |                                    |                  |
|------------------------------------|------------------|
| 1. („მო დავსწდეთ ტარიელისთვის“...) | 50 <sup>1)</sup> |
| 2. „მე რუსთველი ხელობითა“...).     | 45               |
| 3. („გასრულდა მათი ამბავი“...).    | 47               |
| 4. („ამირან დ რეჯანის ძე“...).     | 43               |

საშუალო . . . . . 46,25

ეს საშუალო რიცხვი რუსთაველისაკვის ზემოთ გამოყვანილი რიცხვისაგან  
განსხვავდება რაღაც ორი-სამი მეათედით მხოლოდ. შევაღარით დიაგრამაში

<sup>1)</sup> ეს ტაეპი ყველაზე ნაკლებ კეთილმოვანია ამ ოთხ ტაეპში და კოეფიციენტიც შედა-  
ჯებით დიდი აქვთ.

№3 ეს ოთხი ტერიტორიაზე (დანარჩენები იგულისხმებიან) ოთხ პირველ ტაეპს.



დიაგრამა №3


აი კოეფიციენტები მთელი ბოლოსიტყვაობის, რომელიც სულ ხუთი ტაქტისაგან შესდგება:

1. („გასრულდა მათი ამბავი“...)	47
2. („ქართველთა ღვთისა დავითის“)	43
3. („დავითის ქნანი ვითა ვთქვნე“...)	46
4. („ეს ასეთი სოფელი“...)	46
5. („ამირან დარეჯანის ძე“,..)	43
<b>საშუალო . . . . .</b>	<b>45</b>

ბოლოსიტყვაობა მეტად მდიდარია ალიტერაციებით, და ჩვენ ვხედავთ, რომ მისი ხუთი ტაეპის კოეფიციენტებიდან არც ერთი ორმოცდაშვიდის არ ასცილება, ხოლო ზემოდ გამოანგარიშებული სხვა პოეტების ოცი ტაეპის კოეფიციენტებში მხოლოდ ერთი (თეიმურაზის—46) დასცილდა ამ რიცხვს. დიაგრამა №4 გვიჩვენებს ამ ხუთი ტაეპის ხაზს თეიმურაზთან შედარებით.

ეხლა დავსვათ საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად მისალებია და სანდო ლექსის მუსიკალობის ასეთი გამოანგარიშება. ეს ანგარიში ტლანტია მეტად-

აქ არ შედის ხმოვანი ბგერები, აქ იკარგება თანხმოვანი ბგერების მარტივი ალიტერაციების უმეტესი ნაწილი, ვინაიდან ერთი პოეტი ერთი და იმავე ბგერის ორი ან სამი მოხერხებული გამეორებით ჰქმნის მუსიკას, ხოლო მეორე პოეტის სტრიქონში იგრვე ბგერა იმდენჯერვე ან უფრო მეტჯერაც გამეორდება, მაგრამ ამ გამეორებას ექნე ა შემთხვევითი და უწესობიგო ხასიათი. ამის მაგალითად ავილოთ რუსთაველის სტრიქონი:



დიაგრამა №4

სიბრძნე სიმდიდრე სიუხვე სიყმე და მოცალეობა.

შევადაროთ მას არჩილ მეფის ასეთი სტრიქონი:

რას მიერჩი მას რიტორსა არ ანებებ მისსა მასა?

პირველში ბგერა ს მეორდება ოთხჯერ, მეორეში ექვსჯერ, მაგრამ რა დიდი განსხვავება არის ამ გამეორებათა შორის! რუსთაველის სტრიქონში ს წაომოადგენს იშვიათ ალიტერაციას, არჩილისაში კი იგივე ბგერა მთვრალი აღამიანივით ეხეთქება ხან აქეთ, ხან იქით და ჰქმნის სრულ დ-სგარმონიას.

აი კიდევ მაგალითი: რუსთაველის სტრიქონში ხ-ს მარტივი ალიტერაცია:

ვინცა ისმინოს დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

თეიმურაზის სტრიქონში იგივე ბგერა:

იგ ოსტატი ხელოვანი პირველ იყო, განა ახლა!

ამ მკვეთრი ბგერის გამეორება მკაფიოდ ისმის ორივე სტრიქონში, მაგრამ პირველის ეფექტი სხვა არის, მეორესი სულ სხვა. ხოლო ჩვენ მიერ მიღე-

ბული გამოანგარიშება კი ერთნაირად აღნიშნავს ორივეს. ყველა ამ მიზეზების გამო შეუძლებელია ზემოაღნიშნული წესით საერთოდ პოეტების დაფასება ალიტერაციის მხრით; მაგრამ ერთი რამ უდაოდ ცხაჭია: ჩუსთაველის ლექსი იმდენად მდიდარია ალიტერაციით, რომ ეს ტლანქი გამოანგარიშებაც კი აღნიშნავს განსხვავებას და გამოჰყოფს რუსთაველს დანარჩენი პოეტებისაგან. რუსთაველს ძალიან ხშირად აქვს ისეთი იშვიათი ბგერების მარტივი ალიტერაციები, რომლებიც მეორე პოეტის სტრიქონში შემთხვევით ძნელად თუ გამეორდებიან, მაგალითად: „...თარიკელს ფურტადცა უნდა. ხსენება“, „ძალითა მითძლიერითა“, „იმღერს ლექსთა საბარალოთა ლვარისაებრ ცრემლნი სდიან“ და სხ. <sup>1)</sup> ი ასეთი იშვიათი ბგერების მარტივი ალიტერაციები და ხშირად შესახვედრი ბგერების ზოგჯერ განსაკუთრებული დაუინებით გამეორება ჰქონიან ამ განსხვავებას, რომელიც ნამდვილ განსხვავებას არავითარ შემთხვევაში არ შეეფერება. ნამდვილი განსხვავების გამოანგარიშება რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ რუსთაველის ტაქის კოეფიციენტი უდიდესად დაშორდებოდა დანარჩენი პოეტების კოეფიციენტებს; სხვების ადგილები კი შემთხვევითად უნდა ჩაითვალოს ჩვენს ანგარიშში, ვინაიდან მათ შორის არ არის ისეთი დიდი განსხვავება, რომ ასეთმა ტლანქმა გამოანგარიშებამ შესამჩნევად ნათელ ჰყოს იგი. <sup>2)</sup>

ზემოთ მოყვანილ გამოანგარიშებას არცა ჰქონდა მიზნად საერთო პოეტების გრადაციის მოხდენა, იქ მხოლოდ რუსთაველია დაპირისპირებული სხვა პოეტებთან, უნდა ითქვეს, საქმიოდ დიდი მასშტაბის ცდაში—თექსმეტი ტაქი ერთი მხრით, ოცი მეორე მხრით, —რაც უთუოდ ბევრ რამეს ამტკიცებს. მაგრამ საერთოდ კი ეს საზომი, ვიმეორებთ, შეტად საფრთხილოა და რუსთაველის შიგა და შიგ აღებული ცალკე ტაქების სიყალბის ან სინამდვილის ვადაწყვეტის დროს; მას ვერ დავეყრდნობით, თუნდაც ამა თუ იმ შემთხვევაში მიღებული ციფრები ძალიანაც უწყვობდენ ხელს სასურველი აზრის დამტკიცებას.

მაგრამ რუსთაველს აქვს სტილის ერთი გასაოცარი თვისება, <sup>3)</sup> რომელიც დაკავშირებულია იმავე ალიტერაციის საკითხთან და რომელსაც უკველად ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა „ვეფხის, ტყაოსნის“ შეუწავლის საქმეში. ეს არის სიტყვის გამეორება ბგერის გამეორება ბგერის მინით რუსთაველი იმეორებს სიტყვებს, მაგრამ როგორ იმეორებს! ისე კი არა, როგორც

<sup>1)</sup> კიდევ საჭიროდ მიგვაჩნდა აღვნიშნოთ, რომ იშვიათი ბგერების ასეთი დაწყვილება არა და არამეტ შემთხვევითაც არ არის. იმას, ვესაც ეს არა სჯერა, ჩენენ გსიმოვდით გადაათვა-დიეროს „ვეფხის ტყაოსნაში“ ის სტრიქონები, სადაც დასახელებულია ერთი მხრით ტარიელი, მეორე მხრით, ავთანდილი, და მიაქციოს იქ ყურადღება სხვა სიტყვების ბგერებს. ის დარწმუნდება, რომ პირველი რიგის სტრიქონებში, მეტად ბევრია ისეთი სიტყვები, სადაც პრის ბგერაც (მთავარი ბგერა სიტყვაში „ტარიელი“) ხოლო მეორეში კი ძალიან ცოტა; სამაგიეროდ იქ, სადაც ავთანდილია ნახსენები, ხშირად გაისმის ბგერები თ. დ. ლ, (ავთანდილი); ამის შესახებ კიდევ გვექნება ლაპარაკი ქვემოთ.

<sup>2)</sup> თუმცა საფიქრებელია, რომ დიდი მასშტაბით მოხდენილი ცდების დროსაც აღინიშნება განსხვავება. მაგალითად, თეიმურაზსა და არჩილ მეფის შორის პირველის სასარგებლოდ.

<sup>3)</sup> არა ნაკლებ გასაოცარია ის გარემოება, რომ რუსთაველის მკვლევარებს სრულებით არ მიუქცევიათ მისთვის ყურადღება. აქვს შენიშნული ეს გაკვრით მხოლოდ ი. აბულაძეს.

ეს თანამედროვე პოეზიაში ხდება ხოლმე, როდესაც პოეტი იმეორებს სიტყვას ან ფრაზას უცვლელ ად, ისე რომ შესაძლებელი ხდება სტრიქონიდან მისი ამოღება და ნაცვლად სხვა სიტყვების ჩართვა, რაც უეჭველად უარყოფითია ვინაიდან ლექსის იდეალური სტრიქონი ისე უნდა იყოს დაწერილი, რომ მასში არა თუ სხვამ, თვით ავტორმაც კი ველარ უნდა შესძლოს რაიმე ცვლილების შეტანა. რუსთაველი კი იხმარს ხოლმე სიტყვას, შეუცვლის მას მერმე გრამატიულ ფორმას და გაიმეორებს იმავე სტრიქონში, რის შემდეგ გამეორებული სიტყვა თრგანიულად უკავშირდება ფრაზას და შეუძლებელი ხდება მისი ადგილიდან დაძრა.

აი ამისი მაგალითი:

დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, ს თმ ობ დე ს გაყრისა თმ ობასა. სჯობს სახელისა მოცვე კა ყოველსა მოცახვე ლსა.

საუბარმან უმეცარმან შმაგი უფრო გააშმა გოს.

ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნა. ხმელსა ნედლად.

ჰხამს მოყვარე მოყვრისა თვის თავი ჭირსა არ დამრიდად.

გული მისცეს გული სათვის, სიყვარული გზად და ხიდად.

ავად შეპფერის მიჯნურსა მიჯნურსა რობისა ცხადება.

სჯობს უყობა კაცისა მომღერავისა. ყოლასა.

არ გარდავა გარდუვალი მომავალი საქმე ზენა.

ჭესი არის მამათავან მოჭირვება ჭირთა თმენა.

ზოგჯერ რუსთაველი ერთსა და, იმავე სიტყვას სამჯერ იმეორებს. სტრიქონში სულ სხვა და სხვა ფორმით.

აი სტრიქონი, რომელშიაც ქარცეცხლივით არის დატრიალებული ერთი სიტყვა:

ნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა.

უცნაურია ეს სტრიქონი აზრის მხრით: „ნახეს“ და იმავე წამში „ნახვა მოუნდათ“! ეს არ შეიძლება. იმათ კი არ მოუნდათ ნახვა, პოეტის მუსიკალურ სმენას დასჭირდა ამ სიტყვის გამეორება, და რუსთაველშაც გაიმეორა იგი სამჯერ, რის შემდეგ მთელი სტრიქონი ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ფოლადის სპირალი იყოს შიგ ჩაგრებილი. მაგრამ დავანებოთ თავი შემთხვევით მაგალითების მოყვანას, მოძებნა ყველაფრის შეიძლება. მიღმართოთ სტატისტიკას. რა უნდა ჰქონდეს საერთო პოეზიას სტატისტიკასთან? არსებითად არაფერი, მაგრამ დიდი პოეტის შემოქმედებას ყოველთვის ახასიათებს განსაკუთრებული შინაგანი ბუნება, და ამ ბუნების შესწავლის დროს სტატისტიკას შეუძლია ხშირად აღმოაჩინოს მასში გასაოცარი კანონზომიერება. მხოლოდ უნიკო პოეტისათვის არ არსებობს არავითარი შინაგანი კანონები, გარდა თვით უნიჭობისა, რომელიც ფატალური აუცილებლობით თან დასდევს ყოველ მის სტრიქონს. ცნობილი რუსი პოეტი და პოეტიკის შესანიშნავი მცოდნე ანდრეი ბელი ერთ თავის წერილში პუშკინის, ტიუტჩევის და ბარატინსკის შესახებ ამბობს: „საჭიროა სტატისტიკა; საჭიროა ბარატინსკის, პუშკინის, ტიუტჩევის სიტყვათა ლექსიკონის ცოდნა“.<sup>1)</sup>

<sup>1)</sup> Андрей Белый—Поэзия слова.

მოვახდინოთ სიტყვის გამეორების სტატისტიკა „ცყალსანში“ სხვა პოეტების ლექსებთან შედარებით. ავიღოთ იგივე „ჩვენი ძველი მწერლობა“. შიგ მოთავსებულია თეიმურაზის 196 (დაასლოვებით 200) სტრიქონი ლექსი. წაგიკითხოთ და აღვნიშნოთ ყველა ის სტრიქონები, სადაც ადგილი აქვს სიტყვის გამეორებას რაიმე სახით. ასეთი სტრიქონი შეგვხვდება სულ ც ამ ტი, აი ისინი:

1. მყინვარება ზამთრის ყინვა დაღნა გალხვა, ვითა ცვილად.
2. ცა ყინვა ზედ, ყინვა წყალზედ აღრიდანვე დაასახლა.
3. გამდიდრებული ბალი და მებალე არ დავსილაო.
4. ბალი, ბალჩა და წალკოტი შეამჯო დააშვენა მან.
5. გავბედავ უთხრა: დამარხეთ, რა ბალ ში მოვა მებალე.
6. შენთვის კვდების და იწვების პირის - პირ გიზის მხერადო.
7. რა წახვალ, დაიკარგების; რა მიხვალ, მოვა ესეცო.
8. არ დაიშალა ბულბულსა სიტყვასა ეტყვის მწარესა.
9. ეს ვის ასმია სულდგმულსა, ხელს უთხრის: ნუ ხარ ხელიო.
10. ცუცხლსა მოგიდებ უშრეტსა, ნუ დაგეწვების მწველიო.
11. თეთრი ვარ ბროლის უთქორებე, ყირმისი ლალის გვარადო.
12. შენით შვენის და იხარის წალკოტი ბალჩა ბალადო.
13. არარსის არსად მომყვანო უსულოდ სულ თა მშერაო.

არჩილ მეფეს 200 სტრიქონში (გადათვლილია თავიდან) აქვს ხუთმეტი გამეორება სიტყვის, გურამიშვილის თექვსმეტი, ბესიქს ამ წიგნში მოთავსებული „ასპინძის ომის“ 52 სტრიქონში არცერთი. თვით ეს გამეორებანი მეტად ჩვეულებრივი ფორმისაა<sup>1)</sup> და უმეტესი მათგანი უბრალო ლაპარაკის ღროსაც ხდება ხოლმე, რის გამო ისინი, შემთხვევითად უნდა ჩაითვალონ. სამაგიეროდ რესთაველის სიტყვის გამეორება, უმეტეს ნაწილიც მეტად უცნაურია და, ყოველ შემთხვევაში სრულრად უჩვეულო.<sup>2)</sup> იმავე წიგნში „ჩვენი ძველი მწერლო-

1) გარდა გურამიშვილის ჟოგიეროთი გამეორებისა.

2) ა) განსაკუთრებით ცცნაური გამეორების ნიუშები (სტრიქონებს გვერდით მიწერილი აქვს სხვა და სხვა თანხმოვანი ბერების რიცხვი):

1. მწე აღარ მწე ობს ჩენთანა და რი არ დარობს დარ ულად (11).

2. ერთ არსებისა ერთ ის ა, მის უცა მოსა ჟამისა და: (7)

3. მან გაა ხაფოს ხმა ხაფი, კვლავ უფრო გასასახა ფავი. 191

4. მო ყვარე მტერი მოყვარი ისა მტრი ისაგან უფრო მტერია. (9)

5. ვერ შიმია ხასლოს საახლო თქ რულმან პირითა კრულითა (9).

6. თვითონ და თვითონ თვითონ სა ქადაგსა ეფასებოდა. (8)

ასეთი სტრიქონები მრავალი, ცეცხის ტყალსანში<sup>3)</sup>. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუს-თაველი არა მარტო აღიტერაციისათვის, ხშირად რითმის განორმირების სიტყვას. რაის ხოლმე ისეთი შემთხვევა, როდესაც მას რითმისათვის მეტად მოულოდნელ ფორმაში ჩასმული სიტყვის ხმარება უხულა, და მაშინ ის იმეორებს ამავე სიტყვას სტრიქონში წინასწარ, რომ ამით მკითხველი შეამზადოს მოულოდნელი რითმის ასათვისებლად. აი ამის ნიმუშები:

1. მალვა მწარს, მაგრა გარდახდა ყაში პატივთა სამალი.

2. გაიგონე ჭირნა ჩემი, მეურნე რაცა მეურნე გების.

3. მისი ნახვა გულსა ჩემსა ვითა მადე და ბადა.

4. შენ თუ მოგადა სისხლი შენი შენმა ჭედ მან მიიქედ ნეს.

5. ვარდმან ფერი განანთლა, ბროლი ბროლდა, სათის სათდა.

6. სამთავე ლაშვთა ალა მი არღანის ფერად ალა მნეს.

(იხ. კიდევ ტაქტები: 680, 694, 744, 855, 94, 954, 959, 1090 და სხ.)

ბა” მოყვანილია ნაწყვეტები „ვეუხის ტყაოსნიდან“ გადავითვალოთ თავი-დან 200 სტრიქონი (აქ შევა 68 სტრიქონი შესავლის, დანარჩენი პოემის ტექსტი-დან) და აღვნიშნოთ რამდენი სიტყვის გამეორება შეგვედება ამ მანძილზე; აი ეს გამეორებანი:

1. ორმეტან შეჰქმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა.
  2. ვით მარგალიტი ობოლი ხელის—ხელ საგოვმანები.
  3. ვპოვე და ლექსად გარდავთვი, საჭმე ვქმენ საჭოჭმანები.
  4. მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს.
  5. კვლავ მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს.
  6. არცა ვისგან დაეწუნის, არცა სხვათა უწუნობდეს.
  7. ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობთ მიჯნურობასა.
  8. დღეს ერთი უნდეს, ხეალე სხევა, სთმობდეს გაყრისა თმობასა.
  9. ენა, ვონება, დაომობა, მძლეოთა მებრძოლთა მძლეობა.
  10. საღმრთო საღმრთოდ გასაკონი, მსმენელთაოვის დიდი მარგი
  11. მართ აგრევე მოლექსეთა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა.
  12. სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული.
  13. სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული.
  14. მე გარდავსულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია.
  15. ავთანდილ იყო სპასპეტი, ძე ამირსპასალარისა.
  16. ნახის ცეცხლნი ვაუახლის, წყლული გახდის უფრო წყლულად.
  17. რა მეფედ დასმა მეფე მან ბრძანა მისისა ქალისა.
  18. არაბეთს გასცა ბრძანება დიღმან არაბთა მფლობელმან.
  19. ვეზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა.
  20. დასვა და თავსა გვირვენი დაადგა თავის ხელითა.
  21. დაპლოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა
  22. უხვი ახსნილსა დააბაშს, იგით თვით ების, ვინ ების.
  23. უხვად გასცემდი, ზღვათაცა შესდის და გაედინების.
  24. სმა-ჭამა—დიდად შესარგი, ლება რა სავარგულია.
  25. თინათინ მზესა სწუნობდა, მაგრამ მზე თინათინობდა.
  26. მოიხმო მისი გამზრდელნი, ერთგული ნაერთგულევი.
  27. მომართვით ჩემი ყველაი, ჩემი ნაუფლისწულევი.
  28. მერმე ბრძანა: „ვიქმ საქმესა, მამისაგან სწავლებულსა“.
  29. რომე პგავდა სიუხვითა ბუქსა, ზეცით ნაბუქალსა.
  30. ნაძლევისა მათისათვის ისროდეს და ერთგან ჰსკრიდეს.
  31. მინდორსა იქით წყალი სდის და წყლისა პირსა კლდენია.
  32. ლაშქართა შექმნეს მოდენა, მოსდგეს უფროსი ბზეთასა.
  33. ახლოს უდგს მონა თორმეტი, უმნენესი სხვათა მხნეთასა.
  34. ჰნახეს ძალა ნახვა მოუწდათ უცხოსა სანახავისა.
  35. მუნევ სწვიმს წვიმა ბროლისა, ჰგია გიშრისა ღარი სად.
- ეხლა გადავითვალოთ ორასი სტრიქონი ბოლოდან (იმავე წიგნით) და, აღვნიშნოთ შიგ მოხვედრილი ყველა სიტყვის გამეორება.

აი ისინი:

1. ფრიდონ გზა იცის, იარეს, დლისითა ლაშით რებულთა.
  2. ფრიდონ სთქვა: „ვახლავთ არეთა ჩვენ ქაჯეთს მიახლებულთა.
  3. ფრიდონ სთქვა: ვიტყვი სიტყვასა, ვეპვ ჩემი არ დამცდარია.
  4. ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან.
  5. თქვენცა მუნ მოდით, სადაცა გესმათ ზრიალი ზარისა.
  6. სთათბირობა ძნელთა თათბირთა, მტერთა ივაგლახ—ივიან.
  7. მაგრა თუ გესმის გუშაგნი რა ახლო ახლო ჰყივიან
  - 7a. წაგიხდეს ცუდად ყველაი, დაგრჩეს ცუდი—ღა ფერება.
  8. სავაჭროდა შევეკაზმი, ვიქმ საქმესა მე მუხთალსა.
  9. ტარიელ უთხრა: „მე თქვენი ვლან გმირთა მეტი გმირობა..
  10. თქვენსა ძალ-გულსა თქვენივე ჰგავს თათბირობა, პირობა.
  11. თქვენ გქონდეთ ომი ფიცხელი უომრად მნახოს მე ვითა.
  12. სამთავე სამგნით მივმართოთ, ფიცხვლავ დავსხლიტოთ ცხენები.
  13. მან ერთმან შიგნით შიგანი მიესცეთ სისხლისა ღვარებსა.
  14. ცხენებსა შესხდეს, აიღეს მათ მათი ჩაბალახები.
  15. მათ სამთა შეიღნი მნათობნი ჰფარევენ ნათლისა სვეტითა.
  16. დაპლივნეს მტერნი მოითა. ვითა მკვრეტელნი ჭვრეტითა.
  17. მზე მნათობთაცა დაპტარავს, არცალა ნათლად ხომია,
  18. აწ იყურები, მსმენელო, გესმენეს ფიცხელი მოია.
  19. სამთავე სამაღ გაიყვეს, თვითომან თვითო კარები.
  20. სამთავე სამაღ გაიყვეს თვითომან თვითო კარები.
  21. სამთავე სამგნით მივმართეს, თავსა მია უყვეს რიალი.
  22. სცნეს ნაქმრად ტარიელისად, სთქვეს: „საქმე არს მისეული“!
  23. მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭდო ყელი ყელსა.
  24. მკერდი მკერდსა შეეწება, გარდაეჭდო ყელი ყელსა.
  25. სამასისა კაცისაგან ას-ა მოცუ შეპყოლოდა.
  26. მას წინა ღამით ძალედვას მხატვარსა ხატვა ხატისა.
  27. აპა, მიშხვდეს შესაფერნი ყმა ქალსა და ქალი ყმასა.
  28. აპა, მიშხვდეს შესაფერნი ყმა ქალსა და ქალი ყმასა.
  29. ყოლა ლხინთა ვერ იმებს კაცი ლხინთა გარდუხდელთა.
  30. რაცა შენ ჰქმენ, არ უქმნი ია არ გამტრდელსა, არცა ზრდილსა.
  31. რაცა შენ ჰქმენ არ უქნია არ გამზრდელსა, არცა ზრდილსა.
  32. ზედან დაგსვამ, შენი იყოს, გვმსახურებდი ტკბილი ტკბილი.
  33. მონებისა უკეთესი რა მც ვიშოვე, რა მც ვიქონე.
  34. ორგულთა მისთა დამწველად, ერთგულთა დამახმარებლად.
- გამოვიდა ოჩივეგან ვა გამეროება. ეხლა ავილოთ „ვეფუხვის ტყაოსანის“.
- უკანასკნელი გამოცემა გადავიკითხოთ ყველა ორმოცდაშეიდი თავის (მათ შორის შესავალიც) პირველი ტაები (47 ტაები=188 სტრიქონი) და ამოვიწეროთ სტრიქონები, სადაც სიტყვის გამეორება შეგვხდება:
1. რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა.

2. დასწერა თუ: „ჩემნო ყმანო, გამზღველნო და ზოგნო ზრდილნო“
  3. ისმენდი, მიეც გონება ჩემთა ამბავთა სმენასა.
  4. მიბრძანა თუ: „ქალი ვნახოთ,“ ხელი ხელთა დამიჭირა.
  5. ვინცა ურჩ ექმნას, იქნების თავისა არ მაღლიერა.
  6. მოეწერა: „რამაზ მეფე წიგნსა გიწერ ტარიელსა.
  7. გამიკვირდა, რა ეწერა წიგნსა შენსგან მონაწერსა.
  8. წიგნი დავსწერე: „მეფეო, სვემცა თქვენი სვიანად.
  9. მიუწერე: „მშეო, შუქი შენი შენგან მონაუცნი.
  10. ღამით მევლო მოვიდოდი ზღვისა პირსა აჩნდეს ბალნი.
  11. არ მიამის კაცოანაზეა, მიდაღვიდის გულსა დაღნი.
  12. ფრიდონ მითხრა: „ვითხრობ რასმე, ვთამაშობდით ცხენსა ვსხედით..
  13. შენგან თავისა შენისა საჩემოდ გამომჩენელი:
  14. ჰე, მეფეო, გავიარე ძებნად ჩემგან საძებრისად.
  15. უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო.
  16. მთვარე მშესა მოეშოროს, მოშორება განანათლებს.
  17. რა იახლოს, შუქი დასწევავს, გაეყრების ვერ იახლებს.
  18. თუმცუნდოდით გასაყრელად პირველერთვან არ შეგყრიდა.
  19. ვაჲ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაძრუნებ, რა ზე გჭირსა!
  20. საღ წაიყვან სადაურსა საღ იღუფხვრი საღით ძირსა,
  21. მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა.
  22. ეს სამეფო ვისი არის, ან მორჩილობს ვის სახმასა?
  23. გვარად უცხონი ყვაილნი, ფერითა ბევრის-ბევრითა.
  24. გილიზლებს და შეგრკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის.
  25. „ჰე, მზეო, ღმერთსა ვინადგან მზედ სწადდი დასაბადებლად.
  26. შენცა გინდა, მეცა მინდა გაუშევეტლად შენი ხლება.
  27. იგი ყმა საწოლს მარტო წვა გულითა ჯავრიანითა
  28. არცა ვინ ვაჭრობს ვაჭარი, არცა ვინ წავა გზობასა.
  29. შენი ვერავინ ვერა სცნას, შენი სიმუხოლე საღ არე;
  30. პირი მზისაებრ საჩინო საღ უჩინო ჰყავს, საღ არე?
  31. „პირ-მზე ვწერ, აპა ხათუნო, დედისა მჯობო დედაო.“
  32. მისმანვე ცრემლმან დაუუსის ვის ედებოდა ვის ალი!“
  33. დასწერა: „ფრიდონ მაღალო, სვე-სრულო მეფე თ მეფეო,
  34. უმცროსმან ძმამან შორი-შორ სალამი დავიყეფო!
  35. ფრიდონ სთქვა: ვიტყვი სიტყვასა, ცეკვეჩემი არ დამცდარია:
  36. პირი ს-პირ ომი არ ძალ-გვაქს, არ უამი საკეხარია.
  37. თავსა მისსა უკეთესსა უზაღო ჰყოფს, არ აზაღებს;
- გადავიკითხოთ ეხლა ამავე თავების უკანასკნელი ტაეპები (47 ტაეპი=188 სტრიქონი) და ამოვიწეროთ სტრიქონები გამეორებული სიტყვით:
1. თუ მოყვარე მოყვრისათვის სტირს, ტირილსა ემართლების;
  2. ლაშქართა შექმნებ მოდენა, მოსდევს უფროსი ბზეთასა;
  3. ახლოს უდგა მონა თორმეტი, უმხნესი სხვათა მხნეთასა.

4. მოსთქვამს: „ჰაი საყვარელო, ჩემო ჩემთვის დაკარგულო,
  5. ცეცხლმან ცხელმან ვით ვერ დაგწვა, გულო, ასჯერ და დაგულო!
  6. ხატაეთს მყოფნი მოვიდე ს,— მათგან მოსვლისა დრონია—
  7. „არ ცა რა ჩეენ ვართ ჯაბანი, არ ც ციხე უმაგრონია.
  8. მიამდე მისი ამბავი, სხვად ნურად მეუბნებია!
  9. ინდოეთი ჩემი არის, არვის მივცემ ჩემგან კიდე.
  10. ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასკა აღმოვფხვრიდე.
  11. ჩემნი გულისა მდებელნი და ჩემნი შეძაგონანი.
  12. მისნი ვერა ვცნენ ამბავი, ვერცა დრამისა წონანი:
  13. ლაშქარნი ფრიდონს მეფედ და მიხმობდეს მეფეთ მეფობით.
  14. აქათ ორ თვე არ მოვიდე, ვიქმ საქმესა დაუგვანსა.
  15. ავად შეჭფერის მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება!
  16. ასრე უნდა სამსახური, გაყიდოდეს ვისცა ვისი;
  17. მოვკვდე, თავსა ნუ მოიკლავ, სატანასგან ნუ იქმ ქმნილსა.
  18. შენ დაგამეტებს, ვერა ვინ მსახურებითა ვერითა.
  19. აწ ამბავი სხვა დავიწყო, ყმასა წავყვე წამავალსა.
  20. აპა, ძმაო, მითხრობის ჭირი ჩემი, რაცა მჭირდა.
  21. ერთი აღმა, ერთი დაღმა, უგზეთ მივლენ შამბთა ეჯით.
  22. იგი ჰნახოს დაღრეჯილი, მზე დაიღრეჯს ს მისის ლრეჯით.
  23. ისმენდიან, გაპკვირდიან, რა ატირდის, ატირდიან.
  24. აკოცეს და გაუახლდეს მათ ორთავე მათნი წვანი,
  25. გაიყარეს გაუყრელნი ძმად—ფიცნი და ვითა ძმანი.
  26. მიპხვდეს ტაროსსა ამოსა, ნიადაგ ამოდ ვლიდიან.
  27. მას მარგალიტსა, მას ყმასა კბილითა ფერსა სძლვნიდიან.
  28. ზოგნი ნდომით შეჭორინვიდეს, ზოგნი იყვნეს სულ-წასულად.
  29. ზოგჯერ უხმო ფატმან, მისსა, ზოგჯერ იყვის ზატმანისსა.
  30. ერთგან სხდიან, უბნობდიან საუბარსა არა-მქისსა.
  31. მისისა მიჯნურობისა, მისთა პატიჟთა მცნეველი.
  32. მით რაცა მინდა ართა მაქვს, რაცა მაქვს არ მომინდების;
  33. ბინდის გვარია სოფელი, ესე თუ ამად ბინდების.
  34. კვლავ იტყვის ფატმან ტირილით, კვლავ თვალთა ცრემლი სდენოდეს
  35. დამცაგვმარხენ ხონელითა, ჩენითა დამარხველითა.
  36. აქა, მხატვარო, დაჭხატე ძმათ უმტკიცესი ძმობილნი.
  37. ტარიელ მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრობელსა.
- ორივეგან გამოდის 37 სტრიქონი სიტყვის გამეორებით (თვითონ სიტყვათა გამეორების რაოდენობა მეტია, ვინაიდან ზოგიერთ სტრიქონში ორი სხვა, და სხვა სიტყვის გამეორებას აქვს აღილი).
- ამ ციფრებს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ სტატისტიკის სასწაულები „ვეფხის ტყაოსანში“. სრულიადაც არ იყო საჭირო მათი ამგვარი ზედმიწევნითი შეხვედრა იმ დასკვნის გამოსატანად, რომ ეს პოემა უმჭველად ერთი ავტორის მიერ არის დაწერილი.

### III „ვეფხის ტყაოსანის“ ვარიანტები.

ეხლა, როდესაც შენიშვნული გვაქვს რუსთაველის სტილის ასეთი დიდმნიშვნელოვანი თვისება, ჩვენ შეგვიძლია გადავიდეთ „ვეფხის ტყაოსანის“ ეგრედ წოდებული ყალბი ტაქპების საკითხის განხილვაზე საერთო მასშტაბით.

რა საფუძველს ეყრდნობიან ჩვენი პოემის მკვლევარები, როდესაც ისინი ამ პოემაში სხვადასხვა გადამწერების მიერ შეთხეულ ტაქპებს ნახულობენ? ერთად ერთი გამოსავალი წერტილი. მათთვის ამ შემთხვევაში არის არჩილ შეფის მიერ დაწერილი შემდეგი ორი სტრიქონი:

ნანუჩას რუსთვლის ნათქეამში ბევრი რამ ჩაურევია.  
საბრალოს ვერ გაუგია წმინდა რამ აუმღვრევია.

„ვეფხის ტყაოსანის“ მკვლევარებმა დაიხვის უნიჭის ეს ორი სტრიქონი ხელზე და მოისურვეს ამის საშუალებით პოემის ცველა სიმაგრეების აღება. პირველი შეხედვით იმ გაუგებრობათა ასახსნელად, რომელსაც აღგილი აქვს „ვეფხის ტყაოსანის“ სხვა და სხვა ხელნაწერებში, სადაც მოცემულია ხშირად ერთი და იმავე ტაქპის შინაარსი რამდენიმე სახით, მკვლევარებისათვის არა თუ ერთი, ხუთი ნანუჩაც კი ალარ შეიქნა საქმარისი, და მათ ფართოდ გაულეს პოემის კარები ცველა მისა გადამწერების ვარჯიშობას ვერსიფიკაციაში. საკვირველია, რუსთაველი შეუდარებელი ხელოვნებით ჩამოსხმულ. ტაქპებში ოთხან გვეუბნება — „მე რუსთაველი ვარ, მე ვარ მესხი“ - მაგრამ ეს იშის მკვლევარებს არა სჯერა, ხოლო არჩილ მეფის ზემოთ მოყვანილ ერთ ულაზათთ თქმაში არცერთმა მათგანმა უბრალო უკვიც კი არ შეიტანა.

ეხლა ვიკითხოთ, რას წარმოადგენდენ ეს გადამწერები და რა პირობებში უხდებოდათ იმათ „ვეფხის ტყაოსანის“ გადაწერა? ისინი ცყვნენ მწიგნობრები, უმეტეს შემთხვევაში მწერლობის დიდი მოყვარული ხალხი. „ვეფხის ტყაოსანის“, ისე როგორც სხვა წიგნების, გადაწერა უნითავრესად ისეთი მაღალი პირების დაკვეთით ხდებოდა, როგორც იყვნენ მეფეები და ერისთავები. გაპბედავდენ ასეთ შემთხვევაში გადამწერები, ძალიანაც რომ სდომოდათ, მათ მიერ შეთხეული ტაქპების ჩარევს პოემის ტექსტში, იმ პოემის ტექსტში, რომელიც ბევრმა ზეპირადაც კი იცოდა, რის გამო გაღამწერის მიერ ჩადენილი სიყალბედავეთელს არავითარ შემთხვევაში არ გამოეპარებოდა? რა თქმა უნდა, ვერა. განა დასაშვებია თუნდა ერთი წუთითაც, რომ „ვეფხის ტყაოსანში“ თავის ლექსებს შეიტანდა, მაგალითად, ის ადამიანი, რომელმაც შემდეგ სიტყვები დასწერა:

„...მას უამსა ოდეს ლმთივ გვირგვინოსანი და ყოვლთა ხელმწიფეთა შორის წარჩინებული და წარმატებული მეფეთ მეფე პატრონი შავნავაზ ამიერ სოფლით ალესრულა და დაჯდა მკვიდრსა და ლმთივ დამყარებულსა ტახტსა სახელმწიფოსა ძე მისი ლმთივ დაცული დაფარული, მეტობისა შარავანდედი, პატჟინვალე და უზესთაესი ხელმწიფედ და პატრონაც მეფე გიორგი... სახელ შვენიერმან პატრონმან პატრონთამან უფალმან ჩენმან გიორგიმ — ბაძანება ყო ჩემდა მომართ დაწერად წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსანისა და წარაგო მრავალი წარსაგებელი, ვითარცა საცნაურ პყოფენ თვალნი მხიარულთანი ხელოვნებისა ამის

წიგნისასა და ენება, რათამცა ფრიად კეთილ შვენიერ ყოფილიყო, რომელ არ-  
ცა ფრიად კეთილ და მშენიერ, თვინიერ ხოლო ნაწერისაგან კიდე. ესეცა უწ-  
ყოდით, უფალნო ჩემნო, მრავალნი მეფენი გარდაცვალებულან და არავის შეჯმ-  
კვია წიგნი ვეფხვის ტყაოსანი მზგავსად პატრონისა ჩენისად. განაძლიეროს  
და მრავალი უმიერ ყოს ღმერმან მეფობა, ხელმწიფობა ამისი, ოდესაც ნახვი-  
დეთ, სცნობთ, ვითარცა არს და თქვენცა ბრძანებთ, ვითარმედ კეთილ არსი,  
ხოლო სრულ იქმნა, წიგნი ესე ინდიკტონსა მფლობელისა ჩენისასა მეოთხესა.  
დაუსრულებელ ყვან ღმერთმან ხელმწიფობა მეფის გიორგისა...

ქ. სახელითა ღმრთისათა აღვასრულე ქ'კს ტეტ მე ფრიად ცოდვილშან და  
და სახით ოდენ მდივანმან და საქმეთა ყოველთა მწიგნობართა უნორჩავესმან-  
ბეგთაბეგ "...")

არა ნაკლებ დაუჯერებელია ის აზრი რომ „ვეფხის ტყაოსანში“ თავიანთ  
ლექსებს ურთავდენ ისეთი მისი გადამწერები, რომლებიც ამ გადაწერას ახდენ-  
დენ პირადი ინიციატივით, რათა ეს ძეირფასი განძი მათი ოჯახის საკუთრე-  
ბა და სიამაყე გამხდარიყოს. ცასადია, ეს უკანასკნელები პირდაპირ შეყვარებუ-  
ლები იყვნენ „ვეფხის ტყაოსანში“, ისინი არ ზოგავდენ შრომას და გულმოდ-  
გინებას იმისათვის, რომ გარეგნულადაც კი ასც შეიძლება ლამაზი ყოფილიყოს  
იმათი ხელნაწერი. მათი ბოლო მინაწერებიდან აშკარად სჩანს, თუ რა დიდის  
პასუხისმგებლობით ეკიდებოდენ ისინი თავიანთ საქმეს. საისტორიო და სეით-  
ნოვრაფიო საზოგადოების ხელნაწერს № 99. (გადაწერილია 1646 წ.) ასეთი მი-  
ნაწერი აქვს ბოლოში:

(დიდება) სრულ ყოფელსა ღმერთსა ყოველთა შემწე მფარველსა (ვიწ-  
ყე ესე) ვეფხის ტყაოსანი თიბათვისა ცამეტსა სრულ (ცყავ ათ) თრამეტსა აგვის-  
ტოსა ქ'კსა შამას აცლათოთხმეტსა (თუ) რომ აკლდეს ნურავინ დამწყევლით  
ტყვეობაში( ესწერდი ეს წ)იგნი ოცდა ცხრა რვეული არის ფურცელი ორა(ს  
სამოცდა თო)რმეტი.“<sup>2)</sup>

იმავე საზოგადოების ხელნაწერს № 757 აქვს ვრცელი მინაწერი, საიდა-  
ნაც სჩანს, რომ ის გადაწერილი ყოფილა 1671 წელს. მინაწერში მოყვანილია  
გადამწერის რვა ტავიანი ლექსი, რომელსაც შემდეგ შევეხებით, მრავალ-  
სიტყვიანი ქება-დიდება ღმერთის და ბოლოს ცნობა. კიმის შესახებ, რომ ამ  
„ვეფხის ტყაოსანის“ გადაწერის ღროს გადამწერს შეეძინა შვილი:

„მაშინ ღმერთმან წყალობა მიყო და დაიბადა ჩემი ყმაწვილი დავით ენ-  
კენისთვეს კგ. ქ'კს ტანთ შაბათს კვირაძალს და მაშინვე ალვთქვი მისთვის ეს  
ვეფხვის ტყაოსანი აწე ამას გეხვეწები და გეაჯები ყოველს ამ წიგნის წამკი-  
თხავსა, ვინ გინდა იყვნეთ ადამის ნათესავი, ჩემს შვილს ნურავინ გამოართომთ  
ამ წიგნსა, ჩემი იედგარი არს“...

პირდაპირ ურუანტელი გივლის ადამიანს ტანში, როდესაც ამ მინაწერებს  
კითხულობ. აქ მკაფიოდ ისმის ხაუკუნებში ჩაღუბული ადამიანების მაჯის ცე-

<sup>1)</sup> საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერი № 54. „ვეფხის ტყაოსა-  
ნი“, ს. კავაბაძის გამოცემა.

<sup>2)</sup> იბ. „ვეფხის ტყაოსანი“, გამოცემა ს. კავაბაძის.

მა, მათი წვრილმანი ბედნიერება, პატარა სიყვარული, ოჯახური მზრუნველობა, ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც ადამიანის ცხოვრების 'შინაარსს შეადგენდა შველად და შეადგენს ეხლა. ზემოთ მოყვანილი სიტყვების ავტორები სამასი წლის წინად ცხოვრობდენ. ვინ იყვნენ ისინი? რა სახისანი იყვნენ? როგორ დადიოდენ, როგორ ცინოდენ? არ შეიძლება მათი პიროვნების მესახებ არ დაფიქრდეთ, არ შეიძლება ბოლოს რუსთაველის უკვდავი სიტყვები არ მოგაზიდეთ:

გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ღამისა!

გარდახდეს, გავლეს სოფელი,—ნახეთ სიმუხთლე უამისა.

ვის გრძლად ჰგონია მისთვისცა არის ერთისა წამისა...

დაუფასებელია ამ პატარა ადამიანების ამაგი ქართული კულტურის წინაშე, მხოლოდ მათმა თავდადებულმა შრომამ და პოეზიისადმი ყოვლად უანგარო სიყვარულმა გადაარჩინა დაღუბვას ჩვენი ძველი მწერლობის საუკეთესო ძეგლები საერთოდ და კერძოდ კი „ვეფხის ტყაოსანი“—ეს უკელაზე უფრო მშევნიერი და ქედმაღალი საუნჯე ქართული ლიტერატურის.

„ვეფხის ტყაოსანის“ მკვლევარები კი მაღლობის შეწირვის ნაცვლად უდიდეს შეურაცხყოფას აყენებენ მათ სსოვნას. „უმეცარი“, „რეგვენი“, „ყალბის მქნელი“—აი ის ეპიტეტები, რომლითაც ამქობენ ისინი ამ კეთილშობილი აღამიანების სახელს.

მკვლევარები გასაოცარ თვითნებობას იჩენენ იმის გამორკვევის დროს თუ რა არის პოემაში ნამდვილი და რა ყალბი... აი რასა სწერს პროფ. კ. კეკელიძე პოემის პროლოგისა და ეპილოგის შესახებ: „მკვლევართა შორისაც მათი ორიგინალობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, ვერ შეხვდებით ორს ისეთი მკვლევარს, რომელიც ერთნაირად ფიქრობდენ იმის შესახებ, თუ რამდენი ან როგორი ტაქტი ეკუთვნის პოემის ავტორს. აქ; ერთი ორიგინალურ ტაქტადა სთვლის ერთს, მეორე მეორეს, მესამე მესამეს და ასე. აიხსნება ყველა ეს იმით, რომ მკვლევარნი ზემოდასახელებულ საკითხებს უდგებიან წინასწარალებული აზრით და საკუთარი თეორიით, ამიტომ, თუ რომელიმე ტაქტი უდგება მათს შეხედულებას და თეორიას, ის, მათი აზრით, ორგინალურია, თუ არა და—ყალბი. ამ გზას გვერდი ვერ აუხვია თვით აკად. ნ. მარმაც...“ ჩვენ ჩვენის მხრით უნდა დავუმატოთ, რომ ამას გვერდი ვერ აუხვია ვერც თვითონ პროფ. კეკელიძემ, თუ გვერდის ახვევად არ ჩავსთვლით იმ გარემოებას, რომ მან როგორც პროლოგი, ისე ეპილოგი მთლიანად ყალბად ფამოაცხადა.

მაგრამ არა მარტო პროლოგი და ეპილოგი, არც ერთი ტაქტი თვითონ. პოემის ტექსტიდან დაზღვეული არ არის იმისგან, რომ ხვალ ის. რომელიმე მკვლევარის მიერ ყალბად არ იქნეს გამოცხადებული.

მართლაც პრ. კეკელიძის თქმის არ იყოს, ვერც აკად. ნ. მარი ასცდა ამ გზას. თავის ერთ გამოკვლევაში<sup>1)</sup> ნ. მარი ამტკიცებს, რომ რუსთაველი სიტყვა.

<sup>1)</sup> „Груз. поэма „Витязь в Барсовой шкуре“ Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема“. Петроград, 1917.

ყმას ხშირობს ყველგან მოყმის, რაინდის (კითქვა), მნიშვნელობით, 1) რომ ძველი არსებობდა „რაინდების ინსტიტუტი“ (ინსტიტუტი ვართვენ), რომელიც თავის გამოსახულებას ჰქონდა „ვეფხის ტყაოსანში“. ამ აზრის დამტკიცების საწინააღმდეგო ვის უნდა ექნეს რამე, მაგრამ უბედურება იმაში არას, რომ ეს მტკიცება ძალიან დიდ. მსხვერპლს მოითხოვს რუსთაველის ტაეპების სახით, რაზედაც ჩენ არავითარ შემთხვევაში დათანხმება არ შეგვიძლია. რუსთაველის არც ერთი ტაეპი არ შეგვიძლია გავიმეტოთ ამ ფრიად საინტერესო აზრის დასამტკიცებლად. საერთოდ არ არსებობს ისეთი აზრი, რომლისთვისაც ლირდეს რუსთაველის დადგება პროკრუსტის საწოლშე და მისი გრძელი სხეულის დასახისრება. 6. მარს მოპყავს ტაეპი „ყმა მეფისა ბრძანებასა“, რომელიც მას ნამდვილად მიაჩნია, და შემდეგ ორი მომდევნო ტაეპი: 1) „კვლავ უბრძანა თავსა ჩემსა... და 2) „უბრძანა რამცა ვიწყინე... რომლებიც მას „უკველად ყალბად“ მიაჩნია 2) ასეთივე დაბეჯითებით აცხადებს იგი ყალბად იმ ტაეპებს, სადაც აღწერილია როსტევანის და ავთანდილის შეჯიბრების პირობები იმ მოსაზრებით, რომ აქ შემფასებლებად დანიშნულნი არიან მონები, ხოლო 6. მარის ასრით კი მოყმენი უნდა ყოფილიყვნენ მოწვეული ერთგვარი უიურის სახით. რა თქმა უნდა, ეს ტაეპებიც უდაოდ რუსთაველს ეკუთვნის, მაგრამ დავუშვათ, რომ ისპინი ყალბია, პატივცემული მკვლევარის მტკიცების საქმე მაინც ცუდად იქნება: როდესაც თავანდილი ტარიელს შეეყრება პირველად ასმათან, ის ეუბნება მას:

თუკა არ მიცნობ, გინახავ, თავი ვით გრაზრებია;

გახსოვცა ოდეს დახოცენ მონები არ საპყრებია?

და კიდევ იქვე:

1) ყველაკასა მათრახითა თავი უსრმლოდ გარდავკვეთეთ;

2) ვითა ქაჯი დაგვემალე, მონებიცა დავაფეთოთ;

მაშ ეს ადგილებიც ყალბი ყოფილა, ვინაიდან აქ ლაპარაკი სწორედ იმ თორმეტ მონაბ შეეხება, რომლებიც როსტევანმა და ავთანდილმა ნაღირობის დროს იახლეს თან როგორც ისრების მიმწოდებლებად, ისე ნანადირევის დამტვრდებად.

სწორედ ამგვარადე იქცევა ი. აბულაძეც. მოვრყვანთ მისი წიგნიდან „შესწორებანი და შენიშვნანი ვეფხის ტყაოსანის მე-2-ე გამოცემის შესახებ“. ერთ ადგილს იმის ნიმუშად, თუ რამდენად უსამართლოდ ექცევა პოემის ტექსტს პატივცემული მკვლევარი მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ აუცილებლად დამტკიცოს თავისი წინასწარ აღებული აზრი: „ამ 82-ე ხანისათვის სრულიად ბუნებრივად წაუმატებია ყალბის მქნელს 83-ე ხანა, სადაც მეფე მეტის

1) ნამდვილად კი რუსთაველი ამ. სიტყვას ორი მნიშვნელობით ხმარობს: ყმა „ვეფხის ტყაოსანში“ ხან მართლაც მოყმეს ნიშავს, ხან კი ჩევულებრივ ყმას—მონას.

2) ჩენ კი ვსთვლით მათ უკველად რუსთაველის მიერ დაწერილ ტაეპებად, თუნდაც იმიტომ, რომ პირველის ალიტერაციის კოეფიციენტი უდრის 43, ხოლო მეორეს ორი პირველი სტრიქიანი შეიტანას რუსთაველისათვის ისეთ დამახასიათებელ გამორებას, რომ არა რჩება არა-ვითარი ეჭვი მათ სინამდვილეში:

უბრძანა რამცა ვი წყინე, თქმა შენგან სა წყინ არისა,

ჭუიცა მ ჟე თიხაონისა მის მ ჟე ისა მოწუნარისა.

შეტად ახირებულად იქცევა: იმის ნაცვლად, რომ შეწუხებულიყო უმის ვერ პოვნით და სურვილის ვერ. მიღწევით, იგი, პირ-იქით, „სხიარულია თამაშობას აღიაღებს,“ მხიარულობასა და გართობას ეძლევა. რაც კი ქვეყანაზე მოსანი და მუშაითი იყო, იხმობს, დარბაზი აიგსება მოწვეულებით და მეფის სიუხვეს ენა ვერ გამოსთქვამს. მეფის საქციელის ამგვარი ახირებულობა და უცნაურობა მით უფრო საგრძნობაა, რომ იგი სრულიად ართმევს თინათინს მორიგე. მოიწვიოს „ავთანდილი და მას დააგალოს უცხო ყმის მონახვა.... მაშასადამე ყოველ ცქვს გარეშეა, რომ ხანები 82 და 83 ეკუთვნის იმ რედაქტირის პირველ შემცემების ხელს, რომლისგან წარმოსდგა ვახტანგის გამოცემა, და თუ ეს ასეა, მაშინ 81-ე ხანაც მეტ ბარგად უნდა ჩაითვალოს, რადგან 80-ე ხანაში აზრი უკვე უშეტნაკლებობა და დათვებული.“

ჩვენ არა გვჯერა, რომ იუსტინე აბულაძემ, რომელიც „ვეფხვის ტყაოსანის“ ერთი საუკეთესო მცოდნეთაგანია, უყურადღებოდ დასტოვა იქვე 84-ე ტაეპი, სადაც ავთანდილის შესახებ ნათქვამია:

იმღერდს და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი.

როგორ „იმღერდა და იხარებდა“ ავთანდილი თუ შეფერ მართლა არ მოილებინა, როგორც ამის 83-ე ტაეპები ავგიწერს? <sup>1)</sup> აშკარა არის, თუ იუსტინე აბულაძის შეხედულება გავიზიარეთ, ყალბად უნდა გამოვაცხადოდ ეს ტაეპიც და მას კიდევ მივაყოლოთ სხვები, რომლებიც მასთან ორგანიულად არიან დაკავშირებული. ასე თუ გავყევით „ვეფხის ტყაოსანიდან“ ჩვენ ბევრი აღარიავერი დაგვრჩება. ბოლოს მიეიღებთ იმ ახირებულ დასკვნას, რომ ყველა ყალბის მქნელები დიდებული პოტები ყოფილია და მხოლოდ რუსთაველი დაუსჯია ბუნებას სრული უნიჭებით.

არ არის საჭირო დიდი თავის გამოდება იმის დასამტკიცებლად, რომ ყველა ეს „უეჭველად ყალბი“ ტაეპები დაწერილია უეჭველად რუსთაველის მიერ. ამ უამად ჩვენ უფრო გვაინტერესებს ის ტაეპები, რომლებიც გაბნეული არიან „ვეფხის ტყაოსანის“ სხვა და სხვა ხელნაწერებში და პოემის საერთოდ მიღებულ ტექსტში არ შედიან. გატავიდეთ ამ ტაეპების განხილვაზე.

ავილოთ ამისათვის „ვეფხის ტყაოსანი“, გამოცემული კავაბაძის მიერ. ამ გამოცემაში მოყვანილია ყველა ტაეპები „ვეფხის ტყაოსანის“ სხვადასხვა ხელნაწერებიდან შემდეგი წესით: ის ტაეპები, რომლებიც გამომცემელს ნამდვილად მიაჩნია, მოთვალისწინებულია ზემოთ (ზედა სართულის ტაეპები), ხოლო ყალბად მიჩნეული ტაეპები კი ქვევით (ქვედა სართულის ტაეპები). დალაგებაში ბევრი შეცდომებია, მაგრამ ამის შესახებ როიოდე სიტყვას ვიტყვით შემდეგ, ჯერ კი ეს წიგნი გვაინტერესებს, როგორც „ვეფხის ტყაოსანის“ ყველა ტაეპების შემცველი წიგნი.

თუ გამოვაკლებთ პროლოგს, რომლის შესახებ ჩვენ წინა თავში საკმაოდ ვიღაპარაკეთ და რომელიც ს. კაკაბაძეს ძეტად არეულად აქვს დალაგებული, ჩვენ დაგვრჩება ამ წიგნში 503 ტაეპი მოქცეული ქვედა სართულში, ესე იგი მიჩნეული ყალბად: ეს ტაეპები (რამდენიმეს გამოკლებით) არ შედის „ვეფხის

<sup>1)</sup> ჩვენად მოლხენა შეეძლო ავთანდილს ცხოვრებაში, მაგრამ პოემაში ეს არ შეიძლება.

ტყაოსანის<sup>4</sup> არც ერთ გამოცემაში. ბევრი მათგანი წარმოადგენს ზედა სართულის ტაქპების შრნარსის სუსტ გამეორებას და რა თქმა უნდა, არც შეიძლება რომ მათ ადგილი დაეთმოთ პოემის ტექსტში. მაგრამ მაშინ როდესაც ამ ტაქპებს „ვეფხის ტყაოსანის“ მკვლევარები გა და მშერების მიერ შეთხულ ტაქპებად აღიარებენ ერთ ხვად, ჩვენ ერთმა თვალის გადავლებამ მათზე ღრმად დაგვარწმუნა, რომ ყველა ეს ტაქპები წარმოადგენენ თვითონ რუსთაველის მიერ დაწერილსა და შემდეგ მისგანვე გადაკეთებულ ტაქპებს. იმისთვის ვინც, პოეტურ შემოქმედებაში ასე თუ ისე გამოცდილია, ვინც იცის მაგალითებით, თუ როგორ და რა მიზნით ასწორებს ხოლმე პოეტი თავის ლექსებს, საკმარისია, ვიმეორებთ, ამ ტაქპებზე მხოლოდ ერთი თვალის გადავლება, რომ ის სავსებით დარწმუნდეს ზემოთ გამოთქმულ აზრში<sup>5</sup>.

ესეც არ იყოს, როგორ შეიძლება ავხსნათ სხვაგვარად ერთი და იმავე ტაქპის რამდენიმე ვარიანტის არსებობა. დავითიშვილი ის ზოგადი მოსაზრება, რო შელიც ზემოთ „ვეფხის ტყაოსანის“ გადამშერების შესახებ ითქვა, მით უმეტეს, რომ არც ერთი ჩვენ მიერ წამოყენებული მთავარი დებულება ამ გამოკვლევაში ზოგად მოსაზრებას არ ემყარება, და დაუშვათ, რომ გადამშერებს შექონდათ ვეფხის ტყაოსანში საკუთარი ტაქპები. ამ შემთხვევაში გადამშერები რუსთაველის ტაქპების გადამახინჯებას კი არ მიჰყოფდენ ხელს, ისინი სხვა. შინაარსის ტაქპებს შეიტანდენ შაგ. რომელი ჭეკუათ მყოფელი ადამიანი გადასწორებდა, მაგალითად, ქვემოდ მარცხნით მოყვანილ ტაქპებს ისე, როგორი სახითაც ისინი მარჯვნით არიან მოყვანილი:

### ტაქპები ზედა სართულიდან:

იყო არაბეთს როსტევან  
შეფე ლვთისაგან სვიანი  
მაღალი, უხვი, მდაბალი,  
ლაშქარ მრავალი ყმიანი,  
მოსამართლე და მოწყალე,  
მორჭული განგებიანი,  
თვით მეომარი უებრო,  
კვლავ მოუბარი წყლიანი.

### ტაქპები ქვედა სართულიდან<sup>6</sup>:

1. იყო არაბეთს მე ფობა  
მე ფისა როსტევანისი  
მას ჰქონდა სპარსთა ქვეყანა  
მართ ვითა შანშეს ანისი;  
უძრწის და მონებს ყოველი,  
ხელთა აქვს მას საბრძანისი;  
თქვეს თუ ხამს ხელთა პატრონად  
ან ალექსანდრე, ან ისი.
2. აწყა დავითშვილი ამბავი  
მის ხელმწიუისა ზენისა  
არაბეთს როსტენ პატრონი,

<sup>1)</sup> როდესაც ეს მოსაზრება გამოესთქვით მოსხენებაზე, ბაშინ. ჩვენ ვემყარებოდით მხოლოდ რამდენიმე ტაქპს და ჩვენს განცხადებას ჰქონდა მიხვედრას სასიათ. თითქმის ყველა ის მასლები, რომელიც მოყვანილია აქ ამ შეხედულების დასამტკიცებლად ნაყოფია მოხსენების შედგომ ამ მიმართულებით წარმოებული მუშაობის.

<sup>2)</sup> ამ მხარეზე მოყვანილ ტაქპებში ხაზგასმულა ზოგიერთი რუსთაველისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი აღიტერაცია და სიტყვის გამეორება.

მჰყრობელი სპა მოსპენისა;  
მას ესვა ქალი მნათობი,  
თვალთა თუთა დენისა,  
შემხედთა სულის წამლები  
ვკრ მხედთა აძაგზენისა.

მისი სახელი თინათინ—  
არს ესე საცოლნარია,—  
რა გაიზარდა, გაივსო  
მზე მისგან საწუნარია.  
შეფეხმან იხმნა ვაზირნი,  
თვით ზის ლალი და წყნარია,  
გვერდსა დაისვა, დაუწყო  
მათ ამო საუბარია.

უბრძანა: „გქითხავ საქმესა,  
ერთგან სასაუბაროსა:—  
რა ვარდმან მისი ყვავილი  
გაახმოს, დაამჭინაროსა,  
იგი წავა და სხვა მოვა  
ტურფასა საბალნაროსა,—  
მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭირეტთ  
ლამესა ჩვენ უმთვაროსა.

რა შეფეხ დასმა შეფეხმან,  
ბრძანა მისისა ქალისა,  
აეთანდილს მიხედა სი. მე,  
ვსება სჭირს მი სოქალისა.  
სთქვა: „ზედა-ზედა მომხედების  
ნახვა მის ბროლ ფიქალისა,

როსტევან უხმნა ვაზირნი,  
უბრძანებს თუცა ფარულად:  
მე ძე არ მამცა სოფელმან,  
კიდეც მისთვის ვარ მალულად,  
ამ ჩემთა სპათა თავადად,  
შემტევებელი ქარულად,  
მოლხინე, მოასპარეზე,  
გამთენებელი დარულად.

თვალი უმზეოდ ბრალია,  
თუმცა შეეყრას ჩრდილოსა <sup>1)</sup>.  
თქვენ იცით, რომე ჭმუნვას ვარ  
ძნელსა, არ სააღვილოსა <sup>2)</sup>.  
ვაჟი არა მყავს, ქალია  
მართ ჩემსა საგაზრდილოსა,  
ასე მით მხედავთ, მუნ იტყვი  
სიტყვასა სალრეჯილოსა.

ავთანდილს მისით შორს ყოფით  
შეექრა თვალნი ბლეტითა,  
იამა ქალის შეფობა  
სიხარულითა მეტითა;  
იტყვის: ხანდისხან საუბრად  
მივალ გულითა რეტითა,

1) აქ ოდნავ არია ჩასახული ის აღლებორია, რომელიც რუსთაველს ბოლოს ასე მკაფიოდ გამოუთქვამს: „მზე ჩაგვისვენდა, ბნელსა ვსჭირეტ, დამესა ჩვენ უმთვაროსა“. შემოქმედების ფს-ხოლოგის თვალსახროთ ეს მეტად დიდი ფაქტია. ეს რომ სხეისი გადაეცეცული იყოს, მა- შინ აქ ასეთი შორეული მზგანება კი არ იქნებოდა, გადამკეთებელი ან უცვლელად გაიმეორებდა ან ტლანქად გადაკეთებდა რუსთაველის ნათქვამს.

2) „ნეელსა, არ სააღვილოსა“—ურარუფითი გამოთქმის ტიპიური ფორმა „ვეფხის ტყაო- სანში“. ეს შენიშნული აქეს იქა ბ. მარს თავის ზემოდ დასახელებულ ნაშრომში:

„Так—очень излюблен у Шоты параллелизм отрицательный, т. е. такое двоякое или двухчленное выражение одного и того же понятия или одной и той же мысли, в котором один член построен отрицательно, напр.:“

1. მის მოყვრისა მოშორება კულა აბირდებს, არ ადილებს.
2. იგი ნავი მეკობრეთა მას დღეს ნახეს არა ხვალეს.
3. ნაკეთად კარ ი, შავგრემანი, პირმსუქანი, არ ჭირხმელი“.

ნუთუ ვერ გპოვო წამალი  
მე ჩემი ფერ გამკრთალისა!“

ალაფობდეს საჭურჭლესა  
მისსა, ვითა ნათურქალსა,  
მას ტაიშა არაბულსა  
ქციაბამსა, ნასუქალსა,  
რომე გვანდა სიუხვითა  
ბუქსა ზეცით ნაბუქალსა...

კვლავ ბრძანა: „მონა თორმეტი  
შევსხა ჩენთანა მარებლად;  
თორმეტი ჩემად ისრისა  
მომრთმევლად მოსახმარებლად,—  
ერთაი შენი შერმადინ,  
არს მათად დასახარებლად,—  
ნასროლ ნაკრავსა სთვლილიან  
უმტყუვრად, მიუმცდარებლად“.

კვლა ზედა-ზედა შევხედავ,  
ვალხინებ თვალთა ჭვრეტითა.

აწ ნახეთ მეფე თინათინ  
და მისთა შუქთა შუქობა  
რომე მისებრივ სიუხვე  
ბუქსა თუ ჰქონდა ბუქობა  
მართ იმა დღისა მნახველსა  
არსად ეთქმოდა უქობა...

მეფე უბრძანებს: კაცი ხამს  
ჩენთა ნაკრავთა მთვალავად;  
ნაკოლთა შემაღარებლად  
და მეფეართა არ დამმალავად;  
სხვანი ისრისა მმართავად,  
მომრთვმელი არ ღაფალავად,  
შენთა ნაკრავთა მართლად თქმა,  
სხვათაავის არ დამმალავად.

საჭირო არ არის მეტის ამოწერა. ასე პარალელურად მისლევს ზედა სარ-  
თულის ტაეპებს ქვედა სართულის ტაეპები მთელი პოემის მანძილზე. ზოგან ის,  
რაც ზევით რამდენიმე ტაეპშია ნათქვამი (მაგალითად არაბებისადმი როსტევა-  
ნის ბრძანება და, მათი მოსელი), ქვევით ჯამოთქმულია ერთ ტაეპში.  
არის ადგილები, საღაც პოემის ზედა ტაეპებს აღარა აქვს ქვევით პარალელური  
ტაეპები. არ არის არავითარი ეჭვი, რომ აქ ადგილი აქვს გადაჯეთებას, მაგრამ  
გადაკეთებულია არა ზედა ტაეპები ქვედა ტაეპებად, როგორც ამას მკვლევა-  
რები ფიქრობენ, არამედ, პირიქით, ქვედა სართულის ტაეპები გადაკეთებულია  
თვრთონ რუსთავლის მიერ ზედა სართულის ტაეპებად. არავინ იფიქროს მხო-  
ლოდ, რომ ვითომც რუსთაველა დასწერა ერთ დღეს ქვედა სართულის რომელი-  
მე ტაეპი, მეორე დღეს აღარ მოეწონა და გადაკეთო მაშინავე ისე, როგორი სა-  
ხითაც ის ზემოთ არის მოყვანილი. არავითარ შემთხვევაში. იმ ტაეპებ შორის  
მაგალითად, რომლებიც ჩენ ზევით ორ სვეტად მავიყვანეთ და რომლებსაც აქ  
რაღაც 1—2 სანტიმეტრი აშორებს ერთმანეთს, რუსთაველის შემოქმედებაში ჩა-  
წოლალია, სულ მცირე, 15—20 წლის დაუღალავი და წარმტაცი მუშაობა  
ლექსზე\*).

ძალიან ბევრი კურიოზების დაშვება მოგვიძება თუ ჭოველივე ის, რასაც

\* ) არ არსებობს სხვა თერმინი, თორმე სიტყვა „მუშაობა“ მეტად შეუფერებელია ნამდვი-  
ლი პოეტის შემოქედვითი პროცესის გამოსახატავად: ყოველ შემთხვევაში, რუსთაველის მუშა-  
ობა არ უნდა გვესმოდეს ისე, თითქოს ის რფლში გაწურულა თავს აკლავდა სტრიქონების გა-  
მართვას. პოეტი „მუშაობს“ პოლმე ლექსზე მაშინაც კი, როგორც ის უსაქმუ: ად დაეხეტება ან  
ორცებაში არაებს დროს. ხშირად ხდება, რომ თვითონ პოეტი ვერ ხდავს თავის მუშაობას,

„ვეფხის ტყაოსანში“ აქვს ამ შეჩით ადგილი, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ ყალბის ქველობით აეხსენით. მაგალითად, ზოგიერთი ცალკე ტაეპები, ოოგორც ზევათ ითქვა, გადაკეთებულია რამდენჯერმე. ავილოთ თუნდა ტაები: „გასრულ და მათი ამპავი, ვითა სიზმარი ლამისა“. ამ ტაებს აქვს ხუთი თუ ექვსი სხვადასხვა რედაქცია. შევლევართა უმეტესი ნაწილი თვითი ამ ტაებსა სთვლის ყალბად. ამ შემთხვევაში აი რა გამოდის: რუსთაველს გასჩენია ვილაც ყალბისმქნელი, რომელსაც ეს ტაები შეუტანია მის პოემაში, ამ ყალბისმქნელს გამოსჩენია თავის მხრით ხუთი სხვა ყალბისმქნელი და. მათაც შეუტანიათ თითო ასეთი გაცილებით უფრო მღარე ლირსების ტაები „ვეფხის ტყაოსანში“. ეს ისე-ოი ფანტასტიური ზღაპარი, რომ ცნობილ ანდერსენსაც კი. არ მოუვიდოდა მისი მზგავი თავში.

მაგრამ „ვეფხის ტყაოსანში“ გადაკეთებულია არა მარტო ცალკე ტაეპები, რუსთაველს, თუ რამდენჯერმე არა, ერთხელ მაინც რადიკალურად გადაუმუშავებია მთელი თავისი პოემის შინაახსი. ჩვენი აზრის დასამტკიცებლად ჩვენ რა თქმა უნდა, საკმაოდ არ მიგვაჩინია ყოველივე ის, რაც ზემოთ ითქვა, საჭიროა დეტალური შესწავლა ორ ივე სართულის ტაეპების ალიტერაციისა და სიტყვის გამეორების თვალსაზრისით. ვიღრე ასეთ მუშაობას შევუდგებოდეთ, აუცილებლად მიგვაჩინია ყურადღება მივაჭიროთ ერთ გარემოებას. ს. კაკაბაძის გამოცემით „ვეფხის ტყაოსანის“ ამბავი იქ კი არა თავდება, სადაც სხვა გამოცემებში, ესე იგი ქორწილით არაბეთის მეფის კარზე, არამედ გაცილებით უფრო შორს—ტარიელისა და ავთანდალის სიბერით, მათი ანდერძებით და მათი სიკვდილით. „ვეფხის ტყაოსანის“ ყველა მევლევარები, გარდა ს. კაკაბაძისა, ამ თავებს სთვლიან ყალბისმქნელების მიერ შემდეგ მიმატემულ თავებად, სარგის კაკაბაძე ამის შესახებ სრულიად სამართლიანად სწერს შემდეგს: „ვახტანგისეულ რედაქციაში „ვეფხის ტყაოსანის“ ამბავი თავდება ტარაელისა და ნესტან დარეჯანის ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ავთანდილისა და თინათინის ქორწილით. ამ შემთხვევაში „ვახტანგისეული რედაქციის დაბოლოება— „გასრულდა მათი ამბავი ვითა სიზმარი ლამისა, გარდახდეს, გავლეს სოფელი, ნახეთ სიძუხთლე ჟამისა!“ ფრიად უკნაურად სჩანს, რადგან ამ რედაქციაში პოემის გმირთა მიერ სოფლის გარდახდის და გავლის შესახებ არაუქრია ნათქვამი. ხოლო ეს ადგილი უცნაურად არ მოვერჩენება, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ეს ტაები ამოლებულია ვრცელი რედაქციიდან, საჯავაც პოემის გმირთა ამბავი მათ სიკვდილამდე არის მიყვანილი“. მართალია ეს აზრი, მაგრამ არა ნაკლებ მართალი იქნება ის მოსაზებაც, რომ, თუ რუსთაველმა რაიმე მიზეზით საჭიროდ დაინახა თავისი პოემის სიუჟეტის საბოლოო დამუშავების დროს (შეიძლება უფრო ადრეც) ამ ბოლო თავების მოხსნა, ის მოხსნიდა მათ, ხოლო ტაებს „გასრულდა მათი ამბავი ..“, როგორც ისეთ შესანიშნავს, რომლის შესადარებელი მთელს „ვეფხის ტყაოსანში“ სულ რამდენიმე თუ მოინახება, მაინც დასტოვებდა, ვინაიდან ასეთ სრულყოფილ სტრიქონებს პერტები საერთოდ გადასაგდებად ვერ იმეტებენ. თუ რა მოსაზრება უნდა ჰქონდა რუსთაველს პოემის ზემოაღნიშნული ბოლო თავების მოხსნისათვის, ამის შესახებ ლაპარაკი გვექნება ქვევით, ჯურ

კი იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ ჩოგორუ ზედა, ისე ქვედა სართულის ტაე-  
პები თვითონ რუსთაველის მიერ არის დაწერილი, გადავიკითხოთ ორივე რიგის  
ტაეპები და აღნიშნოთ მათი სართო თვისებები. გვაქვს საბუთი ვრფიქროთ,  
რომ რუსთაველმა ძალიან ახალგაზდაშ დაიწყო თვისი პოემის წერა, ის მაშან  
იმგვარადვე „უწვერულო“ უნდა ყოფილიყოს, როგორუ მისი გმირები—ტარიელი  
და ავთანადილი. მწერლის სტილი კი მუშავდება თანდათან. ცხადია, რომ ჩვენ მიერ  
ზემოთ შენიშნული რუსთაველის სტილის ნ. შენები „ვეფხის ტყაოსანის“ ქვედა  
სართულის ტაეპები უფრო ნაკლები და მარტივი უნდა იყოს, ვიდრე ზედა  
ტაეპებში. თვით ამ ქვედა სართულის ტაეპებ შორის უნდა იყოს ამ მხრით გან-  
სხვავება, ვინაიდან ისნი სხვა და სხვა დროს არიან დაწერილი, მათ ჩამოყალი-  
ბებას ხშარად მთელი წლები უნდა აშორებდეს ერთმანეთს. აქვე უნდა შევნიშ-  
ნოთ, რომ ქვედა სართულში არის ბევრი ისეთი ტაეპებიც, რომლებიც ატარე-  
ბენ რუსთაველის სტილის. ურთულეს ნიშნებს, და შეიძლება ზოგი მათგანი ვით-  
ხის ტყაოსანის“ უკანასკნელ რედაციაშიაც შედიოდა. ავრლოთ ჯერ „ვეფხის  
ტყაოსანის“ ზედა სართულის ტაეპები შესავალიდან დაწყებული ჩვეულებრივად  
მიღებულ ბოლომდე, ესე იგი 1527 ტაეპამდე ჩათვლით 1). დავყოთ ეს 1527  
ტაეპი ორას-ორას სტრიქონად (50 ტაეპი) და დავითვალოთ ყველგან ჩაც სი-  
ტყვის გამეორება შეგხვდება. სულ იქნება 30 სრული ნაწილი (თითო ნაწილში  
50 ტაეპი) და კიდევ 27 ტაეპი. აი ეს ანგარიში: I—45 (სიტყვის გამეორება);  
II—21; III—36; IV—36; V—31; VI—30; VII—15; VIII—21; IX—27; X—37;  
XI—30; XII—19; XIII—48; XIV—51; XV—47; XVI—61; XVII—55; XVIII—56;  
XIX—46; XX—43; XXI—37; XXII—35; XXIII—42; XXIV—33; XXV—37;  
XXVI—41; XXVII—30; XXVIII—28; XXIX—32; XXX—29; XXXI (27 ტაეპი)—16.  
სულ 1121 გამეორება; საშუალოდ 36 გამეორება ყოველ ორას სტრიქონზე<sup>2)</sup>.  
ეს საშუალო რიცხვი 36 (ნამდვილად ის ცოტა მეტი უნდა იყოს, ვინაიდან, რო-  
გორუ შემდეგ შეგამჩნიეთ, აქა იქ გამოგვრჩა გამეორება) ისეთივეა, როგორიც  
ამ ნაშრომის მეორე თავში მივიღეთ, მაგრამ ჩვენთვის სრულიად მოულოდნელი  
შეიჩნა მათი ასეთი უსწორ-მასწორი განაწილება პოემის სხვა და სხვა ნაწილში.  
ეს გარემოება მეტად სინტერესოა და დიდნიშვნელოვანი, მაგრამ ამის შესა-  
ხებ ჩვენს მოსაზრებას შემდეგ გამოვსთქვათ. ჯერ კი მოვახდინოთ სიტყვის გა-  
მეორების ასეთივე დათვლა ქვედა სართულის ტაეპებში (მთლად, გარდა პროლო-  
გისა). აი ეს ანგარიში:

I—22; II—19; III—25; IV—22; V—36; VI—17; VII—24; VIII—15; IX—21;  
X—10; XI—(53 ტაეპი)—15. სულ 241. საშუალო—22. ამდენ გამეორების ორას

<sup>1)</sup> ვგულისხსობთ ამ თავში ყველგან ს. კავაბაძის გამოცემას.

<sup>2)</sup> მოხსენებაზე ჩვენ განვაცხადეთ, რომ „ვეფხის ტყაოსანში“ იქნება დაახლოებით 1200 გა-  
მეორება სიტყვის. მაშინ ჩვენ დემყარებოდით მხოლოდ შეორუ თევზი მოყვანილ / იფრებს. თუ  
მხედველობაში მიეღილეთ, რომ დაახლოებით 60—80 გამეორება გამოგვრჩა დათვლის დროს, რა-  
გან სხვა ნ. შენ საც ვაძლევდით ყურადღებას, მაშინ შეიძლება ითქვას, წინასწარი გამოანგარიშება  
(საშუალო ხუთ სტრიქონზე ერთი გამორება) საგებით გამართუ და.

სტრიქონზე ვერ შეხვდებით სხვა მწერლის ლექსებში. „შაპ-ნამეში“, რომელიც სხვა და სხვა პოეტების მიერ არის შაირით ნათარგმნი, სიტყვის გამეორება გვხვდება როგორც იშვიათი მოვლენა.

შევაჩნიეთ, რომ რუსთაველი ყველაზე უფრო ხშირად იმეორებს შემდეგ სიტყვებს სხვა და სხვა გრამატიკული ფორმით: მზე (მზე—მზისა, მზემან—მზესა და სხვ), ზრდა (გაზრდილი—გამზრდელს, გამზრდელნი—ზრდილნი), მიჯნუ (მიჯნური—მიჯნურობდეს, მიჯნური—მიჯნურს), ჭირი (ჭირი-ჭირსა, ჭირმა-ჭირი). ამავე სიტყვების გამეორება გვხვდება ხოლმე ქვედა სართულის ტაეპებშიც. მაგრამ ყველაზე უფრო ნიშანდობლივია რუსთაველისათვის სიტყვა „ქმნა“-ს გამეორება (ვიქმ საქმესა, ვქმენ საქმენი, ქმნა საქმისა და სხ.) და ორი სიტყვის „მართ ვითა“-ს ერთად ხმარება<sup>1)</sup>. ჩემოთ მეორე თავში, დასახელებულ თეიმურაზის, არჩილის, გურამიშვილის და ბესიკის ორას-ორას სტარიქონში ეს ორი რამ არა გვხვდება არსალ, გხოლოდ არჩილ მეცეს აქვს ერთი ასეთი სტრიქონი, სადაც სიტყვა „ქმნა“ მეორდება: „ვის მქნე ელსა ასე უნდა: არ იქნება ჩემი ნალა!“ ჩენ გადავიკითხეთ, გარდა ამისა, გურამიშვილის „გურამიანი“ (შემოკლებით იმავე წიგნში) „შაპ ნამეში“, „როსტომისა და ზურაბის ამბავი“ (1288 სტრიქონი), მთელი „აბდულ-ძესია“ შავთელის (864 სტრიქონი) და არსალ არ შეგვხვედრია არც „ქმნა“-ს გამეორება და არც „მართ ვითა“ („თამარიანში“ გვხვდება უკანასკნელი) „ვეფხის ტყაოსანში“ კი, როგორც ერთი, ისე მეორე, ძალიან ხშირად შეგხვდებათ. აი იმ ტაეპების ნომრები, სადაც „ქმნა“ მეორდება:

ზედა სართულში—2, 3, 42, 47, 102, 140, 154, 171, 173, 245, 267, 366, 403, 441, 632, 666, 720, 747, 752, 775, 832, 857, 892, 1146, 1246, 1294, 1295, 1327, 1349. სულ 29, 1528 ტაეპში.

ქვედა ცართულში—85<sup>1</sup>—ზ, 308<sup>4</sup>—ზ, 317<sup>1</sup>—ით, 549<sup>2</sup>—ზ, 711<sup>4</sup>—ზ, 976<sup>2</sup>—ვ, 1397<sup>3</sup>—ვ, 1453<sup>1</sup>—ვ, 1537<sup>6</sup>—იდ, სულ 9 503 ტაეპში (პროცენტულად თითქმის იმდენივე).

„მართ ვითა“: ზედა სართულში—17, 48, 98, 143, 207, 418, 454, 548, 557, 589, 1192, 1207, 1214, 1221, 1230, 1275, 1299, 1303, 1316, 1369, 1372, 1507, 1523. სულ 23.

ქვედა სართულში—26<sup>1</sup>—იბ, 291<sup>1</sup>—დ, 631<sup>1</sup>—ბ, 1561<sup>1</sup>—დ, 1561<sup>2</sup>—დ, 1561<sup>3</sup>—ლ<sup>2</sup>), 1721<sup>18</sup>—იზ, 1730<sup>5</sup>—ია, 1742<sup>9</sup>—იბ. სულ 9 (პროცენტულად ცოტა მეტი ვიღრე ზედა სართულის ტაეპებში).

1) აი ორივეს მაგალითი პროლოგიდან;

1. მ რუსული ხელობითა ვიქმ საქმესა ამადარი.

2. მიჯნ რსა თვალად სიტურუჟ მართებს მართ ვითა მზეობა.

2) ეს სამი ტაეპი ერთად არიან, აი ამ ტაეპების სტრიქონები, სადაც „მართ ვითა“ გვხვდება:

1. ადრე გამიტყდა სოფლი, მართ ვითა კამათელნია.

2. შეშენებული საბრალო დუღდა მართ ვითა ქვაპია:

3. თავები დასჭერ, ადინე სისხლი მართ ვითა ღვარია.

სულყველა, ის შანსი გვაქვს იმისათვის, რომ განვიცხადოთ: ეს სტრიქონები დაწერილია რუსთაველის მიერ.

ალიტერაციისათვის რუსთაველი ზოგიერთ სიტყვას ერთმანეთს არ აშო-  
რებს. მაგალითად, ცეცხლი და ცრემლი თითქმის ყოველთვის ატარებენ ეპი-  
ტეტრა „ცხელი“; პოემა მი შეკვედებათ ხშირად ერთად „ჩალანა და ჩანგი“, „სრა  
ჭრული“, „შუტრიბნი და მომლერალნი“<sup>1)</sup>) დას გამეორების მიზნით „ვეფხის  
ტყაოსანში“ სადაც ნათქვამია „დღე“, იქ თითქმის ყოველთვის „დამეც“ არის.  
აზრის მხრით ეს არა თუ საჭირო არ არის ყველგან, ზოგან ვნებს კიდეც მა-  
გალითად:

უშენოდ მყოფსა დამე და დღეცა მესალამების.

ცხალია, აქ „დამე“ ზედმეტია, ვინაიდან უაზრობა გამოდის „დამე მესა-  
ლამების“, მაგრამ რუსთაველის წარმოდგენაში ეს ორი სიტყვა ასოციაციის  
ისეთი მტკიცე კავშირით არის ერთმანეთთან შეკრული, რომ ის იმათ ერთად  
ტმარობს ხოლმე იქაც კი, სადაც ეს საჭირო არ არის. ეს ნაშენები შეგხვდებათ  
როგორც ზედა, ისე ქვედა სართულის ტაეპებში.

მეტად საინტერესო და ნიშანდობლივია კიდევ ერთი მოვლენა „ვეფხას  
ტყაოსანში“. იშვიათად (თითქმის არსად) თუ იხმარს რუსთაველი რომელიმე  
რიცხვს ისე, რომ ის ლიტერაციით არ შეჰქრას სხვა სიტყვასთან სტრიქონში<sup>2)</sup>.  
რა თქმა უნდა, არა მარტო რუსთაველი, ყოველი დახელვნებული პოეტი გა-  
მოიყენებს იმ შემთხვევას, როდესაც მას საშუალება ეძლევა რამდენიმე რიცხვში  
ერთი რომელიმე აირჩიოს: ის უეჭველად იმ რიცხვს აირჩევს, რომელიც თავის  
უაზრობა გამოხატულებაში უურო მისალები იქნება მისთვის ფონეტიკური თვალ-  
საზრისით. სამაგიეროთ ზედმეტია იმის მატკიცება, რომ უბრალო დილეტანტი  
პოეზიაში: ვერავითარ შემთხვევაში ამას ვერ შესძლებს, ვინაიდან მთელი მისი  
ყურადღება მიქცეულია შხოლლი იქით, რომ როგორმე დასძლიოს მეტრის და  
რითმის სიძნელე ლექსში. რუსთაველი კი ამ შემთხვევაში იმდენად დაკვირვებუ-  
ლია, რომ პირდაპირ გაოცდებით ზოგჯერ. ის ხან რიცხვს აირჩევს სიტყვების  
მიხედვით, ხან სიტყვებს ათანხებს რეცხვან, თუ უკანასკნელების შეცვლა არ  
შეიძლება. მოვიყვანოთ აქ ამის ხუთმეტი მაგალითი ზედა და ხუთმეტიც ქვედა  
სართულის ტაეპებიდან.

ზეცა სართულიდან.

### 1. მაგრამ ავთანდილს ოცითა უფროსი დაუხოცია.<sup>3)</sup>

1) უკანასკნელისათვის ყურადღება მიუქცევია ნ. მარს, მაგრამ ეს მისი ტრიით არის უარა  
მდენად პოტური ხერი, რამდენადაც ბუნებრივი რიტორიული ფიგურა“, რომელიც ხალხში  
დადიოდა. ჩვენის აზრით კი ეს სწორედ პოტური ხერია. რუსთაველი არა ხმარობს ერთად  
„მეოსანნი და მომლერალნი“, იმიტომ რომ აქ ბევრები არ არის შეთანხმებული.

2) ერთი ამის ნიმუში გვქონდა ზემოთ: „სამი ათასსა აკეიცეს ბარგალიტი და თვალები.“

3) აქ აშეარად სჩანს, რომ რუსთაველს რიცხვი „ოცი“ ალიტერაციის მიზნით უშმარნია,  
თორებ ეს მეტად მცირე განსხვავება არის, რადგან ორივემ (ავთანდილმა და როსტევანმა) სულ  
2000 („ასჯერ ოცი“). ნადირი დახოცეს. განსხვავება, სულ ცოტა, ასი მაინც უნდა ყოფილიყოს  
მაგრამ რაღაც გამოვიდოდა მაშინ; „მაგრამ ავთანდილს ა სით ა უფროსი დაუხოცია“. — ეს პირდა-  
პირ დაღუპ. ა იქნებოდა სტრიქონის. ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს იმას, თუ რა დიდი მნიშვნე-  
ლობა აქვს ხოლმე ორ-სამ ბევრას მთელი სტრიქონისათვის.

2. მოასხნეს კაცნი გაგზავნეს ოთხთავე ცისა კიდეთა.
3. ყუამან მუნ დაყო ხამი დღე ამოსა ხანალირობა.
4. აფთანალი იგი მინდორი თას ახმით გარდაიარა.
5. შეიძისა წლისა შეიქნა ქალი წყნარი და ცნობილი.
6. უბრძანა ცხრათა ხალუმთა დადგომა მცველად კარისად.
7. გიტუუვო, ღმერთებან მიწა მქნას, ნუმცა ცხრითავე ვზი ცითაშ
8. ჯორ აქლები ათჯერ ასი, ყველაკა წვივ მაგრობდა.
9. ინდოეთს შეიდა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მექნობელი:
10. ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი.
11. მათ ბალთა პირსა დააბეს ნავი საბლითა საპითა.
12. ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა სავლითა.
13. მოვიხმენ ოთხნი მონანი ჩემსა წინაშე მდგომელნი. 1)
14. შენმან მზემან არეის მიხვდეს მოცავიდნენ ხამნი მზენი. 2)
15. ხამახისა კაცისაგან ას სამოცი შეპყოლოდა.

#### ქვედა სართულიდან:

- 1 მას დღესა მოკლა ავთანდილ, ღავსთვალეთ ას და ორიო.
2. ყოვლგნით ალყა დაშალა ოთხ კიდეთა ბმა გავიდა,
3. სრულ სპათა ჩემთა მოგათვლი სამ წლამდი დაგეთხოვები..
4. მაგრამ ღმერთმან მოწყალემან მით სახითა ერთი მზითა.
5. ლალობითა ნადირობდეს მხეცთა ხაცლეს ორმოც ოცდეს.
6. მომართვეს ასი კლიტენი ასთავე საჭურჭლეთანი.
7. შევიჭურვე, ჩემთან ჩემნი მოემზადნენ ასნი ზრდილნი.
8. აწ ათია წელიწადი იადოეთით რა წასრულა. 3)
9. ავთანდილის მაქებელთა ათასიმცა ენა უნდა.
10. უბრძანა შუქი მთვარებან სამს წლამდი სხეაგან ამოსა. 4)
11. მოიცალე წამ ერთ, მოეა ღმრთის წყალობა ბდრეული. 5)
12. სამთა კაცთა ცხრ- ათასი მოყმე სცვადა ვითა გმირი.

1) საჭირო იყო ოთხე მეტი მონა, ვინაიდან ფატმანმა ძალიან ძნელი საქმე დააკისრა მათ, მაგრამ არც ერთი სხვა რიცხვი არ გამოდგება აქ ბგერათა შეხამების თე ღსაზრისით.

2) არც ორნი, არც ოთხნი, არ ექვსი, არც ონი, არც სხვა რომელიმე რიცხვი, გარდა „სამნი“-სა, აქ არ გამოდგება.

3) არ არის ორავითარი ეპევი იმაში, რომ ეს სტრიქნი რუსთაველს ეკუთვნის: ოთხი წერთ სტრიქნში! თ და დ მზგავი ბგერა.

4) გაისენეთ ზერთ მოყვანილი წედა სართულის სტრიქნი: ყუამან მუნ დაყო სამი დღე ამოსა სანადიროსა. გარდა ამისა, მას მოპყვება რუსთაველის შემდეგი, ორი. ტიპიურ სტრიქნი:

მისნი ვერ მეტვრეტნი ყვავილნი დააზროს, დაამჭკნა როსა.

მერმე მივიდეს მნათობი, მნათობსა შეეყაროსა.

5) ი ვიათად რომ რუსთაველმა ისე ახსენოს ღმერთი თუ იმავე სტრიქნში, არ ისმარაო სადმი სიტყვა აერთია.

13. რომ გენაზნეს ოთხივ ერთად ტახტა ზედა მსხლომნი ჯუფთად. <sup>1)</sup>
14. შვილთა საშეფო თავადნი ტარიის შემოყრიაო; სარიდან შიგნით შევიდა, მამასა გარდეხეიაო, უთხრა თუ: შვილო ნუ სტირი... <sup>2)</sup>
15. არიან ორი მნათობნი გვანან მოსრულან მზე მზითა.

თუ რამდენად დიდ ყურადღებას აქცევს რუსთაველი სტრიქონში ბგერების მიხედვით სიტყვების ერთმანეთთან შეთანხმებას, ეს, სხვათა შორის, იქედანაცა სჩანს, რომ პოემის მომქმედი პირი, რომელიც ერთი მეორეს შენობით ელაპარაკებიან, თუ საჭირო იქნა ბგერა ჭ ს გამეორება, თქვენობით მოსდგებიან ლაპარაკების. მაგალითად, ავთანდილი თავის შეგობარს ტარიელს ასე მიმართავს ორჯერ:

1. კმუნვა შეექმნა, თქვენც იცით ხელმწიფე ნებიერია.
2. ქურდნი ენახე, რომე თქვენთვის სიტყვა ჲამე ვაემკვახნა.

როგორც ყოველ პოეტს, რუსთაველს აქვს რამდენიმე ამოჩემებული სახე და ამ სახეებს იმეორებს ის სხვადასხვა ვარიაციით როგორც ზედა, ისე ქვედა სართულის ტაეპებში<sup>3)</sup>. მაგალითად, მეტად ხშირად გვიხატავს რუსთაველი იმას თუ როგორ აფენენ ელვას მისი გმირების ლაწვები და კბილნი.

აი ეს სახე ზედა სართულში:

1. თეთრითა კბილთა გამოქრთალსა შუქსა ველთა მოაფენდა.
2. თეიართა კბილთა გამოქრთების თეთრი ელვა ვითა ჭვირი.
3. ლჟევრიტეთ, მისთა ელვათა შუქი ძლივ გავიცადენით.

<sup>1)</sup> იქვე ქვევით: „ქორწილი ავთანდილისა იგ სხდომია ოთხთა შექთასა“, და იმავე ტაეპში რუსთაველის ორი ტაიპური სტრიქონი: ჩუნ კრთომა ელვა შუქისა ციერთ უ ზენე ზე თა სა; ქალთა უტურტეს მნათობთა, ყრმათა უ მ ხ. ე ს თ ა მ ხ ნ ე თ ა ს ა... გაიხსენეთ: „უმანესი სხვათა მნეთასა“.

<sup>2)</sup> იხილეთ კიდევ რიცხვების შესახებ ზედა სართულში ტაეპები: 166, 168, 175, 177, 178, 180, 181, 199, 225, 284, 320, 393, 400, 437, 472, 522, 545, 551, 640, 668, 975 1124, 1196 1337, 1354 1362, 1364, 1368, 1387, 1507.

ქვედა სართულისათვის გვერდები: 109, 117, 151, 183, 202, 202, 203, 203, 204, 204, 205, 210, 210, 210, 219, 219, 221, 223, 228, 233, 233, 234, 239, 239.

<sup>3)</sup> ცნობილია რუსშა პოეტა ლერმონტოვმა განსაკუთრებული დაუანებით იცადა ზოგიერთი შედარებების და სახეების გამეორება სხვადასხვა ვარიაციით ისეთ ლექსებში, რომლებ-საც ერთმანეთისაგან წლები აშორებდა, მაგალითად:

„И звуки чередой,

Как слезы, тихо льются, льются...“ („Сосед“, 1837 №.) „დემონის“ უკანასკნელი ვარიანტი (1840 №.) ეს შედარება ასე მეორდება:

„И звуки те лились, лились...

Как слезы, мерно, друг за другом.“

ან კიდევ ასე: „Твоих вершин зубчатые хребты“, რომელსაც მან შემდეგ ბგერების შერჩევის საშუალებით უძლიერებეს და სრულყოფილი გამოხატულება მისცა:

„И мрачных гор зубчатые хребты...“

4. გალიმდის, ძოწი გააპის, კბილთაგან ელვა კრთებოდა.<sup>1)</sup>

ქვედა სართულში:

1. ხატაეთს წასელა ებრძანა პირსა ელვათა მკრთომელსა. (გვ. 60).-
2. მათთა შუქთა და ელვათა თვალი ვერ შეედგამება.<sup>2)</sup> (გვ. 199).
3. მუნ კრთომა ელვა შუქასა ცაერთ უზენე ზეთ ასა. (გვ. 199).
4. ყელსა ბროლსა შვენებანი მას ელვანი გარუეარდის. (გვ. 221).
5. ელვაბან და შვენებამან მათმან სრულად დააშვენა. (გვ. 221).
6. თინათინს შუქთა ელვანი ჯავარ ციმციმის ცემითა. (გვ. 249).

ნუ თუ ეს სტრიქონები ერთსა და იმავე პოეტს არ ეკუთვნის?

არა თუ „ვეფხის ტყაოსანის“ მკელევარებს, თვითონ რუსთაველი რომ ადგენ საფლავიდან და გააცხადოს ზემოთმოყვანილი ქვედა სართულის სტრიქონები მე არ მეყუთვნისო, ჩვენ იმასაც კი ვერ დავუჯერებთ.

რუსთაველმა იცის აქა-იქ დეტალების აახვა ისე, როგორც ეს თანამედროვე პოეზიაში ზღება ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, რაც სრულებით უცხოა-ძეელი ქართული და, საერთოდ, აღმოსავლეთური პოეზიისათვის. „ვეფხის ტყაოსანიდან“ ვტყობილობთ, მაგალითად, რომ რუსთაველის დროსაც იმგვარადვე-თავდახრით და კოერტურად სკოლის ქალს გაღიმება, როგორც ეხლა, ჩვენს დროში. აი რას ამბობს ტარიელი ნესტანის შესახებ:

მერმე ავდევ წამოსავლად, მან დამიწყო ქვე-ქვე წვევა...

აქ ლაპარაკია თავდახრილი ქალის გამომშვევ ლიმილზე, მხოლოდ სიტყვა-ლიმილი სტრიქონში აღარ ჩატეულა. აი კიდევ როგორ იცინის ავთანდილი თავ-დახრით, თავ მოღრეკით.<sup>3)</sup>

1. თავ მოღრეკით გაიღიმნა, გაცინება დაუშვენდა.
2. მან პასუხი არა გასცა თავის წინა ლიმდებოდა.

ქვედა სართულში:

1. ავთანდილ ქვეშ-ქვეშ იცინის არ ავალ პირ აღრებია. (გვ. 14).
  2. ავთანდილ თავი დაღრეკა სიცილით მოლიზლარემა. (გვ. 165).
- აი როგორ იცინის ტარიელი (ქვედა სართულის ტაეპებიდან):
1. ცნობა მიეცა ჭკვას მიხვდა, ბაგესა გააღიმებდა. (გვ. 61).
  2. მისნი კბილნი და ბაგნი დაიშვენებენ ლიმილსა. (გვ. 102).
  3. მას ტურფად მოუხდებიან სიცილი კარ გაღებული.<sup>4)</sup> (გვ. 226).

<sup>1)</sup> ის. კიდევ ტაები: 111, 589, 643, 684, 1126, 1181, 1288, 1303, 1424, 1485, 1487, 1489.

<sup>2)</sup> გარდა იმისა, რომ ეს ტიპიური რუსთაველის სტრიქონია, ის არის ერთი ულამაზესო-სტრიქონი მთელ პოემაში.

<sup>3)</sup> „თავ მოღრეკით“, „თავ დაღრეკით“, საერთოდ დამახასიათებელი თქმა არის რუსთავე-ლის. ის. ტაები: 1131, 779, 1134, 1291. ამ სიტყვას ასე, იშვიათად თუ იხმარდა ვინმე სხვა.

<sup>4)</sup> აი კიდევ ტიპიური დეტალი (ქვედა სართულში);

ტურფამან წარბი ახარა — ტარიელ რას იცვრირები?

სიტყვა ტურფა რამდენჯერმე გხვდება იქ, სადაც ლაპარაკია ტარიელზე, ავთანდილთან და ფრიდონთან ეს ეპიტეტი არასოდეს არ შევინიშნავს; მის მიხეში, რა თქმა უნდა არის, ჯერა ტ.

რუსთაველს აქვს ერთი იშვიათი სახე — წამწამების ქარი.

1. მისთა წამწამთა ნიავი ჰქონის ვითა ქარი არავი.

2. ცრეპლსა სეტყვს და ვარდსა აზრობს, წამწამთაგან მოჰქონის ბუქი.

ქვედა სართულში:

1. უწყალოდ ცვალის ჰაერი ტურფისა თვალ წამწამისად.

2. უხანობისა ქარი ჰქონის ვითა ერთისა წამისა,

ოხრად გახდების ჰაერი ტურფისა თვალწამწამისა.

ცხადია, ასეთ ძნელად მოსაფიქრებელ სახეს სხვა ვერავინ გაიმეორებდა,<sup>1)</sup> თუ არა თვითონ ის, ვისაც პირველად მოუკიდა იგი თავში. საერთოდ მწერლის სტილის ნიშანდობლივი თვისებები თვალსაჩინო ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას კვლევა ძიების თვალსაზრისით მივუზგებით. გადამწერები კი, რა თქმა უნდა, „ვეფხის ტყაოსანის“ გარშემო კვლევა ძიებას არ ახდენდენ და, მაშასა-დამე, ისინა არა თუ ვერ გადმოიღებდენ, ვერც კი შეაჩნივდენ რუსთაველის ლექსის იმ შინაგან ბუნებას და ხასიათს, რომელიც ქვედა სართულის თითქმის ყოველ ტაეპს ემჩნევა.

ზევით მოგიხსნიერთ, რომ ხელნაშერს № 757 დართული აქვს რვა ტაეპიანი ლექსი. ამ ლექსში არ არის არც ერთი სიტყვის გამეორება, არც ერთი მნიშვნელოვანი ალიტერაცია და, საერთოდ, არათრით ის რუსთაველის ლექსს არ ჩამოჰვავს.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქვედა სართულის 503 ტაეპში არსად მოხსენებული არ არის რომელიმე სხვა ავტორი. ნუ თუ გადამწერებს „ვეფხის ტყაოსანის“ შეცქონდათ აიდენი საკუთარი ნაშრომი და არც ერთმა მათგანმა არსად თავისი პიროვნება არ მოიხსნია? რა თქმა უნდა ეს დაუჯრებელია, ვინაიდან პოეტურ შემოქმედებას ყოველთვის თან ახლავს დავიწყებისაგან საკუთარი სახელის გადარჩენის სურვილი.

ესლა განვიხილოთ „ვეფხის ტყაოსნის“ ის თვეები, რომლებიც სარგის კაკაბაძეს მოჰყავს თავის გამოცემის ბოლოში, როგორც პოემის ნამდვილი გაგრძელება.

ეს ნაწილი იშება 1528-ე ტაეპით და შეიცავს შემდეგ თავებს (მხოლოდ ზედა სართული): 1) ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა, 2) ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთა დამორჩილება, 3) ქორწილი ტარიელისა და ნესტინ დარეჯანისა, 4) აქა ტარიელის დასნეულება და ხეარაზმშა მეფისაგან სისხლის ძებნად მოსვლა ინდოეთს, 5) აქა ომი ხვარაზმელთა, ინდოთა, არაბთა და თურქთა, 6) ანდერძი ტარიელისა, ოდეს მიიცავალებოდა მის უამისა ნათქვამი, 7) სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა, 8) ანდერძი ავთანდილისა სიკვდილის უამსა, 9) სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა თინათინისა, 10) აქა ფრიდონისაგან ორგანვე მისვლა და ტირილი. სულ 234 ტაეპი.

1) თუმცა „თამარიანში“ არის ერთგან ამგვარი თქმა.

დავანაწილოთ ეს თავები ორას-ორას სტრიქონად დაეითვალოთ შიგ სიტუაციის გამეორება. აი ჩს ანგარიში: I—23; II—20; III—5; IV—6; V (34 ტაეპი) — 19 1).

მიღებული ციფრები მეტად საინტერესო სურათს წარმოდგენს: რუსთაველის 200 სტრიქონში ხუთი ან ექვსი გამეორება სიტყვის! ეს პირდაპირ წარმოუდგენელია.

ძალიან სარტყერესოა აგრეთვე I და II ორასი სტრიქონის ფარგლებში სიტყვების გამეორების განაწილება. I-ში თორმეტი უკანასკნელი ტაეპი შეიცავს (42 გამეორებას, დანარჩენი ათი გამეორება მოსდის წინა ტაეპებს).

ლექსიც ამ 12 ტაეპის კარგია მეტად და წარმოადგენს იმ მომენტის აწერას, როდესაც ტარიელი თავისი პატარძლით და მაყრიონით ინდოეთის საზღვრებში შედის. აი ცხრა ტაეპი ამ ადგილიდან:

1567. მოევებნიან ტარიელს, შორი შორ უსალამიან;  
შიგანთა დროშა ინდოთა მათად ცნეს, უსალამიან.  
ვერ გამოენდგნეს ინდონი, თქვეს თუ ლალტსა ლამიან;  
არ მოელოდეს ტარიელს მით ცრემლი დაილამიან.
1568. ტარიელ მიღვა, უყივლა: „მე მოველ მეფე თქვენიო,  
თანა მყავს ჩემი მნათობი, პირი ელვათა მფენიო,  
ჩენ მოგვუა მაღლით მაღალმან აწყა ორბისა ფრთენიო,  
გამოდით, თქვენი სიშორე არს ჩვენგან მოუთმენიო.“ <sup>2)</sup>
1569. მაშინდა იცნეს ტარიელ მათგან მიღამო სრბანია;  
სრულად ნათლითა აიგსო ზღუდე და ბანის ბანია; <sup>3)</sup>  
ხმა მაღლად ხმობდეს, იზატჟეს, მოგვშორდეს სალმობანია;  
აქამდის რისხვა მაღალმან, აწ მოგვცა წყალობანია
1570. კარნი გაახვნეს, გამოჩნდეს, მოიხვნეს მათ კლიტენია;  
ერთობ ფლასითა მოსილნი უმზერდეს მათ მშერეტელნია;

1) აი ისინი.

I. 1530—3, 1547—1, 1531—2, 1532—1. 1532—3, 1543—2, 1552—4, 1556—1, 1556—2, 1562—2, 1563—3, 1567—1, 1568—3, 1569—2, 1569—3, 1570—1, 1571—1, 1571—4, 1575—4, 1576—1, 1578—1, 1578—3, 1578—4.

II. 1587—2, 1588—3, 1593—3, 1596—1, 1597—1, 1597—2, 1597—2, 1601—2, 1604—1, 1606—2, 1606—3, 1607—3, 1607—4, 1609—4, 1610—1, 1614—4, 1615—4, 1617—2, 1624—2, 1625—1, 1625—2.

III. 1654—1, 1664—1, 1669—3, 1670—1, 1671—3.

IV. 1696—1, 1721—1, 1722—1, 1726—1, 1726—4, 1728—4.

V. 1729—3, 1734—3, 1734—4, 1740—4, 1743—2, 1745—3, 1745—4, 1746—1, 1746—1, 1747—4, 1747—1, 1752—1, 1754—1, 1758—2, 1758—4, 1759—2, 1760—3, 1761—4

1) ეს ერთი საუკეთესო ტაეპთაგანია მოელ პოემაში: მასში არ შეიძლება არავითარენად კალის აღმოჩენა. თანაც ის უაღრესედ რუსთაველურია.

2) ქვეშეთვენ სრითა ტურფითა და ზედათ ბანის ბანითა. (1066—3).

ტირან თრნიერ ქალუმანი, ვარდისა ბალსა ტენია,  
ზახილით თავსა იცემდეს, ყორნის თმა ბროლსა ტენია. <sup>1)</sup>)

1571. ვითა გამზრდელსა მართებდა გაზრდილი აგრე ხელია;  
რომე სდის ცრემლი თვალთაგან ცეცხლთაგან უფრო ცხელია;  
თავსა იცემდეს, იზახდეს, ტირს მეტად გულფუცხელია,  
გიშრისა ტევრსა მოფოცხდა ბროლისა საფოცხელია.
1572. რა ნახა ხასნი ვაზირნი ფლასითა დამოხილნია,  
კვლა დაიზახა ტარიელ უფროსი დანაკივლნია;  
სისხლი და ცრემლი თვალთაგან სდის და მიწყობით მილნია;  
მოვიდეს, ყელსა მოეჭვდნეს, ვითა ძმანი და შვილნია.
- ამას მიპყვება სამი ტაეპი, სადაც აწერილია დაქვრივებული დედოფალის,  
რესტანის დედის, გამოსელა შესახელრად და შემდეგ:
1576. ქალმან დედასა შესტირნა: „ჰაი, ჰაი, მე რა ვქნა, დედაო!  
წითელ ყვითლითა დაგაგდე, აწ შაოსანსა გხედაო, <sup>2)</sup>  
მამამან ტახტი დასცალა, აღარ სადა ზის ზედაო“;  
დედამან ცრემლი მოსწურნა, „ნუ სტირ დაღუმდი, ბედავო!“
1577. გარდაუკაცნა პირი და ბაგეთა ვარდი თხელები,  
ვარდა დაუტყელეს ბაგითა, გახდა ალვისა მთხელები.  
ნესტან ჯარს ეტყვის: სადღა ვთქვათ სიტყვები ბედით ხელები,  
ჩვენ ყველთა გვმართებს ნეტარძი ათასი, არ ერთხელები.
1578. რა გარდა ხდა მცირე უამი, ხანი იქნა გარდასრულად;  
დიდებული ეთაყვანების, ერთობილი ადგეს სრულად;  
იგი მზენი მოეხვივნების, მოეგებნების გულის გულად,  
აკოცეს ტა მოიკითხეს თავის თავის თვითეულად.

თუ ეს ტაეპები სხვისი დაწერილია, შაშინ ეს „სხვა“ რუსთაველზე უფრო  
დიდი პოეტი ყოფილა, ვინაიდან მას, ერთი შერით, რუსთაველზე არა ნაკლებად  
შესძლებია ლექსის გამართვა და, მეორე შერით, გენიალური იმიტატორის ნიჭი  
ჰქონია. მაგრამ, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია ასეთი იმიტაცია. ჩვენ ვფიქ-  
რობთ, რომ ეს ტაეპები არა თუ რუსთაველს ეკუთხნის უდავოდ, ისინი შედიო-  
დენ რუსთაველის მიერ უკანასკნელად გადაწერილი „ვეფხის  
ტყაოსანის“ ტექსტში.

ჩვენ მეტსაც ვფიქრობთ: სამი პირველი თავი ამ ათი თავიდან უთუოლ  
ნამდვილი დასასრულია „ვეფხის ტყაოსანის“. მართალია, ამ თავებში აქა იქ არის  
სუსტი ადგილი, მაგრამ იქ არ არის არც ერთი ისეთი სუსტი ტაეპი, რომ იმაზე

1) გლოვა არას ინდოთ მეტის, ფარსადინის, გარდაცვალების გამო.

2) გაიხსენეთ... „მან ქალმან შაოსანამან“.

სუსტი საყაველთაოდ ცნიბილ ტექსტში არ იყოს. 1) საერთოდ უნდა აღვიაროთ, რომ „ვეფხის ტყაოსანში“ არის ერთი მხრით, უმაგალითო ხელოვნებით დაწერილი ტაქტები და, მეორე მხრით, სამშუხაროდ მეტად სუსტი ადგილები. რუსთაველის ტაქტები შეიძლება დაიყოს ლირსების მხრით რამდენიმე ხარისხათ. ეს აისწნება ჩვენის აზრით იმ გარემოებით, რომ პოემის საბოლოო რეადქციაში ავტორს, რომლის ხელოვნება თანდათან იზრდებოდა, ბევრი ადრე დაწერილი ტაქტები დაუტოვებია საბოლოო ტექსტში უცვლელად. მართლაც წარმოუდგენელია, რომ რუსთაველს ამდენი ხნის დაკარგული ტარიელისა და ნესტანის მისვლა ინდოეთში საქმაოდ დაწვრილებით და ტარიელისათვის შესაფერი რიხით არ აეწეროს პოემის ბოლოში. თუ ფარსადანის სიკვდილის ცნობა და ტარიელის ასეთი საზემო შესვლის ამბავი გამოვტოვეთ, მაშინ პოემის დასასრული ძალიან სუსტი გამოდის, ხოლო ტაქტი: „ტარიელს და ცალსა მისსა...“ სრულიად დაუსაბუთებელი იქნება, ვინაიდან ტარიელის გამეფება ინდოეთში უნდა შოჰიკვეს შედეგად ფარსადანის სიკვდილს ან იმის გადადგომას მეფობიდან სიბერის გამო, რასაც განმარტება ექნებოდა უთუოდ პოემაში, მით უმეტეს, რომ ტარიელისა და ფარსადანის შორის უდიდესი კონფლიქტი მოხდა, რომლის გვერდის აქცევა და მაფუჩჩება პოემის ბოლოში შეუძლებელი იყო თუ კი ფარსადანი ცოცხალი იქნებოდა. უეჭველია აგრეთვე ისიც, რომ ტარიელს ინდოეთში შესვლის დროს ომი მოუხდა ხატაელებთან, როგორც ეს აწერილია მეორე თავში („ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთა დამორჩილება“). თორემ რა აზრი ექნებოდა იმ ტაქტს „საყველთაოდ მიღებულა ტექსტიდან, სადაც ნათქვამია: „კაცი თოხმოცი ათასი ჰყვა ცხენებითა ვარგითა“<sup>1)</sup> რა საჭირო იყო მათთვის ასეთი ლაშქარის გაყოლება იმ ადგილებში, სადაც თითო ამ გმირთავანი უშიშრად დაჯირითობდენ წლობით? ეს თოხმოცი ათასი კაცი უთუოდ აძტყიცებს იმას, რომ მაყრიონს ომი მოუხდა ხატაელებთან გზაში. უადგილო იქნებოდა აგრეთვე ტაქტი ჭარული ინდონი ავთანდილს და ფრიდონს მწედ ჰხადოდიან, თქვენგან გვკირს კარგი ყველაი...“, თუ მათ ნამდვილად არ გაუწიეს ინდოეთის სამსახური ოშიში. იმას აქვს მხატვრული გამართლება — საჭირო იყო, რომ ამდენი ხნის დაკარგულ ტარიელს მისვლისთანავე მთელი ინდოეთის გული მოენადირებია თავისი გმირობით სამშობლოს გადარჩენის საქმეში. ომი აწერილია რუსთაველის სტილის უტყუარი ნიშნებით:

დაეკაზმნეს საომარად, გაამაყდეს, გაჩაუქდეს;  
ცხენთა შესხდეს უკეთესთა, სახედარი ასუბუქდეს;  
ერთმანეთსა აჯობინეს, მჴერუტელთაგან არ გაუქდეს  
იგი ქედი ჩაიქოლეს ბუჭისაგან უფრო ბუჭდეს.

<sup>1)</sup> მაგალითად ამ თავებში არ არის რ უნდაც ასეთი სუსტი სტრიქონები, რომელთა სინამდვილეში არავის არ შეაქვს ეჭვი;

<sup>1)</sup> თავნი მათნი გაალომნეს, მათნი მბრძოლნი იშვლეს, ითხეს.

<sup>2)</sup> ვითა მართებდეს პურობდეს, ღვინოსა სვეტდეს, არ ღოსა. და ბევრი ამგვარი.

ხატაელთა დამარცხებისა და რამაზ მეფის დატყვევების შემდეგ:

ტარიას ნახვად მოსრულნი მუშთარნი ახლოს მცვრეტია;

რისთვისა ცეცხლი ტარიელს სიტქბოთა დაუშრეტია;

მოვიდეს, ნახს; რამაზის ჰაშქარი ძლივ-ლა ეტია;

ინდოეთს ზეცით სინათლე ჩადგა მართ ვითა სვეტია.

რომ ამ ტაეპის აეტორი რუსთაველია, ეს ისევე ცხადია, როგორც ის რომ არჯერ ორი არის ოთხი !).

დამახასიათებელია აგრეთვე რუსთაველისათვის, რომ ინდოთ მეფის სიკვდილს ტარიელს ვაჭართა ქარავანი აცნობებს. ვაჭრები და სახედრები იყვნენ „შაოსანი“: ნუ თუ ეს ტაეპი რუსთაველს არ ეკუთვნის:

„მოასხენე იგი ვაჭარნი და მათი უხუცესია;

უბრძანა: „ვინ ხართ, შავითა რად ტანი ზეგიგლესია?“

მათ მოახსენეს: სით მოვალთ, მუნ- ესე დანაწესია,

ინდოეთს მისრით მოსრულთა<sup>2)</sup> გვიყვლია გზა უგრძესია<sup>3)</sup>.

მაგრამ მეტად საინტერესოა დანარჩენი შეიღი თავის ბედი. სიტყვის გამეორება ძალიან იშვიათად გვხვდება (ორის სტრიქონზე საწუალოდ 6—7) და თვითონ ლექსიც იმდენად სუსტია უცეტეს შემთხვევაში, რომ ლამის ჩენც დავეჭვდეთ, მართლა სხვისი დაწერილი ხომ არ არის ეს თავები? მაგრამ ამ ნაწილის ზედა და ქვედა სართულის<sup>4)</sup> ტაეპებში ჩენც გვხვდება რამდენჯერმე, „ზართ ვითა“, გამკარგებული „ქმნა“<sup>5)</sup> და ორი-სამი ისეთი სტრიქონი, რომელიც გადმოგვცემს „ვეფუბის ტყაოსანის“ ცნობილი ტექსტის მიმართ საწინააღმდეგო ფაქტებს, მაგალითად:

ტარიელი თავის სიკვდილის წინ ანდერძში<sup>6)</sup> იგონებს თავის წარსულს და ერთ ადგილას ამბობს:

1) საკითხი ამ სამი თავის შესახებ ყოვლად შეუძლებელია რომ გადაუპრელი ფარეს, იმდგად მნიშვნელოვანი იგი, მასი გადაჭრა შეიძლება მხოლოდ მარელ პერმ-სთან მათი შედარებით სტრილის მზრის; ეს შედის შერწალთა კავშირის კომპეტენციის ფარგლებში. მწერალთა კავშირში უნდა დანიშნოს ამისაუკის კომისია და მიანდოს მას სკითხის ერთი შულად შესწავლა და დასკვნა ს გამოტანა. სასურველო რომ ცალკე პოეტებიც გაეცნონ ამ მეტად სინტერესო საკითხს და გამოსთვევინ თავისითი აწრი.

2) გაისხენთ: „მოსით მოვიდა დარიბი მონა მოყვითა სამითა“.

3) ქვემოთ (1533—4) რუსთაველის ცნობილი „ბუქი“: ბუქთა მისგან მონაქოლთა ინდოეთი გარდაცხრდა.

4) აქც იგივე დაუკეტებელი ამბავი, ვითომც რუსთაველის პოემა გაუგრძელებია ვიდაცას. და ამ ყალბ ადგილებში სხვგბს ეიდე ყალბი ადგილები შეუტანით თავის მნით.

5) ის. ყველა ათი თავისაოვის ტაეპები: 1539, 1565, 1596, 1597, 1617; 1678, 1688, 1690, 1754.

6) ძალიან საინტერესოა აქ, თუ როგორ ეთხვება ტარიელი სიკვდილის წინ ყველავე მას, რაც მისი გმირული სიცოცხლის ინტერესს წარმოადგენდა:

თქვენცა მშვიდობით, პატრონო, მსაჯულნო, ჩემებრ შეფენ!

სახელმწიფონო ჭურჭელნო, ოქსინოვ ქვეშე მეფენა,

თავადნო, საანო, მტერთათვის ლომებრ მბრდენავნო

კ ე ფ ე ნ ო

ყოვლინ მტიროდით საბრალოდ, ჩემთვის ცრემლისა შჩქეფენო.

გვაგონდება ოტელოს გამოთხვება მონოლოგში: „მშვიდობით სანო ჯილდოსანო“...

„როსტენს უნდოდა შეპყრობა, ყმა მწივა ოცდარვანია“.  
ჩვენ ვიცით, და არ  
იქნებოდა „ვეფხის ტყაოსანის“ ისეთი გადამწერი, ვისაც ეს არ ეცოდინებოდა,  
რომ როსტევანმა თორმეტი ყმა დაადევნა ტარიელს შესაპყრობლად:

„გაგზავნა მონა თორმეტი მისი წინაშე მდგომარე“.

ნუ თუ ასეთი ტლანქი შეცდომა დაუშვა ყალბის მქნელმა? ჩვენ არ შეგ-  
ვიძლია ამის დაშვება; გარევნული ნაშენების გადმოცემაში ყალბის მქნელი უფრო  
პედანტური უნდა იქნეს, ფსიხოლოგიური თვალსაზრისით, ვიდრე თვითონ ავტორი.  
ასეთ შეუსაბამობას არც რუსთაველი დაუშვებდა.

მაშ ვინ დასწერა ეს თავები? ცხადია, რომ ეს დასწერა რუსთაველმა, მაგ-  
რამ გაცილებით უფრო, ალრე, ვიდრე „ვეფხის ტყაოსანის“ ის ტექსტი, რომელიც  
დღეს ჩვენში საერთოდ არის მიღებული; ამას მოწმობს აგრეთვე, როგორც  
თვითონ ლექსის სისუსტე, ისე მეტალი ჩანასახი რუსთაველის სტილის იქ ნიშ-  
ნებისა, რომლებიც თანდათან გაფართოვდა და განმტკიცა წლების და შეიძ-  
ლება ათეული წლების განმავლობაში. 1)

ეს შეიძიო თავი უნდა წარმოადგენდეს „ვეფხის ტყაოსანის“ უპირველესი  
ვარიანტის დასასრულს. როგორც ეტყობა ამ ვარიანტის შინაარსი ბევრად  
განსხვავებული ყოფილი რუსთაველის მიერ საბოლოოდ ჩამოალიბებული პოემის  
შინაარსისაგან. აյ ნაკლები ადგილი უნდა ჰქონდა დათმობილი ნესტან-დარე-  
ჯანის ძებნას და საერთოდ ავთანდილის თავგადასავლებს. 2)

ავთანდილი ამბობს თავის მოგონებაში:

მუხლონ, ვით გქონდა ცხენთ ჩბევა ან ავუანდათა გრძელობა,  
უცხენოდ ვეფხი შევიპყრი, არ ჩნდა დაჭირვის ძნელობა...

ეს ამბავი, ავთანდილის მიერ ვეფხის შეპყრობა, „ვეფხის ტყაოსანში“  
არსად არა გვხვდება ხოლო არც ტარიელი, არც ავთანდილი ისეთს არაფერს  
იგონებენ თავიანთ ანდერძებში, რაც პოემაში არ მომხდარა. ყალბის მქნელიც  
ვერ ათქმევინებდა ამ სიტყვებს ავთანდილს. როგორც ეტყობა, პოემის პირველ  
ვარიანტში ასეთი ამბავი ყოფილა.

1) თუ ყველა ათ თავს მივიღებთ მხედველობაში, იქ გვხვდება მეტად ძლიერი და უკა-  
დურესად სუსტი სტრიქანები ერთსა და იმავე ძროს. ათისი დიდი ნიჭის პოეტი იყოს, თუ ის  
მეტად ადაბელოვნებული არ არის პოეტურ შემოქმედებაში, ვერ დასწერს ამგვარ ტაეპს: „ტარიელ  
მიდგა უყიფოა... ზეორე მშრით, ვინც ასეთ სრულყოფილ სტრიქონებსა სწერს, ის არ დასწერს  
იმავე პერიოდში სრულიად უშეშეო სტრიქონებს. თუ დაუშვით, რომ ეს თავები სხვისი დაწერი-  
ლია, მაშინ უნდა დაუშვათ ისიც, რომ ეს „სხვა“ თეული წლები მუშაობდა ამ თავებზე. რაც  
ყოვლად დაუჯერებელია.

2) ქვედა ს თოულის ტავვებში არის ასეთი სტრიქონი, მომაკვდაეთ ტარიელი ამბობს  
„ტრიდონ მტიროდი პირველ მე, მერმე ავთანდილ ხრმლიანი“. თუ აյ ნხედუელობა ჰქ არ არის  
მიღებული ის გარემოება, რომ ფრიდონის სამეცნ უფრო აზლოს იყო ინდოეთზე და ის ავთან-  
დილზე უმაღ მივიღოდა, მაშინ აშეარა არის, რომ პირველობას შეგობრებში ფრიდონ ს ანიკებს!  
საერთოდ მიღებულ ტექსტში კი პირველობა უდიოდ ავთანდილს ეკუთვნის. ძალიან საეჭვა  
რომ არაებული ტექსტის შემდეგ ყალბის მქნელს ასე დაეწერა ეს სტრიქონი. შეიძლება პირველ  
ვარიანტში ფრიდონი მართლაც მეტ როლს თამაშობდა, ვადრე ავთანდილი.

ის აზრი, რომ აეთანდილის მეორედ ვამგზავრება და მისი რთული თავგა-დასავალი, ცალკე ტარიელის ცალკე ნესტანის ძებნის ღროს, რუსთაველს ერთ-ერთ უკანასკნელ რედაქტურიაში აუშვრია ფართოდ, დადასტურებას ჰქონდება ჩემოთ ჩვენ მიერ წარმოდგენილ სიტყვათა გამეორების ანგარიშში, სადაც გამეორებანი ძალიან უთანასწოროდ არიან განაწილებული. ნაწილები VI—XII და ზოგიერთი სხვა ადგილები, სადაც შედარებით ცოტა არის სიტყვის გამეორება, უნდა შეიცავდენ ბევრ ტაქტებს ადრინდელი (არა სულ პირველი) რეზაქციები-დან, ხოლო ნაწილები დაწყებული XII—დან, სადაც არაბეთს დაბრუნებული ავ-თანდილი ემზადება მეორედ წასავლელად, მთლად „ვეფხის ტყაოსანის“ ბო-ლომდე, ზოგიერთი სცენების გამოკლებით, პირდაპირ საცენე გამეორებული სიტ-ყვებით, რის გამო საფიქრებელია, რომ ისინი დამუშავებული და გაშლილი უნ-ლა იყოს რუსთაველის მიერ ბოლო ღროს. რა თქმა უნდა, ამ უამაღ ძნელია დეტალებზე ლაპაოვკი ვარიანტების საკითხის გარშემო. ჯერ ჯერობით უდავო-ჭეშმარიტებად ჩვენ ხხოლოდ ის მიგააჩნია, რომ ეს ტაქტები დაწერილია რუს-თაველის მიერ და რომ რუსთაველს დიდხანს უმუშავნია არა თუ ლექსის და-მორჩილებაზე, თვითონ პოემის სიუკეტის განვითარებაზედაც. 1) მას უკუკელად-რამდენჯერმე გადაუშვერია პოემა, და ყოველი ახალი გადაწერა იმავე ღროს მის ახალ რედაქციას წარმოადგენდა. მაგრამ როგორ უნდა გავრცელებულიყოს ხალხში-პირველი ვარიანტები, პოეტის ასე ვთქვათ, შავი მუშაობა? სულ აღვილად. გადაკე-თება, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, ხდებოდა წლების განმავლობაში და არა მეორე დღესავე. შეიძლება პირველი ვარიანტები რუსთაველს ჯერ კიდევ გამოუცდელ-ხელოვანს, საცენებით აქმაყოფილებდა. ის უკითხვედა მას ალბად თავის მეგობრებს; 2). მაშინ მეტად მიღებული იყო წიგნების გადაწერა, მისი ნაცნობები და მეგობრე-ბი, რა თქმა უნდა, გადიშვერდენ პოემას, და ისიც გავრცელდებოდა ხალხში. სიტყვის „სრულყოფაზე“ გადაგებული რუსთაველი თანდათან ახალს და ახალ მოთხოვნილებას უყენებდა თავისთავს, მას ალარ აქმაყოფილებდა თავისი პოემა-და ისიც ასწორებდა შიგ სუსტ აღგილებს. ის ვერ დაანებებდა მას თავს და ვერ დაიწყებდა ახალის წერას ვინაიდან ძალიან ძნელია დიდი საგმირო პოემი-სათვის კარგი სიუკეტის მოქმედნა. ხშირად შეიძლება რუსთაველი პოემის გადა-წერის ღროს ასწორებდა უკვე ახალ ხელნაწერში შეტანილ ტაქტს, მაგრამ, რომ

1) ზოგად რუსთაველს შეუცვლია მმბავის მოთხოვნის წესი. ასე მაგალითად, საბოლოო-რედაქციაში ტარიელი წერილს სწერს ნესტანს და სხვათა შორის უთვლის: „სამხრე შენი მო-მივიდა, უმოვები მელოდია გარე“-ი და აცნობებს, რომ ამასთ ნავე ის უგზავნის მას რიდეს და ყაბ ჩას. წინა რედაქციაში კი ყოველივე ეს უბრალოდ ყოფილი ნამთავი ტარიელის მიერ: „სამ-ხრე მისი მომივიდა შემოვიბი შელავსა გარე“.. „რიდენი და ყაბაჩანი რომე, ესსნეს საძრნოდ მი-სად ერთგან შევკარ, გაუგზავნე, მზესა აკლდეს ოდენ ვისად“. ან კადევ: ტარიელი უაბიობს ავთან-დილს: „რამაზ მეფე მის წინაშე შეპყრობილი მოვიყვანე“... წინად კი ასე ყოფილა: „ხეტეს ვა-მარჯვებული ხელ ჩამომზული ტარია, რამაზ მოჰვერარ მეფესა ხელ ხუნდით შეხაკარია“.

2) პაშვინი უკითხავდა თავის მეგობრებს ჯერ კიდევ დაუმოავრებელ „ევგენი ონეგინს“.. რომელიც მან, სხვათა შორის, ათი წელიწადი სწერა.

ხელნაწერი არ დამახინჯებულიყოს), გასწორება შექმნდა არა იმ იელნაწერში, არამედ შემდეგ, ხელახალი გადაწერის დროს. ეს ვარიანტები ხალხში გავრცელდენ, შემდეგ გადამწერებმა ისინი აურიეს ერთმანეთში. 2) კერძოდ ნანჯჩას ხელში ჩაუვარდა ალბად „ვეფუზის ტყაოსანის“ რომელიმე იშვიათი ვარიანტი და მან შეიტანა მისი უცხო ტაეპები საერთოდ ცნობილ ტექსტში.

საინტერესოა კადევ შემდეგი. მეოთხე თავში არის ორი ასეთი ტაქტი:

1612. აშ, გონიერნო, სიტყვანი თქვენ ჩემნი შეიწყნარენით,  
ძველნი ნარჩომნი ამბავნი ლექსად ვთქვენ, გაიხარენით;  
სარგისს დაურჩა უთქმელად, მას ესე დავაბარენით,  
ლექსნი მიქენით, ამისთვის ენანი მამიხმარენით.

1) წიგნების ბეჭვის გავრცელებამდე, როგორც ვიცით. დიდი უურადღება ექცევიდა ხელაწყერის სისუფთავებს. ბარათაშვილის ხელნაწერები გვიჩვენებს, თუ როგორი სიყვარულით ახდენდა ის თავის ლექსების გადაწერას.

2) ლორმონტოვს დაწერილი აქვს „დემონის“ ოთხი ვარიანტი, ამ ვარიანტების ტაქტები რომ აქა-იქ ერთმანეთში აურიოთ, მივიღებთ დაახლოვებით იმ სურათს, რომელსაც „ვეფზის ტეატრში“ ვხვდებით.

აი ერთი იმის მიგალითი, თუ როგორ ასწორებდა ეს პოეტი თავის პოემას. 1829 წელს ხუთმეტი წლისამ დასწერა პირველი ვარიანტი. აი ერთი ტაქტი ამ ვარიანტიდან:

В полночь, между высоких скал,  
Однажды над волнами моря,  
Одна, без радости, без горя  
Беглец эдема пролетал.

ამ ტაქტში სუსტია პირველი სტრიქნი, ხოლო მეორე კი უადგილო (ზღვა შთებში), ის დაწერილია რითმისათვის ცველიზე ბოლოს ტაქტში. 1830 წ. ვარიანტში კი კითხულობით:

Однажды вечером меж скал.  
И над седой равниною моря, да სხვ.

ამ ვარიანტში პირველი ნაყოფი აცილებული, თავიდან, მაგრამ მეორე ისევ დატენილა. 1833 წ. ვარიანტში იმ ნაკლსაც ასწორებს პოეტი, მაგრამ დიდის ზარალით ტაქტისათვის.

Между прибрежных диких скал,  
Беглец эдема пролетал.  
Он взор исполненный презрения  
Вперил на греческий мир земной.

აյ ტაქტის მთლიანობა დარღვეულია: ორი პირველი სტრიქნი ერთად არის, ორი უკანასკნელი კი სხვა სტრიქნებთანაა რითმით გადამული, 1840 წ. ვარიანტში ტაქტი ისევ გამრთებულია:

И над вершинами Кавказа  
Изгнаник рая пролетал.  
Под ним Казбек как грань алмаза  
Снегами вечными еия.

ეს უკანასკნელი ტაქტი უკეთი სჯობს თუმცა ნაკლი აქაც არის: მესამე სტრიქნში დაგროვილია თანხმოვაები: კავბეკ კავბეკ რა გრან...

არ ჰეიძებოდა, რომ XII—XIII საუკუნე ს ქართველ პოეტსაც ასე ემუშავნა ლექსზე? ჟეიდარეთ ამას ტაქტის „გასრულ ა მათი ამბავი...“-ს ვარიანტები.

1720. ეს ამბავი დარჩომოდა სარგისს ლექსთა შეუწყობლად.

შემდეგ თმოგვი თმოგველთაგან შესაკლითურთ დარჩა ობლად;

მე ვნახე და მას უჩვენე, ვინ ჩანს გმირთა რაზმთა მწყობლად.

მან მიბრძანა ლექსად თქვიო მჰევრ ქართულად შესაწყობლად.

ამ ტაქპებს აშკარად გაჰყავს საზღვარი სამ პირველსა და შვიდ დანარჩენ თავებ შორის. ს. კაკაბაძემ ამ ტაქპების მიხედვით გამოსთქვა ის აზრი, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ დაწერილი ყოფილი სარგის თმოგველის მიერ და „შემდეგ რუსთაველს გაუკრძელებია იგი. სხვა მკვლევარები ამ ტაქპებს სთვლიან ყალბად. ჩვენის აზრით არ არის არავითარი საბუთი იმისათვის პომ ეს ტაქპები ყალბად ჩავსთვალოთ. მართალია ისინი რუსთაველის ლექსის პირველ ხარისხოვან ნაშენებს („მართ ვითა“, „ვიქმ საქმესა“, ზოგიერთი სახე) არ ატარებენ, მაგრამ ნიშნები მაინც არის: რუსთაველისათვის დამახასიათებელი ქ-ს დაწყვილება სამგან („ლექსად ვთქვენ“, „ლექსი მიქენით“, „ლექსად თქვიო“<sup>1)</sup>) და სიტყვის გამეორება ერთგან გ-ს ალიტერაციით („შემდეგ თმოგვი თმოგველთაგან“...). გარდა ამისა, როდესაც ჩვენ ყველა ამ თავების ტაქპები რუსთაველის მიერ დაწერილად მიგვაჩნია, რა უფლება გვაქვს მხოლოდ ამ ორ ტაქპში შეკიტანოთ ეჭვი? უკანასკნელი ტაქპი გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ეს ამბავი არ იყო ფართოდ ცნობილი.

ჩვენის აზრით აქ ნაგულისხმევია „დილარიანის“ ავტორი, რომელიც რუსთაველის უფროსი თანამედროვე მწერალი უნდა ყოფილიყო, ჩვენ არ ვიცით, თუ რა ნაწერები ჰქონდა თმოგველს, ვიცით მხოლოდ, რომ მისი „დილარიანი“, რომელსაც ჩვენამდე აღარ მოუხწევია, სახელოვან ნაწარმოებად ითვლებოდა ძველად. პროფ. კეკელიძე პი რასა სწერს ამ ნაწარმოების შინაარსის შესახებ: „თუ შედარებებსა და პარალელიზმს ვიქონიებოთ ხედველობაში, დილარიანში ლაპარაკი უნდა ყოფილიყო გმირ-ჭაბუქების მიერ თავიანთ სატრაფოთა ძებნის შესახებ, ესე იგი დილარიანი ყოფილა სადევ-გმირო და სამიჯნურო ნაწარმოები“. აქედან ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ ის აზრი, რომ რუსთაველი ზემოთ მოყვანილ ორ ტაქპში გულისხმობს სწორედ ამ „დილარიანში“ აღწერილ ამბავს, რომელიც როგორცა სჩანს, ძალიან ჰქვანებია ტარიელის თავებადასავალს; პოეტს სრული პოეტური უფლება ჰა ჰქონდა ეთქვა თავისი პოემის სიუჟეტის შესახებ: „ეს ამბავი დარჩომოდა სარგის ლექსთა შეუწყობლადოდ“<sup>2)</sup> ეს ტაქპები რომ შემდეგ იყოს სხვისაგან დაწერილი, ნათქვამი იქნებოდა, რომ ეს ამბავი დარჩომოდა რუსთაველს და არა თმოგველს.

ამგვარად ს. კაკაბაძის მიერ გამოცემულ „ვეფხის ტყაოსანში“, სადაც თავ-

<sup>1)</sup> დამახასიათებელია აგრეთვე რუსთაველისათვის სხვისი ნათქვამის ამ ფორმით გადმოკეშა: „ლექსად თქვიო“.

<sup>2)</sup> აქ სიტყვა „დარჩომოდა“ გული ხმობს ალბ დ არა უკანასკნელ თავებს, არამედ მთე მბაც. საქმე იმაშია რომ ეხლ ეს ტაქპი თავის ადგილას ა არი ნ. პოემის პირველ ვ რიანგში ი ინი უთუთ შესავ ლში იქნებოდენ მო აგსებული, როგორც უკანასკნელ ვარიანტში დაწერი „ეს ამბ ვი ს რა ლი“...

მოყრილია ტაქტები ამ პოემის ყველა ხელნაწერებიდან, ჩვენ ვერ აღმოვაჩინეთ ვერც ერთი ისეთი ტაქტი, რომელზედაც გადაჭრით შეიძლებოდეს ითქვას, რომ ის რუსთაველს არ ეკუთვნის. სამაგიეროდ, ყველა ყალბად მიჩნეული ტაქტების 90% რუსთაველის სტილის ნიშნებს ატარებს.

უკანასკნელი შვიდი თავი რუსთაველმა აღმად შეუფერებლად დაინახა ბოლოს და ალარ გადამუშავა რა თქმა უნდა, სრულიად მიუღებულია მხატვრული მოსაზარებით ასე ერთბაშად პოემის ახალგაზდა გმირების დაბერება და მათი სიკედილი. რუსთაველმა ეს შეიგნო, როდესაც ის მომწოდება, როგორც ხელოვანი, და ბოლო თავები მოხსნა სრულიად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან რუსთაველის ასეთი ხანგრძლივი მუშაობის შესახებ „ვეფხის ტყაოსანის“ როგორც ლექსზე ისე სიუჟეტზე, გამომდინარეობს. ის დასკვნა, რომ ეს პოემა სავსეპით ორიგინალურია. რუსთაველს დაუშუშავებია უბრალო სპარსული ზღაპარი.

#### IV „ვეფხის ტყაოსანის“ მკვლევარები

ყოველივე ზემოთ ნათქვამის შემთებ საჭიროდ მიგვაჩნია „ვეფხის ტყაოსანის“ მკვლევარების მთავარ მოსაზრებათა განხილვა. პოემის მკვლევარები თავიანთი სპეციალობით ფილოლოგები და ისტორიკოსები არიან. ჩვენის აზრით ქართული ფილოლოგიისა და ისტორიის დღევანდელი მდგომარეობა ისეთია, რომ ის არც ერთ ამ მეცნიერებას საშუალებას, და მაშასადამე უულებასაც არ აძლევს დამოუკიდებლად გადასჭრას ისეთი რთული პრობლემა, როგორიც არის პრობლემა „ვეფხის ტყაოსანის“. გადამწყვეტი სიტყვა ამ საკითხში უნდა სოჭვას. პოეტიკაში და შემოქმედების ფსიხოლოგიამ, რომელიც ინდივიდუალურ შემოქმედებაში თითქმის ყოველ დროს ერთი და იგივე იყო. ფილოლოგიურსა და ისტორიულ კვლევა-ტერას კი აქ ძხოლოდ დახმარების გაწევა შეუძლია. მარტო ის წინააღმდეგობანი და სრული შეუთხანმებლობა, რომელსაც ადგილი აქვს ამ. სფეროში მკვლევართა შორის, უფლებას გვაძლევს გამოვიტანოთ ის დასკვნა, რომ მათი მიღვომა ყალბი და უნიადაგოა. მათი დებულებების და მოსაზრებების კრიტიკისათვის სრულიად საკმარისი იქნებოდა მხოლოდ იმის მოყვანა, თუ რასა სწერს ყოველი მათგანი დანარჩენების მიღწევებზე ამ სფეროში. მართლაც, რამდენად „ვეფხის ტყაოსანის“ მკვლევარები სუსტი არიან თავიანთი ხშირად მეტ და უცნაური დებულებების დასაბუთებაში, იმდენად დიდ ძალას და გამჭრიახობას იჩენენ მოწერააღმდეგეთა აზრის გაბათილების საქმეში. ვიმეორებთ, ეს არის მთავარი მაჩვენებელი იმისა, თუ რამდენად უმწეროა ორივე ზემოთ დასახელებული მეცნიერება ამ საკითხის გარევევის საქმეში.

პირველი, რომელმაც ფართოდ წამოაყენა „ვეფხის ტყაოსანის“ შესწავლის საკითხი, არის აკად. ნ. მარი. მისმა ნაშრომებმა ევროპიული მასშტაბის ინტერესი გაღვიძეს ჩვენი პოემის გარშემო. ჩვენის აზრით, უმთავრესად ამაში გამოიხატება პატივ/იმული მკვლევარის უდიდესი ღვაწლი „ვეფხის ტყაოსანის“ წინაშე. არც შეეხება თვითონ საკითხის გაშუქებას აქ ნ. მარმა არა ერთი და.

ორი დაუსაბუთებელი შეხედულება გამოსთქვა, რომელიც მან თვითონვე უარპყო ბოლოს. უეჭველად მკვლევარის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის გაბედულება, რომელსაც იჩენდა იგი საკუთარი აზრის უარყოფაში მას შემდეგ, რაც მისი უნიადაგობა ნათელი გახდებოდა მისთვის, მაგრამ იგივე ფაქტი, მეორე მხრით, აშეარად გვიჩვენებს, თუ ზოგჯერ რაზდენად ნაჩქარევი იყო მკვლევარის მუშაობა და დასკვნების გამოტანა ამ საკითხში.

პირველი მისი აზრი, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ სპარსული პოემის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს, დღეს უკვე უარყოფილია როგორც თვითონ ნ. მარის, ისე სხვებისაგან, მაგრამ ამ აზრმა მაინც დასტოვა თავის შემდეგ რელაც მძიმე ნალექი ხალხის წარმოადგენაში. ჩვენი შეხედულება ამ საკითხზე უკვე გამოვსთვეოთ ზემოთ. ნ. მარის მეორე ორივინალური აზრია რუსთაველის და ჩახრუხაძის ერთ პიროვნებად გამოცხადება; ეს აზრი მან თვითონვე უსაფუძლოდ აღიარა შემდეგ. ასეთი მოსაზრება, რა თქმა უნდა, ყოვლად მიუღებელია. ჩვენის აზრით ჩახრუხაძე არ იყო დიდი მასშტაბის პოეტი<sup>1)</sup>. იმ გარევნულ ფორმას; რომლი-თაც დაწერილია ჩახრუხაძის „თამარიანი“, არა აქვს არავითარი გამართლება პოეტიაში. პირდაპირ გულს აწყალებს ის აკრობატული რითმები, რომელიც თი-თქმის ყოველი სიტყვის შემდეგ გვხვდება ამ ნაწარმოებში, ისე როგორც „აბ-დულ-მესიანში“. ასეთი ხშირი რითმები პბორეას პოეტს, ის არ აძლევს მას სტრიქონში სახეების გაშლის და აზრის გამოთქმის საშუალებას. რუსთაველმა იცის რითმის ფასი ლექსისათვის, მაგრამ არასოდეს მისთვის რითმა თვითმიზანს არ წარმოადგენს, არსად არ ცდილობს ის „ვეფხის ტყაოსანში“ რითმის საშუალებით ფონს გასელას. რუსთაველს უყვარს სიტყვა, სახე და სტრიქონი თავის-თავად, ესე იგი ყოველივე ის, რაც ნამდვილი პოეტის სიყვარულის საგანს უნდა შეადგენდეს. ჩახრუხაძის „თამარიანში“ კი ჩვენ, ყოვლად აუტანელი რითმების გარდა, ვერაფერს ვხედავთ.

ბოლოს, ნ. მარმა ზემოთ მოხსენებულ თავის გამოკვლევაში გამოსთქვა ის აზრი, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ დაწერილია დაახლოებით მე-XIV<sup>1)</sup> საუკუნეში და მისი ავტორი არის ქართველი მამადიანი. უკანასკნელ მოსაზრებას ნ. მარი ამ-ყარებს იმაზე, რომ პოემაში აწერილია ზედმიწევნითი ცოლნით მამადიანური ქვეყნები და შიგ შრავლად გვხვდება სპარსულ-არაბული სიტყვები. ამაზე ნ. მარს უპასუხებს კ. კეკელიძე თავის წიგნში, სადაც ის ამბობს, რომ ეს სიტყვები და თერმინები შემოდიოდა ჩვენში უფრო „ლიტერატურულისა და პოლიტიკურის, ვიდრე სარწმუნოებრივი გზით“, და, იმის დასამტკიცებლად, რომ პოემის ავტორი ქრისტიანია, მოჰყავს მრავალი ისეთი ნიმუშები „ვეფხის ტყაოსანიდან“, რომლებსაც კავშირი აქვს ქრისტიანულ საღმრთო წერილთან. ერთი ასეთი ნიმუში—„ამად რომე შეცოდება შეიდ გზის თქმულა შესანდობლად“—მოჰყავს თვითონ მარს, მაგრამ ამ სტრიქონის წინ ის შემდეგ სიტყვებსა სწერს:

1). მეტად ცუდი აზრის არის ჩახრუხაძის შესახებ პოეზიის ისეთი დიდი დამფუძნელი, რო-გორიც იყო ილრა ჭავჭავაძე.

«Если бы мы могли быть уверены в том, что Шота эту мысль взял именно из Евангелия, то у нас возникло бы недоумение, почему Шота, будучи христианином, когда приводит евангельскую мысль не указывает, что она взята из св. писания—из Евангелия.» ეს და ამის ქვემოდ მოყვანილი სიტუაცია ჩვენს რამდენჯერმე გადავითხეთ, რათა სავსებით დაკრწმუნებულიყავით იმაში, რომ ყოველივე ეს ნამდვილია ასეა დაწერილი. გასაოცარი, წარმოუდგენელი ამბავია ეს: მკვლევარი მოითხოვს პოეტისაგან, რომ მან თავის ლექსში აღნიშნოს წყარო, საიდანაც მას ესა თუ ის აზრი მოჰყავს! ჩვიკითხოთ ეს ადგილი ქვევით: „ოქმულა“ «сказано» в грузинской речи значит, что существует такое изречение, такая пословица или поговорка, наконец, такое мнение. Когда Шота высказывает мысль «кто не ищет друга, тот, враг себе», то он спешит предупредить, что она, эта поговорка, кстати, вовсе не столь далекая от христианского учения, «написана на камне в Китае», когда же он мысль берет из Евангелия, то не называет своего источника, не говорит даже того, что она написана.» როდესაც ჩვენ ეს ადგილი წავიკითხეთ, არ ვიცოდით თუ როგორ არის ქართულად აქ მოყვანილი ადგილი „ვეფხის ტყაოსანიდან“ ჩინეთში ქვაზე წარწერის შესახებ, მაგრამ მაშინვე გამოვიტანეთ ის აზრი, რომ რუსთაველს აქვს ალბად სტრიქონი გათავებული სიტუაცით „მტერია“ (враг) და შემდეგ რითმის მიზეზით დაწერილი სტრიქონი, რომელიც თავდება სიტუაცით „სწერია“ (написано).!) თუ როგორ ხდება ეს პოეტურ შემოქმედებაში, ამაზე ლაპარაკი გვექნება შემდეგ თავში, ხოლო რაც შეეხება ამ ადგილს, უნდა გარაჭრით განვაცხადოთ, რომ მეორე სტრიქონის შინაარსი შედეგია ლექსის ტენიკური მიზეზების და არა იმის მამასწავებელი ვითომც აქ რუსთაველი „ჩეარობდეს გაგვათრთხილოს“. არა ნაკლებ გასაოცარია ის გარემოება, რომ პროფ. კ კეკელიძე სერიოზულად ცდილობს ნ. მარის ამ მოსაზრების დარღვევას და სწერს შემდეგს: „ეს გარემოება. სწორედ იმისი მაჩვენებელია, რომ აეტორი ქრისტიანია და ქრისტიანები ჰყავს მხედველობაში, ვინაიდან ქრისტიანისთვის საჭირო არ იყო საღმრთო წერილიდან, უფრო კი სახარებიდან, ამოღებული ადგილების წყაროს ჩვენება, იმისათვის ეს ისედაც ცხადი და ნაცნობი იყო“. აქედან ნათლად სჩანს, რომ კეკელიძის აზრითაც ზოგიერთ შემთხვევაში პოეტმა უნდა გვიჩვენოს წყარო, როდესაც ის საღმრთო წერილის რომელიმე აზრს იმეორებს. არ შეიძლება ასეთი მისვლა პოეტთან. თუ ჩვენ კრიჭაში ჩავუდექით პოეტს და ჩვენი აზრის დასამტკიცებლად ხელზე დავიხვით ყოველი მისი სიტუაცია, რომელსაც ის ხშირად ამა თუ იმ ტენიკური შინებით ხმარობს, ხოლო ყოველივე იმას, რაც ჩვენს აზრს ეჭინააღმდეგება, თვალი ავარიდეთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ ყოველგვარი შეუსაბამობის დამტკიცებას.

მაგრამ დავანებოთ ამ შემთხვევაში წერილმანებს თავი და საკითხი დავა-

1) ჩვენ არც ეხლა ვიცით, თუ რა ადგილას არის ეს „ვეფხის ტყაოსანში“, მაგრამ კ. კეკელიძის წიგნში ვნახეთ იგი და დაკრწმუნდით, რომ სტრიქონები მართლაც ამ სიტუაციით თავდება.

ყენით ფართოდ. თავდაპირველი წყარო როგორც იმ ეჭვის, რომ პოემა თარგმანს წარმოადგენს, ისე იმ მოსაზრების, ვითომც მისი ავტორი ქართველი მაპმადინია, არის ის გარემოება, რომ რუსთაველს თავისი პოემის შინაარსად მაპმადიანური ცხოვრება აულია და მოქმედებაც მათ ქვეყნებში გადაუტანია. რა მიზეზით მოხდა ეს? შეეძლო რუსთაველს, რომ ის სხვანაირად მოქცეულიყო? 1). არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო. ვცადოთ ამის დამტკიცება.

უწინარეს ყოვლისა ვიკითხოთ, თუ როგორი იყო მეთორმეტე საუკუნის ან უფრო ძველი დროის ადამიანი დღევანდელ ადამიანთან შედარებით? ისტორიული პერიოდის ადამიანი ყოველ საუკუნეში თითქმის ერთსა და იმავე ფიზიკურ შესაძლებლობას წარმოადგენდა. ძველ დროსაც, ისე როგორც დღეს, ადამიანი საშუალოდ იწონიდა ხუთ ფუთს და მისი სხეულის ლონე ამ ფარგლებზე. ში იყო მოქცეული. ის გაცილებით უფრო მწვავედ ჰქონდნობდა თავის ფიზიკურ უძლურებას სიკვდილის ან ბუნების სხვა მოვლენათა წინაშე, ვიდრე ჩვენს დროში. ძველად ადამიანს უაღრესად ესაჭიროებოდა ფიზიკური ძალა. განუშევეტელი ხელჩართული ბრძოლები ამ ძალას მაშინდელი ადამიანის ოცონების საგნად აქცევდა. ფიზიკური ლონე დღესაც ბევრსა სწყურია, მაგრამ ეს ნატერა არ არის დამახასიათებელი ჩვენი დროის ადამიანისათვის, ხოლო ძველად კი ის ერთნაირად ახასიათებდა დიდსაც და პატარასაც, ქალსაც და კაცსაც. ხმალის მოქნევასა და ისრის გასროლას ის ახერხებდა მაშინ უქეთ, ვისაც უფრო მტკიცე მქალავი ჰქონდა, გაქცევას მაგარი მუხლი უნდოდა, მტრის შემთხვებას მრისხანე შეძახილი. ვინ იცის რამდენ ახალგაზრდა ქართველს გაუთენებია ძველ საქართველოში ლამეები იმაზე ოცნებით, რომ ლმერთს მიეცა მისთვის ერთი ისეთი დევ-გმირული ხმა, რომლის საშუალებით ის შესძლებდა ყოველი მხრიდან მის სამშობლოზე მომდგარი ურდოების მიწაზე დაფუნდას და განადგურებას. გმირი,— ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობის ჰიპერბოლური განსახიერება,— აი რა შეადგენდა ძველი ეპოქების იდეალს. მაშინდელი პოეტები სცდილობდენ ამ იდეალის გამოხატვას. ისინი სწერდენ გმირულ პოემებს, საღაც მათ გამოჰყავდათ არაჩვეულებრივად ლონიერი პირები. თანამედროვენი კითხულობდენ ამ პოემებს, და მათ აღტაცებას არა ჰქონდა საზღვარი, როდესაც ისინი შიგ თავიანთი მხურვალე ოცნების განსაზიერებას ნახულობდენ. მაგრამ ყოველ მხატვრულ ნაწარმოებს ესაჭიროება უწინარეს ყოვლისა მხატვრული სიმართლე. იმისთვის, ვინც პოეტური ნაწარმოების მთავარ ინტერესს ხედავს სიუჟეტის განვითარებაში, ესე იგი მკითხველების უდიდესი ნაწილისათვის, საჭიროა რომ ნაწარმოებში მოთხრობილი ამბავი დასაჯერებელი იყოს. არა თუ მხატვრული ნაწარმოებისათვის, მხატვრული სიმართლე ზღაპრისათვისაც კი აუცილებელია. როდესაც ბავშვს ზღაპარს უყვებით, თუ თქვენ უთხრით მას, რომ ეს ამბავი მოხდა გუშინ. ან დღეს აგერ ჩვენს ეზოში ან მეზობენისადმი. ასეთი განმარტება ჩვენ შეტად ზერელედ მიგვაჩინა.

1) ამ საუთსს აყენებს დ. ჩუბინაშეილი და მაპმადიანურ ქვეყნებში პოემის მოქმედების გადატანას სსნის იმით, რომ პოემაში განსაზიერებულია რუსთაველის ალკრძალული სიყვარული თავისისადმი. ასეთი განმარტება ჩვენ შეტად ზერელედ მიგვაჩინა.

ლის კალოზე, ის შემოგხედავთ ერთს უნდობლად და შემდგა შეიძლება ყურიც აღარ დაგიგდოთ, ვინაიდან მას თქვენი ნაამბობი არა სჯერა. რომ დაიჯეროს, ამისათვის საჭიროა უთხრათ მას, რომ ეს მოხდა ცხრა მთას იქით „ან „ათასი წლის წინად“. არა მარტო ბავშვები, დიუგებიც ადვილად იჯერებენ ყოველგვარ ფანტასტიურ მოვლენას, თუ კი ეს მოვლენა საკმაოდ დაშორებული იქნება მათგან სივრცეში ან დროში. როგორც იქცეოდენ ძველი პოეტებისაგმირო პოემებში მხატვრული სიმართლის დასაცავად? მათ თავიანთი პოემების დაუჯერებელი ამბები გადაჰქონდათ შორეულ წარსულში, ან შორეულ ქვეყნებში. ასე მოიქცა ჰომეროსი, რომელმაც თავისი პოემების მოქმედება საბერძნეთის მითოლოგიაში გადაიტანა. მაშინდელი დროის ძერძნები ალტაცებული ისმენდენ ალბად მის „ილია-დას“ და სწუხდენ თანაც, რომ ცუდი დრო დადგა, ხალხი დაჩივდა, აღარ არიან ძველებური გმირები, დიდი ვაჟეკაცები. ასე მოიქცა ვირგილი—„ენეიდას“ აეტორი—ასე მოიქცა ფირფლოუსი, რომელმაც თავისი დროის სპარსელებს თვალწინ დაუყენა ძველი ზღაპრული გმირები, მშობლიური მითოლოგიის პილოტანები—ნარი-მანი, საალი, როსტომი, ზურაბი. როგორ უნდა მოქცეულიყო რუსთაველი, რა პირობებში იყოფებოდა ის ყველა ამ პოეტებთან შედარებით? მას არა ჰქონდა მშობლიური შითოლები, მისთვის საქართველოს მაშინდელი უახლოესი საუკუნეების ისტორიაც კი სიბნელით იქნებოდა მოცული, სამაგიეროთ რუსთაველს ჰქონდა საგმირო პოემის დაწერის დიდი წყურვილი, სადაც გარაშლილი იქნებოდა საარაკო გმირობა საარაკო სიყვარულთან დაკავშირებით. გმირებს კი ჰქმნის ისტორია, გმირები არ არსებობენ გარეშე პერსპექტივისა დროში ან მანძილში. საქართველოში, რუსთაველისათვის არ იყო არც ერთი და არც მეორე სიშორე. ცხადია, მას უნდა ესარგებლნა სხვა ქვეყნის მითოლოგიით; ეს სხვა ქვეყანა უჰეკელად მაჰმადიანური უნდა ყოფილიყო, ვინაიდან შეელი მაშინდელი საქართველო, როგორც პოლიტიკურად ისე ლიტერატურულად, საესებით მაჰმადიანურ ქვეყნებთან იყო დაკავშირებული. რაც შეეხება მოქმედების არეს, გარდა იმისა რომ უცხო სიუჟეტი უცხო ქვეყანაში უნდა გაშლილიყო, არ არის საერთოდ კარგი, როდესაც დიდი ნაწარმოების მოქმედება სწარმოებს მკითხველის ცხვირის წინ. აქ არის რაღაც უხერხეულობა მაშინაც კი როცა ნაწარმოებში არაუერი დაუჯერებელი არ ხდება. 1) მცხეთაში მყოფ რუსთაველს არ შეეძლო ეთვა, რომ ნატახტარზე ან ავჭალაში შამბებში მიმავალი კაცი წააწყდა ლომნა და ვეფხვს, ერთი ხელით მან ერთი დაანარცხა მიწაზე, მეორეთი მეორე, და

1) ეს კარგად იციან დღეს ქართველმა რომანისტებმა. საქართველოში მეტად ძნელია დიდი რომანისათვის მოქმედების ასპარეზის არჩევა. სად გადაემალოს აქ რომანისტი მკითხველის დაკვარვებულ თვალზე<sup>1</sup> თუ მან რომანის მოქმედება ქუთაისში გაშალა, ყოველი იმერელი მკითხველი იმ სახლსაც კი გამოიცნობს, სადაც მისი გმირი შევა ან საიდანაც გამოვა. არც ტფილიში ხერხდება ეს გადამალვა, მკითხველს ჰგანია, რომ ყოველივე ის რაც ამ ქალაქის ფარგლებში გამართულ ნაწარმოებში ხდება ქართველი გმირის გარშემო, მომზდარა დახლოვებით ან წყნეთის ქუჩაზე ან ვერის დაღართზე. არა თუ აეტორისთვის, ეს უხერხეულია თვითონ მკითხველის-თვისაც კი.

ამგეარად ორივე დახოცა. რუსთაველის თანამედროვენი აშ ამბავს უწოდებდენ მონადირის ტყუილს. რომ ასეთ ტყუილს დამაჯერებელი სახე მიეღო, საჭირო იყო მისი გადატანა ცხელ არაბეთში, შორეულ ინდოეთში, საერთოდ ეკზოტიურ ქვეყნებში, რომელიც ადამიანის ფანტაზიას ჩვენს დროშიაც კი თასაგარი დაუჯერებელი ამბებით დაუტვირთავს.

რაკი რუსთაველი იძულებული შეიქნა მოქმედება მაჰმადიანურ ქვეყნებში გადატანა, რაღა თქმა უნდა, რომ პოემაში, როგორც ამას ვრ. კექლიძეც შენიშვნას სამართლიანად, გადაშლილი უნდა ყოფილიყო მაჰმადიანური ცხოვრება. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ეს ცხოვრება რუსთაველს ზედმიწევნით ეცოდინებოდა, რის გამო მან საესტებით შესძლო მხატვრული ილიუზის შექმნა.

სარგის კაკაბაძე როგორც ზევით მოვიხსენიეთ, ფიქრობს, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ დაწერილია არა უადრეს მეთოთხმეტე საუკუნის ნახევრისა. გარდა ზემოთ (III თავში) მოხსენებული საბუთისა, კაკაბაძე ეყრდნობა იმ გარეძოებას, რომ პოემაში ნახმარია თაბარის ეპოქისათვის უცხო სიტყვები: ს კამი, შუბი, მოლარე, ხანი, ალლუმი, ჯეონი, და ხვარაზმშა. ხოლო, მეორე მხრით პოემაში ვერ ვნახულობთ ზოგიერთ ისეთ სიტყვებს, რომლებიც თაბარის დროს ხმარებაში იყო: ს ელი, ჰოროლი, მეჭურჭლე. პროფ. კ. კეკელიძე აღლვეს კაკაბაძის ამ საფუძველს. კეკელიძე ამტკიცებს, რომ ყველა ეს სიტყვები თამარის დროს და ჯფრო აღრეც იხმარებოდენ, ხოლო რაც შეხება ს ელსა და მეჭურჭლე ს, ავეთხის ტყაოსანში“ ისინი გვხვდებიან. 1) მაგრამ დაუშვათ, რომ აქ ყოველივე ისეა, როგორც ს. კაკაბაძე ფიქრობს, მაინც განაწარმოსადგენია რუსთაველის, ამ ბუმეტერაზი პოეტის, ადგილიდან დაძრა იმ მიზეზით, რომ მას ესა თუ ის სიტყვა უქმარნია ან არ უქმარნა თავის პოემაში?! ამაზე ჩვენ შემდეგი ამბავი გვაგონდება: ერთმა კაცმა მოისურეა ხარის დაკვლა, მაგრამ დანა წინა დღით მას. სახლის სახურავზე დარჩეოდა; დანის ჩამოტანის მაგიერ ამ კაცმა ხარის აყვანა მოინდობა მაღლა დასაკლავად... სწორედ ასე იქცევა პატივცემული მკლევარი ამ შემთხვევაში<sup>2)</sup>.

1) კ. კეკელიძეს მოპყვეტის რუსთაველის სტრიქინი: „მონაბან სელი დაუდგა, დაჯდა კიბალვით და რიდითა“. ჩვენ ჩვენის მზრით უნდა დაუშატოთ, რომ ქვედა სართულის ტანებში არის ასეთი სტრიქინი: „მონა სელს უდგა მს. ავთანდილს, პირდაპირ მზისა ჯდებოდა“. კაკაბაძის მიერ გამოცემულ „ვეფხის ტყაოსანში ცტრინი „მონა სულს უდგამს-ო, მარამ ეს აშკარად შეცდომა არის ან კორექტურული ან გადამწერის.

2) ჩვენ ვფიქრობთ რომ „ვეფხის ტყაოსანი“ უმაღლ არის დაწერილი, ვიდრე „თამარიანი“, რომელსაც ყველა თამარის დროის ნაწარმოებადა სთვლის. რომ ეს ასე არ იყოს, „თამარიანი“ უშპელია იქნებოდა ნახსენები „ვეფხის ტყაოსანის“ უკანასკნელ ტაქტში, ყოველ შემთხვევაში უმსლ, ვიდრე სხვა რომელიმე ნაწილმოები, ვინაიდან ორივე ეს პოემა თამარის სეჭებრად არის დაწერილი. თუ ჩვენ დაუშვებთ, რომ ეს უკანასკნელი ტაქტი შემდეგ არის მიწერილი, ამით ვერაფერს ვერ ავხსინოთ, რადგან არც მით უმეტეს, ყალბის—მქნელი დასტოვებდა „თამარიანის“ მოუხსენებლად. პირიქით, ეს გარემოება ამტკიცებს იმას, რომ მოსსებული ტაქტი ყალბი არ არის მეორე მხრით, „თამარიანის“ მოხსენებული „ვეფხის ტყაოსანის“ გმირი თინათინი: „ა ეს თინათინ, ნუ ის თინათინ, არაბეთს იყო სულადიანი“.

პროლოგის ტაქტების დალაგება ს. კაკაბაძის გამოცემაში პირდაპირ საარა-კოა. მაგალითად, პირველ ტაქტს „რომელმან შეჰქმნა სამყარო“... სადაც პოეტი რიტორიული ფრაზებით აგვიწერს ლერთის ბუნებას, უშუალოდ მოჰყვება ტაქტი „მე რუსთველი ხელობითა...“; ეს ისეთი ყოვლად შეოწყნარებელი გადასკლა არის, რომ ამას რუსთაველი კი არა, შეოთხე კლასის გიმნაზიელი არ დაუშვებს თავის ლექსში. თავისი კონტრასტული გადასკლით ამას ემგვანებოდა, მაგალითად, შემდეგი ტირადა უფლის მიმართ: „ლექტორ დიდებულო! შენა ხარ სამყაროს უზენაესი შემოქმედი, შენში მარხია დასაბამი და დასასრული ყოველი ნიგოსის და აი ეხლა მე წყალი მწყურია და წყაროზე მივდივარ წყალის დასალევად“. განა შეიძლება ასეთი ნახტომები აზრის მსველეობაში?

იუსტინე აბულაძე საც საც სხვადასხვა გადამწერების მიერ შეკეთებულად მიაჩნია პროლოგი და ეპილოგი. სიტყვები „ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“, მისი აზრით, ვიღუც პოეტი-ბიბლიოგრაფის მიერ უნდა იყოს მიწერილი. შეუძლებელია ცალკე სტრიქონის სიყალბეზე ვილაპარაკოთ, როდესაც სტრიქონები ორგანიულად არიან ტაქტი, ერთმანეთთან დაკავშირებული). ზოგიერთი მკვლევარები მთელ ამ ტაქტსა თვლიან ყალბად, საკითხიც სწორედ ასე უნდა დაისვას. ჩვენ გვერნდა ზემოთ ლაპარაკი ამ შესანიშნავი ტაქტის შესახებ. აქ კი ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ასეთ ტაქტს იმ თემაზე, რომელიც აქ არის აღებული. ვერ დასწერდა არა თუ ვინმე ბიბლიოგრაფი, ან „ვირშეკლიოტი“, როგორც ნ. მარი ფიქრობს, არამედ ვერცერთი ცნობილი ქართველი პოეტი, რომელიც სწერდა შაირით ლექსებს. ოთხი ასეთი პოეტი ჩვენ ზემოთ დაფასახელეთ და მათ უნდა მიყუმატოთ კიდევ ილია, აკაკი და, ასე გასინჯეთ, ვაჟა ფშაველაც. რა საბუთით ვფიქრობთ, რომ ისინი ვერ დასწერდენ ასეთ ტაქტს? იმ მეტად დამაჯერებელი საბუთით, რომ ვერცერთმა მათგანმა ვერ დასწერა ამის შესადარებელი სტრიქონები ადამიანის ცხოვრების მსწრაფულ წარმავლობაზე და მის ამავებაზე, მიუჩედავად იმისა, რომ ისინი ყველანი შეეხენ პოეტებისათვის ამ მეტად მაჩიდველ თემას.

ი. აბულაძე ემხრობა ცნობილ შეხედულებას, რომ რუსთაველის სამშობლო უნდა ყოფილიყო ჰერეთის რესთავი, ეგრედწოდებული ბოსტან-ქალაქი. აი სხვათა შორის, რასა სწერს ის ამის შესახებ: „რომ სახელდობრ ეს ტეილისის ახლო მდებარე ქალაქი უნდა ყოფილიყო პოეტის ადგილ-სამყოფელო, ამას რამდენადმე გვაფიქრებიებს შემდეგი შედარება, ვერთხის ტყაოსანში“: „ალათუობდეს საჭურჭლესა მისა, ვითა ნათურქალსა“. როგორც ზეგით იყო ნაჩვენები, ქ. ც—ბით, რუსთავი დავით აღმაშენებლის მეფობის პირველ ხანებში თურქებს

1) კერძო საუბარში ი. აბულაძემ გამოსთვა ის აზრი, ვითომც რუსთაველს ასე დაეწეროს ეს სტრიქონი: „გსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველი“..., ზოლო დანარჩენი მიუმატებია სხვას არა თუ დაუშემტებული, წარმოუდგენელია, რომ რუსთაველს სტრიქონი ტაქტში გაურითმავი და დაუმთავრებელი დაეტოვებითს. ამისათვის უნდა დაუშვათ, რომ რუსთაველი უკრად გარდაი. და ამ ტაქტის წერის დროს.

ეჭირათ, შაშასადამე, პუეტის საშშობლო ქალაქის მკვიდრთ გამოუცდიათ, როგორც თურქთა ბატონობა, ისე შემდეგში მათი განდევნა. ამიტომ მზგავსი შედარება რუსთველას პოეტის მხრით სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს, რაღაც საგულვებელია, რომ პოეტის მხრით ამგვარი შედარება აღგილობრივის ხასიათისაც უნდა იყოს“.

წარმოუდგენელია ასეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრის დროს ასეთ წყრილმანზე და ყოვლად უნიადავო მოსაზრებაზე დაყრდნობა. განა არსებობდა ძეველ საქართველოში ისეთი კუთხე, რომელიც უზრუნველყოფილიყო თურქების შემოსევისაგან? კერძოდ კი განა მესხეთი ყველაზე უფრო ხშირად არ განიცდიდა თურქებისაგან რბევასა და აწიოკებას<sup>1)</sup>.

როდესაც „ვეფხის ტყაოსანის“ მკვლევართა ასეთ მოსაზრებებს ვკითხულობთ, ჩევნ ყოველთვის გვაგონდება მარკ ტევინის ერთი მოთხოვნა—„თეთრი სპილოს დაკარგვა“. ეს მოთხოვნა წარმოადგენს სატიროს ინგლის-ამერიკის მაძიებლებზე, რომელთაც ჩევეულება ჰქონიათ განსაკუთრებით უცნაური და რთული მოსაზრება ჯამოსთქვან იმათ წინაშე დასმული ყოველგვარი საკითხის შესახებ, თუნდაც ეს საკითხი მეტად მარტივი იყოს თავისოთავად. ამ მოთხოვნაში აწერილია შემდეგი ფაქტი. ვაგონით მიჰყავთ რკინის გზაზე ინდოეთიდან ინგლისში თუ ამერიკაში ჩაყვანილი თეთრი სპილო—მეტად იშვიათი სპილო. ერთ სადგურზე ეს მატარებელი გაათევს ლაშეს. დილაზე სპილოს პატრონები ხედავნ, რომ ვაგონის ერთი კედელი გამოგლეჯილია მთლად და შიგ სპილო აღარ არის, —სპილო მოუპარავთ. სპილოს პატრონებიმა აფრინეს ყოველი მხრით დეპეშები და გამოიწერს ყველა გამოქენილი მაძიებლები. მაძიებლები მოვიდენ და დაათვალიერეს ვაგონი. ყველამ სხვა და სხვა მოსაზრება გამოსთქვა იმის შესახებ, თუ როგორ არის ვაგონიდან გაყვანილი ეს თეთრი სპილო, მაგრამ ყველანი შეთანხმდენ ერთ აზრში, სახელობრ იმაში, რომ სპილო ამ გამოგლეჯილი კედლიდან კი არ გაუყვანიათ, არამედ რომელილაც სხვა გზით. ყოველი მათგანი გულმოდგინეთ ათვალიერებდა ვაგონის დანარჩენ სამ კედელს, ნახულობდა იქ პატარა ჭუჭრუტანას და აცხადებდა, რომ სპილო იქიდან არის გაყვანილი. მეორე მაძიებელი მის განცხადებაზე მხრებს აიჩინდა. და უპასუხებდა, რომ ეს შეუძლებელია, რის შემდევ ის, თავის მხრით, კიდევ უფრო პატარა ჭუჭრუტანას დაადებდა თითს და აუწყებდა ყველას, რომ უმცველად ეს არის ის ადგილი, საიდანაც გაუყვანიათ სპილო ჭურდებს.

არის „მართლაც გარეგნულად რაღაც საერთო ამ ამბავსა და უვეფხის ტყაოსანის“ გარშემო წარმოებული კელევ-ძიების შუა. განა თეთრი სპილოს დაკარგვას არა ჰვავს ის ფაქტი, რომ „ვეფხის ტყაოსანის“ მკვლევარებმა იციან,

1) თუ როგორ დასწერ, რუსთაველმა ეს სტრიქონი, ამაზე ლიაბარაკი გვექნება შემდევთავში, სადაც ჩევნ უვეფდებით და ჰალოთ ზოგიერთი მისი ტავები, ნათელყველ ყოფილი ჩინჩხი პოეტის წარმოდგენაში და გამოვარევით, თუ რა იყო მათში მთავარი და რემარკ ხარისხვანი.

თუ ვინ დასწერა პოემის პროლოგი, რომელიც სულ 31 ტაეპისაგან შესდგება (მისი ავტორი ყოფილა ვილაც რუსთველი), იციან თუ ვისი დაწერილია ეპილოგის ხუთი ტაეპი (ის დაუწერია ვილაც ბიბლიოგრაფ მესხს), მაგრამ მათ აღარ იკან თუ ვინ დასწერა თვითონ პოემ „ვეფხის ტყაოსანი“, რომელიც დაახლო-ვებით 1600 ტაეპისაგან შესდგება. ამ ორ იუმორისტულ ამბავში განსხვავებაც არის: თეთრი სპილო მართლა მოიპარეს ქურდება, „ვეფხის ტყაოსანის“ ავტორი კი არავის არ მოუპარავს, ის მთელი თავისი გრანდიოზული სიმაღლით ამარ-თულა მკვლევარების წინაშე, მაგრამ უკანასკნელებმა იმდენად დაარწმუნეს თა-ვიანთი თავი მის დაკარგვაში, რომ ისინი ვერ ხდეავნ მას.

კერძოდ ი. აბულაძის „ნათურქალზე“ დამყარებული მოსაზრება ჩვენ ერთ ისეთ პატარა ჭუჭრუტანაზ მიგვაჩნია, სადაც, არა თუ სპილო, ბუზიც კა ვერ გაეტევა.

ი. აბულაძე ფიქრობს,<sup>1)</sup> რომ ვახტანგის გამოცემა შეკეთებულია ვილაც მესხის მიერ, რომელსაც დაუშთავრებია ზემოთ მოყვანილი სტრიქონი, შეუთხ-ზავს ეპილოგის დანარჩენი ოთხი ტაეპი, შესავალის რამდენიმე ტაეპი, და თვი-თონ პოემაში კიჯევ ზოგიერთი ადგილი. მკვლევარის აზრით აქ სჩანს ერთი სტილი—რა თქმა უნდა ცუდა ცუდა. აი რას სწერს ამის შესახებ ი. აბულაძე: „მართ-ლაც ვახტანგის გამოცემის შემკეთებელს ძალიან სჩვევა უგვანი შედარებები და ნახალადევი ლექსები; მოენიტან მაგალითებს: შესავალში ვკითხულობთ, IV, 3, „მელნად ვიშმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული“, რუსთაველი კი შავს თვალებს ადარებს მელნის მორევს, ან მელნის ტბას... ტანს კი—წვრილ თმას“<sup>2)</sup>.

ტაეპი, რომელშიაც ეს სტრიქონი შედის, ალიტერაციის მხრით ჩვენ და-წვრილებით განვიხილეთ ზემოთ. ის საერთოდ ერთი უშესანიშნავესი ტაეპია პოემაში. კერძოდ ამ სტრიქონში მოცემული შედარება პატივცემულ მკვლევარს ვერ გაუგია. რუსთაველი გიშრის ტბას აქ თამარის თვალებს ჲი არ ადარებს, ან რხეულ მინას—თამარის ტანს. ყოვლაც დაუშვებელია ვითიქროთ, რომ რუს თაველს აქ ორკეცი შედარება ჭქონდეს ნახმარი (თავდაპირველად ეს განმარტება ნ. მარმა წარმოადგინა) მელანი—გიშრის ტბა—შავი თვალები, კალამი—რხეუ-ლი მინა—ტანი ქალის მაშინ გამოდის ასეთი, მართლაც უგვანო სახე, თითქოს რუსთაველი თავისი პოემის წერის დროს კალამს აწებდეს შავ ზვალებში. აქ არის უბრალო, ერთკეცი შედარება: რუსთაველს უნდა სთქვას (და კიდევაც მშვენიერად ამბობს), რომ, როდესაც ის მაღალი დედოფლის ქებასა სწერს, უბრალო მელანსა და ბატის ფრთის კალამს კი არა ხმარობს, რასაც ჩვეულე-

1) „ვეფხის ტყაოსანი“, ი. აბულაძის გამოცემა.

2) ბოლოს აბულაძემ ეს სტრიქონი შეასწორა და ისევ რუსთაველს მიაკუთვნა. ამ შესწორების ესახებ, რომელიც ყველა მკვლევა-რებმა გიზიარეს, ლაპარაკი გვექნება შემდეგ, ეხლა კი შევნიშნოთ მთლიან ის, რომ შესწორებას („მელნად ვიშმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“) არაფერი არ გამოუცვლია „გიშრის ტბის“ გარშემო და რაფორ მოხდა რომ წინად ეს შედარება „უგვ ნო“ იყო, ხოლო აბულაძის მიერ შეტანილი შესწორების შემდეგ ის რ უსთაველის კალამის ღირსეულ ნაყოფად გადაიქცა?

ბრივი წერის დროს ხმარობენ, არამედ გიშრის ტბას და რხეულ მინას. აქ შედარებულია, მელანი გიშრის ტბასთან და კალაძი რხეულ მინასთან, არც თვალები, არც ტანი სრულებით არ არის ნაგულისხმევი. შემოქმედების პროცესი ძალიან რთულია და შესაძლებელია, რომ რუსთაველს ამ სტრიქონის საბოლოოდ ჩამოყალიბებამდე, მართლაც ჰქონდა მხედველობაში თამარის თვალები, მაგრამ როდესაც სტრიქონი სავსებით გამოიკვეთა ზემოთ მოყვანილი სახით, რუსთაველი აღარ გულისხმობდა ამ შედარებაში არც თვალებს და არც ტანს, ყოველ-შემთხვევაში ჩვენ, მკითხველებს, ავტორი არ გვაძლევს არავითარ საბაბს ვიგულისხმოთ ისინი.

აბულაძეს არ მოსწონს სტრიქონი „გასტეს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“ და ამის შესახებ შენიშნავს: „ტყვიის ლბილი გრდემლი არ არსებობს, პირიქით, გრდემლი ბასრი უნდა“. რუსთაველმა, რა თქმა უნდა, იცოდა, რომ გრდემლი მაგარი უნდა და არა ლბილი, მაგრამ ის ამ სტრიქონში გრდემლს მჭედლის თვალსაზრისით არ მისდგომია. რუსთაველი აქ იმ შეუდარებელი ხელოვნებით, რომელიც მხოლოდ დიდ პოეტებს ახასიათებს, გვიხატავს თუ რამდენად ლბილია, რა უნაზეს ფორმებშია მოქციული მისი მაღალი ქალბატონის ლვთაებრივი ბუნება, და იმავე დროს რამდენად ხელშეუმართავი და ლახვარივით გამგმირავია მისი გავლენა ადამიანზე, თუნდაც ამ უკანასკნელის გული ქვასავით მაგარი იყოს. 1) ეს ტაეპი კადევ უფრო შესანიშნავია, ვიდრე ზემოთ დასახელებული. ბგერები დალაგებულია. შიგ გასაოცარი ოსტატობით:

მიბრძანეს მათდა საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,  
ქება წარბთა და წამშამთა თბათა და ბაგე-ქბილისა,  
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა,  
გასტეს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა.

ამ ტაეპში იშის ოთხი გაფრენილი ქედანის აჩქარებული ფრთების ცემა მასში არ შეიძლება იოტის ოდენი ნაკლის ღლმოჩნა. მთელი ქვეყნის გადამწერების გაერთიანებული ძალა ვერ დასწერდა ამ ტაეპს 2)

ი. აბულაძე განაგრძობს „ვეფხის ტყაოსანში“, „ვიღაც ბიბლიოგრაფიის მესხის“, მიერ შეტანილი „უგვანო“ სახეების აღმოჩენას და იქვე სწერს შემდეგს:

1) ან შეიძლება აქ ნაგულისხმევია დედოფლის მიერ ლბილად; გადიმებით გამოთქმული სურვილი ხორბის დაწერის შესახებ, რომელიც ბრძანებისა და მტკაცი კანონის სახეს იღებს მის-თვის—რუსთაველისთვის.

2) ნ. მარი ასე სთარგმნის ამ ტაეპს უკანელ სტრიქონებს:

„...губы и зубы,

„Стройными рядами выточены из рубина и хрусталия,

(Но крепкие:) наковалня из мягкого свинца дробить крепкий камень“.

გამოდის თითქოს რუსთაველი იქ თამარის მაგარი კილებს ლაპარაკობდეს. უკანასკნელი სტრიქონის ასეთი გაგება მოჟლი ტაბის განადგურება იქნებოდა. ასე თუ არის, რაღა. საჭიროა მაშინ „но крепкое“, თითქოს ბროლი ლბილი იყოს?

, „ბოლო მინაწერის ავტორსავე უნდა ეკუთვნოდეს ის უგვანი სურათიც, რომელ-  
საც წარმოადგენს 178 ხანა: „ყმამან უთხრა: და ასმათ, ხილი ზღვასა ჩაგვი-  
ცვივდეს“. ზღვაზე ხიდი შეიძლება?! ეს რა ძალიან გავს ტყვიის ლბილი გრდებ-  
ლის ნათქვას!..“ ი. აბულაძემ გამოსცა ქართულად „შაჰ-ნამეს“ თარგმანი და  
მას ეხსომება ამ პოემიდან ასეთი სტრიქონი:

„შუბის წვერი ცასა ხევდეს და ლრუბელი სისხლასა სწვიმდეს!“

ვის გაუგონია, რომ შუბის წვერი ხევდეს ცას? ვის უნახავს რომ ლრუბელს.  
სისხლის წვიმა სდიოდეს?!“

იმავე პოემაში არის ასეთი (და აუარებელი კიდევ სხვა ასეთი) სტრიქონი:  
ზურაბი იძახის:

მე ვუჩვენო ერანელთა მზე ულრუბლოდ დაესებული!

ვის უნახავს დღისი ულრუბლოდ დაესებული, ესე იგი დაწირდილული მზე?.  
თვალებზე თუ დაიფარებს ადამიანი ხელს, თორებ ისე ულრუბლოდ მზე არ დაი-  
ჩრდილება... იმავე პოემის გმირები „მთასავით ყვირიანი“, ვის გაუგონია, რომ  
მთა ყვიროდეს?! არაფერი აქ მოყვანილი მაგალითების მაგვარი ცხოვრებაში არა  
ხდება, მაგრამ პოეზიაში ამ დიდ ტყუილებს უდიდესი გასავალი აქვს, და სახე-  
ლად ეწოდება იმათ იქ ჰი ჰერბოლა. რუსთაველის ზემოთ მოყვანილ სტრი-  
ქონში მოცემულია კატასტროფის გაზიადებული, ჰიპერბოლური სახე. პატივ-  
ცემულ მკვლევარს კი უნდა რომ ეს სურათი დაპატარავდეს და ზღვის მაგიერ  
რუსთაველმა რომელიმე ხევის აძლევებულ ღელეში ჩაჰყაჩოს თავისი ხიდები,  
სხვა თუ არაფერი, ის მაინც ვიცით ისტორიიდან, რომ ქსერქსის ბრძანებით ხიდი  
გაიყვანეს ჰელესპონტზე და შემდეგ აღელვებულმა ზღვამ წალეკა ეს ხიდი.

აი ამ ზემოთ მოყვანილ მოსაზრებებზე ეყარება ი. აბულაძე, როდესაც მის-  
მიერ გამოცემულ „გეფხის ტყაოსანში“ პროლოგისა და ეპოლოგისათვის ზემო-  
დან დაუწერია, რომ ისინი მხოლოდ „მიეწერება შოთა რუსთველს“.

პრიოთ. კ. კეკელიძე, როგორც ზევით მოვისხენიეთ, იმ აზრის არის, რომ  
პროლოგი და ეპილოგი პოემის ავტორის მიერ არ არის დაწერილი. ის ვრცლად-  
განიხილავს ეპილოგს და ამტკიცებს, რომ იგი მრავალი შეუსაბამობით არის  
სავსე. შევეხებით აქ ყველა მის მიერ ამ აზრის დასამტკიცებლად, წამოყენებულ  
დებულებებს, რათა მკითხველმა არ იფიქროს, ვითომც ჩვენ მკვლევარის უფრო  
სუსტი მოსაზრებანი ამოვიდეთ მიზანში. აი ისინი მუხლობრივ:

1) „წინასიტყვაობაში განცხადებულია—პოემა შეიცავს თანარის ქებასო,  
ის მისი საქებრადა დაწერილიო, ბოლოსიტყვაობა კი გვეუბნება, რომ პოემა  
დაწერილია არა საქებრად, არამედ საქამათებლად თუ საქუმათებლად (ნ. მარით).  
ესე იგი გასართობად მხოლოდ და ისიც არა მარტო თამარისა, არამედ მგონია  
დავითისაც“.

რა არის აქ გასაკვირი? განა არ შეიძლებოდა, რომ რუსთაველს ამ პოე-  
მის წერის დროს, რომელიც, სულ უკანასკნელი, რამდენიმე წელიწადი მაინც  
გაგრძელდა, ახალი პერსპექტივები გადაშლოდა წინ? გარდა ამისა, რა დიდი  
წინააღმდეგობა არის საქებრად დაწერაში და გასართობად დაწერაში? ძალიან

კარგად შეიძლება ორივე ამ მიზანის ერთად შეთავსება. ყოველ შემთხვევაში ეს არის მეტად წვრილმანი მოსაზრება.

2) „՞Ինչանուրպաշման նայելամու, հռմ Յոյըմ օյցեծ տամարս, օյցեծ մուս տաղալ-վարծ-լուսա-վամբամեծս, օյցեծ Շետքրիզեցու, յեց օցո համուսեմուլո լույսեծիս միմոճճնցու (Ե. մարո), մաշրամ մտցլս Յոյըման ահսագ յրտո Տուրպուտաց կո տա-մարո նաևսենցի ահաա“ հա արուս օյց ցայցիցիարո? Հյուստացելմա ցանիթրածա տամա-րուս Շյէյթա, մաշրամ տացուսո մոնանո ման ուժանո կո ար ցանաթորուցուլո, արամեց պնոճուլ Տուրպութիւ լույցիրուլ Յոյըման, սագաց, ւիշագու, մաս արց յրտու, արց նաեցարո Տուրպուտ տամարուս Ենցենցա ար Շյէյթլո; Սամացուրու ման Յուրճապուր դաասաեցլո Յոյըմու մոնանո Տրուլոցուս օմ Ծացեցինո, հռմլուցու տամարուսագու Յոյըմուս մուժլունու Ենսուտու արարյեծս. Հյուստուս Յոյըմա լուրյացունմա յաբարյունց Ա-ս Սայեցիաց լույցիրա տացուսո ,ցուլուցա“ սագաց յաբարյունց արց յրտո Տուր-պուտ ար արուս նաևսենցի. յեց „ցուլուցա“ հռմ ջուզո, նավարմուցի պոտուլուց Նոմուտ լուրյացուն Յուլուցու լույցիրա մուտցուս, նոյ ույ մաս լոյլուցա ար յի-նցեցուլո լուրնուցիա ոյց մյուտեցցուլուցիսա տացուսո նավարմուցիս մոնանո?.

3) „რაც უფრო საყურადღებოა, პროლოგში გატარებული აზრები პოემის შინაარსით არ მართლდება. მართლაც, აქ წარმოდგენილია შემდეგი იდეალი მიჯნურობისა და მიჯნურისა:

მიჯნურობა სხვა რამეთ, არ სიძვისა დასარარი,

იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შეა უწის დიდი ზოგარი,

„ხამს მიჯნური არ მეძავი, ბილწი, მრუში“, მან უნდა „გული ერთსა დააჯეროს“, მას არ უნდა სდევდეს თან უგულოდ სიყვარული, ხევნა კოცნა, მტლაშა-მტლუში“. ამართლებენ პოემის მოქმედნი პირნი ამ იდეალს, „დააჯერეს მათ გული ერთს“, დაიცეტეს თავი „მეძავობისა და მრუშობისაგან“? ვერაა!

ამ ძლევამოსილი „ვერა!“-ს შემდეგ პრ. კეცელიძე იგონებს ავთანდილის დამოკიდებულებას ფატმანთან, რომლის ნამდვილ მიზეზზე, რა თქმა უნდა, ის ხმას არ იღებს, და შემდეგ აგვიწეს ტარიელის გარუცნილებას იმგვარი კილოთი თიოქოს ის ეგნატე ნინოშვილის „ტარიელ მკლავაძეს“ არჩევდეს და არა „ვეფხის ტყაოსანს“. რომ მორიდება არ გვაკავებდეს, ჩვენ ბევრ რამეს ვიტყოდით მკლევარის მიერ უფიდესი პოემისადმი ასეთი ვულგარული მიღვომის შესახებ.

4) ა. კიკელიძეს მოჰყავს რუსთაველის შემდეგი ტაქი:

მიჯნურსა. თვალიარ სიტყროე მართებს, მართ ვითა მზეობა,

სიბრძნე, სიმღერა, სიუხვი, საყმე და მოწალეობა,

ენა, გონიბა, თათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა,—

ဒုဂေသနရုပ် ရှိခိုင်မှတ်တမ်း အကြောင်း မြန်မာနိုင်ငံ ပြည်တွင် ဖြစ်ပါသည်။

ამ ტაგის შესაღარებელი ბევრი არაფერი დაწერილა აღმიანის ენაზე, მაგრამ ამ რასა სწერს კ. კეკელიძე ამის შესახებ: „არსებითად ეს ტაგი სრულს გაუცემობაზე და აღმიანის სულის უცოდინარობაზეა დამყარებული: განა იმისთვის, რომ აღმიანის გულში ფესვი გაიდგას მიჯნურობამ, სიყვარულმა, ფეჭველად ის უნდა ლაშაზი, ბრძენი, გმირი და, რაც უფრო საოცარია, მდიდა-

რო იყოს? სინამდვილეში ასე არ არის, სიყვარულის ალი ერთნაირად უკიდება უველას, ისე, როგორც მზის სხივები ერთნაირად ევლინება ჟველას დედამიწაზე<sup>4</sup>。 თუ რამეა აქ გაუგებრობაზე დამყარებული, მხოლოდ პატივცემული მკვლევარის მსჯელობა, სხვა არაფერი. რუსთაველი აკვიტანის რაინდული ეპოქის მიჯნურის თვისებებს. მას მიჯნურობა ესმის, როგორც ქალისა და ვაჟის ერთმანეთისაღმი სიყვარული. მას მხედველობაში ჰყავს მიჯნური, როგორც სიყვარულის სუბიექტიც და ობიექტიც ერთსა და იმავე დროს, და არა ვიღაც მათხვარი, რომელიც ერთხელ თვალს მოჰკრავს მშვენიერ დელფინს, წავა შემდეგ თავის ქოხში და ოცნებობს მთელი სიცოცხლე იმის შესახებ. პრ. კეკელიძეს ისე გაუვია ზემოთ მოყვანილი ტაეპი, თითქოს რუსთაველი ამბობდეს, რომ ვინც ასეთი და ასეთი არ არის, იმას შეუკარება არ შეუძლია; ნამდვილად კი აქ პოეტი ჩამოგვითვლის იმ თვისებებს, რომლებიც საჭიროა რაინდისათვის სიყვარულში იზნის მისაღწევათ. რაც შეეხება თვითონ ამ თვისებებს, ჟველა ისინი, მართლაც უნდა ახასიათებდენ იმ კაცს, ვისაც ნესტან დარეჯანის ან თინათინის გულის მონალინება ექნება მიზნად დასახული. ის უნდა იყოს მზესავით ლამაზი და თვალის მომჭრელი, მისი სახის და სხეულის ყოველი ნაკვეთი ლვთაებრივი სრულყოფით უნდა იყოს გამოკვეთილი. მისთვის საჭიროა სიყმე და დიდი გმირობა. ასე გასინჯეთ, მდიდარიც კი უნდა იყოს იგი: მას უნდა ჰქონდეს აგებული ზღაპრული სასახელები, გავსილი ფასღაულებელი საუნჯეებით, მისი ქარზე უსწრაფესი ბედაურები მხოლოდ თვალმარგილიტით მოჭედილ უნაგირებს უნდა იდგამდენ გავაზე, იმისი ხმალის ეფესში ჩამჯდარი იაგუნდები და აღმასები ცეცხლს უნდა უჩენდენ მტრის ბანაეს. ის უნდა იყოს უხევი: მის სასახლეებში დაუსრულებელი ლხინი და ნადიმი უნდა იშართებოდეს, მის მიერ გაცემული საბორვარი ანგარიშმაუწვდომელი უნდა იყოს. სიბრძნეც კი საჭიროა მისთვის იმდენად, რამდენადაც აქ რუსთაველს ბრძნის სახით უუნდტის ან ჯონ სტიუარტ მილის შზგავს ადამიანი. არა ჰყავს წარმოდგენილი. სიბრძნის სახით ჩევნის პოეტს მხედველობაში აქვს ენამჭევრობა, გონებამახვილობა, პოეზიის დაფასების უნარი—სახელდობრ იმის ცოდნა, რომ „შაირობა სიბრძნისაა ერთი დარგი“, — ვინაიდან ნესტანივით და თინათინივით ალტრიტ ქალებს ყოველოვის ჰქონდათ მაშინდელი დროისათვის საქმაოდ მაღალი ინტელექტუალური მოთხოვნილება. არ შეიძლება მე-XXII საუკუნის მწერალის მსოფლიხედველობა დღევანდელი თვალსაზრისით დავაფასოთ. ჩევნი დროის ყოფაცხოვრების რომანში აღწერილია ხოლმე, თუ როგორ შეუყვარდა რომელიმე კანტორის მოხელეს მეზობელ თაბაში საწერ მანქანაზე მომზავე ქალი; აქ რა თქმა უნდა, არ არის შეყვარებული—სათვის საჭირო ჟველა ზემთალნიშნული თვისებები, მათ ნაცვლად შეიძლება წამოყენებული იქნეს აქ, „სულიერი ნათესაობა“, „საერთო მიზნები“, „ცხოვრების გზაზე ხელი ხელ ჩაკიდებული სიარულის“ პერსპექტივა და სხვა ასეთები, რომლებიც ხანძარდანთებულ რაინდულ სიყვარულში რუსთაველის მიერ ჩამოთვლილი თვისებების საკომპენსაციოდ არ გამოდგებიან.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. თავი და თავი ის არის, რომ პროფ. ქ. კმიტი-

ლიძე ვერც ურთ ზემოაღნიშნულ თვისებას ტარიელში ვერ ნახულობს. დავუგდოთ ყური: „დავანებოთ ამას თავი და შევხედოთ, აქვს თუ არა ყველა ეს „ზნეობა“ პოემის მთავარ გმირს ტარიელს? აქვს თუ არა მას სიყმე, მძლევთა მებრძოლთა მძლეობა, ესე იგი ნამდვილი გმირობა, რომლის შესახებ პოემაში ნათქვამია: „სჯობს საყვარელსა უჩენე საქმენი საგმირონია?“ არა! იქნება ვისმეს ეს პარა-დოქსად ეჩენის: ტარიელი და არა გმირი? გმირობა, რაინდობა მარტო იმაში ხომ არ გამოიხატება, რომ ხატაელები შემუსწოდ, კონკურენტი მიპარებით მოჰკვდა, ლომები და ვეფხები გასწყიტო და ქაჯეთის ციხის კარები შელეჭო!“

უწინარეს ყოვლისა ჩენენ უნდა დაგამშვიდოთ პატიცემული მკელევარი იმ მხრით, რომ არავინ ამ ამონაშე პარადოქსებს არ დაინახავს, სამწეხაროდ აქ გაცილებით მეტია, ვიდრე პარადოქსი. რა არის გმირობა? კ. კეცელიძეს სა-კითხი მთლად სულიერ სფეროში გადააქვს—მისი აზრით გმირობა ყოვილა შხვლოდ მოთმინება და ჭირსა შინა გამაგრება. ოქრიმინების მნიშვნელობა საუ-კურების განმავლობაში იცელება. ამ რამდენიმე წლის წინად გმირად ითვლებოდა ისეთი აღამიანი, რომელიც ორი ჯირვანქა ნავთისათვის რიგში ჩამდგარი დაუკენესებლად მიაღწევდა თავის მიზანს. ძველ ღროში კი გმირობა სხვანაირად ესმოდათ. ლომებისა და ვეფხების გაულეტა, ხატაელების შემუსვრა, ქაჯეთის ციხის კარების შელეჭა—ყოველივე ეს უდიდეს გმირობად ითვლებოდა მაშინ. ჩვენ პირადად დღესაც გმირობად მიგვაჩნია ასეთი ამბები.

პრ. კეცელიძე განაგრძობს და გვაუწყებს, რომ ტარიელს „აკალია ენა“ (ზაზი აქ და ქვემოთ კეცელიძის). ჩვენ კი ვიცით, რომ „ვეფხის ტყაოსახში“ არავინ იმდენს არ ლაპარაკობს რამდენსაც ტარიელი, იქ მთელი თავებია ნაამბობი მის მიერ. ტარიელი სხვაგანაც ლაპარაკობს, შაგალითად თათბირზე; ხოლო, როდე-საც სამი გმირი ნესტანიურთ არაბეთში მიღიან, ავთანდილის შუამავლობას კისრულობს არა ფრიდონი, არამედ ტარიელი, რომელიც მშენიერი, მეტად მოსწრებული სიტყვით მიმართავს როსტევანს:

დაუწყო თხრობა მეფესა სიტყვისა ბრძნად ნაკაზმისა.

„აკლია მას სიბრძნე და გონება, რომელიც გამოიხატება მიზანშეწონილს მოქმედებაში და საუმჯობესო საშუალებათა გამოძებნაში“. ჩვენ ვიცით, რომ ფრიდონის, ტარიელის და ავთანდილის სამხედრო თათბირის ღროს, ტარიელის აზრმა გაიმარჯვა და გავიდა მისი გეგმა, მაშასადამე ტარიელს ჰქონია სიბრძნე და გონება 1) რაც შეეხება „მიზანშეწონილ მოქმედებას და საუმჯობესო საშუა-

1) ი) ორა სწერს ქვემოთ კეცელიძე ამის შესახებ: „ტარიელი აქ გონებით კი არ აზროვნოს, როგორც ავთანდილი და ფრიდონი, არამედ მკლავებით, რომელიც მისოვის ბუნებას მართლაც მოუ ვა; მისი გეგმა ციხის იერიშით, ტლანქი ძალით (!) აღება, რამაც უთუოდ ზედმეტი მსხვერპლი შეიტირა“. აბა როგორ სკობდა? ქაჯების სასეიროო ცირკი უნდა გაემართათ გმირებს და აკრობატებივით ბაზრებზე ევლოთ? ან ეგებ „იერიშისა და ტლანქი ძალის“ ნაცვლად დაფნის რტოები მიერთმიათ ქაჯებისათვის და უმორნილესად ეთხოვთ, რათა ზედმეტი სისხლი არ დაღრილიყა“, ნესტან დარეჯინის გართავისუფლებაში! ისლა გვაულია, რომ ტარიელს ბრალი დაგრილიყა, ნესტან დარეჯინის გართავისუფლებაში!

ლებათა გამოქვემნას“, არ ვიკით რა ვიგულისხომთ ამ სიტყვებში. ოუსთაველი ამბობს: „მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულისა ენითა“, და ტარიელიც შმაგობს ველად გაჭრილი (ნ. მარის გამომცემით, ეს ყოფილა სამიჯნურო წესი ძველად). შეიძლება „მიზანშეწონილი“ და „საუმჯობესო“ ის იქნებოდა, რომ ტარიელს სულ გაენებებია თავი დაკარგული ნესტანის ქებნისათვის და შეერთო ცოლად ერთი კარგი საოჯახო ქალი, რომელსაც არავინ არსად გააპარებდა. ეს ცხოვრებაში ეგებ მართლაც საუმჯობესო გამოსაყალი იყოს, მაგრამ პოეზიაში თეჭად არ გამოღვება.

5) პროფ. კიკელიძე სწერს: „დასასრულ, პროლოგში ნათქვამია, რომ მიჯნური „ხამს თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამელავნებდეს“ და „არსით უჩნდეს მიჯნურობა“. ამ სიტყვების ავტორს არ სცოდნია, რომ აღმოსავლეთის საუკეთესო სტრუიალო რომანებში მიჯნურთ, თითქმის ყველას, ჰყავთ დაახლოვებული შირი, გამდელი თუ ძირა, რომელთაც უმულადნებდენ თავის ხვაშიადს“.. აღმოსავლეთის რომანებში ვერას ვიტყვით, ხოლო რუსთაველს რომ შექლება ჰქონდა წაეკითხა პუშკინის „ევგრენი რნეგინი“, სადაც ტატიანა ლარინა გამდელს უმულავნებს თავის ხვაშიადს, მაშინ ეგებ ის შესაძლებლად დაინახავდა, გამონაკლისის სახით, გამდელებისათვის სიყვარულის გამულავნებას. არ შეიძლება პოეტური ნაწარმოების ასე განხილვა.

6) პროფესორი განაგრძობს: „ეს მიჯნურობის შესახებ, რაც შეეხება მელექების თეორიის, რომელიც პროლოგში გვაქვს, მისი ლირსების დასაფასებლად საკმარისია მოვიგონოთ შემდეგი; ერთს ადგილას ნათქვამია: „გრძელი სიტყვა მოკლე ითქმის შაირია ამად კარგიო“, მერ. რე ადგილას კი— „მოშაირე არა ჰქვი. ნ. ვერას ატყვის ვინცა გრძელადო“. რომელს უნდა დაუჯეროს კაცმა?“ ჩვენ გვიმძიმს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. ყველაზე მორიდებული თქმა ჩვენის მხრით ამ შემთხვევაში იმის თქმა იქნებოდა, რომ პატივურემულ პროფესორს ვერ გაუგია რუსთაველის აზრი მოშიარობის შესახებ. მაგრამ ეს არ იქნება მართალი. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ დღეს, მე-XX საუკუნეში, სიმბოლისტების და დეკადენტების ურთულესი პოეტიკის შემდეგ, ფუტურისტებისა და დადაისტების ხშირად მართლაც გაუგებარი მანიფესტების დოოს, კაცმა ვერ გაიგოს რუსთაველის მარტივი და დღესავით ნათელი პოეტიკა. არა, აქ გაცილებით უფრო სამწუხარო მოვლენასა აქვს ადგილი, ვიღრე გაუგებრობას მევლეგარს უნდა დაამტკიცოს თავისი წინასწარ ალექსანდრეს აზრი იმის შესახებ რომ „ვეფხის ტყაოსანის“ პროლოგი სისულელე და უაზრობა არის თავიდან. ბოლომდე. ჩვენი შეხედულებით კი ეს პროლოგი წარმოადგენს ქართული პოეზიის უდიდეს სიამაყეს და მის უძვირფასეს საუნჯეს, რომლის ფეხით გათელვის ნება არავის არ უნდა მიეცეს... რას ამბობს რუსთაველი ნამდვილად თავის პოეტიკაში? აგრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის—შაირია ამად კარგიო“, გვეუბნება იჯი. აქ მას მხედველობაში აქვს სტილი, აზრის მოკლედ გამოიქმა. შემდეგ ის ანვითარებს იმ აზრს, რომ ნამდვილი პოეტი ის არის, ვისაც დიდი თა-

ფისი მოცულობით) ნაწარმოების დაწერა შეუძლიათ ამის შესახებ რუსთაველის ერთი უდიდებულესი ტაქტი:

კითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა, მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, გარჯვედ ქნევა, მართ აგრეთვე მელექსეთა ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა, რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა!)

კიდევ ერთ-ორი ტაქტი ამ აზრის გასაშლელად და ბოლოს რუსთაველი დაასკვნის: „მოშინირე არა ჰქეიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელადო“. ცხადზე უცხადესია ამ სიტყვების მნიშვნელობა: რუსთაველის აზრით ის პოეტი არ არის პოეტი, რომელსაც გრძელი პოემის დაწერა არ შეუძლია. რა არის აქ გაუგებარი? სად არის აქ წინააღმდეგობა?

პროფ. კეკელიძეს გამოპყავს დასკვნა: „ყოველივე ზემონათქვამის მიხედვით ჩვენ გვვინდია, რომ პროლოგი არ ეყუთვნის პოემის ავტორს და ის არც ერთი აღამიანის ნაწარმოებია“. მყვლევარი ფიქრობს, რომ ეს პროლოგი მე-XVI საუკუნეში უნდა იყოს დაწერილი.

ისა სწერს: „ჩვენი დებულების საწინააღმდეგო საბუთად ვერ გამოდგება, რასაკირველია, განსკვერებული ის. სარაჯიშვილის პათეთიური შეძახება: „განა იყო საქართველოში ვინე პოეტი ნიჭირებით რუსთველის ტოლი“? რომელსაც შემდეგ იმეორებს ნ. მარი: „В какую эпоху после Тамары писали в Грузии языком и стихами ставшего спорным вступления?“ ნიჭირებაზე ამ შემთხვევაში ზედმეტია ლაპარაკი, ვინაიდან რაგვარ ნიჭირებას შეიცავს პროლოგი, რამდენადმე ზევითაც დავინახეთ; რაც შეეხება յazyk и стихи-ს, როდესაც ლაპარაკია არა მთლიან ნაწარმოებზე, არამედ ცალკე ტაქტებზე, ეპიზოდებზე და კუპიურებზე, კატეგორიულად უნდა ვთქვათ, რომ აღორძინების ხანაში არა ერთი, და ორი მარგალიტი შეიძლება მოიძებნოს ვეფხის ტყაოსანის, ყოველ შემთხვევაში პროლოგის შესატყვისი. და რომ ეს ასეა იქიდანაც ჩანს, რომ, მიუხედავად დიდის ცდისა და თავის მტვრევისა, მეცნიერული კვლევა ძიების მეთოდებით აღჭურვილნიც კი ყოველთვის ვერ ახერხებენ ნამდვილისა და ყალბი ტაქტების გამოკრებას ამ სასახელო პოემაში“.

უწინარეს ყოვლისამ, „აღჭურვის“ შესახებ უნდა შეენიშნოთ, რომ ყოველივე იარაღს აქვს თავისი გამოყენების სფერო, მაგ. რომელიმე სოფლის მეურნე რომ აღიჭურეოს სახნისით, ბარიო, ნიჩბით, წალდით, ნაჯახით, ერთი სიტყვით, ყველა სამეურნეო იარაღით, გარდა ნამგალისა, და წავიდეს ყანაში პურის მოსამყალად, ის, რა თქმა უნდა, ყანას ვერ მომკის, ვინაიდან მის განკარგულებაში არ არის სწორედ ის იარაღი, რომელიც მკაშია საჭირო.

რაც შეეხება იმ განცხადებას, რომ „აღორძინების ხანაში არა ერთი და ორი მარგალიტი“ მოიძებნება „ვეფხის ტაოსანის“ შესატყვისი და რომ „ეს

1) საინტერესოა, რომ გოეთეც პოეტურ შემოქმედებას ადარეს ეტლში შებმული გაუხედნელი ცხენების გავარდნას; პოეტს ხელთ უბყრია მათი სადავები, მან ისე უნდა დაიმორჩილოს ისინი, რომ თექვსეტი ცეცხლმოდებული ტორი გრიალით ხდებოდეს მიწას, ერთი შეწყობილი ტაქტით,—ი ნამდვილი ხელოვნება.

ლექსი მიუბაძველი არაა“ (გვ. 141), ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: მიუბაძველი ქვეყანაზე არაფერი არ არის, არაფითარ სიძნელეს არ წარმოადგენს იმის დამტკიცება, რომ მიუბაძველი არ არის, მაგალითად, პომიროსის პოემები, შექსპირის დრამები, მიქელ ანჯელოს ქანდაკებები და სხ. არ არის აგრეთვე მიუბაძველი ტუსთაველს ლექსიც, მით უშეტეს თუ ჩვენ იმ თეალსაზრისზე დავდექით, რომ „ჩანარებასის თამარიანი ლექსის მხრივ არა ნაკლებ სიამოვნებასა ჰგრის მყითხველს“, ვიღრე „ვეფხის ტყაოსანი“, როგორც ამას პროც. კეკლიძე ფიქრობს (გვ. 141). რუსთაველს უდიდესი გავლენა ჰქონდა შემდგომისაუკუნების ქართველ პოეტებზე, ამ გავლენის ძასშტაბის არა თუ გამორკვევა, მისი დაახლოვებითი წარმიდგენაც კი არ შეგვიძლია ამ უამაღ ჩვენ. რუსთაველს, რა თქმა უნდა, პბაძავლენ, ზოგჯერ მართლაც ნიჭიერად ჰბაძავდენ (ეს არ ნიშნავს იმას, რომ ნიჭიერი მიმბაძველები მისი სტილის ზოგიერთ ჩვენს მიერ მითითებულ ნიშნებს არკვევდენ და ითვისებდენ,—არა ისინი სწავლობდენ მხსგან შაირის გამართვას), ზოგჯერ კი მიბაძვა კარიკატურულ ფორმებს იღებდა.

მაგალითად, მეტად დიდია რუსთაველის გავლენა „შაპ-ნამეს“ მთარგმნელებზე. ჯერ არ არის ცნობილი დანამდვილებით თუ ვინ იყვნენ ამ წიგნის მთარგმნელები და ვის რა ნაწილი აქვს გადმოთარგმნილი, მაგრამ იმ პოეტის შესახებ, რომელმაც სთარგმნა იქ „როსტომი და ზურაბი“, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის არის რუსთაველის ლირსეული მემკვიდრე და ქართული შაირის საუკუთხსო ხელოვანი რუსთაველის შემდეგ „შაპ-ნამეს“ ზემოხსენებულ თავში არის ისეთი სრულიად უნაკლულო 2 თუ 3 ტაქტი მთლიანად (ამდენრვე უნაკლულო ტაქტი თუ იქნება კიდევ მთელ იმ უამრავ შაირში, რომელიც დაწერილა საქართველოში რუსთაველის შემდეგ დღემდე) და ბევრი ცალკე სტრიქონები, რომლებიც რუსთაველის საუკუთხსო ტაქტებსა და სტრიქონებს არ ჩამოუვარდება<sup>1</sup>). მაგრამ პროფ. კეკლიძეს იმის დასატეკიცებლად, რომ აღორძინების ხანაში ვითომც რუსთაველზე ნაკლებად არა სწერდენ, მოჰყავს არა „შაპ ნამეს“ მთარგმნელები, არ მედ ისეთი მთარგმნელის ლექსები, რომლის მიმბაძველობას რუსთაველისადმი კარიკატურული და ყოვლად აუტანელი ფორმები მიუღია. თურმე ის პოეტი, რომელსაც აქვს „ვეფხის ტყაოსანის“ ლექსის შესაღარებელი ნიმუშები ყოფილი პოეტი ნოდარ ციციშვილი—ნიზამი განჯელი ს „ბარამ-გურიანის“ მთარგმნელი. ეს პოეტი ბრმად ჰბაძავს რუსთაველს<sup>2</sup>), და ერთად ერთი მისი გა-

1] რუსთაველის დიდი გავლენის ნაყოფად მიგვაჩნია, მაგალითად, შემდეგი ორი უმშევნეონებები და ყოვლად უნაკლულო სტრიქონი „როსტომიანიდან“:

დამძიმდა: ონც წავლისა უ გ ა ვ ს შეკრულთა სუნდითა,

მუცელი უ გ ა ვ ს ხევსა წითლითა ი ი გ უ ნ დ ი თ ა.

2) მაგალითად:

ე ს ე ა მ ბ ა ვ ი ს პ ა რ ს უ ლ ე ბ რ გ ნ ე ბ ა მ ი უ წ დ ღ ლ ე ლ ,

ნიზამის უთქვამს განჯელსა, ბ რ ძ ე ნ თ ა ბ რ ძ ე ნ ი ა რ მ ე ლ ი ,

მას ჰბაძავს ხოსრო დაპლევი, მუნ ე ნ ა დ ა უ შ რ მ ე ლ ი ,

მას ხოსრო სჯობს თუ ნიზამი კარ მისი მიუხდომელი.

მიუხდავად ზრმა მიბაძებია, აქ სჩანს მთარგმნელის მთელი უმწეობა ტაქტის გამართვაში როგორ გავიგოთ: „მას (ნიზამის) ჰბაძავს ხოსრო დაპლევი... „მას (?) ხოსრო სჯობს თუ ნიზამი...“

მართლება გამოიხატება იმაში, რომ მას მოწიწებით უჭირავს თავი დიდი მასწავლებელის წინაშე. კ. კეკელიძეს მოჰყავს „ბარამ-გურიანიდან“ ერთი მეორეზე ფორმის საშინელი სტრიქონები და დაასკვნის: „ამნაირად ნოდარი არის მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი ნახევრის მწერალი, ის დიდი პოეტური ნიჭით ყოფილა დაჯილდოებული; მცი ლექსი მეტად მოხდენილი და მუსიკალურია, მდიდარი დახვეწილი. რითმებით და მშვენიერი პოეტური შედარებებით... ენა მისი უაღრესად განვითარებულია, პოეტური აღმაფრენა მისი გამაცვიფრებელია“. ბოლოს კეკელიძეს შესადარებლად მოჰყავს ექვს-ექვსი ნიმუში ერთი მხრით „ბარამ გურიანიდან“, მეორე მხრით „ვეფხის ტყაოსანიდან“. ჩვენ მოვიყვანთ აქ მხოლოდ პირველს მათ შორის:

### ბარამ გურიანი.

სოფელი, რას მიუჟურობ  
კაცა შენგან განაწირსა  
სისხლის სმა გჭირს კაცთა გვართა  
რაცა ვის სჭირს შენგან სჭირსა.

### ვეფხის ტყაოსანი

ვაკ, სოფელი, რაშიგან ხარ,  
რას გვაბრუნებ, რა ზე გვიჩისა!  
ყოვლიმც შენი მანდობილი  
ნიადაგმუა ჩემებრ სტრისა;  
სად წაიყვან სადაურსა,  
სად ალუფხვრი სადით ძირსა,  
მაგრა ღმერთი არ გასწირავს  
კაცა შენგან განაწირსა.

მართლა რომ შესაძლებელი იყოს ენის მოტეხა, მარცხნით მუკანილი „ლექსი“ უეჭველად მოსტეხდა ადამიანს ენას უკანასკნელ სტრიქონში სამი ჭ ალიტერაცია არ გრონოთ, ეს ფფრო გომურში დამწყვდეული სამი დამშეული გოჭის ჭყივრლია, ვიდრე ალიტერაცია. სხვათა შორის ციციშვილი სიტყვის გამეორებაშიაც ჰბაძავს რუსთაველს. დანარჩენი ხუთი ნიმუშიც ასეთია; ციციშვილის სტრიქონები ისე გაქრებულან ჭ. კეკელიძის წიგნის ფურცელზე რუსთაველის სტრიქონების პირდაპირ, როგორც ფრთამოტეხილი ბატები ყურებდაცეკვეტილი შეელის ნურების წინაშე. მაგრამ მცვლევარი მარც შემდეგს დაასკვნის: „საყურადღებო ისაა, რომ ეს მზგავსება არაა უხეში და ტლანქი მიბაძვა, როგორც ამას სხვა ნაწერებში აქვს დაგილი, არამედ ბუნებრივი პოეტური ნიჭის მეოხებით პირდაპირ ორიგინალობას ებჯინება“. ქალალი ყველაფერს აიტანს, რაც არ უნდა დაბეჭდოთ ზედა, და ეს ამონაწერიც მოთმინებით აუტანია მას.

შემდეგ ჭ. კეკელიძეს მოჰყავს ერთი ტაქი, სადაც ჩაბოთვლილია სხვადასხვა სამუსიკო ინსტრუმენტები. გაიხსენეთ რუსთაველის მიერ საგნების ჩამოთვლა და წაიკითხეთ შემდეგ ეს ტაქი:

მუტრიბთა მორთეს საკრავნი, ტურთად სასმენი ყურისა:  
ჩანგი, უდი და ქამანჩა, შუთურუე სმა სანთურისა,  
ჩიგური, მღლნი, ჩართარი, მის ყალი ნაი მსურისა,  
ყანუნი, სურნა, ბალაბან, დაფთა ხმა სპილენძ-ჭურისა.

ეს არის რაღაც ბარბაროსული კონცერტი ერთმანეთთან სრულიად შეუწყობელი ხმების<sup>1)</sup>. ამის დამწერს არა სცოდნაა, რომ არ შეიძლება ტაეპი საგნების სიად გადავაჩიოთ, სადაც ერთად ერთ საზრუნავს ის შეადგენს, რომ არაფერი დარჩეს შეი ჩაუწერელი. „ბარამ-გურიანი“ გამოუცემელია და საერთოდ მის შესახებ ვერას ვიტყვით, მაგრამ არა გვჯერა, რომ ის მთლად ასე ცუდად იყოს ნათარგმნი, როგორც ამას პროფ. კეკელიძის მიერ მოყვანილი ნიმუშები გვაუიქრებინებს. პრ. კეკელიძის მხოლოდ ერთი შედარებით ვვარიანი ტაეპი მოჰყავს ამ პოემიდან, მაგრამ მასაც ბევრი დეფექტები აქვს. აი ეს ტაეპი:

გარდეხვინეს. ერთმანეთსა, ყვა ქალსა და ქალი ყმასა,  
ვარდნი ერთად შეაწებნეს, აპირებდეს ლხინთა ზმასა,  
მის ყმისავე შესახყრობლად ყელს ახვევდა გიშრის თმასა,  
წამწმით გული მოელახვრნეს, უპირობდა სისხლის ღვრასა.

ამ ტაეპის პირველი სტრიქონი კარგია იმდენად, რამდენადაც ის თითქმის უცვლელად „ვეფხის ტყაოსანიდან“ არის ამოწერილი. მეორე სტრიქონში არ ვარგა „აპირებდეს ლხინთა ზმასა“, ვინაიდან ეს თქმა ანელებს ქალ-ვაჟის ვნების იმ ინტენსიურობას, რომელსაც გარდახვევნის დროს უმაღლესი წერტილისათვის უნდა მიეღწია. მესამე სტრიქონში ცუდია „მის ყმისავე“, თითქოს სხვა რომელიმე ყოფილიყოს კიდევ იქ. მეოთხეში—შემოკლებული „წამწმით“ და ისევ „უპირობდა“. გარდა ამისა, მთლიანად აღებული ტაეპის სისუსტე გამოიხატება იმაში, რომ მას აკლია გავსილობა, მისი შინაარსი საკმარისია მხოლოდ ორი სტრიქონისათვის; ხოლო თუ ეს შინაარსი მაინც მთელ ტაეპში იქნება მოქცეული, მაშინ სურათი ისე უნდა იყოს გაშლილი, რომ ვნება თანდათან იზრდებოდეს და ყოველ შემდეგ სტრიქონს თემის განვითარებისათვის რაიმე ახალი მთქმნდეს, აქ კი ამას ვერ ვხედავთ. ეს ტაეპი სავსებით ააშეარავებს იმას, რომ ციციშვილს არავითარ შემთხვევაში უნაკლულო ტაეპის დაწერა არ შესძლებია. ეს ტაეპი რუსთაველის მეორე ხარისხოვან ტაეპებსაც კი ვერ ამოუდგება გვერდში. მაში, როგორც ვხედავთ, არ ყოფილა მართალი კ. კეკელიძის სიტყვები: „კატეგორიულად უნდა ვთქვათ, რომ აღორძინების ხანაში არა ერთი და ორი მარგალიტი შეიძლება მოიძებნოს „ვეფხის ტყაოსანის“, ყოველ შემთხვევაში პროლოგის, შესატყვისი“.

„ვეფხის ტყაოსანზე“ გამოკვლევა აქვს დაწერილი აგრეთვე პავლე ინგორუკვას, მაგრამ ეს მისი ნაშრომი ჯერ დამეჭდილი არ არის და ამიტომ მის შესახებ ვერას ვიტყვით. რამდენადაც ვიცით, პატივკემულ მკვლევარს მიუკუთვია სხვათა შორის, ყურადღება აღიტერაციისათვის რუსთაველის ლექსში. პავლე ინგორუკვა ქართული პროსოლის მცოდნება და პოეზიის კარგი დამფასებელი: მას რომ მთელი თავისი დაკვირვება ამ გზით მიემართა, გაცილებით მეტ შედევრებს მიიღებდა, ვიდრე ფილოლოგიური კვლევა ძიებით.

აქვე უნდა შევხეოთ იმ შესწორებებს, რომელიც მკვლევარებმა „ვეფხის

<sup>1)</sup> გვარიანია მხოლოდ პირველი სტრიქონი და მეორე სტრიქონის პირველი ნახევარი.

ტყაოსანში“ მოახდინეს ტექსტის აღდგენის მიზნით<sup>1)</sup>). არ არის ეჭვი იმაში, რომ აქა იქ ჩვენი პოემის სტრიქონები არ იქნება ჩვენამდე მოღწეული მთლიად იმ სახით, როგორიც მათ რუსთაველის ხელით დაწერილ ტექსტში ჰქონდათ. გადამწერების უნებლიერი შეცდომა უეჭველად შესცვლიდა ზოგიერთ სიტყვებს და შეიძლება მთელ გამოთქმებსაც „ვეფხის ტყაოსანში“. მაგრამ ტექსტის აღმდგენელს ჰმართებს უდიდესი სიფრთხილე. არ კმარა რუსთაველის სტრიქონის კარგად გასწორება ამა თუ იმ შემთხვევაში. კარგად გასწორება, ესე იგი სტრიქონის გაუმჯობესება, არ ნიშნავს სიმართლის აღდგენას. ამ გასწორების დროს გამოყენებული უნდა იქნეს, როგორც მთავარი იარაღი, რუსთაველის ლექსის ნიშანდობლივი თვისტებები—ალიტერაცია, ასონანსი და სიტყვის გამეორება. გარდა ამისა, მცვლევარმა არამც ნება არ უნდა მისცეს თავის თავს „ვეფხის ტყაოსანში“ შეიტანოს ისეთი სიტყვა, რომელიც სხვაგან რუსთაველს არ უხმარნია.

განვიხილოთ „ვეფხის ტყაოსანის“ ტექსტის აღდგენის ცდა ზოგიერთი მკვლევარების მიერ. რუსთაველს აქვს ნათქვამი: „სთმობდეს გაყრისა თმობასა“. 5. მარმა ეს ფაზროვანი მიიჩნია და ასე შეასწორა: „სთმობდეს გაყრისა ლმობასა“. ეს შეასწორება ჩვენ სრულიად მიულებლად მიგვაჩნია შემდეგი მოსაზრებით: 1) აქ აღგილი აქვს რუსთაველის მიერ სიტყვის ტიპიურ გამეორებას—„სთმობდეს... თმობასა“, 2) არასოდეს რუსთაველი არ იხმარდა სიტყვა „ლმობას“, სადაც ბეგრა ლ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ბეგრა არის, ისე, რომ სადმე ახლოს არ ეხმარნა მეორე სიტყვა ასეთივე ბეგრით; აი რუსთაველის სტრიქონები სადაც მას ეს სიტყვა უხმარნია: „ენა დაშვრების გაცვდების, გულსა შეელმის ლმობლისა, „მუნ შემიწყალოს თქვენმავე გულმან მოწყალე—მლმობელმან“. ჩვენ ურთხელ და სამუდამოდ უნდა დავიხსომოთ, რომ რუსთაველი ზოგან სტრიქონის ინსტრუმენტოვების მიზნით ღალატობს აზრის გარკვეულობას.

#### პროლოგის სტრიქონები:

მას არა ვიცი შევკადრო შესხმა ხოტბისა ხშირისა,

მისთა მშვრეტელთა ყანდისა მირთმა ჰქმას მართ მშიერისა,—

შემდეგი რეაქციით მიიღეს ზოგიერთმა მკვლევარებმა:

მას არა ვიცი შევკადრო შესხმა ხოტბისა შერისა,

მისთა მშვრეტელთა ყანდისა მირთმა ჰქმას მართ მშერისა.

უკანასკნელი სტრიქონი გაცილებით უკეთესია მეორე რედაქციით, ვიდრე პირველით; მაგრამ არც „შერისა“ და არც „მიშერისა“ სწორე არ უნდა იყოს შემდეგი მოსაზრებით, რომელიც ჩვენ სრულიად უდაოდ მიგვაჩნია: რუსთაველი შეყვარებულია სიტყვაში, ლამაზი სიტყვა მას ყველაფერს ურჩევნია; სიტყვები შერი და მიშერი მეტად მოხდენილი, მეტად მუსიკალურია თავისი ბეგრებით და ისინი რომ რუსთაველის ლექსიკონიდან იყვნენ, თითო მათგანი, სულ

<sup>1)</sup> პოემის გავრცელებული ტექსტის ასეთი შესწორებები უმეტეს შემთხვევაში ჩდება მისი იშვიათი გარისანტების მიხედვით.

უკანასკნელი, ათჯერ მაინც იქნება ნახმარი მთელი პოემის მანძილზე, მაგრამ ნამდვილად კი არსად სხვაგან „ვეფხის ტყაოსანში“ არა გვხვდებიან. პროლოგში და ეპილოგში კი არ არის არცერთი სიტყვა, გარდა საკუთარი სახელებისა, რომელიც თვითონ პოემაში ნახმარი არ იყოს რამდენჯერმეტე).

არ მოსწონს მკვლევარებს მინა სტრიქონში: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მინა რხეული“ ამ სტრიქონში გვაქვს სხვათა შორის ალიტერაცია „შელნად ვიხმარე.. მინა“ და ასონანსი „ვიხმარე... მინა“ აკად. ნ. მარმა ეს სტრიქონი წარმოგვიდგინა შემდეგი რედაქციით: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად ნ ა ი (ლერწამი) რხეული“, ამ ერთი პატარა სიტყვის გამოცვლამ სრული დეზორგანიზაცია შეიტანა რუსთაველის სტრიქონის ბეგრათა დალაგებაში (ამოვარდა მ და ადგილები შეუცვალათ ა-ს და ი-ს), რაც ყოვლად დაუშევებელია. იგივე სტრიქონი ი. აბულაძემ შემდეგი სახით წარმოგვიდგინა: „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მ ე ნ ა რხეული“ (ნა—იგივე ლერწამი); ეს გასწორება, როგორც ზევით შევნიშნეთ, თითქმის ყველა მკლევარებმა მათ შორის თვითონ ნ. მარმაც. გაიზიარეს. მართალია ეს რედაქცია თითქმის ხელუხლებლად სტროვებს სტრიქონში რუსთაველის ბეგრათა შეხამებას, მაგრამ ის იმდენად უაზროა, რომ ჩვენ პარუაპირ გაოცებული ვრჩებით იმ ერთსულოვნობით, რომელსაც მკვლევარები მის დაკანონებაში იჩენენ. თუ ეს ყველას მიერ ათვალწუნებული მინა აუკილებლად უნდა ამოვარდეს ამ სტრიქონიდან, მაშინ მის ნაცვლად ჩვენ შეგვიძლია ჩავსვათ რომელი ორმარცვლოვანი სიტყვაც გნებავთ—ნაი, ნაძვი, ნალი—მხოლოდ „მე ნა“ კი არავითარ შემთხვევებში. მართლაც. რა შუაშია ასეთ ადგილას ნაცვალსახელი „მე“, სადა აქვს შემასმენელი ამ სტრიქონში მეორე წინადადებას „და კალმად მ ე ნ ა რხეული“? კავშირი „და“ ხომ სრულიად შეუძლებლადა ხდის ვიგულისხმოთ აე პირველი წინადადების შემასმენელი ვიხმარე. ეს შეუაბამობა არა სჩანს კიდევ სავსებით ლექსში, მაგრამ, უბრალოდ რომ ითქვას. აი ამის მაგვარი ფრაზები: „ლექსის წერის დროს ვიხმარე მელანი და მე კალმა“, ან „წყალი დავლიე და მე ღვინო“. ეს გაცილებით უარესია, ვიდრე რევაზ ერისთავის (კაზლოვის „შეშლილის“ მთარგმნელის) „ფეხი გავიქნიე ხელი“ (ილია ჭავჭავაძის სიტყვები). ასეთი წინადადებები რუსთაველს არა სჩვევია. გარდა ამისა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა „ნა“-ს სხვაგან „ვეფხის ტყაოსანში“ ჩვენ ვერსად ვერ შევხდით<sup>2</sup>), მაშინ როდესაც რუსთაველს ისე სჭარდება ხოლო ერთმარცვლოვანი სიტყვა, რომ მისი გულისთვის ლამის ყელი გამოიჭრას,—„ნა“. რომ იმის ლექსიკონში ყოფილიყო, ის ძალიან ხშირად

1) სხვათა შორის, პროლოგში სიტყვები კ უ შ ტ ი და ქ უ შ ი ალიტერაციისა და ასონანსისათვის ერთ სტრიქონშია ნახმარი, თვითონ პოემაშიაც არის ორი სტრიქონი, სადაც ორივე ეს სიტყვა ნახმარია ერთად:

1. ქალი დაუჯდა კ უ შ ტ გვარად, ქ უ შ ი ბ ს ჯერ არ დამტკბარია.

2. ქ უ შ ქ უ შ ა დ გვიუზებოდა, კ უ შ ტ ი, თვითისა მკრძალავი.

2) ი. აბულაძეს აქვს შედგენილი სხვათა შორის, მცენრუსლობათა საჩვენებელი „ვეფხის ტყაოსანისათვის“ სადაც ნ ა ნაჩვენებია მხოლოდ ამ სტრიქონში:

იხმარდა ამ სიტყვებას. სამაგიეროდ მინა იმდენჯერ არის „კუთხის ტყაოსანში, ნახმარი, რომ დათვლა გაძელდება.

არსაღ გვხდება მთელ პოემაში აგრეთვე სიტყვა და მა, რომელიც ნ. მარის აზრით უნდა იყოს სტრიქონში „ვსწერ ვინმე მესხი“... დაბას ნაცვლად. სამაგიეროდ ზემოთ განხილულ ქვედა სართულის ტაეპებში, რომლებიც ჩვენ რუსთაველის მიერ დაწერილად მიგვაჩინია, არის ერთი სტრიქონი: „უამ ერთ გაუშვით ყოველი სოფლისა უბან დაბანი“, სადაც დაბანი შეკრულია წინა სიტყვასთან სწორედ იმ ბეგრის (ბ-ს) ალიტერაციით, რომლითაც დაბა და დაბა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ცხადია, რუსთაველი წმარობდა პირველს და არა მეორეს.

6. მარს ეკუთვნის კიდევ ერთი ყოვლად შეუწყისარებელი გადაქეთება. რუს-თაველის ასეთნაირი მედიდურობით გაშლილი სტრიქონი: „აწ ენა მინდა გა-მოთქმად გული და ხელოვანება“, 6. მარმა შეძლევი სახით წარმოგვედგინა: „აწ ენა მინდა გამოთქმად მე, გული და ხელოვება“ 1), სადაც, გარდა იმისა რომ სტრიქონის კომპოზიცია უკიდურეს დამახინჯებამდევ მიყვანილი, იმგვარადვე უადგილო ადგილას ჩასმულ „მე“-ს აქვს ადგილი, როგორც ზემოთ განხილულ სტრიქონში.

კარგია ნ. მარის „სარატანისა“, „საროს ტანისა“ ნაცვლად, მაგრამ არა გვაქვს არაყითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ რესთაველს ასე ექნებოდა ეს აღვილი.

საერთოდ უნდა ითქვას, რუსთაველის ტაეპი და სტრიქონი ისევ ჩამოსხმული, რომ, არა თუ სხვისთვის, თვითონ რუსთაველისთვის იყო ძალიან ძნელი მათში რაიმე ცვლილების შეტანა. როდესაც მას არ მოსწონდა სტრიქონი ან მთელი ტაეპი, ის რადიკალურად ახდენდა გადასწორებას, რის შემდეგ ტაეპის წინანდელი რითმაც კი იცვლებოდა თითქმის ჰყველგან.

„ვეფუძნის ტყაოსანის“ სიტყვებში შეიძლება აქა იქ ცვლილებების შეტანის გაბედვა, მაგრამ ყველგან მხედველობაში ჯნდა გვქონდეს, ოოგორც ზემოთ აღნიშნეთ, ბგერების შეთანხმება და სიტყვის გამეორება.

ალიტერაციის საშუალებით შეიძლება რუსთაველის მართლწერის აღდგენა. მაგრამ ამასთანავე ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ რუსთაველი ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვანაირად სწერს იმისდა მიხედვით, თუ ფონეტიკურად რა ღრმოს რა ფორმა უფრო მისაღებია მისთვის. ყოვლად დაუშებელია ჩვენის აზრით ს—ს განდევა ზოგიერთი სიტყვებიდან, როგორც ეს ს. კაკაბაძის გამოცემაშია, და სიტყვა ქმნაში მ—ს გამოტოვება, სადაც ეს ბგერები ალიტერაციას წარმოადგენენ, მაგრამ არის ხოლმე ისეთი იშვიათი შემთხვევა სადაც რუსთაველი მართლაც გამოსტოვებდა ქმნაში მ—ს, მაგალითად: „სავაჭროდა მოვეკაზმი საქმესა ვიქმე მე მუხთალსა“ (ს. კაკაბაძის გამოცემა 1349—3), აქ ყოველად შეოძლებელია, რომ რუსთაველს ჰქონოდა „საქმესა ვიქმე მე მუხთალსა“. თუმცა სხვა გამოცემებში ეს სტრიქონი ასე იყიდხება: „სავაჭროდა მოვეკაზმი

<sup>1)</sup> Н. Марр „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“, 83. 36-

ვიქმ საქმესა მე მუხთალსა“, აქ შეიძლება ამ სიტყვაში დარჩეს, გ, მაგრამ ჩვენის აზრით პირველი რედაქცია უკეთესია და უპირატესობაც მას უნდა მიეცეს.

რა კი ისევ ბგერებზე ჩამოვარდა სიტყვა, ჩვენ აღვნიშნავთ აქვე ერთ მეტად საყურადღებო ამბავს. რუსთაველის გატაცება ბგერების შეთანხმებით იქმდე მიღის, რომ „ვეფხის ტყაოსანში“ მოხსენებული თითქმის ყველა პირების სახელები ასევები ალიტერაციით და ასონან სებით არის შეკრული სტრიქონის დანარჩენ სიტყვებთან. აქაც, ისე როგორც რიცხვების ხმარების დროს, რუსთაველი ხან სიტყვებს ათანაბებს სახელებთან, ხან სახელებს (თუ ისინი უმრიშენელო პირებს ეკუთვნის) სხვა სიტყვებთან. განვიხილოთ ამ მხრით ჯერ პროლოგი და ეპილოგი. ავილოთ სახელები თამარი, დავითი, მესხი და რუსთველი. ჯერ პირველი ორი სადაც არის ბგერა თ მაგრამ არ არის ლ: თამარს ვაქებდეთ მეფესა“... „ქართველთა ღვთისა დავითის“... „დავითის ქნანი ვითა ვთქანე“, არსად ამ სიტყვებში არა გვხვდება ქართულ ენაში საკმაოდ ხშირი ბგერა ლ; გარდა ერთი სიტყვისა („ქართველთა“), სამაგიეროთ აქ ცხრაჯერ მეორდება ბგერა თ. ეხლა ავილოთ იმ სამი ტრიქონის პირველი ნახევრები, სადაც ნახსენებია რუსთველი: „დავსჯე რუსთველმან გავლექს“... „მე რუსთველი ხელობითა“..., „ტარიელ მისა რუსთველსა“, —აქ კი ლ ყველგან არის დაწყვილებული და სულ გვხვდება ეჭვსჯვრ. მესხის შესახებ ჩვენ უკვე ვიცით: „კრწერ ვინშე მესხი მეელექს მე რუსთველისად ამისა“<sup>1)</sup>). ეხლა თვითონ პოემაში. გადავდოთ ჯერ სამი მთავარი გშირის (ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი) სახელი და ვნახოთ თუ რა სიტყვებთან ერთად არიან დასახელებული პირებ ელად ზოგიერთი მეორე და მესამე ხარისხოვანი პირები. 1) „იყო არაბეთს როს ტევან“... როსტევანის შესახებ გაღამრით შეიძლება ითქვას, რომ ეს სახელი პირდაპირ დაკავშირებულია სიტყვა არაბეთთან რ-ს მეორებით. 2) სოგრატი პირველად ქვედა სართულის ტაეპებში გვხვდება: ვაზირი ბერი სოგრატი<sup>2)</sup>, მიღებულ ტექსტში კი ეს სახელი პირველად შემდეგ სტრიქონში გაისმის: „ვაზირი სოგრატ—მოახლე მეფისა დასთა დასისა“. უეპელად—სიტყვა რომელთანაც შეწყობილია თავდაპირველად სოგრატი არის გაზირი. 3) შერმადინ: „ერთია შენი შერმადინ“... 4) ფარსა დანი: „ექვხი სამეფო ფარსადანს“... 5) სარიდან: „სარიდან ერქვა სახელად მტერთა სრვად დაუფარავი“. 6) დავარ: „დავარ იყო და მეფისა“, ამ სახელის შესახებ არ არის არავითარი ეჭვი, რომ ის „და“-სთან არის დაკავშირებული, ისე როგორც უეპელია შემდეგი ორი სახელის პირდაპირი კავშირი სიტყვა „უხუცეს“-თან. 7) უსამი: „უსამ იყო ქარავნისა უხუცესი, კაცი ბრძენი“. 8) უსენი: „მე ვარ მებალე უსენის, ვაჭართა უხუცესისა“. 9) ფატმა ხათუნი: აქ

1) ამ სტრიქონს თუ ასეთი რედაქციით მივიღებთ, მაშინ აქაც იგივე ლ-ს ილიტერაციი იქნება: „მელექს მე რუსთველისად“.

<sup>2)</sup> ს და ზ მზგავი ბგერებია (სოგრატი—ზოგზ ტი).

3) გამოვტოვეთ ა მათი, ამ სახელს სტრიქონში სადაც ის პირველად გვხვდება, არა აქეს მ იშვინელოვანი ილიტერაცია.

უცველად ეპიტეტი ხათუნი შერჩეულია სახელთან ფატმანი ხაზგასმული ბგერაზე ბის მიხედვით. 10) დილარდუსტ: დულარდუსტ არის დიაკი, მაგრა კლდე ვითა ლოდია“ 11) როდია იმავე ტაეპში, სადაც ნახსენებია დილარდუსტ-გამოგონილია რითმისათვის, შემდეგ ამ სახელთან შეწყობილია მეორე ვაჟის სახელი „როსან და ერთი როდია“. 12) რამაზ: „მოეწერა: რამაზ მეფე“... 13) პლატონი: „...პლატონისგან სწავლა—თქმელსა“. 13) ბორიო (ქარის-სახელი): „ნარგისთათ იძერის ბორიო ვარდა ზრავს იანვარია“ (ყველა სიტყვე-ბმი რ). 14) დივნოს: „ბრძენი დივნოს გააცხადებს“... 15) დიონოსი: „დიონოსი ბრძენი ეზროს“. 16) კრონოს: „კრონოს წყრომით შემხედველმან...“ 17) ლევი: ნახმარია რითმისათვის. 18) მელიქ სურავი: „შელიქ სურავი. ხელმწიფობს...“

ეხლა გადავიდეთ მთავარ გმირების სახელებზე. როგორც ზევნიშ-ნეთ, იმ სტრიქონებში, საჭაც ტარიელია ნახსენები, ძალიან ბევრგან შეგხვდებად ბგერა ტ: ტარიელი ტურფა, ტარიელი ტირის, ტარიელი ეტყვის, ფარიელს ტყაყი აცვია ვეფხის. აი, მაგალითად, ორი სტრიქონი. სადაც ტარიე-ლია ნახსენები:

ტარიელ შავსა ზედან ზის ტახითა მით წერწეტითა.

დალივნეს მტერნი ომითა, ვითა შევრეტელნი ჭვრეტითა!

იმ სტრიქონებში, სადაც ავთანდილია ნახსენები, ხშირად მეორდება ბგე-რები ვ, თ, ნ, დ, ლ. ორგან არის ნათქვამი: „შექტრეტინვილიან ავთანდილს“. „ავთანდილ და ლომი ფრიდონ...“, აქ ლომი, როგორც ეპიტეტი, ფრიდონ ს ეკუთხნის, ხოლო. ნამდევილად კი ავთანდილის გამოა ნახმარი ლ-ს გაბეორე-ბის მიზნით.

ფრიდონ საც თავისი შესაფერი სიტყვები ახვევია გარშემო: „ფრიდონი — ნადირობა — მინდორი !“.

მოციუანთ აქე იმის უტყუარ საბუთს, რომ რუსთაველის შემოქმედების ძარითადი ქარგა არის ბგერების შეხამება. ი. აბულაძეს თავის წიგნში „შე XII-ე საცკენის საერო მწერლობა და უცეფხის-ტყაოსანი“ მოყვანილი აქვს პოემაში ნახმარი სხვადასხვა არსებითი სახელების საჩვენებელი. ჩვენ შეკვიდლია თითქმის. შეომცდარად გსთქვათ საჩვენებელში მოყვანილი სიტყვების მიხედვით თუ რა თანხმოვანი ბგერები იქნება გამეორებული იმ სტრიქონებში, სადაც ის სიტყვე-ბია ხმარებული. ავილოთ რამდენიმე ჯგუფიდან ოთხი პირები სიტყვა, გაუს-გათ მათში ხაზი დამახასიათებელ თანხმოვანს და შემდეგ მოვნახოთ სტრიქონი ი. აბულაძის მიერ იქვე ნაჩვენები ციფრის საშუალებით. ცხოველები: 1) „ავა ზა 415, 1089“, ამ სიტყვის დამახასიათებელი ბკერა არის ზ, აბა ენახოთ ორივე აღნიშნული ტაეპი (415, 1089“, აბულაძის გამოცემით): „შევეკაზმე, დარბაზს

1) ნადირობა „ცეფხის ტყაოსანში“ ყოველთვის ხდება მინდორზე და არა ველზე; სამაგიე-როთ ხელად გაჭრილი ყოველთვის დაბაზის ველად და არა მინდორად. ამის ერთად ერთი მიჩევი ბგერებში უნდა ვეძიოთ.

შეველ, დამხვრა ჯარი ავაზისა<sup>1)</sup>”, კვეფხი-ავაზა პირქუშად ზის, წყრომა ვერ უგრძენითა. 2) „აზავერი, 405“—აქაც იგივე ბგერა ჟ (ვ და რ-ს გამეორებას არა აქვს დიდი დამაჯერებლობა, ვინაიდან ეს ბგერები ისედაც ხშირად გვხვდებიან ქართულში): „ვერ მოვეყავ აქლემითა აზავრები ვააზავრე<sup>2)</sup>” 3) „არწივი, 188“,—ბგერა წ: „ვითა კაკაბი არწივისა ქვეშე, მიდამო ძრწებოდა.“<sup>3)</sup> 4) „ას პიტი 1161“—ამ სიტყვაში მნიშვნელოვანი და იშვიათია ორი ბგერა პ და ტ, ალიტარაციას ან ორივე ან ერთი მათგანი უნდა წარმოადგენდეს: „ვითა ასპიტი მჭვრეტელთა მისთა თვალითა მლალავი“. მცენარეულობა. განოვტოვოთ ამ ჯგუფში ორი პირველი სიტყვა—ალვა და ვარდი,— ვინაიდან მათ შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტია—მათი ბგერების (ლ, ვ, რ, დ) გამეორება რუსთაველს უეჭვილად ექნება (აქვს კიდევაც), რადგან ისინი ძალიან ხშირად გვხვდებიან ქართულში. ავილოთ შემდეგი ოთხი სიტყვა საინტერესო თანხმოვანი ბგერებით (აქაც გამოვტოვოთ ია, სადაც თანხმოვანი არ არის): 1) „ვერხვი, 102“—ხ: ვითა ვერხვი ქარისაგან, ირჩევის და იქეცების“. 2) „ეკალი, 626“—კ,—აბულაძის გამოცემაში სწერია: „ვარდი და მჭნარი ეკალსა შუა შორს—ძყოფი ას ისა!“ ყოვლად შეუძლებელია, რომ სტრიქონის ხაზეასმულ სიტყვაში კ არ იყოს,—მართლაც ს. კაკაბაძის გამოცემით ვკითხულობთ: „ვარდი დამჭერარი ეკალსა შუა შორს მყოფი ას ისა!“<sup>4)</sup> 3) „ზაფრანა 302“,—ჟ და ფ (ან ერთი რომელიმე): „ზაფრანის ფერად შესცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან“ (ამავე სტრიქონში: რ-რ-რ-რ, ც-ც, ბ-ბ). 4) „კიტრი, 723“,—კ ან ტ (უფრო კ): «მე იგი ვარ, ვარ სოფელსა მოკვრეცს კიტრსა არა ბერად». ლითონები. 1) „ალმასი, 272, 286“<sup>5)</sup> ლ, მ, ს: «ალმასისა ხამს ლახვარი ლახვრად გულისა სალისა». 2) „აყიყი, 1076“—ყ (ეს ბგერა უეჭვილად უნდა იქნეს გამეორებული); «შუა ძოშა და აყიყისა სჭვირს მარგალიტი ტყუპები» (აგრეთვე—ტ. ტ), 3) „ბალახში, III, V“: «ლაწვ-ბალახშ თმა-გიშერისა», «ბროლ ბალახშისა რ-ლილისა»... 4) «ბროლი 101“: „ბროლი და ლალი გასრულ-ვარ“... (რუსთაველი ბ-ს გამეორების მიზნით ერთად ხმარობს ხშირად: ბროლი—ბალახში); გარს კვლავთ-მრიცხველობა. 1) „გველი, 1336“: „ნახეს მზისა შესცყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“. 2) „გთერი, 241, 360“ ამ სიტყვაში მთავარი ბგერა არის თ (რ-ზე კი არ არის საჭირო ლაპარაკი—ის უთულ იქნება): „აშ გამოგზავნა, რომელსა ვერ მზე სცობს ვერ ეთერია“—აქ არ შეორდება თ წინააღმდეგ ჩვენი მოლოდინისა, სამაგიეროთ აი მეორე ნიმუ-

1) ამ სტრიქონის ზემოთ რევ სტრიქონში არა გვხვდება ეს ბგერა სრულებით.

2) მერვე სიტყვა ამ ჯგუფში—„გავაზი, 171“: ვითა გავაზი გაფრინდა არ გაშვებული ხეზითა.

3) არც წინა ორ ტაქტში, არც მომდევნოში ეს ბგერა არ ისმის სრულებით.

4) ეს არის იმის ნიმუში თუ როგორ უნდა იქმნას აღდგენილი ალიტერაციის საშუალებით რუსთაველის მართლწერა.

5) პირველი ტაქტი (272) შეცდომით არის ნაჩერები, ამავ. მიზეზით უნდა ვამოვტოვოთ შემდეგი სი ყვა ამარ ტ ი, ვინაიდან ის ი. აბულაძის მიერ ნაჩვენებ მ-21-ე ტაქტში არ არის ნაბ-ზარი.

ში (360) — „ჩემად ჩნდა, იგი სინათლე ეთერით მზედ ნაჩინისა“ (მთავარი ალ-ტერაცია ამ სტრიქონში არის —ჩ-ჩ ჩ). 3) „ეტლი, 1140, 1255“, — ტ: „აწ ამას იქით ვნატრიდე ჩემსა ეფლსა და წერასა“, „ეტლის ცვალება მზისაგან შეჯდომა საროს ტანისა“ „ი, ანგარი, 1382“, — ნ, ვ, ჩ: „ნარგისთათ იძგრის ბორიო, ვარდსა ზრავს იანვარია“.

ი. აბულაძის ამავე წიგნში მოყვანილია ალუავიტის მიხედვით ძველი ქართული და სპარსულ-არაბული სიტყვების საჩენებებილი. თუ ჩენ მოვნახავთ ამ სიტყვებს პოემის ტექსტში, დავრწმუნდებით, რომ მათი პირველი ბგერები ძალიან ხშირად მეორდებიან იმავე სტრიქონების სხვა სიტყვებში. მაგალითად გ-ზე ნაჩვენებია 59 სტრიქონი ძველი ქართული სიტყვებით, აქედან 4 წარმოადგენს შეცალომას, დანარჩენი 55-დან 82 სტრიქონში ადგილი აქვს გ-ს ალიტერაციას (დანარჩენ 23 სტრიქონში სხვა ბგერების ალიტერაცია არის). ხოლო თუ შემთხვევით ავილებთ 55 სტრიქონს, ორ თქმა უნდა, იქ ამ საქმიოდ იშვიათი ბგერის ალიტერაცია გაცილებით უფრო ნაკლები იქნება; მაგალითად შესავალის პირველ 55 სტრიქონში მხოლოდ 9 არის ისეთი, სადაც ბგერა გ გვხდება არა მარტო ერთ სიტყვაში. სხვა ასოებზე ჩამოწერილი სიტყვები რომ გაღა-თვალიეროთ, იქაციმავე შედეგს მივიღებთ. გიმეორებთ კიდევ, რომ ალიტერაცია და ასონანის — აი ის ხშირი ქსოვილი, რომელზედაც მოქარაჯულია მთელი „ეფთხის ტყაოსანი“.

ყველივე ზემოხსენებულის შემდეგ, ჩვენ თამამად გამოგვაჭვს ის დასკვნა რომ „ეფთხის ტყაოსანის“ ავტორმა თავისი ფსევდონიმი შეურჩია სახელს ბგერების მიხედვით: შუათა რუსთაველი ეს არ არის არც გადაჭარბება და არც ხემრობა ჩვენის მხრით. პირიქით, არა თუ რუსთაველი, ჩვენ ვერ წარმოგვიდენია ისეთი პოეტი, თუ კი ის ნამდვილი ხელოვანია, რომ ფსევდონიმი ამ მოსაზრების გარეშე აირჩიოს, — რა აზრი ექნება მაშინ ფსევდონომს პოეტისათვის? ნუ თუ მხოლოდ ის, რომ ხალხს აცნობოს თუ რომელ სოფელში დაიბადა, იგი ან რა ერქვა სახელათ დედამისის? არა თუ შოთა რუსთაველი; ალიტერაციისა და ასონანის მიხედვით არის უკეთელად შედგენილი იმდროინდელი ლიტერატურული სახელები: სარგის თმოგველი, შარუბ ჩაზრუხაძე. ჩვენ ვერ წარმოგვენია მაგალითად, შოთა მესხი, ან აშოტ რუსთაველი, არა იმიტომ რომ ოოივე ეს კომბინაცია უცხოა ჩვენი სმენისათვის. რუსთველი ხომ იღარ არის უცხო, პირიქით, ყველაზო „ვეფთხის ტყაოსანის“ ავტორი. პატაში რუსთველს ეძახის თავის თავს, და თუ ჩვენი სმენა მაინც ვერ ეგუება მას, მხოლოდ იმიტომ, რომ გარეშე ლექსის სტრიქონისა, სადაც რუსთაველი მას შესაფერი ალიტერაციით მართავს („რუსთველსა — მისთვის“), ეს სახელი ა-ს გამოკლებით არ არის კეთილხმოვანი. ცხოვრებაში შოთა ალბად თავის თავს უწოდებდა რუსთაველს და არა რუსთველს, რაც ზეპირგალმოცემაშ შეუცვლელად მოიტანა დღემდე. საერთოდ უვეფთხის ტყაოსანის“ ავტორის სახელსა და გვარში (ფსევდონიმში) ეჭვის. ცეტანა ყოვლად დაუშვებელია სწორედ ამ ზეპირგად-მოცემის გამო, პოეზიით ძველი საქართველო უფრო იყო დაინტერესებული, უი-

ლრე თანამედროვე, და „ვეფხის ტყაოსანის“ პოპულიარობა თუნდა რუსთაველის გად ცვალებიღან 50 წლის შემდეგ დაწყებულიყო, ხალხი მაინც შეიტყობდა იმია ვინაობას და ზოგიერთ ფაქტებს მისი ცხოვრებიღან. ჩვენ შორიდან გვეჩვენებს ძველი დრო სიბნელით მოცული, თორებ ნამდვილად არავითარ სიბნელეს იქ ადგილი არა ჰქონია. „ვეფხის ტყაოსანის“ მკვლევარებმა სულ ტყუილად გაართულეს ზოგიერთი მეტად მარტივი საკითხები პოემის გარშემო.

#### V. რუსთაველის შემოქმედება.

სამაგიეროდ „ვეფხის ტყაოსანის“ ზოგიერთ მკვლევარს მეტად მარტივად წარმოუდგენია ის ურთულესი შემოქმედებითი პროცესი, რომლის ნაყოფი ეს პოემა არის. თუ ისინი ურწმუნო თომასავით სინჯავენ იმ ტაეპებს, სადაც პოემის ავტორი თავის თავს რუსთაველსა და მესხს უწოდებს, სამაგიეროდ ყოველ მის პოეტურ ტყუილს იღებენ ისე, როგორც საბოლოოდ შემოქმედებულ ჰეშ-მარ-ტებას. რუსთაველი ამბობს: „დავსჯე, რუსთველმან გავლექს“... მკვლევ-არებსაც ჰქონიათ რომ რუსთაველი მართლაც დაჯდა ბრძანების მიღებისთანავე და რამდენიმე თვეში დასწერა „ვეფხის ტყაოსანი“. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ რუსთაველი ძალიან იშვიათად იჯდა და, ყოველ შემთხვევაში, სრულებით არა „სწერდა“ იმ დროს, როდესაც ის თავის პოემასა ჰქმნიდა. არის საბორები, რომ ბარათაშვილს თითქმის ყველა თავისი ლექსები შეთხეული აქვს ზეპირად მამა-დავითზე, მტკვრის პირას და სხვა მყუდრო აღგილებში განმარტოების დროს, დაწერით კი სწერდა მხოლოდ შემდგომ. ამგვარადვე ზეპირად სთხზავენ ლექსებს თითქმის ყველა ის პოეტები, ვისთვისაც ლექსი უწინარეს ყოვლისა მუსიკალურ ლირებულებას წარმოადგენს და არა გარითმულ ამბავს ან მოთხოვნას თუნდაც ეს უკანასკნელი ძალიან საინტერესოც იქნა სიუჟეტის მხრით. ზოგიერთი პოეტის შემოქმედებითი პროცესი გაცილებით უფრო ჩამოჰყავს შემოქმედებითი პროცესს მუსიკაში, ვიდრე საერთოდ ლიტერატურულ მუშაობას. არის პოეტი. რომელიც სწერს (მხედველობაში მაქვს წერის მანერა) ისე, როგორც პროზაიკოსი, არის პოეტი, რომელიც თავის თემას თითქმის კომპოზიტორის თვალსაზრისით უდგება. უკანასკნელი ტიპის პოეტია რუსთაველი. ყველა მისი ტაეპები ატარებენ ზეპირად ჩამოყალიბების უტყუარ ნიშნებს, ისე როგორც, მაგალითად, არჩილ მეფის სტრიქონებს უეჭველად ემჩნევა, რომ ისინი იწერებოდენ თვით შემოქმედებითი პროცესის დროს. რუსთაველი სთხზავდა ტაეპებს და დაუსრულებლად იმეორებდა მათ; მან, რა თქმა უნდა, ზეპირად იცოდა მთელი პოემა.<sup>1)</sup> დაწერით კი ის ალბად უკვე გაზეპირება.

<sup>1)</sup> ალიტერაცია ფოიად დამანაირათებელია იმ ტიპის პოეტური შემოქმედებისთვის, რომელსაც რუსთაველის შემოქმედება ეკუთ ნას. ალიტერაციით და ასონანით მდიდარია მეტად ხალხურ ზეპირისტყვაობის ნამუშები პოეზიაში. გარდა ამისა, შეთანხმებული ბეგრები. ისე როგორც რითმი, ძალიან ხელს უწყობს ლექსის დასომებას. გაცილებით უფრო ადვილია მიგალითად, რუსთაველის ტაეპის გაზეპირება, ვიდრე არჩილ მეფის. ალბად იმ დროს როდესაც, საწერი საშუალებანი ან სულ არ იყო ან ნაკლებად ხელმისაწვდომი იყო, ალიტერაციას მუსიკალური გზინების მიღწევასთან ერთად, ევალებოდა სიტყვების ფიქსაციის მოხდენა აღამიანის მექსიკრებაში.

ბულ თავებსა სწერდა ერთად, და ეს წერა უმრალო გადაწერის ხასიათს ატარებდა.

ეხლა ვიკითხოთ თუ როგორა სწერს საერთოდ ლექსს რუსთაველის ტიპის პოეტი? ისე როგორც ყოველ საქმეში, პოეტი შემოქმედებაშიაც არსებობს. ერთი რაიმე გამოსავალი წერტილი. ტაეპის კონსტრუქციის დროს ასეთი გამოსავალი წერტილი არის ხოლმე, ესა თუ ის აზრი ან სახე, რომელსაც პოეტი აძლევს შესაფერ სიტყვიერ გამოხატულებას უფრო ხშირად ერთ სტრიქონში, მხედველობაში მაქს ამ შემთხვევაში შაირის ჩვეულებრივი, ერთ რითმაზე აგებული ტაეპის წერა), რის შემდეგ ამ სტრიქონში მიღებული უკანასკნელი, გასარითმავი სიტყვის მიხედვით ის დაიწყებს მისი საერთო მოსაზრებისათვის გამოსადეგი სახეებისა და ფრაზების ძებნას.

დანარჩენი სამი სტრიქონის შინაარსის უფრო ნათელი გამორკვევისათვის, ვიდრე ეს თავდაპირველად არის პოეტის თავში; მთავარი მნიშვნელობა ეძლევა რითმას, ხოლო თვითონ სტრიქონების ჩამოყალიბება ალიტერაციის და ასონანისის საშუალებით ხდება. ცეტად საინტერესოა ეს ძიების პროცესი პოეტურ შემოქმედებაში. რაც უფრო რთული და წარმტაცია იგი, მით უფრო მაღალია ლექსის ლირისტება. იმპროვიზაცია პოეზიაში მხოლოდ გართობა არის და მას არასოდეს დიდი ესთეთიური ლირებულების ნაწარმოები არ მოჰყვება შედეგად. ეს ძიება არა თუ დამამცირებელი არ არის პოეტისათვის, პირიქით, ის თითქმის ყოველთვის მაჩვენებელია მისი მაღალი ნიჭის. პატარა ნიჭის პოეტს იშვიათად ახასიათებს სიტყვის განსაკუთრებული ძიება. საავისო პათოსი მას არა აქვს, ის ყოველთვის კმაყოფილი დარჩება, თუ მან შესძლო ლექსში თავისი აზრის ზედინწევნითი სისწორით გამოხატვა: სიტყვებს ძებნის დროს პოეტი შეიძლება სრულიად მოულოდნელად გამზიდრდეს, ისე როგორც ავანტიურისტი. ცნობილი ფრანგი პოეტი მალერბი ლექსის წერის დროს განსაკუთრებით მნელ რითმებს დაექცება იმ იმედით, რომ ისინი მასში რაიმე ახალ აზრებს გამოიწვევდენ. ეს მართლაც ხშირად ხდება ასე, რითმისა და საერთოდ სიტყვების ძებნის პროცესში პოეტის აზრმა შეიძლება სრულიად ახალი განათება მიიღოს. არის ხოლმე შემთხვევა, როდესაც გამოსავალი, ასე ვსთქვათ, მაგისტრალური სტრიქონი ტაეპში დაიჩრდილება მეორე, თვითონ პოეტისათვის მოულოდნელად გამართული სტრიქონით. მაგრამ ტაეპის დაკვირვებული ანალიზი მაინც შეძლებს უმეტეს შემთხვევაში იმის გამორკვევას, თუ საიდან დაიწყო მისი წერა პოეტმა. ძირითადა სტრიქონი ტაეპში არ არის ყოველთვის პირველი, ის შეიძლება მოექცეს თავში, შეიძლება შუაში, შეიძლება ბოლოს. შესაძლებელია აგრეთვე თვითონ ამ სტრიქონის დაშლაც და გათვალისწინება იმისი თუ ყველაზე უმაღლ რომელი სიტყვები უნდა ჰქონდა პოეტს.

ავილოთ „ვეფხის ტყაოსანში“ შემდეგი ტაეპი, რომელიც ზევითაც გვქრნდა მოყვანილი:

ალაფობდეს საჭურჭლესა მისსა, ვითა ნათურქალსა,

მის ტაიჭისა არაბულსა ქვენაბამსა, ნისუქალსა,

რომე გვანდა სიუხვითა ბუქსა ზეცით ნაბუქალსა,  
არ დაარჩენს ცალიერსა არცა ყმასა, არცა ქალსა.

ამ ტაეპის წერია რუსთაველს უთუოდ მესამე სტრიქონიდან დაუწყია: მას უნდა აგვიწეროს როსტევანის სიუხვე, ის ადარებს ამ სილხვეს ზეციდან წამო-  
სულ თოვლის ნამქერს. ამ შედარების დროს თავდაპირველად პოეტი მხედველო-  
ბაში ჰქონია გაცემული საბოძვარის სიმრავლის გარდა, აგრეთვე ფერი—თავის  
ფერი თვალ მარგალიტი. დანარჩენი სტრიქონები ყველა რითმის საშუალებით  
არის შედგენილი, ეს ეტყობა განსაკუთრებით მეორე სტრიქონს, ხოლო მეოთხე  
სტრიქონი თავისი ღირსებით ყველაზე დაბლა სდგას. ის აფუჭებს მთელ ტაეპს  
და ეტყობა მეტად ნაძალადვად არის დაწერილი. რომ ამ ტაეპის მაგისტრალი  
სწორედ მესამე სტრიქონში გადის ამას საესებით ამტკრცებს მისი პირველი  
ვარიანტი ქვედა სართულის ტაეპებიდან:

აწ ნახეო მეფე თინათინ და მისთა შუქთა შუქობა!

რომე მისებრივ სიუხვე ბუქსა თუ პარნა ბუქობა;

მართ იმა დღისა მნახავსა არსად ეთქმოდა უქობა,

მასცა ზარქაში ემოსა ვის ჰქონდა მებალდუქობა.

აქაც იგივე შედარება მეურე სტრიქონში. ეს ტაეპი ბოლოს რუსთაველს  
გადაუკეთებია ზემოთ მოყანილი ტაეპის სახით და ამ გადაუკეთების დროს ყვე-  
ლაფერი გამოცვლილა შიგ, როგორც შემთხვევითი, გარდა ამ სახისა. რა არ  
მოსწონდა რუსთაველს ამ ტაეპის პირველ რედაციაში? ყველაზე უფრო ალბად  
„შუქთა შუქობა“ და „ბუქსა...ბუქობა“, როგორც ერთნარი კონსტრუქციის  
ფრაზები მეტობელ სტრიქონებში, რაც მართლა ყოვლად დაუშვებელია. ამ ნაკ-  
ლის თავიდან ასაცილებლად საჭირო შეიქნა რითმის გამოცვლა, ხოლო რითმის  
გამოცვლას მთელი დანარჩენი სამი სტრიქონის შინაარსის გამოცვლა ჩოჰყა  
შედეგად.

ავილოთ შემდეგი ტაეპი:

ეხვეწებოდა: „შეჯეო“, არა ხვეწნითა არ ებდა,

იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარვებდა,

ლერწმისა სარსა დასტრეკდა, გიშერსა დააკარიებდა,

დაიმორჩილა, იამა, არ ივაგლახა, არ ვებდა

ამ ტაეპში ყველაზე უმაღ დაწერილია მეორე სტრიქონი. მისმა უკანა-  
სკნელმა სიტყვაშ მოა ქარვებდა გამოარკვია ტაეპის რითმა, რის შემდეგ  
რუსთაველ მა, რომელსაც ჯერ წხოლოდ საერთო ხაზებში აქვს გათვალისწინებული  
ტაეპის შენაარსი, დაიწყო სარითმო სიტყვების ძებნა და, სხვათა შორის  
შეჩერდა სიტყვაზე და აკარვებდა. როგორ შეიძლება ამ სიტყვის გამოყე-  
ნება ისეთ ტაეპში, სადაც ლაპარაკია მტირალ ტარიელზე? რუსთაველი სულ  
მაღე მივიღოდა იმ მოსაზრებამდე, რომ შეიძლება წამწამების დაკარვე-  
ბა, მაგრამ ამ ორ სიტყვას მეტად შეუფერებელი ბერები აქვთ იმისათვის, რომ  
ისინი ერთად მოთავსდენ სტრიქონში. ყოველ შემთხვევაში ახალი სტრიქონის  
რითმა და შინაარსი უკვე არსებობს და საქმე მხოლოდ სიტყვების შეჩერვაზე

მიმდგარი. აქ იწყება ყველაზე უფოთ საინტერესო მომენტი პოეტურ შემოქმედებაში: ბუნდოეანად მოხაზული შინაარსისათვის შესაფერი სიტყვების ძებნა ალიტერაციისა და ასონანსის დახმარებით. სიტყვაში და კარვები და მთავარი ბეგერებია უწინარეს ყოვლისა რ და მერმე დ, გ. ა. პირველი სიტყვა, რომელიც მოსდის რუსთაველს თავში შემდგომ არის და დრეკდა. ამის შემდევ სტრიქონის შინაარსია: „დასაზრება წამშამებს და დაკარვებდა“. სიტყვების ძებნა გრძელდება: დასდრება სარსა (ესე იგი წამშამებს)“... „ლერწმისა სარსა ლასურეკადა“... წამშამების ფერის აღსანიშნავად მოდის სიტყვა გიშერი და სტრიქონიც ყალიბდება საბოლოოდ, ყოველ სიტყვაში არის ბეგრა რ. ეს ერთი უშესანიშნავესი სტრიქონი მთელ „ვეფხის ტყაოსანში“ უჩველად უწინარეს ყოვლისა ჯერ რითმის ძებისა და შემდგომ ბეგერების მიხელვით სიტყვების შერჩევის შედეგია. ამ ტაეპში მაგისტრალური სტრიქონი (მეორე) გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე ეს მოულოდნელად მიღებული სტრიქონი. ტაეპში „მო, დავსხდეთ... დაწერილი უნდა იყოს ჯერ, „აქამდის“ ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყაბილა“, შემდევ სხვა სტრიქონები 1)

ავილოთ ეხლა ორი შემდევი ცნობილი ტაეპი და ალენიშნოთ ყველგან ბკერა ხ:

ნახეს უცხო მუყმე ვინმე სჯდა მტირალი წყლისა პირსა,  
შავი ცენი საზავრათა ჰყავა ლომისა და ვითა გმირსა,  
ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ—აბჯარ—უნაგირსა,  
ცრემლსა ვარდი დართრთვილა გულსა მრულრად ანატირსა.  
მას ტანსა კაბა ემოსა, გარე თმა ვეფხის ტყავისა,  
ვეფხის ტყავისა ქულივე იყო სარქმელი თავისა,  
ხელში ნაჭედი მათრახი ჰქონდა უმსხოსი მკლავისა,  
ნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა.

1) პროფ. კეკლიძეს რაღაც განსაკუთრებულ მიზნად დაუსახავს პროლოგისა და ეპილოგის სიყალბის დამტკიცება და ამ მიზნის მიღწევისათვის ის არ ერი ება არაფერა. მისი აზრით ეს ტაეპი ზომ ყალბა. შემდევ დროის ჩამატებული და პოემის ეტორს არ უკუთვინს, ჩანს ისეთი ფორმისაგან როგორიცაა—დაესჯე რუსთაველმან გავლენებ მისთვის გულ-ლახვარ სობრ ლი: დაესჯე რუსთაველმან თუ რუსთელი? უსთველმან გულ-ლახარ სობრ ლი თუ გულ-ლახვარ სობილმან? კ. კეკლიძეს ამოულია ამ სტრიქონიდან სასვენი ნიშნები, რის შემდევ ამანიჯებს მას ისე როგორც მოესურვება. ყველა გარცემებში ორი სიტყვა „რუსთველმან გავლენება“ ჩამოულია მძიშებში აი თვ-თოხ პოემის ტექსტიდან სტრიქონი: „ფრიდონს უთხარ ყველაკაი ჩემი, თავსა გარდასული“. ამოილეთ აქ დან მძიშე და გამ გივათ იგივე: ჩემი აესა გარდასული თუ ჩემასა თავსა გარდასული? ბავ-ამ პოემაში არის მართლაც ისეთი სტრიქონები, სადაც გრამატიკა დარღვეულია, მაგალ თად: ბეგვანდა ეტლისა სწრობილსა“, „დაუშვენ. ა სიგრძ, სისხო თმათა წევრი“ და სს. იმ სამ თავში, ხადაც აწერს ტარიელის ინდო თა მისვლა არის, სტრიქონები: „მეფე აშმაგდა მათისა უზონო ქნილი ქებისა“, „ტარიელს ზედა მოეჭირ მხურვალია ცემლათა მდენელმან“ აქ არ ს რუსთაველისათვის დამახასიათებელი დარღვევა გრამატიკული ჭირმის და ეს გარემოება შეიძლება ერთ-ერთ საბუთადაც გამოიყენოთ იმისათვის, რომ სსენებული თავები რუსთაველს ეკუთვნის.

როგორ დასწერა რუსთაველშა ეს ორი ტაეპი? აქვს თუ არა პირველ ტაეპ ში აღნიშნულ ხებს მეორე ტაეპის ამგვარსავე ბგერებთან რაიმე კავშირი? ჩვენის აზრით უეჭველად აქვს. თავდაპირველ ად რუსთაველს მთელი ამ სურა-თის გაღმოცემა უთუოდ ერთ ტაეპში უნდოდა, მაგრამ ბოლოს, სიტყვების ძებ-ნის დროს, სახეები იმდენი დაგროვდენ, სურათის შინაარსი ისე გაფართოვდა, რომ მისთვის საჭირო შეიქნა კიდევ მეორე ტაეპი. ახლა ვიკითხოთ, საიდან არის დაწყებული ამ ტაეპების წერა? ჩვენის აზრით გამოსავალი წერტილი უნდა იყოს მეორე ტაეპის ესამე სტრიქონი: „ხელში ნაჭედი მათრახი ჰქონდა უმს-ხოს მკლავისა“. მთავარი სიტყვა, ამ სტრიქონში, არის მათ რახი რუსთაველი უთუოდ ამ სიტყვიდან გამოდის, მთელ იმ სურათში, რომელიც იშლება პოეტის წარმოდგენაში. რუსთაველი ყველაზე უშადლ ხედავს ამ უშვილებელ მათრახს. დი-დი მათრახი რუსთაველს მოცემული აქვს, როგორც ტრიოელის დიდი ფიზიკუ-რი ძალის გამომხატველი საშუალება. პირველი ფრაზა, რომელიც პოეტს უნდა ჰქონდა აქ, ეს არის: „ხელში ეჭი რა მათრახი“ ბოლოს მან სიტყვა „ეჭირა“ გამოსცევალი, მაგრამ ერთხანს კი ეს სიტყვა უთუოდ იყო იმის თავში. შემდეგ მოდიან სიტყვები: „უმსხოსი... ნახეს ლუბში... ცხენი... ვეღხის ტყავი... ხშირად ესხა...“ და მოაქვთ თავიანთი გამოყენებისათვის საჭირო შინაარსი და სახეები. ყველა ეს სატყვები ბოლოს ორი ტაეპის შენაწილზე განაწილებულია. უკანას-კელ ორ სტრიქონში განსაკუთრებული სიმბათვით არის ახმაურებული ბგერა ხ. რუსთაველმა სტრიქონის მეტი სიმტკიცისათვის სიტყვა „ეჭირა“ ამოიღო და მის ნაცვლად ჩასვა ისეთი სიტყვა, რომლის მახვილიანი ხმოვანი ბგერა შეონ-ხმებული იქნებოდა „მათრახთან“ და გამოვიდა ასე: „ხელში ნაჭედი მათრახი...“

ასე გავარჩიეთ ჩვენ ეს ორი ტაეპი ჩვენ მიერ წაკითხულ მოხსენებაზე შემდეგ ქვედა სარაულის ტაეპებში ვნახეთ ისეთი ადგილები, რომლებიც თით-ქმის საესტებით ამართლებენ ამ შეხელულებას. პირველ რედაქტირებში რუსთაველს ორჯერ სხედადასხვა სახით აუწერია ზემოთმოყვანილი სურათი და ორი ვეჯერ მთელი სურათი მოცემული აქვს თითო ტაეპში. გარდა ამისა, ერთ ერთ ამ ტაეპში გვხვდება მხოლოდ მათ რახი, ხოლო არც ცხნი, არც მისი ამჯარი, არც ვეფხის ტყავი შიგ არ არის ნახსენები. აი ეს ტაეპი, რომელშიაც ჩვენ აღვნიშნავთ იმავე ბგერა ხ-ს:

რა ყმამან ნახნა მონანი ტირილსა მისცა ხვესია.

არ გაიკითხვენ მიჯნურსა არაბთა შიგან წესია.

მას ხელთა ჰქონდა მათ რახი მკლავისა მუნ უსქესია,

ესე დაფრინჭა თავები მკვდართ შიგან დანაწესია!

მაგრამ ამ შინაარსის მეორე ტაეპში „მათრახი“ სრულებით არ არის, იქ მთავარი ყურადღება ცხენზეა მიქცეული. აი ეს ტაეპი:

1) ამ ტაეპში, შეორე სტრიქონის გარდა, გარიგმული სიტყვების მთავარი ბ ერგბი გამჭორე-ბულია სტრიქონებში: ხ-ხ, ქ-ქ, წ-წ.

მნახვნი მოდგეს, ჩვენ ვნახეთ ტურუა რაშ სანახავია;  
ტირს ვინმე გმირი ცრემლითა, ულელაქს ჰლვითა ნავია,  
ვეშპის ოდენი ცხენი ყავს, ლამაზი რამე შავია,  
რაც შეიტყობის იმისგან ჩვენთან არ უჩანს ზავია.

ეს ტაეპი უნდა იყოს პირველი რედაქცია, აյ რუსთაველს იმავე მოსაზრებით რომ ტარიელის გმირობას ხაზი გაუსვას, მისი ცხენი ვეშაპისათვის შეუდარებაა. რა მიზეზით უნდა შეეცვალა რუსთაველს შემდეგ ცხენი მათრახით? ამის მიზეზი ალბად ის იქნებოდა, რომ „ვეშპის ოდენი ცხენი“ მეტის მეტად გაზვიადებულია, ეს შედარება ტარიელს წარმოგვიდგენს როგორც ზღაპრულ გოლიათს, რაიც რუსთაველისათვის სრულებით არ იყო სასურველი. ის ცდილობს თავისი პოემა რეალურ ხაზებში ჩატაროს აამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იმ დროს. ყაველ შეკახვევაში ავთანდილი და ფრიდონი ჩვეულებრივ ცხენებზე სხედან და ტარიელისათვის, რომელიც ფაზიკურად თავის მეგობრებისაგან თითქმის სრულებით არ განსხვავდებოდა, შეუფერებელი იყო ასეთი საზღაპრო ტანის ცხენი. გარდა ამისა, აյ უთუოდ კავშირი აქვს ცხენის აღმნიშვნელ სიტყვას („შვი“) შედარებასთან („ვეშპის“). —ან პირველია მეორეს შედეგი ან მეორე პირველის. უფრო საფრიქერებელია, რომ რუსთაველს ჯერ პქონდა მხედველობაში ტარიელის ცხენის შავი ფერი, „თეთრ-ტაჭირისანი“ ავთანდილის ცხენ. თან გასარჩევად, და შემდეგ ზ-ს ალიტერაციით მოუვიდა თავში ცხენის ვეშაპთან შედარება. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ყველა ეს ტაეპები უმშეველად რუსთაველის მიერ არის დაწერილი. ეს სურათი თავის უკანასკნელ რედაქციაში („ნახეს უკხო მოყმე ვინმე...“) ისეთი გასაოცარი ხელოვნებით არის მოცემული, რომ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენა ადამიანი, რომელიც სერიოზულად მოსურვებდა მის გადაკეთებას<sup>1)</sup> ეს სამი რედაქცია სამი სხვადასხვა პოეტის ნაწარმოებს კი არ წარმოადგენს, ისინი არიან სამი საფეხური რუსთაველის ნიშის განვითარებაში. გარდა ამისა, განა შეიძლება თუნდა ერთი წუთით იმის დაშვება, რომ სტრიქონი — „მნახავნი მოდგეს, ჩვენ ვნახეთ ტურფა რაშ სანახავია“ რუსთაველის მიერ არ არის დაწერილი?

იგივე ითქმის შესავალის ორი ტაეპის შესახებ; „ვის შეენის...“ და უთამარს ვაქებდეთ..., ორივე ტაეპის შინაარსი თავდაპირველად ალბად ერთი ტაეპისათვის იყო გამოზომილი, მაგრამ შემდეგ ის გაფართოვდა. მათი ჩამოყალიბება დაწყებული უნდა იყოს სიტყვებიდინ „ლახვარი გულსა ხელი“; შემდეგ არის სარითმო სიტყვა „რხეული“, რომელიც ჯერ ტანთან იყო ალბად დაკავშირებული, მაგრამ პოეტის აზრის შემოქმედებითი მუშაობის დროს შედარება შეიცვალა; „მინა“, რომლის შეუფერებლობას აზრის მხრით აქ რუსთაველი ალბად გრძნობდა, საბოლოოდ მიღებული იქნა მხოლოდ მაშინ, როდესაც ავტორი დარწმუნდა, რომ უკეთესი სიტყვა ამ ადგილისათვის ფონეტიკური თვალსაზრი-

<sup>1)</sup>) თუ ქვედა სართულის ტაეპებს ყალბად ჩაესთვლით, მაშინ აქ ერთი კი არა, ორი ისეთი გიურ უნდა წ რმოგვიდგინოთ, რ მლებმაც ეს ადგილი თავიანთ გემოზე გადაკეთეს.

სით არ აჩსებობს. 1) ამ მეორე ტაქტში ყველაზე ბოლოს დაწერილი უნდა იყოს პირველი სტრიქონის მეორე ნახევარი, — „სისხლისა ცრემლ დათხეული“, რომელიც სტეხს სტრიქონს და მთელი ეს ტაქტი გამოჰყავს რუსთაველის პირველ ხარისხოვან ტაქტების რიგიდან. ასეთი მძიმე დათმობა პოეტის მხრით გადაუღახვი სიძნელით აიხსნება; ამგვარ დათმობაზე ის მიღის მხოლოდ ბოლოს, ასე: რომ ყველა ის სტრიქონები, სადაც რიტმი გატეხილია, დამთავრებულია (პარველი ნახევარი შეიძლება აღრეც დაწერილიყო). ტაქტის დანარჩენი სტრიქონების დაწერის შემდგომ, და თითქმის ყაველოვის შედეგია მეოთხე გასარითმავი. სიტყვის შეუფერებლობისა ზომის მხრით. 2) „მეოთხე“ არ იქნება აუკილებლად მეოთხე სტრიქონში, ვინაიდან, როგორც დავინახეთ, პოეტი შაირის ტაქტის წერას როცა იწყებს, ჯერ კიდევ არ იკის თუ ბოლოს სად მოექცევა მის მიერ პირველად გამოკვეთილი სტრიქონი.

არა თუ ტაქტს, ლექსს არ იწყებს პოეტი აუკილებლად თავიდან. ხშირად, როდესაც ის ლექსის პარველ ტაქტს ჩამოყალიბებს, კიდევ არ იკის მან, თუ სად მოხვდება იგი—თავში, ბოლოში თუ შეუში. დიდი პოემებიც უფრო ხშირად ნაწყვეტებად იწერება: პოეტი სწერს ჯერ იმ ადგილებს, რომლებიც მას განსაკუთრებით აღელვებენ, შემდეგ ის აღტაცებული საკუთარი მიღწევებით მიღის. წინ, სადაც მას ახალი და ახალი პერსპექტივები ეშლება თვით შემოქმედების პროცესში. ის წინ მაიშვეს თანდათანი აფეთქებით, ყოველი მისი გამარჯვება არის იმავე დროს ტრამპლინი მისი ახალი ცრმაფრენისა და ახალი გამარჯვებისათვის. ნაკლებად საინტერესოს, მაგრამ მთლიანობისათვის საჭირო ადგილებს პოეტი იტოვებს უკან და შემდეგ უბრუნდება მათ დაშუშავების ბევრად უფრო შენელებული გრძნობით.

„ვეტხის ტყაოსანიც“ ასე უნდა იყოს დაწერილი. ჯერჯერობით ჩვენ მხოდ პოემის შესავალზე გვინდა ვილაპარაკოთ ამ მხრით. მკვლევარები ფიქრობენ, რომ რუსთაველმა დაიწყო: „რომელმან შეჰქმნა სამყარო...“ და მიჰყეა. პირწმანდათ ბოლომდე. თუ რამე შეუფერებელი იქნა პოემაში ამ თვალსაზრისით, გადამწერები და ყალბის მქნელები ხომ ხელთ აჩიან—ყუელაფრი ბრალად ერება მათ. ასე, მაგალითად, აკად. ნ. მარს დამახინჯებულად მიუჩნევია პოემის შესავალის სტრიქონი „ვპოვე და ლექსად გარდავთქვი საქმე ვქმენ. საჭოვანებელი“ იმ მოსაზრებით, რომ შესავლის წერის დროს პოეტი ვერ იტყოდა „,გარდავთქვი“ „ვქმენ“, ვინაიდან პოემა დაწერილი არა ჰქონდა, და ასე გადაუკეთებია: „,ვპოვე და ლექსად გარდავთქვა საქმე ვქმნა საჭოვალინები“. ამავე ტაქტის „შესახებ აი რასა სწერს პროფ. ქ. კეკელიძე (ის არ იზიარებს ნ. მარის გასწორებას):: „ამ ტაქტის ლიმედობას 3) განსაკუთრებით ხასს უსვამს ფორმა „ლექსად გარდავთქვი.. საქმე ვქმენ“ (წარსულ დროში) და უცბად უშუალოდ „დამშართოს“

1) „მელნად ვიხმარე... მინა... ისმინოს.“

2) იმ რიტმის ტაქტს, რომლითაც დაწერილია ეს ტაქტი, რითმებად უნდა პქონდე სამიანი ან ხუთ გარცვლოვანი სიტყვები (ხელი, ახელი, გამორჩეული), ხოლო ოთხიანი (ფაონჩეული) სტეხს სტრიქონის რიტმს. ორიანი და ოთხმარცვლიასი სიტყვები იხმარება მეორე რიტმის შაირში („ნახს უცხო მოყმე ვინგ..“).

3) ნ.მდგილად კი ეს ტაქტი არის ერთი პირველხარისხოვანთაგანი მთელ პოემაში.

(სხვა დრო); ასეთი შეთანხმება პოემის ნამდვილ ავტორს არ შეეძლო ეხმარა“.  
ჯერ ერთი ეს ვიკითხოთ, ნუ თუ ასეთი შესანიშნავი ტაქპის დამწერა, თუნდაც  
ის რუსთაველი არა ყოფილიყოს, იმდენად უმეცარი იყო, რომ ერთ დროს შეო.  
რე დროსაგან ვერ არჩევდა? ყალბისმენელსაც ხომ უნდა ელემენტარული ლოლი-  
კა და როგორ დაუშვა მან ასეთი შეცდომა, თუ კი აქ მართლა ადგილი აქვს,  
შეცდომას? მაგრამ საქმეც იმაშია, რომ არავითარ გაუგებრობას და „უიმედო-  
ბას“ აქ ადგილი არა აქვს. მთელი შესავალი დაწერილია სხვადასხვა  
დროს პოემის წერის განმავლობაში და მისი ფრაგმენტალური ხასია-  
თიც სწორედ ამით აიხსნება. ჯერ უბრალო წიგნის წინასიტყვაობა არ იწერება  
წიგნის დაწერის უმაღლ და ნუთუ დასაშვებია, რომ „ვეფხის ტყაოსანის“ პროლო-  
გი, სადაც ავტორს გადაუშლია თითქმის მოელი თავისი მსოფლმხედველობა,  
ყველაზე ადრე იყოს დაწერილი პოემი? პოეტი, რაც უნდა დაჯერებული არ  
იყოს ის საკუთარ ძალაში, მაინც მოკრძალებით და შიშით უდგება დიდ თემას,  
მას აკრთამს მისი სიძნელე, ეშინია დამარცხების, —და თუ ის სადმე თავისი ნა-  
შრომში ლაპარაკობს ისე, როგორც გამარჯვებული, ჩეენ ლრმად უნდა ვიყოთ  
დარწმუნებული იმაში, რომ ეს ადგილი, მიუხედავად იმისა ნაწარმოების ბოლო-  
შია იგი მოთავსებული თუ თავში, დაწერილია პოეტის მიერ მაშინ, როდესაც  
მან თუ მთლად არა, სანახევროდ მაინც დასძლია თემა. „ვეფხის ტყაოსანის“  
პროლოგის რამდენიმე ტაქში ლაპარაკია მოშაირობაზე, სადაც ისეთი კილო-  
აღებული, რომელიც შეიძლებოდა ჰქონება მის ავტორს მხოლოდ მას შემდეგ,  
როდესცა პოემა მთლად, ან თითქმის მთლად, ხელში ექნებოდა. განა. შეიძლება  
რომ პოეტმა დასწეროს ისეთი ზეიადი, ისეთი ამპარტავნობით საესე ტაქპი,  
როგორიც არის „ვითა ცხენსა შარა გრძელი“... მანამდე, სანამ ის მართლა არ  
დარწმუნდება თავისი პოეტური ნიჭის დიდ მასშტაბში? როგორ შეეძლო რუს-  
თაველს დაწერა პატარა პოეტების ისეთი გამანადგურებელა სტრიქონები, რო-  
გორიც არის „არ ძალუძა სრულებნა...“ და „ვამზგავსე, მშეილდი ბედითა...“, თუ  
კი მას დიდი პოემის დაწერა ჯერ კიდევ პროექტში ჰქონდა მხოლოდ? საფიქ-  
რებელია, რომ პროლოგის ზოგიერთი ტაქები და ეპილოგი ერთ ხანში იწერე-  
ბოდა. კერძოდ ტაქია უსე ამბავი სპარსული...“ უთუოდ დაწერელია ბოლოს,  
შეიძლება მისი მოთავსება რუსთაველს ჯერ ეპილოგშიაც კი უნდოდა, მაგრამ  
რაიმე მოსაზრებით შემდეგ პროლოგში გადაიტანა. აქ ლაპარაკია უკვე დასრუ-  
ლებულ პოემაზე: „გაოვე და ლექსად გარდავთქვი, საჭმე ვემენ საჭოჭმანები“,  
ხოლო უკანასკნელი სტრიქონი „ჩემმან ხელმენელმან და მმართოს ლალმან და  
ლამაზმანები“ არავითარ წინააღმდეგობას არ წარმოადგენს, ვინაიდან აქ ლა-  
პარაკია თამარის, როგორც ამ პოემის მომავალი წამკითხველის შესა-  
ხებ 1). თვითონ 6. მარი ასე სთარგმნის რუსულად ამ სტრიქონს: «Жду 0 д о.

1) ძნელი გასაგენია თუ რას ნიშნავს „ლამაზმანები“. მევლევრები სხვადასხვანაირად სწე-  
რენ მას: „ლამაზმანები“ (აბულაძე), „ლამაზმა, ნები“ (კაგაბაძე) „ლამაზმანები“ (მარი), ყოველ  
შემთხვევაში ეს ალბად ორი სიტყვისაგინ შესდგება, მაგრამ ლექსის კითხვის დროს მისი განკვეთი  
შეუძლებელია და ამიტომ უსწერო მას ერთად ყველგან. ეს სიტყვა ეხლო უნდა მევიღოთ რო-  
გორც ბერითი შეტყორუო.

брения величавой красавицы, лишившей меня рассудка». მათ სადღო ცოფი-  
ლა იქ გაუგებრობა?

სამაგიეროდ პროლოგში არის ისეთი ტაქტები, რომელიც პოემას დაუშე-  
რელს გულისხმობენ, მაგალითად: „აშე ენა მინდა გამოთქმად“...

რომ პროლიტის ზოგიერთი ნაწილები, პოემის ჩამოყალიბების შემდეგ არის ღაწერილი, ამის საბუთს იძლევა სტრიქონი: „დავუძლურდი, მიჯნურ-თათვის კვლავ წამალი არსით არი“... აქ ეს სიტყვა „დავუძლურდი“ არ არის უბრალოდ წამისროლილი სიტყვა. რუსთაველი მართლა დაუძლურდა, ის მართ-ერა დასწეულა იმ ინტენსიურმა ემოციონალობამ, რომელიც წლობით უკიდებ-და. ცეცხლს პოეტის სულს და სულთან ერთად სწვავდა ალბათ იმის სხეულსაც.

ჩევნ გვინდა შეეტერდეთ კიდევ შესავალის ორ პირველ ტაეპზე. მქვლევა-  
რების აზრით ერთი მათვანი უთუოდ ყალბია. უმეტეს შემთხვევაში ყალბად  
მეორე ტაეპსა სთვლიან. სიყალბის მთავარ მიზეზად ასახელებენ იმას, რომ მეო-  
რე ტაეპში მეორდება ღვთისაღმი მიმართვა. ასეთი გამეორება „ვეფხის ტყაო-  
სანზი“ ძალიან ხშირია. ეს არ არის კარგი, მაგრამ ფაქტი შაინც ფაქტად რჩე-  
ბა. ამის მიზეზად უმთავრესად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ერთი ტაეპის წერის  
დროს რუსთაველს მოსდიოდა ისეთი აზრი ან სახე, რომელიც იმ ტაეპში აღარ  
თავსდებოდა და მისი გულისთვის ახალი ტაეპი იწერებოდა, სადაც აზრი, ან  
ოდნავ შეცვლილი ფრაზა, გამეორდებოდა საღმე. მაგალითად, ტარიელი ერთ  
ტაეპში ვეფხის შესახებ ამბობს: „ველარ გაუძელ, იგიცა მოვგალ გულითა ხე-  
ლითა;“ მომდევნო ტაეპში კი ვეფხი ისევ ცოცხალია: „რაზომსაცა ვამშვიდებ-  
დი, ვეფხი ველარ დავამშვიდე, გავგულისდი მოვიქნი, ვკარ მიწასა დავაწყვი-  
ტე.“ ეს ტაეპი რუსთაველმა დასწერა ალბად შემდევი სტრიქონის გამო, რომე-  
ლიც მას წინა ტაეპის წერის დროს მოუვიდა თავში, მაგრამ ტეხნიკურად ვერ  
მოახერხა მისი შეტანა შიგ: „მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდე“. ამ  
სტრიქონის გულისთვის არის უთუოდ მთელი მეორე ტაეპი დაწერილი, ნათქვა-  
მის გამეორებაც ამან გამოიწვია: „წავეკიდე—დავამშვიდე—დავაწყვიტე“, ორი  
უკანასკნელი სარითმო სიტყვა მოითხოვს, რომ ვეფხი ისევ ცოცხალი იყოს.

ცოტა სხვაგვარად უნდა იყოს საქმე პროლოგის ორ პირუელ ტაქტში. ორი-ვე უთუოდ რუსთაველს ეკუთვნის. პოემის პირველი სტრიქონის შესახებ ჩვენ ვთქვით ზემოთ, მეორე თავში, რომ მას აქვს ორი დეფექტი. სტრიქონი უნდა იყოს შინაარსის მიხედვით ძლიერი, ნამდვილად კი მისი მეორე ნახევარი ოთხი ი-ს მეოქებით მეტად რბილია („ძალითა მით ძლიერითა“), გარდა ამისა ის დაწერილია ორი სხვადასხვა რიტმის შაირით (5—3—4—4!). ყოვლად შეუძლებელია, რომ რუსთაველს პოემის პროლოგი ასეთი-სტრიქონით დაწყო, ის არის დიდი გამოუვალიბის შედეგი. პროლოგი დაწყებულია სტრიქონით: „ჰე ლმერთო ერთო, ჟენ შეჭმენ სახე ყოვლისა ტანისა!“ მაგრამ მთელ ამ ტაქტში რუსთა-

<sup>1)</sup> ს. გორგაძის მიერ განხილვა ამ სტრიქონის რიტმის სწორე არ არის. იხ. „გრდემლი“ ყყობილ სიტყვაობა. გვ. 18.

ეფლს, ან მალე ან საკმაო ხნის შემდეგ, ერთი ნაკლის დანახვა შეეძლო. ეს ხაკლი იმაში შდგომარეობს, რომ ამ ტაეპში მხოლოდ ერთი სტრიქონი ეხება ომერთს, დანარჩენი კი რუსთაველს, თითქოს ლმერთი მხოლოდ რუსთაველზე ტიქრობდეს. ეს არ არის დასაშეგძი. დ. გურამიშვილი უფრო პატარა მასშტაბის პოემაში, „გურამიშვილი“; პირველი ტაეპის პირველ სამ სტრიქონს უძლინს ომერთს, ხოლო მეოთხეზი თავის თავზე გადადის. რუსთაველი ასწორებს ნაკლს. ამ ტაეპს სტროვებს ასე და სწერს ახალს, რომელსაც იმის წინ უნდა ექნეს აღგილი; ის იწყებს: „რომელმან შეკვენა სამყარო...“ და ჩერდება; შეძეგ დაწერილი უნდა იყოს მესამე სტრიქონი, ყველაზე ბოლოს პირველი სტრიქონია დამთავრებული; ემჩნევა, რომ მთელი ეს ტაეპი დაწერილია დიდი სიძნელით, მაგრამ დაწერილია უთუოდ რუსთაველის მიერ. განსაკუთრებით შეუძლებელია მქორე ტაეპის უარყოფა, რომელიც ერთადერთი იძლევა თანდათანობითი გადასვლას: ღმერთი, სათხოვარი მისდამი, წერის საგანი.

საინტერესოა ვიკითხოთ, რამდენი ხნის უნდა ყოფილიყო რუსთაველი, როდესაც მან „ვეფხის ტყაოსანის“ პირველი ვარიანტის წერა დაიწყო? ჩვენ ზემოთ შევნიშნეთ, რომ ის მაშინ ისეთივე ზურგერული იყო ალბად, როგორც მისი ორი მთავარი გმირი. ამ მოსაზრების წამოყენების დროს ჩეენ მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ მწერლებს საერთოდ თავიანთ ნაწერებში თავისი ხნის გამოჰყავთ ის გმირები, რომლებიც მათი მსოფლმხედველობის მატარებელი არიან. მაგალითები: 23—24 წლის გოთე ე და მისი ახალგაზდა ვერტერი; 22 წლის შილერი და ახალგაზდა კარლ მორიჩი; ბაირონი და მისი აღმოსავლეთური პოემების გმირები; ცუ შკინი—კავკასიელი ტყვე; ალექო, ონეგინი; ლერმონტოვი—არბერინი, პეტრონი; ახალგაზდა ილია ჭავჭავაძე და კაკო ყაჩალი, შეუ ხნის ილია—შეუ ხნის განდევილი.

ავთანდილი უეპველად რუსთაველის მსოფლმხედველობის გამომხატველია პოემაში. რუსთაველი, რომ თვითონ ახალგაზდა არა ყოფილიყო, არავითარ შემთხვევაში ავთანდილი „ჯერ უწვერული“ არ იქნებოდა. შემდეგ ვარიანტებში კი რუსთაველს აღარ შეეძლო გმირების ხნოვანების შეცვლა. რომ პირველი ვარიანტის წერის დროს რუსთაველი მეტად ახალგაზდა იყო, ეს პოემის დაბოლოებიდანცა სიახლს, სადაც დაბერებული და დაუტურებული ტარიელი და ავთანდილი წარმოადგენენ უდიდეს კონტრასტს იმასთან შედარებით, როდესაც ისინი ყმაწვილები იყვნენ. აქ ახალგაზდური გულუბრყვილობით და გულისტკივილით მოცემულია ადამიანის ცხოვრების სტრაფლწარმავლობისა და აშაოების სურათი—თემა მეტად მიმზიდველი თავის მარტივ ხაზებში ახალგაზდა, მაგრამ დიდი პოეტური ნიჭის მატარებელი პოეტებისათვის. მეორე მხრით, ყოვლად შეუძლებელია, რომ პოემის უკანასკნელი ვარიანტი დაწერილი იყოს ახალგაზდა პოეტის მიერ<sup>1)</sup>. როდესაც რუსთაველი სწერდა ისეთ აღგილებს, როგორიც არის, მაგა-

1) პროფ. ნ. პერნა თავის მეტად საგულისმიერო წიგნში „ცხოვრებისა და შემოქმედების რიტმი“, მიგვითითებს გოეთს შემოქმედების განვითარების ასეთ ეტაპებზე:

1. პირველი გაღვიძება—ცხოვრების მე-11 წელი.
2. მსუბუქი ლირიკა (ანაკრეონეტიკა) მე-18 წელი.
3. ქარიშხალისა და შეტვეის პერიოდი—22—26 წ.
4. მომწიფება და ფორმათა სიმკაცრე—30—33 წ.
5. კლასიკიზმი და ზვიადბა—37—39 წ.
6. რეალური ცხოვრება და სიმკაცრე—44—48 წ.

ჰითად, პეტანდილის ანდერძი როსტევან შეფის მიმართ, ან მისი წასვლა ფრი-დონისას („ვაკ, სოფელო..“), მაშინ მას უეჭელად აქა-იქ მაინც ექნებოდა ჭა-ლარა გამორეული. ჩვენის აზრით „ვეფხის ტყაოსანის“ საბოლოო ჩამოყალიბებისათვის საჭირო იყო არა ნაკლები ოცი წლისა. პოემაში თამარ შეფის ალე-კორიული განსახიერების იდეა რუსთაველს შეიძლება მოუვიდა მას შემდეგ, რო-დესაც პირველი ვარიანტი უკვე დაწერილი იყო, და ამ იდეამ მისცა მას ახალი პაოსი პოემის გადამუშავებისათვის.

ეხლა ვიკითხოთ, რა არის მთავარი, რა არის ყველაფერზე უფრო შესანიშ-ნავი „ვეფხის ტყაოსანში“, რომელიც უეჭელად მსოფლიო ლიტერატურის ერთი უდიდესი ძეგლთაგანია? ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა „ვეფხის ტყაოსანის“ გმირებში დაინახეს ტიპები — ერთმა ზოგადკაცობრიული, მეორემ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა წასიათის გამოხატულება. არა-ვითარი ტიპები ამ პოემაში ნამდვილად არ არის. მისი მომქმედი პირები გაცი-ლებით უფრო ჩამოჰვავან ერთმანეთს, ვიდრე საერთოდ ერთი აღამიანი მეორეს წააგავს ცხოვრებაში. ძეველმა პოეზიამ არც იცოდა თუ რა იყო ტიპი, ის იძლე-ოდა ხოლმე (ტრაგედიებში) ხასიათებს და ამით ქმაყოფილდებოდა. ტიპებით გატაცება მწერლობაშ დაიწყო მას შემდეგ, რაც ევროპის კონტინენტზე შექს-პირი გამეფდა. ტიპების ასახვა ნამდვილად პოეზიის მიზანს არც შეადგენს, ეს მოვალეობა სულ ტყუილად დააკისრა მას გასული საუკუნის ლიტერატურულმა კრიტიკამ. განსაკუთრებით რუსულ კრიტიკას გასულ საუკუნეში ის ნაწარმოები ნაწარმოებად არ მიაჩნდა, რომელშიაც ტიპები არ იყო გამოყვანილი. ასეთ ტრა-დიკიაზე აღზრდილი ჩვენი მოღვაწეები, კერძოდ ილია და აკაკი, თავს ძალას ატანდნენ, რომ ამ მხრით „ვეფხის ტყაოსანის“ სიდიადე გაემართლებიათ. ნამ-დვილად ეს სრულებით საჭირო არ იყო; ტიპების ხატვას და ყოფა-ცხოვრების ასახვას პოეზია სიამოვნებით უთმობს მთატვრულ პროზას. პოეზიის მიზანი და დანიშნულება სულ სხვაში გამოიხატება.

არც სიუკეტი და მისი განვითარება არის მთავარი „ვეფხის ტყაოსანში“. მასში მოთხოვნილი ამბავი არ იწვევს მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს; არც პოემის გმირების თავგადასვალს შეუძლია აალელოს მკითხველი. სიუკე-ტის მხრით მხოლოდ ერთი გარემოება არის ამ პოემაში განსაკუთრებული ყუ-რადღების ღირსი. ეს არის მისი, ძეველი აღმოსავლური მწერლობისთვის უჩვეუ-ლო, კულტურული დამუშავება, იქ დიდი ყურადღება აქვს მიქცეული დეტალებს, მხატვრულ სიმართლეს, მოვლენათა შორის მიზეზობრივ კავშირს. მაგალითად: მთელი ჩამანების ისტორია საუკხავოდ არის გამოგონილი იმისათვის, რომ ფარმანმა ბუნებრივად დაიწყოს აეთანდილისათვის ნესტან დარეჯანის ამბავის მოყოლა; უსენი მთვრალი შესთავაზებს მეფეს ნესტან-დარეჯანს ისეთ. პირობებში, რომელიც დასაჯერებელია საესხით; ფატმანი ასაჩუქრებს ნესტანს ძვირფასი თვალ-მარგალიტით, რომელსაც მას წელზე შემოარტყამს. ამ თვალ-მარგალიტით შემდეგ ნესტანი შეისყიდის მონებს და განთავისუფლდება; რუს-თაველი ჰერმონმს, რომ მკითხველისთვის საეჭვო იქნება მონების ასეთი საქციე-

ლი, რის გამო მათ სიკვდილით დასჯა არ ასცდებათ მეფისაგან, და ის გვაუწყებს: „მონანიცა გარდიხვეწნეს, გაიპარნეს მასვე თანაო“. მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა შემდეგი. რუსთაველს ეშინია, რომ მკითხველმა არ იფიქროს, ვითომც ნესტან დარეჯანი ამდენ საბედისწერო თავგადასავალს ვერ გადაიტანს ისე, რომ მისი სიწმიდე არ შეიძლალოს, რომ ამ ხნის განმავლობაში რომელიმე მეფემ ან სხვა შეძლებულია პირმა ძალით მაინც არ გაიხადოს იგი ცოლად. რუსთაველი მიმართავს ათასნაირ ხერხს, რომ ეს ეჭვები ჩატკლას მკითხველში, მაგალითად: ფატმანის ქმარი, ვის სახლშიაც ნესტანს უხდება ყოფნა, არის მოხუცი; მეფე მელიქ სურხავიც მოხუცია, მას ნესტანი უნდა თავისი შეილისათვის, რომელიც იქ არ არის იმ დროს, — „მაშინ ლაშქარს წასულიყო, მუხ დაჰყოფდა დიდსა ხანსა“. სწორედ ამავე მიზეზით ქაჯეთის მეფე არის დიაცი დუღარდუხტი, რომელსაც „უსხენ წვრილნი ძმის-წული: როსან და როდია“<sup>1)</sup>. დუღარდუხტს ნესტანი უნდა სასძლოთ, როსანის, „ცოტასა ყმისაღ“, საცოლედ, მაგრამ ქორწილს ჯერ არ იხდის, ვინაიდან მას მოუკედა და, რის გამო ქაჯეთის სამეფო კარზე გლოვა არის, — „ჯერ ქორწინებად არა მცალს, აწ გული ცეცხლ-ნადებია“<sup>2)</sup> — ამბობს დუღარდუხტი, რომლის დის გადაცვალება მხოლოდ იმისთვის გამოიგონა რუსთაველმა, რომ ქორწილს შეუშალოს ხელი. შემდეგ ნესტანი აუწყებს ფატმანს წერილში, რომ მეფე იქ არ არის: „ქაჯთა მეფე არ მოსულა, არცა მოვლენ ქაჯნი ჯერე“. ქაჯების მოსულის დაგვიანება საჭიროა იმიტომ, რომ ნესტანის გამომხსნელი ექსპედიციაც ვერ მოახერხებს მალე შისვლას.

მაგრამ ყოველივე ამას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა არა აქვს პოემაში სიუჟეტის განვითარება რომ მთავარი იყოს ნაწარმოებში, მაშინ რუსთაველის გრიალობა ვერ შესწოდებოდა დღევანდელი მეორე და მესამე ხარისხოვანი რომენისტების ნიჭის.

პიოველი მნიშვნელობა არ ეძლევა აგრეთვე ამ პიემის მთავარ იდეას თუ კი მასში არის ასეთი რამ. მთავარი იდეა, — რომელიც უმეტეს შემთხვევაში კრიტიკოსებისა და სიტყვიერების მასწავლებლების მიერ მოგონილი ამბავია, — მხოლოდ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ირკვევა; მანამდე თვითონ პოემის კითხეის დროს, რას უნდა დაეყრდნოს მკითხველი, რამ უნდა მისცეს მას ის ესთეტიკური სიამოვნება, რომელიც ყოველი მხატვრული ნაწარმოების უპირველეს დანიშნულებს შეადგენს? რომ ნაწარმოების მთავარ იდეას არა აქვს დიდი მნიშვნელობა ეს იქედან სჩანს ნათლად, რომ ძველი ავტორების კითხვა ამ უამაღ უმეტეს შემთხვევაში ხდება ფრაგმენტალურად; რა მნიშვნელობა აქვს, მაგალითად, სულიერი სისპერიაკისა და განწმენდის იდეას ბეატრიჩეს სახით „ლობრივ კიმედიაში“ იმ დროს, როდესაც მკითხველი იმის პირველ ნაწილს „ჯოჯოხეთს“ კითხულობს მიალიანად ან ნაწყვეტებად? გარდა ამისა, იშვიათად რომ

<sup>1)</sup> ამ სტრიქონში რუსთაველს პირველად ჰქონია სიტყვა წვრილნი და შემდეგ ალიტერაციის მიზნით მოტანილია ქ. ი. ს-წულნი.

მთავარი იდეა ესთეტიურ განცდას იძლეოდეს, მისი მიზანი უფრო შეკუსი სწავლებაში გამოიხატება, ეს უკანასკნელი კი პოეზიის დანიშნულებას არ შეადგენს.

მაშ არის მთავარი საერთოდ პოეტურ ნაწარმოებში და კერძოდ კი კვეფხის ტყაოსანში? მთავარი არის თვითონ ლექსი ამ ცნების ულრჩები გაგბით. აქ ჩვენ პირის-პირ ვხვდებით ფორმისა და შინაარსის დიდსა და მეტად სადაო საკითხს. რასა აქვს უმთავრესი მნიშვნელობა მხატვრულ ნაწარმოებში, ფორმას თუ შინაარსს?. ეს კითხვა მით უფრო იწვევს აზრის სხვადასხვაობას; რომ არ არის გამორკვეული თუ სად თავდება ერთი და სად იწყება მეორე. ამ ხაზის გავლების დროს შეიძლება უკიდურესობაში გადავარდნა. უმეტეს შემთხვევაში ავიწროებენ ფორმის გაგებას, რის გამო შეუფერებლად ფართოვდება შინაარსის მნიშვნელობა. ლექსში ფორმას მარტო რითმები და მარცვლები არ ჟერგენს. ფორმის საკითხია ეპიტეტები, მეტაფორები, სახეები და სხ. რაც პოეტური ქმნილების ხორცია და სისხლს შეადგენს. შინაარსია ჩინჩხი. ერთსა და იმავე შინაარსზე შეიძლება დიამეტრალურად საჭინააღმდეგო ლირებულებათა აგება ხელოვნებაში. აღმასი და ქვანაბშირი მხოლოდ ფორმით განხსევადება ერთმანეთისაგან, თუ ფორმის სახით ვიგულისხმებთ არა მარტო მათ კრისტალიზაციას, არამედ იმ შინაგან მოლეკულიარულ წყობას, რომელიც ერთსა და ძმავე ნივთიერებას—ნახშირმბადს—სულ სხვა და სხვა ლირებულებას ანიჭებს ამ ორ ნივთში. აშკარაა ფორმის პრიმატი პოეზიაში: პოეზიის მოყვარულები ჰქონდება ესა თუ ის კეშმარიტება. ეს არის მეცნიერების საქმე. პოეზიაში კი არ სებობს გენიალური თქმა.

„ვეფხის ტყაოსანის“ საუკეთესო აფორიზმებს რომ ანალიზი გაუკეთოა, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ იმათ დიდ ლირებულებას ჰქმნის არა მათი შინაარსი, არამედ ფორმა უმთავრესად. გრინალური აზრები პოეზიაში არ არსებობს საერთოდ. გრინალური აზრი არის ისეთი აზრი, რომელშიაც პირველად ცნაურდება ესა თუ ის კეშმარიტება. ეს არის მეცნიერების საქმე. პოეზიაში კი არ სებობს გენიალური თქმა.

„ვეფხის ტყაოსანი“ სავსეა ასეთი თქმებით. რუსთაველი უდიდესი ხელოვანია ლექსის მსოფლიო მასშტაბით. სტრიქონისა და ტაეპის კონსტრუქციაში ძნელად შეიძლება მოექცებოს მას ბადალი. ზემოთაც გვითქვამს, რომ ყოველ შერით უნაკლულო ტაეპის დაწერა შაირით წარმოადგენს ისეთ სიძნელეს, რომელსაც ვერავითარ შემთხვევაში პატარა პოეტური შემოქმედების განმავლობაში. რუსთაველის ისეთი სრულყოფილი ტაეპები, როგორიც არის: „ნიბრძანეს მათდა საქებრად...“, „მიჯნურსა თვალად სიტურფე...“, „ვითა ცხენსა შარა გრძელი..“, „არაბეთს გასცა ბრძანება...“, „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა“, გასრულდა მათი ამბავი...“ და რამდენიმე კიდევ სხვა, უმაგალითოა ქართულ ლიტერატურაში: თითო ასეთი ტაეპის დაწერა პოეზიაში მეტ სიძნელეს წარმოადგენს, ვიდრე უდიდესი ხილის აგება ტეხნიკაში.

ამ აზრში „ვეფხის ტყაოსანის“, მნიშვნელობის დამცირებას დაინახავს ის, ვინც არ იცის თუ რა არის ლექსი. ქართველებმა ძველად უკეთ იცოდენ ლექსის ღირებულება, ვიღრე დღეს. „ვეფხის ტყაოსანში“ მათ ხიბლავდათ სწორედ ის „სრულქმნა სიტყვათა“, რომლის უდიდესი მნიშვნელობა თეორეტიულად ესმოდა საშუალო საუკუნეების სილრმეში ქართული ლექსის გენიალურ ინჟენერს, და რომლის გარეშე ყოვლად წარმოუდგენელია პოეტური ქმნილების მიერ არა თუ საუკუნეების, ათეული წლების გადალახვა. მხოლოდ სრულყოფილი სიტყვა იძლევა უკვდავების გარანტიას პოეზიაში, თუ რა თქმა უნდა, ქვეყნად შესაძლებელია საერთოდ რაიმეს უკვდავებაზე ლაპარაკი.

რუსთაველის შესწავლამ დღეს, როდესაც პოეზია გადაშენების გზაზეა დამდგარი, სწორედ ამ მხარეს უნდა მიაქციოს მთავარი ყურადღიება. არა კმარა მარტო გაუგებარი სიტყვების განმარტება „ვეფხის ტყაოსანში“, საჭიროა მისი ესთეთიური ღირებულების გადაშალა. ამისათვის მოწოდებულია ქართული უნივერსიტეტი, რომელმაც ყოველგვარი ზომები უნდა მიიღოს, რათა ეს ჩვენი უდიდესი ლიტერატურული განძი ააშოროს იმ არქიეს, სადაც ფილოლოგიისა და ისტორიისათვის შეიძლება მეტად საინტერესო, მაგრამ ფართო მკითხველებისათვის კი სრულიად უქმი ნაწარმოებები განისვენებენ.